N4 (503) 28/I-3/II-2010 ფასი 1 ლარი

გზა

დაჩაგრული ქართველი წყვილი და სპორტის ოსტატის პირველი მარცხი

რეალური არსენა ანანოს საკუთარ „პროფილაქტიკაში“ ეპატიჟება

რისთვის ემზადება უცნობი

დათო ევგენიძის ფილოსოფია

„ჩემი არც ერთი ცოლისთვის მეუღლე არ დამირქმევია“

როგორ შეიძლება ბავშვი ვიშვილოთ

ფსიქოპორტრეტი

„შემიძლია, მთელი ცხოვრება ერთი ადამიანის გვერდით ვიყო“...

„მე კარგი ბიჭი ვარ“

ISSN 1987 - 5029

როგორ გახდა ჯგუფი „მგზავრები“ გინესის რეკორდსმენი

პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელ „ისი პარი“-ს 2010 წლის 25 იანვრის წამახალისებელი გათამაშების შედეგები:

042027 პლაზმური ტელევიზორი

062281 პლაზმური ტელევიზორი

051201 პლაზმური ტელევიზორი

089003 ციფრული ფოტოაპარატი

048846 ციფრული ფოტოაპარატი

016483 ციფრული ფოტოაპარატი

068228 ვიდეოკამერა

102776 ვიდეოკამერა

042500 ვიდეოკამერა

086574 აიპოდი

017378 აიპოდი

009469 აიპოდი

048050 ბლექბერი — მობილური ტელეფონი

063030 ბლექბერი — მობილური ტელეფონი

012521 ბლექბერი — მობილური ტელეფონი

090946 ლეპტოპი

095330 ლეპტოპი

027611 ლეპტოპი

064921 ორკაციანი მოგზაურობა შარმელშეიხში

045113 ავტომობილი პეჟო 206 სედანი შავი

- თქვენთვის, ქალბატონებო! 39
- ბედის ირონია 40
  ქურდს თითი ეწვის
- სიტუაცია 42
- ეს სამყარო 43
- ისტორიის ლაბირინთები 45
  ბრძოლები, გმირები, მოღალატეები...
- ანტიდეპრესანტი 48
- ავტო 48
- საკითხავი ქალებისათვის 50
- ტაძარი 52
  ხატთაყვანისცემის მნიშვნელობა და პირველი ქრისტიანული ხატები
- ადამიანი-ლეგენდა 54
  დანიელ სვაროვსკი — ნაყალბევი ბრილიანტის დიდოსტატი
- ჯანმრთელობა 56
- პროფესია 59
  ავსტრალიელი ჟურნალისტები, მთვრალი ოსის კონდახის „გემო“ და ხიფათისთვის გაზრდილი სათარჯიმნო „სტავკა“
- თემა 62
  მამაკაცისთვის შეუფერებელი სამუშაო
- თინეიჯერული პონტები 64
  „გზის“ თავგადაკლული ფანის პოეტური სული
- ნვეთი პოეზია 67
- ავტოპორტრეტი 68
  ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)
- ქართული დეტექტივი 72
  გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)
- რომანი 76
  სვეტა კვარაცხელია. სევდის სურნელი (გაგრძელება)
- დოკუმენტური პროზა 80
  შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)
- რეალური 82
- გზავნილები 85
  ცოდვა გამხელილი ჯობია
- ყველა ერთისათვის 91
- მობილი-ზაცია 92
- მოზაიკა 97
- სპორტული მოზაიკა 99
- ერუდიტი 100
  არჩევანი ფსიქოლოგიასა და მუსიკას შორის „პროზა და პოეზია თანაბრად მიყვარს“
- გასართობი 102
- ასტროლოგია 104
- სკანვორდი 105
- საფირმო კროსვორდი 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com

რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



სასტიკი ბუნება

შპიცბერგენში (ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში მდებარე პოლარული არქიპელაგი) ყოველ მეორე თეთრ დათვს ერთდროულად, მდედრის და მამრის სასქესო ორგანოები აქვს.

43

ადამიანი

მამაკაცისთვის შეუფერებელი სამუშაო

„ ვკარნახობ, რომელი საცვალი უფრო ლამაზია, ქმარს რომელში უფრო მოეწონება. ფერებსაც იმისდა მიხედვით ვარჩევინებ, გათხოვილია თუ არა...“

59

ბიბლუსი

ავტოპორტრეტი

— ჰო, გილოცავ, — მითხრა უკმეხად და ლოყაზე მაკოცა, — მიშიკო ჯარში წაიყვანეს.

— რაა? ჯარში? სად? რამდენი ხნით? — ვიკითხე და თან მივხვდი, რომ რაღაც ძალიან სერიოზული და ცუდი ხდებოდა ჩვენს თავს.

67

ტაიმ-აუტი

არჩევანი ფსიქოლოგიასა და მუსიკას შორის

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა უნივერსიტეტში, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე გააგრძელა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ სტუდენტობამ შემოქმედებითად შეზღუდა, რომ მისგან უფრო კარგი მუსიკოსი დადგებოდა, ვიდრე — ფსიქოლოგი და ამიტომაც, III კურსის დამთავრების შემდეგ სასწავლებელი მიატოვა.

97

№4 (503)
28 იანვარი –
3 თებერვალი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ **მინიატიურები** 5
რატომ არის რევოლუციის შემდგომი პერიოდის ბავშვი (ჩინოვნიკი) გონებაჩლუნგი?
■ **ჭრელი მსოფლიო** 6
■ **პოლიტიკა** 7
■ **სახალხო პროექტი** 10
დაუტოვე გზავნილი შთამომავლობას
■ **განაცხადი** 12
■ **კრიმინალი** 14
■ **პრობლემა** 15
აზერბაიჯანელი — საქართველოში და ქართველი — აზერბაიჯანში
■ **შემოქმედი** 19
დათო ევგენიძე ორგზის ბაბუა გახდა და გრანდიოზული კონცერტისთვის ემზადება
■ **მუსიკოსები** 21
„მგზავრების“ „ომი და ქორწილი“ და „მგზავრული“ რეკორდსმენობა
■ **ფსიქოპორტრეტი** 23
„შემიძლია, მთელი ცხოვრება ერთი ადამიანის გვერდით ვიყო, მე ძალიან კარგი ბიჭი ვარ“...
■ **შოუმენი** 25
„შორენა ბეგაშვილი“ მსურველებს ტანსაცმლით ასაჩუქრებს
■ **პროტოტიპი** 27
რეალური არსენა „შუა ქალაქის“ ანანოს საკუთარ „პროფილაქტიკაში“ ეპატიჟება
■ **დედა** 28
უცნობი ახალი შოუსთვის ემზადება
■ **კონკურსი** 29
დაჩაგრული ქართველი წყვილი
■ **ვარსკვლავები** 31
წლის ყველაზე ლამაზი ქორწილები
■ **მინირომანი** 33
■ **სამართალი** 37
როგორ შეიძლება, პატარა იშვილოთ

ქვეყანა

„გზავნილი მომავალში“

„კვირის პალიტრის“ საუკუნის პროექტი — „გზავნილი მომავალში“ 10 წლის წინ „დაიბადა“ და ადამიანებს მიეცათ საშუალება, სათქმელი ათწლეულების შემდეგაც თქვან, შთამომავლობას გზავნილი დაუტოვონ. წერილების პირველი სკივრი გაიხსნა 2001 წელს, შემდეგი — 2005 წელს. 2010 წლის 20 იანვარს კი ეროვნული არქივის სააქტო დარბაზში, 10 წლის წინ დალუქული სკივრი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.

7

სახე

რეალური არსენა „შუა ქალაქის“ ანანოს საკუთარ „პროფილაქტიკაში“ ეპატიჟება

„ აბა, ანანოზე უარს ვინ იტყვის?! ძალიან საყვარელი ადამიანია, სერიალიდან ყველაზე მეტად, ეგ მომწონს; ისე, ის არსენაც მაგარი ვინმეა, რა! ასეთ გოგოს ვინმე ხელიდან გაუშვებდა?“

19

27400

ცხოვრება

როგორ შეიძლება პატარა იშვილოთ



„ საქართველოში ძირითადად ჩვილის აყვანის მსურველები არიან, თუმცა კანონით სრულწლოვანი პირის შვილად აყვანაც იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ გასაშვილებელსა და მშვილებელს შორის მშობლისა და შვილის ურთიერთობა უკვე ჩამოყალიბებულია“.

33

ზღაპნილები

ცოდვა გამხელილი ჯობია

„სიმართლე გითხრათ, თემამ ამ მესიჯის წერისას, ქუჩაში ქარის მიერ აშლილი ფოთლებივით ამიშალა და გამახსენა წარსულში ჩადენილი, პატარ-პატარა „ცოდვები“ და ცუღლუტობები. ჩემივე უსაფრთხოებისთვის კი მხოლოდ რამდენიმე მსუბუქი შემთხვევის მოყოლით მივიპყრობ თქვენს ყურადღებას“.

85

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

რაღომ ვრის რევოლუციის შემდგომი პერიოდის ბავშვი (ჩინოვნიკი) გინებაჩლუნგი?

შესავლის ნაცვლად ისევ და ისევ მტკივნეულ საკითხზე მიწევს ლაპარაკი... განსაკუთრებით — ჩვენთვის, ჟურნალისტებისათვის საჭირბოროტო და, თანაც, საჩოთირო საკითხზე: რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, ნორმალური ქართულის სწავლა?! მთელი ბეჭდვითი თუ ელექტრონული მედია ისედაც აჭრელებულია ბარბარიზმებითა და ყურით მოთრეული, ვიღაცების გამოგონილი ტერმინებით, კიდევ უარესი — სწორი ტერმინების შეუსაბამო ხმარებით, მაგალითად: „მსოფლიოში საუკეთესო“, „ევროპაში პირველი“, „ყველაზე მაღალი“ (პრეზიდენტი ან სასტუმრო), „ყველაზე გრძელი“ (ბულვარი)... ეს ტერმინები ხომ ერთობ შეუსაბამოდ იხმარება, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლების, ასევე მედიის მიერ... ბოლო კვირაში კი ყველას სიტყვა „პანჩური“ აკერია პირზე!

არადა, ქართული ენის ყველაზე დიდ მცოდნესა და მოამაგეს, სულხან-საბა ორბელიანს, თავის სიტყვის კონაში ასე აქვს ეს სიტყვა განმარტებული: „უკან მუხლის ამოკვრა“!

მუხლისო, გესმით?! ხოლო ეგზეკუციის იმ სახეობას, კოლეგებო, რომელიც ჩვენ და მთელმა მსოფლიომ ვიხილეთ ტელევიზიითა და ინტერნეტით და რაც ერთი სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირმა ჩაუტარა მეორე სამინისტროს უფრო მაღალი თანამდებობის პირს, ეწოდება „ჭიტლაყი“!!!

არსებობს აგრეთვე — „პანღური“, „წიხლი“ და სხვა ვარიაციები და ამ ჩვენს დალოცვილ ქართულ ენაში ყველას თავისი მნიშვნელობა აქვს. ხომ გახსოვთ პოეტის სიტყვები: „მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა...“ ასეა აქაც — ერთი ადამიანის მიერ მეორისთვის ტრ...ში ფეხის ამოკვრასაც ბევრი სახელი აქვს, გამომდინარე ამ ფეხის კონკრეტული ნაწილიდან (მუხლი, ტერფი...) და დარტყმის სიძლიერიდან.

ჰოდა, რა გამოდის ახლა ამ ყველაფრიდან? თქვენ გგონიათ, ახლა სხვებივით დავიწყებ: „ეს რა საშინელებაა?!“, „ეს როგორ იკადრეს?!“ არა, ბატონო, უკვე ნახსენები, ქართულის არცოდნის გარდა, მე სხვა რამ მადარდებს: ზუსტად რატომ არ სრულდება მინისტრის, თანაც — შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება?! თქვენ ხომ დარწმუნებული ბრძანდებით — მერაბიშვილმა რომ უთხრა, „პანჩური ამოარტყით და გაუშვით“, — სწორედ „პანჩური“ ანუ მუხლის ამორტყმა იგულისხმა (მაგან ხომ „მაგარი“ ქართული იცის)! მისმა ხელქვეითებმა კი, როგორც მოგახსენეთ, „ჭიტლაყი უქნეს“ დაკავებულებს! კი მოხსნეს ის ამომრტყმელი (აბა, რას უზამდნენ, „პანჩურის“ მაგივრად, ჭიტლაყი ამოსცხო), მაგრამ ასე რომ გაგრძელდეს, სადამდე მივალთ?! ეს ხომ ანარქიის დასაწყისია! ბრძანება ზუსტად უნდა შესრულდეს...

დაკავებულებს რაც შეეხებათ, განსაკუთრებით, მეორე მომეწონა: თუ გახსოვთ, პირველს (ანუ მინისტრის მოადგილეს) რომ ამოუბრაგუნეს, არ ვიცი, მოულოდნელობის ბრალი იყო თუ მისი ფიზიკური მოუმზადებლობისა, მაგრამ უფრო მაგრად და „სრულად“ მიიღო სასჯელი, მეორე კი უკვე „მზად“ იყო და ამორტყმისას პატარა „წინხტომი“ გააკეთა, რამაც „სასჯელი შეუმსუბუქა“. ამის ნახვისას რა გამახსენდა, იცით? ჩემსავით ბებერ თბილისელებს ალბათ ახსოვთ (სხვაგან, სამწუხაროდ, არ ვიცი, თამაშობდნენ თუ არა), იყო ასეთი თამაში: „ოპასტენკა“!

ეეჰ... აბა, ახლანდელი ბავშვების ბავშვობა — ბავშვობაა?! სად — „ქაუნთერსტრაიკი“ და სად — „ოპასტენკა“?!

ჰო, „გოიმებს“ ავუხსნი „ოპასტენკის“ წესებს: გადაწყდება, რომ მთელი კლასის ბიჭები თამაშობთ და იწყება დილიდან. მიდიხარ სკოლის დერეფანში; შესვენებაა, ხელში „კორჟიკი“ გიჭირავს და თანაკლასელ გოგონას ესაუბრები... ამ დროს ისეთი ჭიტლაყი (და არა პანჩური, უვიცებო!) გხვდება, რომ „კორჟიკი“ დერეფნის ბოლოში მიფრინავს, პირიდან დაღეჭილი ლუკმა გივარდება და ის გოგოც ისე გიყურებს, რომ მასთან შანსი აღარ გაქვს! ამ დროს რა უნდა ქნა? რაშია თამაშის „მარილი“? რა და, ან კედელს („სტენკას“) უნდა აეკრა, ან „წინხტომი“ უნდა გააკეთო დარტყმის „დასარბილებლად“. „სასტავი“ უნდა „შეიკრას“, რომელიც ერთმანეთს გააფრთხილებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. იმავე „სასტავის“ წევრი მოწინააღმდეგის ყურადღების გაფანტვასაც ახდენს და ამ დროს შენ აგდებინებ პირიდან ლუკმას... ახლა დრო არ გვაქვს ყველა ნიუანსის ახსნისა, თორემ დარწმუნდებოდით, რომ ძალიან საინტერესო და „აღმზრდელობითი“ თამაშია. ჰოდა, ის მეორე, „ოპასტენკის“ ოსტატი ჩანდა-მეთქი...

ცნობილი ქართული ფილმიდან ნასესხები და სათაურში დასმული კითხვის პასუხი კი მარტივია: იმიტომ, რომ არ თამაშობს „ბრძნულ“ თამაშებს...

P.S. ვითომ ვშაყირობთ ახლა და ვართ ერთ ამბავში... არადა, რა გვეშაყირება?! კიევში მეორე ტურისთვის ემზადებიან და ჩვენ კი ისე დავჯინდით, რომ 2600-ზე მეტი დამკვირვებლის გაგზავნას ვერ ვახერხებთ!..

ენდი გარსია მიშას როლს რომ თამაშობს, იმ ფილმის მთავარი პერსონაჟის (ქალის) როლის შემსრულებელი მსოფლიოში ყველაზე სასურველ ქალად დაასახელეს და მიშას ძალიან უნანია, რომ თავისი როლი სხვას დაუთმო...

P.P.S. **ქ-ნი კიწმარიშვილის „ზავედენიე“ „მისტერ მსოფლიოს“ კონკურსისთვის ქართველ კაცებს არჩევს. ფინალურ ხუთეულს ვაკის აუზზე მოვამზადებთ — ცურვასა და „ოპასტენკას“ ვასწავლითო...**

პროვოკატორი

ფერმერმა 51 ძროხა დაცხრილა და თავიც მოიკლა

59 წლის ნიუ-იორკელმა დინ პირსონმა კუთვნილი მსხვილფეხა საქონელი დახოცა, შემდეგ კი თავი მოიკლა. ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე, სადგომის კარზე წერილი ჩამოკიდა, რომელშიც ეწერა, რომ მასთან არავინ უნდა შესულიყო. რატომ ჩაიდინა ფერმერმა ასეთი საქციელი, ჯერ კიდევ გაურკვეველია, მისი ნაცნობები კი ამბობენ, რომ პირსონი ყველასთვის პატივსაცემი ფერმერი გახლდათ და მისგან მსგავს ქმედებას არავინ ელოდა.

გერმანელები იტალიური მაფიის წინააღმდეგ

გერმანიის საელჩომ რომში პალერმოს ანტიმაფიოზური ტურისტული რუკის გამოცემა დააფინანსა. სააგენტო „ფრანს პრესის“ ცნობით, რუკაზე მონიშნულია პალერმოს ის მაღაზიები და რესტორნები, რომლებმაც სიცილიური მაფიისთვის წილის გადახდაზე უარი თქვეს. როგორც საელჩოს წარმომადგენლები განმარტავენ, ამ რუკის დახმარებით, გერმანელი ტურისტები, რომლებიც სიცილიაში მრავლად არიან და შესაბამისად, იქ ბევრ თანხასაც ხარჯავენ, შეძლებენ, უშიშარ მეწარმეებს დაუჭირონ მხარი. ორიგინალური და სასარგებლო რუკის პირველი ტირაჟი 10 ათას ეგზემპლარად გამოვიდა და მისი ნახვა იტალიაში, გერმანულ ტურისტულ ფირმებშია შესაძლებელი.

ალექსანდრიაში ქალღმერთ ბასთის ტაძარი აღმოაჩინეს

ჩრდილოეთ ეგვიპტეში, ქალაქ ალექსანდრიაში არქეოლოგებმა მხიარულებისა და სიყვარულის ქალღმერთ ბასთის ტაძარი აღმოაჩინეს.

ახალი აღმოჩენის შედეგად დასტურდება, რომ ელინისტურ ეგვიპტეში ძველ ღვთაებებს თაყვანს მაინც სცემდნენ. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ტაძარი დედოფალ ბერენიკა II-ს ეკუთვნოდა, რომელიც ფარაონ პტოლემეოს ევერგეთის მეუღლე გახლდათ (ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნის დასასრული).

ტაძრის სიმაღლე 60, ხოლო სიგანე 15 მეტრია. მასში ქალღმერთ ბასთის ქანდაკებასთან ერთად, სხვა არქეოლოგიური ფასეულობებიც აღმოაჩინეს.

მულტიმილიონერი განქორწინების გამო რეკორდულ თანხას გადაიხდის

ბრიტანელ ბიზნესმენს, 53 წლის მულტიმილიონერსა და კვების პროდუქტების კომპანიების მფლობელს, ვივიან იმერმანს მეუღლესთან — ლიზა ჩენგიზისთან ოფიციალურად განქორწინების შემდეგ შესაძლოა, 100 მლნ გირვანქა სტერლინგის გადახდა მოუხდეს. განქორწინების შემთხვევაში თანხის გადახდის პირობა 6 წლის წინ, მათსავე საქორწინო ხელშეკრულებაში ჩაიდო, მაგრამ მას შემდეგ იმერმანის ქონება საგრძნობლად გაიზარდა და ახლა ლიზას საკმაოდ მსხვილი თანხის მიღების იმედი აქვს.

ავსტრიელი ახალგაზრდა 37 კმ სიმაღლიდან გადმოხტომას აპირებს

50 წლის წინ ამერიკელი ჯო კიტინგერი 31 კმ სიმაღლიდან გადმოხტა. კიტინგერის რეკორდის მოხსნა ბევრმა ექსტრემალმა სცადა, მაგრამ — უშედეგოდ. ამჯერად მისი მაჩვენებლის მოხსნაზე პრეტენზია ავსტრიელმა ფელიქს ბაუმგარტნერმა გამოთქვა, რომლის ანგარიშზეც მრავალრიცხოვანი მანევრია, ერთ-ერთი მათგანი კი მალაიზიური ცათამბჯენ „პეტრონას კოშკიდან“ გადმოხტომაა.

ნევადაში პირველი ლეგალური ჟიგოლო გამოჩნდა

ნევადის შტატის ერთ-ერთ ბორდელში აშშ-ის ისტორიაში პირველი ლეგალური ჟიგოლო გამოჩნდა. 25 წლის ახალგაზრდა, რომელიც საკუთარ თავს მარკუსს უწოდებს, ალაბამადან ლოს-ანჯელესში იმ მიზნით ჩავიდა, რომ პორნომსახიობი გამხდარიყო, მაგრამ მისი კინოკარიერა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა — ორ სცენაში გადაღების შემდეგ, ის დაითხოვეს და სამსახურის გარეშე დარჩენილი, უსახლკაროთა თავშესაფარში აღმოჩნდა.

ცოტა ხანში მარკუსი ნევადაში მდებარე, ერთ-ერთ გასართობ დაწესებულებაში გამოცხადებულ უჩვეულო ვაკანსიას დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა და გაუმართლა კიდეც — რამდენიმე ათეულ პრეტენდენტს შორის ბორდელის მეპატრონემ სწორედ მარკუსი შეარჩია.

პირველი ამერიკელი ჟიგოლოს გარშემო დიდი აჟიოტაჟი ატყდა. მარკუსმა ჟურნალ Details-ისთვის მიცემულ სკანდალურ ინტერვიუში აღნიშნა: „საკუთარ თავს ისეთივე მნიშვნელოვან პიროვნებად მივიჩნევ, როგორიც შავკანიანი აქტივისტი, როზა პარკსი იყო. ამ უკანასკნელმა 1955 წელს, თეთრკანიან ადამიანებს ავტობუსში ადგილი არ დაუთმო“.

ქვეყანა

„ისტორია მხოლოდ მათ ასწავლის, ვისაც ამის სურვილი აქვს“

ქართული პოლიტიკური კლასის ოპოზიციური ფრთის წარმომადგენლების მხრიდან რუსეთთან დაახლოების სასარგებლოდ გაკეთებული განცხადებების რეალურ მიზეზებზე, რუსეთთან ურთიერთობის ისტორიულ გამოცდილებასა და ასევე იმაზე, თუ რას შეიძლება ელოდეს კრემლთან დაახლოების შემთხვევაში საქართველო რუსეთისგან, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორს, ვზაბა სამუშიას ვესაუბრეთ.

კობა გენდელიანი

— ბატონო ჯაბა, რუსეთთან დაახლოების ინიციატივა არაერთმა ოპოზიციურმა ლიდერმა გამოიჩინა. 1989 წლის შემდეგ, მთელი 20 წლის განმავლობაში, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში რუსულ ვექტორზე საუბარი ცუდ ტონად მიიჩნეოდა, ახლა კი რჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი რუსეთისადმი სიმპათიას სიამოვნებითაც კი აფიქსირებს. თქვენი აზრით, რას შეიძლება უკავშირდებოდეს ოპოზიციური სპექტრის პოლიტიკურ აზროვნებაში შესამჩნევი ცვლილება?

— ვერ დაგეთანხმებით, რომ 1989 წლიდან რუსული ვექტორი ცუდ ტონად მიიჩნეოდა. გამსახურდიას პრეზიდენტობისას რუსული აგენტურა საკმაოდ მძლავრად იყო წარმოდგენილი ხელისუფლებაში. შევარდნაძის მმართველობის დროს კი რუსული ფაქტორი არათუ შენელდა, არამედ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც, უმაღლესი ხელისუფლების პირები, სამწუხაროდ, თავიანთი ქმედებით რუსეთის წისქვილზე ასხამდნენ წყალს. ჩვენ გვესმის, რომ რუსეთი კავკასიის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი მოთამაშეა და მისი განეიტრალება საკმაოდ ძნელია. ამიტომაც საჭიროა ჭკვიანური საგარეო პოლიტიკის გატარება. პოლიტიკოსთა იმ ნაწილში, რომლებიც რუსეთისადმი სიმპათიას გამოხატავენ, საოცარი გაორება შეიმჩნევა. ისინი ხვდებიან რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს, მაგრამ იმავდროულად აფიქსირებენ, რომ ამას აკეთებენ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებისთვის. ეს არის მათი ლოგიკა, მაგრამ რეალობა აბსოლუტურად განსხვავებულია. რუსეთი ჩვეულებრივი აგრესორია და მასთან საქართველო სამხედრო კონფრონტაციაშია უკანასკნელი 20 წელი. თუ ვინმეს აწუხებს ამნეზია, მათ გავახსენებ: ყველაფერი დაიწყო მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებას მიჰყო ხელი. თითოეული ჩვენი ნაბიჯი, გადადგმული დასავლეთთან დაახლოებისაკენ, რუსეთში მწვავედ აღიქმებოდა. რა გამოდის — რუსეთი კმაყოფილი რომ გვყოლოდა, ჩვენ უარი უნდა გვეთქვა დამოუკიდებლობაზე, ევროპასთან ურთიერთობაზე, ტრანსსახელმწიფოებრივ პროექტებზე, მჭიდრო კავშირებზე აშშ-თან და სხვა?!. მოკლედ რომ ვთქვათ, ქართველებს ხელი უნდა აგვეღო თავისუფლებაზე და რუსეთის ორბიტის გარშემო გვეტრიალა. ყოველივე იმას, რაც ჩამოვთვალე, ჩვენმა ერმა ბრძოლით მიაღწია. რუსეთმა კი უკიდურეს ზომებს მიმართა: საქართველოს დანაწევრებისათვის ბრძოლა დაიწყო. ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ ჩვენმა მოძმე აფხაზებმა და ოსებმა, რომელთა ოჯახებშიც სანადირო თოფის მეტი არაფერი მოიპოვებოდა, საჰაერო და სატანკო დივიზიები შექმნეს, — რამდენიმეათასიანი, კარგად გაწვრთნილი „რუსულ-აფხაზური“ და „რუსულ-ოსური“ დივიზიები!.. მოდი, ვაღიაროთ, რომ არა ქართველთა შეუპოვრობა, რუსეთი იმის მეათედსაც არ შეგუებოდა, რაც დღეს გვაქვს. არჩევანი მარტივი იყო: ან — დამოუკიდებლობა, ან — რუსულ იმპერიაში დაბრუნება.

— თქვენი აზრით, რეალურად, რასთან გვაქვს საქმე — „მეხუთე კოლონის“ გააქტიურებასთან, როგორც ამას ხელისუფლება ამტკიცებს, პოლიტიკურ სიბეცე-გულუბრყვილობასთან, ხელისუფლებისათვის ბრძოლაში რევანშის მცდელობასთან თუ რეალური პოლიტიკის პრინციპების გათვალისწინებასთან?

— ჩვენ დემოკრატიული სახელმწიფო ვართ და პატივი უნდა ვცეთ

ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის პოზიციას. მე ვერც ერთ მათგანს ვერ ვუწოდებ „მეხუთე კოლონას“, მიუხედავად იმისა, რომ კარდინალურად განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის გახლავართ. დავიწყოთ ერთი საკითხით: დღეს მავანი და მავანი გაიძახის (მათში უპირველესად, იმ ადამიანებს ვგულისხმობ, რომლებიც ცოტა ხნის წინ იმ გუნდში იყვნენ, ვინც გაიძახოდა — „მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ევროპელი“, დღეს კი „მზე ჩრდილოეთიდან ამოჰყავთ“...), რომ თუ დასავლეთს და აშშ-ს აქვს საკუთარი პოლიტიკა ამა თუ იმ რეგიონთან დაკავშირებით, რაღა გასაკვირია, რომ ასეთივე ინტერესები ჰქონდეს რუსეთს, თუნდაც კავკასიაში?.. კითხვა ლოგიკურადაა დასმული, მაგრამ პრობლემა ის

ხელისუფლება ბევრს ლაპარაკობს დასავლურ ფასეულობებზე, მაგრამ რეალურად, სახელმწიფოს მართვის რუსული მოდელით მოქმედებს.

არის, თუ რომელი მხარე როგორ „თამაშობს“ საერთაშორისო არენაზე. რუსეთის მეთოდები XX საუკუნის პირველ ნახევარში აპრობირებული მეთოდების მსგავსია. მეორე მომენტი: ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც იმედის თვალით შეჰყურებენ რუსეთს, მიიჩნევენ, რომ სწორედ იქაა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარების გასაღები. ერთი შეხედვით, არც ესაა ლოგიკას მოკლებული, მაგრამ საკითხავია — დღევანდელი რუსეთის ხელისუფლება მოწოდებულია, საჩვენოდ გადაწყვიტოს ეს კონფლიქტები?.. აქაც აშკარად, ამნეზიასთან გვაქვს საქმე. შევარდნაძის პერიოდში შევედით დსთ-ში, დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საინტეგრაციო პროცესი, მაგრამ აფხაზეთი ან სამხრეთ ოსეთი ვინმემ დაგვიბრუნა?! იმაზე მეტი რა უნდა გაეღო საქართველოს, რაც გაიღო?!. გარკვეულ პერიოდში, არა მარტო ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორი იყო მიმართული ჩრდილოეთისაკენ, არამედ მინისტრებად (თავდაცვის, შინაგან საქმეთა, უშიშროების...) პირდაპირ რუსეთიდან გამოგზავნილი კადრები ისხდნენ, კონფლიქტურ ზონაში კი კვლავინდებურად რუსი ცისფერჩაფხუტიანები იდგნენ.

— საქართველოს, რუსეთთან ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება აქვს. სამწუხაროდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთს ვერც თავისმა და ვერც სხვათა გამოცდილებამ ვერაფერი ასწავლა...

— რომაელებს უყვარდათ თქმა, — ისტორია ცხოვრების მასწავლებელიაო. ეს მართლაც ასეა, მაგრამ არის ერთი ნიუანსი: ისტორია მხოლოდ მათ ასწავლის, ვისაც ამის სურვილი აქვს. რეტროსპექტულად რომ გადავავლოთ თვალი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს საქართველოს ჭირ-ვარამი არასოდეს ადარდებდა, მას საკუთარი მიზნები ამოძრავებდა და მთელი მისი პოლიტიკური კურსი საქართველოსთან მიმართებაში, ამ ხაზით ვითარდებოდა. ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ იმპერიას თავისი ბუნება აქვს: არ არსებობს კეთილი იმპერია, არსებობს მხოლოდ მისი ინტერესები. გავიხსენოთ თეიმურაზ I-ის, ვახტანგ VI-ის, ერეკლე II-ის, გიორგი XII-ისა და მისი მემკვიდრის, დავითის დრო: ამ პერიოდში როდის გადადგა რუსეთმა საქართველოსთვის საჭირო ნაბიჯი?.. მაშინ, როცა ირან-ოსმალეთთან მიატოვა ვახტანგ VI თუ აწყურთან შუა ბრძოლისას, ერეკლეს ზურგი აქცია?!. ევროპა თუ რუსეთი? — ასე საკითხი არ უნდა დავსვათ. ჩვენი ქვეყანა უნდა იყოს იმ პოლიტიკურ არეალში, სადაც მის სახელმწიფოებრივ განვითარებას ნოყიერი ნიადაგი ექნება. ევროპა ჩვენთვის ბუნებრივი გარემოა. ქართველი კაცი ყოველთვის იმზირებოდა ევროპისაკენ. დასავლური ინსტიტუციები, პოლიტიკური კულტურა, თავისუფლების ხარისხი — ის ფასეულობებია, რომლებიც ჩვენი ქვეყნის განვითარებას მხოლოდ წინ წასწევს. ამ კუთხით, რუსეთი დიდად მისაბაძი ნამდვილად არ არის. სამწუხაროა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ბევრს ლაპარაკობს დასავლურ ფასეულობებზე, მაგრამ რეალურად, სახელმწიფოს მართვის რუსული მოდელით მოქმედებს.

— მოსკოვთან დაახლოების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერის — ექსპრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, იგი რუსეთთან დაახლოებას იმისთვის ცდილობს, რომ სურს, შეინარჩუნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების პერსპექტივა. რამდენად რეალურია ეს მოლოდინი და იმედი?

— ამ კითხვაზე პასუხი ნაწილობრივ, უკვე გავეცი. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების გასაღები არა რუსეთში, არამედ დასავლეთშია. როგორც კი რუსეთი საერთაშორისო თამაშის წესებს მიიღებს, იძულებული იქნება, უარი თქვას აგრესიაზე სამხრეთ კავკასიაში. მანამდე რაიმე ცვლილება რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი არ არის ერთი უბრალო მიზეზით: რუსეთში მზად არ არიან, უარი თქვან იმპერიაზე, ისინი ჯერ კიდევ ცოცხლობენ ამ იდეით. პრობლემა მენტალობაშია, რომელიც საფუძვლად უდევს მთელი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებას... გამოსავალი ერთადერთია — ჩვენ ჩვენი ქვეყანა უნდა შევქმნათ, არც არავისთან გასაპიარებლად და არც არავის საექსპერიმენტოდ. ასე, პოლიტიკურ ცენტრებს შორის ბალანსირებით, ბევრჯერ გვისარგებლია, მაგრამ მხოლოდ თავის გადარჩენაზე ვფიქრობდით. ქართველი შედეგს მხოლოდ მაშინ აღწევდა, როდესაც ქვეყნის შენებას იწყებდა. კარგია გზების მშენებლობა, მაგრამ ცუდია, 50-კილომეტრიან მონაკვეთს ექვსჯერ-შვიდჯერ რომ გახსნი; კარგია დემოკრატიაზე ლაპარაკი, მაგრამ კატასტროფაა, როდესაც დაახლოებით 8 წამყვანი ტელემაუწყებლობიდან 6-ს ხელისუფლება აკონტროლებს, დარჩენილი ორი კი — მხოლოდ რეგიონული ტელევიზიაა; კარგია სამართალზე საუბარი, მაგრამ ცუდია უსამართლო სასამართლო. მოკლედ, ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. მთავარია, აფხაზმაც და ოსმაც ერთი რამ უნდა დაინახოს — რომ საქართველო მათთვის მიმზიდველია. შეცდომა იყო ომის რიტორიკით მათთან საუბარი. XXI საუკუნეში მეთოდები გაცილებით მრავალფეროვანი და მოქნილი გახდა. პოლიტიკა მუდმივი ძიებაა და ალბათ ქართული პოლიტიკური სპექტრიც შეიმუშავებს ოპტიმალურ საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომელიც ჩვენს ქვეყანას საზიანოდ არ შემოუბრუნდება.

სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ ■

ნინო ჯავახიშვილი

„...მჯერა, ნინოს ცხოვრება არ დაუმახინჯდება“

იმედა და მაია ჯავახიშვილების ოჯახი გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში ცხოვრობს. მათ გვთხოვეს, „გზის“ მეშვეობით, საზოგადოებისთვის მათი გასაჭირის შესახებ გვეცნობებინა: მათ უფროს შვილს — 13 წლის ნინოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, სერიოზული პრობლემა აქვს, რომელსაც უსახსრობის გამო, მშობლები დამოუკიდებლად ვერ უმკლავდებიან...

მაია ჯავახიშვილი, *ნინოს დედა:*

— მე და ჩემი მეუღლე 1996 წელს დავქორწინდით. ნინო მალევე შეგვეძინა. არანაირი თანდაყოლილი დაავადება არ ჰქონია. ერთადერთი, რასაც დროთა განმავლობაში ვატყობდი, ის იყო, რომ 2-3 წლის ბავშვი საწოლიდან დამოუკიდებლად ვერ ჩამოდიოდა. მოძრაობა უჭირდა. ეს საგანგაშოდ არ მომჩვენებია; ვფიქრობდი, რომ ბავშვი, უბრალოდ, პასიური იყო. თანაც, როდესაც ექიმს ჩემი ეჭვი გავუზიარე, მასაც ყურადღება არ გაუმახვილებია... ნინოს კანზე ღია ფერის რამდენიმე თანდაყოლილი მსხვილი ლაქა ჰქონდა; მერე წვრილ-წვრილი ლაქებიც გაუჩნდა. ეს გენეტიკას დააბრალეს, რადგან მამამისსა და მამიდამისსაც აქვთ რამდენიმე ასეთი ლაქა. იცით, რამ დამაეჭვა? ხელს რომ მოვკიდებდი, ისეთი რბილი კანი ჰქონდა, იფიქრებდით, ხორცი ეხრწნებაო. ამან ძალიან შემაშინა და კვლავ ექიმს ვაჩვენე. მან კალცი დაუნიშნა — კალცის ნაკლებობა აქვსო. 5 წლის ასაკში სოფლის ამბულატორიაში ბეჭზე აცრა გაუკეთეს. ცოტა ხანში ჩემმა დედამთილმა ბანაობის დროს შეამჩნია, რომ ბავშვს ბეჭი ისე ჰქონდა წამოწეული, შიგნით ხელს შეუყოფდი...

— ამის შემდეგ მკურნალობა დაიწყეთ?

— რა თქმა უნდა. თბილისში წამოვიყვანეთ და მკურნალობა დავიწყეთ. დაუსვეს დიაგნოზი — მცოცავი სკოლიოზი. თავდაპირველად ექიმი ლაქების გამო მასაჟების გაკეთებისგან თავს იკავებდა, ეჭვობდა — კრუნჩხვა არ გამოიწვიოსო. მერე მაინც გარისკა. პირველივე მასაჟზე ბავშვი მართლაც, კრუნჩხვაში ჩავარდა. 10-15 წუთი უგონოდ იყო. „სასწრაფო დახმარება“ გამოვიძახეთ. საავადმყოფოში გადაიყვანეს და მდგომარეობიდან ძლივს გამოიყვანეს. მეორე დღეს კომპიუტერული გამოკვლევაც ჩავუტარეთ. ექიმების აზრით, ეს ეპილეფსიური შეტევა იყო. ამის შემდეგ ნევროპათოლოგთან გავაგრძელეთ მკურნალობა.

— როგორც ვიცი, ნინოს გამო რუსთავში გადახვედით საცხოვრებლად, რათა იქ სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატში შეგეყვანათ.

— დიახ. გავიგეთ, რომ რუსთავში იყო ერთადერთი სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატი, სადაც სკოლიოზით დაავადებული ბავშვები სწავლობდნენ. სკოლაში ჰქონდათ ისეთი ინვენტარი, რომელიც ხელს უწყობდა ბავშვების სწორად განვითარებას. მათ ჯდომა არ უხდებოდათ, მწოლიარე კითხულობდნენ და წერდნენ; ექიმი ავარჯიშებდა. შედეგით ძალიან კმაყოფილები ვიყავით, მაგრამ რამდენიმე წლის წინ ეს სკოლა-ინტერნატი სამწუხაროდ, დაიხურა. გავიგეთ, რომ თბილისშიც არსებობს მსგავსი სკოლა, მაგრამ იქ სწავლა ფასიანია. ჩვენ ამის საშუალება არა გვაქვს. აი, უკვე რამდენიმე წელია, რაც ნინოსთვის ნორმალური გამოკვლევა ვეღარ ჩაგვიტარებია; არ ვიცით, ახლა რა სტადიაში მისი დაავადება, რა სჭირდება — ქირურგიული ჩარევა, კორსეტში ჩასმა თუ ვარჯიშები და მასაჟები. უსახსრობის გამო, ბევრჯერ მკურნალობის კურსი ბოლომდე ვერ მიგვყავდა... თუკი რამ გვქონდა ოჯახში, გავყიდეთ და ნინოს მკურნალობას მოვახმარეთ. ახლა თვითონვე ვარჯიშობს ხოლმე სახლში, ორგანიზმს მოდუნების საშუალებას არ აძლევს, ცდილობს, საკუთარ თავს დაეხმაროს... ახლახან შევიტანეთ განცხადება ტელეგადაცემაში — „ვის უნდა 20.000“. პასუხს ველოდებით და ვნახოთ, რა იქნება. იქნებ გამოჩნდნენ მადლიანი ადამიანები, რომლებიც ჩვენს გასაჭირს გულთან ახლოს მიიტანენ და ჩვენს უიმედობასაც წერტილი დაესვას...

ნათელა ჯავახიშვილი, *ნინოს ბებია:*

— ...ისეთიც არავინ გვყავს, რომ ფული გვასესხოს. თუმცა, რომც ვისესხოთ, უკან ხომ უნდა დავაბრუნოთ ვალი?! ერთადერთი, სახლი გვაქვს და ისიც თავზე გვენგრევა და თუკი ვინმე იყიდდა ამ ქოხს, ამასაც გავიმეტებდით, ოღონდ ბავშვს რამე ეშველოს. მე და ჩემი ქმარი არ ვმუშაობთ. ჩემი შვილი და რძალიც უმუშევრები არიან; თუ ვინმე თოხზე სამუშაოდ დაგვიძახებს დღიურ მუშად, მივდივართ და ვმუშაობთ. ერთადერთი მარჩენალი ცხენი გვყავს და ესეც რომ გავყიდოთ, რაღა გვეშველება?! წყალი და შეშა მაგით მოგვაქვს... ნინოს კი წლები ემატება — უკვე 13 წლისაა, 14-15 წლის შემდეგ კი ძვალი მაგრდება და მკურნალობას აზრი აღარ აქვს. გული მიკვდება, როდესაც ვიცი — შველა შეიძლება, შენ კი ვერაფერს ცვლი გაჭირვების გამო.

მაია:

— ჩემი ქმარი მშენებლობაზე მუშაობდა. კრიზისის შემდეგ უმუშევარი დარჩა. მადლობა ღმერთს, ღვთისნიერმა მეზობელმა თავისი ნათესავის ბინა ერთი წლით დაგვითმო და ქირას არ გვახდევინებს, თორემ რა გვეშველებოდა, არ ვიცი... კიდევ კარგი, ხელსაქმე მეხერხება, წინდებს ვქსოვ და ბაზრობაზე ვაბარებ. მაგრამ ეს თანხა ზღვაში წვეთია ჩვენი გაჭირვებისთვის. ჩემს მდგომარეობაში ყოფნას არავის ვუსურვებ: როგორია — ყოველდღე უყურებდე, შენი შვილი როგორ მახინჯდება და ვერაფერს ცვლიდე?!. თავდაპირველად ძალიან უიმედოდ ვიყავი, მაგრამ ახლა არ ვიცი, რატომღაც მჯერა, რომ საშველი გამოჩნდება, რომ ნინოს სრულფასოვან გამოკვლევასა და მკურნალობას ჩავუტარებთ და ცხოვრება არ დაუმახინჯდება...

■

„გზავნილი მომავალში“

დაუტოვე გზავნილი შთამომავლობას

„კვირის პალიტრის“ საუკუნის პროექტი — „გზავნილი მომავალში“ 10 წლის წინ „დაიბადა“ და ადამიანებს მიეცათ საშუალება, სათქმელი ათწლეულების შემდეგაც თქვან, შთამომავლობას გზავნილი დაუტოვონ. წერილების პირველი სკივრი გაიხსნა 2001 წელს, შემდეგი — 2005 წელს. 2010 წლის 20 იანვარს კი ეროვნული არქივის სააქტო დარბაზში, 10 წლის წინ დალუქული სკივრი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. 2546 გზავნილს შორის იყო როგორც პერსონალური, ისე საჯარო წერილებიც. მაგალითად: საქართველოს მომავალ პრეზიდენტს, „კვირის პალიტრის“ რედაქციას, საქართველოს ახალგაზრდობას და ა.შ. იყო ასეთებიც — ჩემს მომავალ მეუღლეს, ჩემს პირველ შვილიშვილს და სხვა. როგორც „კვირის პალიტრის“ მთავარმა რედაქტორმა, გიორგი თევდორაშვილმა აღნიშნა, სკივრში მოთავსებული წერილები ქართული ღვინოსავითაა, მათ ფასეულობა დრომ შემატა.

თამუნა კვინიკაძე

გოჩა ტყეშელაშვილი, *პროექტის „გზავნილი მომავალში“ იდეის ავტორი:*

— გუშინდელი დღესავით მახსოვს, სახლში მუყაოს ფურცლებს შორის ჩადებული ჩემი წინაპრების ფოტო ვიპოვე — სამხედროფორმიანები შემართულად

იდგნენ და ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს რაღაცის თქმა სურდათ. ამ სურათმა დამაფიქრა და გამიჩნდა სურვილი, ისეთი რამ მომეფიქრებინა, რაც ნებისმიერ ადამიანს მისცემდა საშუალებას, თავისი ნააზრევი, ნაფიქრი ან სურვილი შთამომავლობისთვის დაეტოვებინა. მოგვიანებით, ეს იდეა „კვირის პალიტრის“ ხელმძღვანელობას გავანდე. გაზეთის მაშინდელმა მთავარმა რედაქტორმა, ქალბატონმა ლალი გუნთაიშვილმა იდეა აიტაცა, შემდეგ კი ბევრი ვიფიქრეთ, ვიმსჯელეთ და პროექტის ფორმა თანდათანობით დავხვეწეთ. აი, ასე „დაიბადა“ „გზავნილი მომავალში“.

— მკითხველმა ეს პროექტი როგორ მიიღო?

— არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებნი, არამედ საზღვარგარეთ მიმოფანტული უამრავი ჩვენი თანამემამულეც გამოგვეხმაურა და ძალიან ბევრი წერილი მივიღეთ. მალე გადაწყდა, რომ გზავნილები შეგვენახა იქ, სადაც თამარ მეფის ეტრატს ინახავენ — საქართველოს ეროვნულ არქივში. მახსოვს, რედაქციიდან სკივრების გატანისას წერილებს გზაში გვაწევდნენ. პირველი სკივრი 1 წლის შემდეგ ანუ 2001 წელს გავხსენით, შემდეგი — 2005 წელს. დარწმუნებული ვარ, ეს გზავნილები უამრავ ადამიანს გაახარებს.

— სკივრიდან ამოღებული წერილების ნაწილი საჯაროა...

— ასეთი წერილები წინა წლებში გახსნილ სკივრებშიც იდო. რა თქმა უნდა, რამდენიმე მათგანს გავეცანი კიდეც. პირად კეთილდღეობაზე ნაკლებად წერენ, უმეტესად, ქვეყნის გამთლიანებისა და გაძლიერების სურვილს გამოთქვამენ, სამშობლოსა და ახლობლებს ლოცავენ.

— წარსულში გახსნილ წერილებს რამე საინტერესო გაგრძელება ხომ არ მოჰყოლია?

— ზოგჯერ, გზავნილების ავტორები ცოცხლები აღარ არიან და მათ წერილებს სხვა დატვირთვა აქვს.

— თავად თუ უტოვებთ გზავნილს შთამომავლობას?

— სიტყვა, რომელიც დღეს სკივრის გახსნისას წარმოვთქვი, 2025, 2050 და 2100 წლებშიც უნდა გავიმეორო. დამპირდი, რომ შენც ჩვენთან ერთად იქნები.

— ამ თემაზე ინტერვიუ 2025 წელს ჩავწეროთ.

— შევთანხმდით. 15 წლის შემდეგ, 20 იანვარს, 16 საათზე ერთმანეთს ეროვნული არქივის შენობაში შევხვდებით.

ვახტანგ ჭკუასელი, *„ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი:*

— შესანიშნავი პროექტია და ყველას ვურჩევ, მასში მონაწილეობა მიიღოს. გული მწყდება, რომ სკივრში, რომელიც დღეს გახსნეს, ჩემი გზავნილი არ არის. წერილის დაწერის სურვილი გამიჩნდა.

— წერილს ვის სახელზე დაწერთ?

— ჯერ არ მომიფიქრებია. ალბათ დავწერ, თუ როგორი მინდა იყოს ჩემი ქვეყანა... გზავნილს აუცილებლად, შვილიშვილებსაც დავუტოვებ.

გიზო ბიშვიანიძე:

— ერთმა კაცმა მეორეს ჰკითხა, — რას წერო? — წერილსო. — ვის სწერო? — საკუთარ თავსო. — რას სწერო? — არ ვიცი, ჯერ არ წამიკითხავსო. ჩემს ახალგაზრდობაში თანატოლები ერთმანეთს თვალთან ჩამოვარდნილ წამწამს თუ შევამჩნევდით, ვეკითხებოდით, — წერილი გინდა თუ სიხარული? წერილიც და სიხარულიც ერთნაირად სასურველი იყო.

— თქვენც ხომ არ დაუტოვებთ გზავნილს შთამომავლობას?

— არა, მე შთამომავლობას წიგნებს დავუტოვებ.

გაზეთ „კვირის პალიტრაში“ უკვე დაიბეჭდა 10 წლის წინ საგანგებოდ ამ პროექტისთვის დაწერილი გოდერძი ჩოხელის გზავნილი. გთავაზობთ ამონარიდს წერილიდან:

„აი, მიილია ორი ათასი წელი და სადაცაა მესამე ათასწლეულში შევაბიჯებთ ქართველები. ურთიერთწაკიდებულნი, მტერგახარებულნი, ფუძეჩაბნელებულნი, შეშინებულნი და ათრთოლებულნი შევდივართ მესამე ათასწლეულში. — რა იმედით? — ღმერთის იმედით, დაილოცოს მისი სამართალი. ღმერთი ხომ ყოველთვის მოგვხედავდა ხოლმე გაჭირვებაში მყოფ ქართველებს და როცა არსაიდან იმედი აღარ იყო, მაშინ მოგვივლენდა დიდ მამულიშვილებს გადასარჩენად... კაცი ყოველთვის ვერ ამბობს იმას, რასაც განიცდის და ალბათ ქართველებიც ბევრ რამეს დაუმალავენ მომავალ თაობებს. დაუმალავენ თუნდაც სირცხვილის გამო — რას იტყვიან ჩვენი შვილები, როცა მომავლიდან გადმოგვხედავენ? განა შეიძლება ადამიანებმა ასეთ დღეში ჩააგდონ თავისი სამშობლო!!!

...თან იმედი მაქვს, რომ ოცდახუთი წლის მერე, ორი ათას ოცდახუთი წლის გაზაფხულზე მოვა ჩემი შვილიშვილი ჩემს საფლავზე, იების კონას მომიტანს და თვალებგაცისკროვნებული მეტყვის: — აი, პაპა, მოგიტანე შენი საყვარელი იები!

ჩემი შვილიშვილი საქართველოს ბედნიერებით იქნება ბედნიერი...“

საჯარო გზავნილების ნაწილი გადავიკითხე და თქვენთვის რამდენიმე მათგანი შევარჩიე. ამ გზავნილის ადრესატი „კვირის პალიტრაა“, ავტორი — გოგიტა ლაგაზაშვილი:

„ახლა ყველა ნორმალური ქართველის საფიქრალი აფხაზეთია: მინა, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა მრავალი საუკუნის განმავლობაში, ხალხი, რომელიც ჩვენ გვერდით იდგა და ჩვენთან ერთად ებრძოდა მტერს... მეორე, ასევე დიდი ტკივილია ის, რომ თანამედროვე ახალგაზრდობამ (ზოგიერთმა ინტელიგენტმაც) დაივიწყა ქართული ენა; სულ დაკარგეს პატივისცემა მშობლებისადმი, ახლობლებისადმი, ღმერთისადმი. ეს არის ერის გადაგვარების დასაწყისი“.

ამ გზავნილის ადრესატი საქართველოს პრეზიდენტია, ავტორი — ნატო ქილიფთარი:

„გამარჯობა. აი, 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთმა უბრალო გოგონამ გადავწყვიტე, მომეწერა წერილი თქვენთვის — ვინც დღეს, 2010 წლისთვის ჩემი პატარა სამშობლოს პრეზიდენტი და მისი ბედის გამგებელი ხართ. 2000 წელს საქართველოს ასე დაქსაქსვამ და ჩემი ქართველი ხალხის ტკივილმა ამაღებინა ხელში კალამი და გადამაწყვეტინა, ჩემეული წუხილი მეთქვა თქვენთვის, საქართველოს პრეზიდენტისთვის, ვისიც, რატომღაც, საოცრად მჯეროდა ჯერ კიდევ 10 წლის წინ ანუ მაშინ, როცა არც კი ვიცოდი, ვის დააკისრებდა უფალი ამ დიდ მისიას, მაგრამ ვგრძნობდი, გამოჩნდებოდა ადამიანი, ვინც შეძლებდა დაცემული სამშობლოს ფეხზე დაყენებას და გამთლიანებას“.

„კვირის პალიტრამ“ კი 1938 წელს დაბადებული მერი თოფჩიშვილისგან შემდეგი შინაარსის გზავნილი მიიღო:

„გეფერებით XX საუკუნის მიწურულიდან, უშუქობიდან, უმუშევრობიდან, უფულობიდან, საქართველოს დარღვეული მთლიანობიდან, ნაკუწნაკუწ დაქუცმაცებული მამულიდან...

გული მეტანჯება, მეტროს ვაგონში შემოსულ ჩვილბავშვიან და მოხუც მათხოვრებზე, რომელ ერთს გავუნაწილო 14 ლარი — ჩემი კუთვნილი პენსია?!.

იმედი მაქვს, როცა ამ ბარათს წაიკითხავთ, თქვენ ძლიერ და ლამაზ საქართველოში იცხოვრებთ, გეყვარებათ ერთმანეთი და რაც მთავარია, გაუფრთხილდებით მამულს, იმღერებთ ქართულ სიმღერებს (ახლა ამერიკელი გვასწავლის, რომ თურმე, ძალიან ძვირფასი ფოლკლორი გვაქვს), არ დაემსგავსებით არავის და დარჩებით ნამდვილ ქართველებად“.

სახალხო პროექტი გრძელდება. თქვენც შეგიძლიათ, დატოვოთ გზავნილი მომავალში, მომდევნო სკივრი კი 2025 წელს გაიხსნება. 2010 წლის გზავნილთა ადრესატების სია შეგიძლიათ იხილოთ გაზეთ „კვირის პალიტრაში“.

„მინდა, საზოგადოებას პოლიტიკა სხვანაირად დავანახვო“

რა საერთო აქვთ თბილისის მერობის მსურველ ახალგაზდა პოლიტიკოსსა და ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს

აქამდე მეგონა, პოლიტიკაში თამაშის წესები, ზუსტად თუ არა, დაახლოებით მაინც ჰგავდა ბიზნესისას, სადაც წარმატების მოსაპოვებლად, ადამიანური ურთიერთობები ხშირად უკანა პლანზე გადადის. ყოველ შემთხვევაში, ქართული (და არა მარტო) რეალობა ასეთი ფიქრის საფუძველს იძლევა. მაგრამ ცოტა ხნის წინ გაირკვა, რომ ქართულ პოლიტიკურ არენაზე კიდევ ერთი მოთამაშე შემოდის, რომლის ლიდერიც წარმატების მიღწევას სიყვარულით აპირებს... „მინდა, საზოგადოებას პოლიტიკა სხვანაირად დავანახვო და ვუთხრა, რომ პოლიტიკოსების მოწოდება მხოლოდ ბოღმა და სიძულვილი არ უნდა იყოს“, — მითხრა ნიკა ივანიშვილმა, როცა ინტერვიუს ჩასაწერად ახალ ოფისში ვესტუმრე. პოლიტიკური პარტიის სახელზე ჯერ კიდევ მუშაობენ და საზოგადოებას თებერვლის შუა რიცხვებში, პარტიის პრეზენტაციის დღეს გააცნობენ. მანამდე კი იგი იმის შესახებ გვესაუბრება, თუ რატომ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა და როგორია მისი დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ.

ლალი პაპასკირი

— საგზაო პოლიციის უფროსის პოსტის დატოვების შემდეგ, სპორტსაზოგადოება „დინამოში“ აღმასრულებელი დირექტორი ვიყავი, ახლა კი თავმჯდომარე ვარ... მოგვიანებით კი მეგობრების დაჟინებული მოთხოვნა გავითვალისწინე და მორიგი ადგილობრივი არჩევნების დროს „მრეწველების“ სიით, მთაწმინდის საარჩევნო ოლქში ვიყარე კენჭი.

— „მრეწველებში“ მისვლა რატომ გადაწყვიტეთ?

— „მრეწველთა პარტიის“ წევრი არ ვყოფილვარ, უბრალოდ, იმ გუნდში ძალიან ბევრი მეგობარი და ახლობელი მყავდა. სწორედ მათ შემომთავაზეს არჩევნებში მონაწილეობა და მეც დავთანხმდი. ეს იყო პოლიტიკაში ჩემი პირველი ნაბიჯი...

— ვიცი, რომ შარშანდელი ზაფხულის აქციებში აქტიურად მონაწილეობდით...

— დიახ, მე და ჩემი მეგობრები არსებული ხელისუფლების მიმართ პროტესტს ასე გამოვხატავდით. ყველა აქციაში ვმონაწილეობდი, რუსთაველის პროსპექტზეც ვიდექი და სტადიონზეც. მგონი, ამაში გასაკვირი არაფერია, ვინაიდან ყველა ის ადამიანი, ვინც მაშინ იქ იდგა, ერთმანეთს ეთანხმებოდა...

— თქვენსა და ლევან გაჩეჩილაძის მეგობრობაზეც მსმენია...

— ჩვენ ახლაც ვმეგობრობთ...

— ლევან გაჩეჩილაძე საზოგადოებრივი მოძრაობის — „დაიცავი საქართველო!“ — ერთ-ერთი ლიდერია. რატომ გაიყარა თქვენი გზები?..

— არ გაყრილა, ჩვენი მეგობრობა გრძელდება. უბრალოდ, მე და ჩემმა მეგობრებმა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება სხვანაირად დავინახეთ.

— როგორ — „სხვანაირად“? მიხვდით, რომ ხელისუფლების შეცვლა აქციებით შეუძლებელი იყო?

— სიმართლე გითხრათ, ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნით არც გამოვსულვარ; როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, ხელისუფლების ქმედებებში ჩემთვის მიუღებელ ნაბიჯებს ვაპროტესტებდი და მიმაჩნია, რომ ხალხის უმრავლესობაც ამიტომ იდგა იქ. მაგრამ ხელისუფლებამ ვერ გაიგო იმ ადამიანების მოთხოვნა და ისევ თავისებურად გააგრძელა მოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ იმ აქციებში დახლოებით იმდენი ადამიანი მონაწილეობდა, რამდენიც „ვარდების რევოლუციაში“. ამიტომაც, მე და ჩემი მეგობრები ერთ მშვენიერ დღეს მივხვდით, რომ მიტინგებით, ხალხმრავალი აქციებითა და რადიკალური დაპირისპირებით იმ მძიმე ვითარებას ვერ შევცვლიდით, რადგან საქართველო სხვა ტიპის ქვეყანაა და პოლიტიკური რეალობის შესაცვლელად სხვანაირი გზები დავსახეთ.

— მაინც?

— დავიწყოთ იმით, რომ ჩემთვის მიუღებელი იყო ოპოზიციური პარტიების უარი პარლამენტში შესვლაზე. მათ რეალურად, დაკარგეს ტრიბუნა და ქართველ და საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალებაზე უარი თქვეს. სინამდვილეში, ეს მათი ბრძოლისთვის ძალიან კარგი მექანიზმი იყო — პარლამენტში შესვლის შემთხვევაში, მათ შეეძლოთ, ხელისუფლების შეცდომები გაეკრიტიკებინათ. ეს იყო ოპოზიციის შეცდომა და მიმაჩნია, რომ ყველანაირ სიტუაციაში ადამიანებმა ერთმანეთთან საერთო ენა უნდა გამონახონ.

— ოპოზიციის კიდევ ერთ და ძირითად შეცდომად, სტადიონზე შეკრებილი ხალხის სამების ტაძრისკენ წაყვანას მიიჩნევენ...

— ვერავის ნაბიჯს ვერ შევაფასებ, რადგან სტადიონზე, როგორც ამ ქვეყნის ერთ-ერთი მოქალაქე, ისე მივედი. პოლიტიკური პარტიების ლიდერთა მსჯელობაში არ ჩავრეულვარ და არც საბოლოო გადაწყვეტილებას დავლოდებივარ. სამების საკათედრო ტაძარში არ წავედი, იმიტომ, რომ დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციაში კათოლიკოს-პატრიარქის ჩაბმა არასწორად მიმაჩნდა და დღესაც ასე ვფიქრობ. პატრიარქი ადამიანებს შორის სიყვარულისა და პატივისცემის განმტკიცებას ემსახურება... ასე რომ, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ პოლიტიკოსთა ეს ნაბიჯი შეცდომა იყო.

— მაინტერესებს თქვენ, როგორც უკვე პოლიტიკოსის პასუხი კითხვაზე — ოპოზიციის მარცხის მიზეზი ასეთი გაუთვლელი ნაბიჯები იყო თუ ასეთი არასახარბიელო შედეგი მათ შორის შეუთანხმებლობამ განაპირობა?

— ერთ-ერთი „მარცვალი“ ესეც იყო, მაგრამ მთავარი მიზეზი არ ყოფილა. ჩვენი ტრაგედია ის არის, რომ პოლიტიკოსები ერთმანეთს არ ელაპარაკებიან, — ოპოზიციასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის რაიმე კონკრეტულ თემაზე საუბარი არც ყოფილა და ამ ფონზე სხვანაირ შედეგს ვერც მივიღებდით... არადა, ქვეყნის უახლესი ისტორიიდან ვიცით — სადამდე მიგვიყვანა მხარეებად დაყოფამ. დაპირისპირება სახელისუფლებო ძალებსა და ოპოზიციას შორის კი არა, ოპოზიციურ პარტიებს შორისაც არსებობს და ჩვენი პარტიის მთავარი მიზანი სწორედ დაძაბულობის განეიტრალება იქნება.

— როგორ?

— ჩვეულებრივად: პოლიტიკური, მუშა პროცესი უნდა დაიწყოს და პოლიტიკური ორგანიზაციები დიალოგის მაგიდასთან უნდა დასხდნენ. როცა ამის ინიციატორი სახელისუფლებო გუნდის წევრები არიან, მათ მიმართ უნდობლობა ჩნდება, მაგრამ სხვა ეფექტს მივიღებთ, თუ ამ წინადადებით ოპოზიციური პარტია გამოვა... ასეთი უაზრო დაპირისპირების შედეგი იყო 1990-იანი წლების სამოქალაქო ომი და არ მინდა, იგივე განმეორდეს და გარეშე მტერმა ამით ისარგებლოს, როგორც ეს არაერთხელ გაუკეთებია. ეს ქვეყანა ჩვენია და ერთმანეთს შეცდომებზე უნდა მივუთითოთ.

— ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც არჩევნებში არ მონაწილეობენ, გაზაფხულზე ახალი საპროტესტო ტალღის აგორებით იმუქრებიან და მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზეც საუბრობენ...

— მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსმა ასეთი

რამ განცხადებაშიც კი არ უნდა თქვას. დესტაბილიზაცია, არეულობა და დაპირისპირება, პირველ რიგში, ქვეყნის განვითარებას უშლის ხელს და ასეთი ტიპის ქმედებებში მონაწილეობას არასდროს მივიღებ.

— ბატონო ნიკა, საკმაოდ მრავალფეროვანი პოლიტიკური სპექტრი გვაქვს, მათ შორის — ხელისუფლების „სატელიტი“ პარტიებიც; იყვნენ ისეთებიც, ვინც საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა მცირე ხნით შეძლო... ამ ფონზე, თქვენი პარტია გამოდის არენაზე. როგორ აპირებთ პოლიტიკური რეალობის შეცვლას, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებამ შეცდომები მაშინაც კი არ გაითვალისწინა, როცა ამას 300 ათასი ადამიანი 3 თვის განმავლობაში მოითხოვდა?.. თქვენი პოლიტიკური ორგანიზაცია ახალს რას ეტყვის ქართველ საზოგადოებას?

— ამაზე კონკრეტულ პასუხს ვერ გაგცემთ, ვინაიდან ჩვენი პოლიტიკური პარტიის პრეზენტაცია თებერვლის შუა რიცხვებისთვის იგეგმება; საზოგადოებას სამოქმედო გეგმასაც მაშინ გავაცნობთ და იმ ადამიანებსაც წარმოვადგენთ, ვინც ჩვენს გუნდში გაერთიანდებიან და არჩევნებში მაჟორიტარული წესით მიიღებენ მონაწილეობას... ამ ეტაპზე კი მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ საზოგადოების წევრებს შორის უნდა იყოს ნორმალური ურთიერთობა და ყველა საქმე სიყვარულით აკეთონ...

— თქვენი აზრით, „საქმის სიყვარულით კეთება“ პოლიტიკაში მიღებული ფორმულაა?

— არ ვიცი, მაგრამ პოლიტიკაში მიღებული ძალიან ბევრი „ფორმულა“ ვნახე და იმაშიც დავრწმუნდი, რომ ჯერჯერობით არც ერთმა არ გაამართლა; იქნებ ჩვენ მიერ შემოღებულმა გაამართლოს და სასურველი შედეგიც მოგვცეს?!.

— პოლიტიკაში მუდმივი მტრები და მეგობრები არ არსებობენო, — თუ ხართ ამისთვის მზად?

— მართალი გითხრათ, პოლიტიკოსებთან ახლო და მეგობრულ ურთიერთობას თუ არ გავითვალისწინებთ, ამ სფეროში დიდი გამოცდილება არა მაქვს და იმედია, მივიღებ. რადგან პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტე, ყველაფრისთვის მზად ვარ... შეიძლება, ვიღაც სკეპტიკურად უყურებდეს ჩემს მოსაზრებას და, რბილად რომ ვთქვათ, სუსტიც მოეჩვენოს, მაგრამ მინდა, ჩემს ხალხს პოლიტიკა ცოტა სხვანაირად დავანახვო და პოლიტიკოსებს დავუმტკიცო, რომ განსხვავებული პოლიტიკური აზრის შემთხვევაშიც კი შეიძლება, ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა შეინარჩუნონ... დიახ, ეს დემოკრატიული ქვეყანაა და გასაგებია, რომ ყველა ადამიანს განსხვავებული აზრი აქვს, მაგრამ ამის გამო ვიღაცის მტრად გადაკიდება არ შეიძლება.

— მაგრამ პოლიტიკაში ეს ხშირად ხდება...

— ვნახოთ... შეიძლება, ჩვენ გამოგვიდეს და ყველაფერი რადიკალურად შევცვალოთ, მათ შორის — ხელისუფლების დამოკიდებულება ხალხისადმი..

— უნდა ვალიარო, რომ პოლიტიკოსისგან ასეთი საუბარი ჩემთვის მოულოდნელიც კი იყო...

— ჯერ სადა ხართ?! კიდევ ბევრჯერ გაგაოცებთ და ქართველ ხალხს ბევრ სიურპრიზს შევთავაზებთ. ძალიან მინდა, საზოგადოებას დავანახვო, რომ სიყვარულით საქმის კეთება უფრო ადვილია, ვიდრე — ბოღმითა და სიძულვილით... ვიცი, რომ საზოგადოება ჩვენს გამოჩენას ინტერესით ელოდება, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში მართლაც ძალიან ბევრი პარტიაა, მაგრამ გპირდებით — ყველასგან განსხვავებული ხედვა და პრინციპები გვექნება.

— რა კრიტერიუმებით ირჩევთ თანაგუნდელებს?

— საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო გუნდი გვეყოლება; იქნებიან ცნობილი სახეებიც, მათ შორის, საზოგადო მოღვაწეები, თავიანთი საქმის პროფესიონალები, რომლებიც აქამდე არ ჩანდნენ და — პოლიტიკოსებიც. ამასთან, საზოგადოებას ვპირდები, რომ ჩვენი პარტია სიყვარულითა და პატივისცემით შეკრული გუნდი იქნება, სადაც ნებისმიერ გადაწყვეტილებას პარტიის ყველა წევრის აზრის გათვალისწინებით მივიღებთ.

— თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებთ?

— ეს იყო ჩვენი პარტიის შექმნის მთავარი მიზეზი: მე მერის პოსტზე ვიყრი კენჭს. რადგან თბილისი ჩემი სახლია, თბილისელებისთვის უამრავი კარგი იდეის შეთავაზებას ვაპირებ.

— იმ შემთხვევაში, თუ თვითმმართველობის არჩევნები ისეთივე სცენარით განვითარდება, როგორიც წინა წლებში იყო (მით უმეტეს, რომ ქალაქის ამჟამინდელი მერი უკვე ძალიან ეფექტურ პიარკამპანიას აწარმოებს), როგორ გააგრძელებთ ბრძოლას?

— არავითარ შემთხვევაში არ დავდგებით ქუჩაში. იმ ადამიანის არჩევანის დასაცავად, ვინც ჩვენს პოლიტიკურ პარტიას მისცემს ხმას, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა იმედი არ გავუცრუოთ. ანუ, საბოლოო და სრულ გამარჯვებას თუ ვერ მივაღწევთ, ფარ-ხმლის დაყრასა და თამაშიდან გასვლას არ ვაპირებთ; ჩვენი პარტიული სიით რამდენი კაციც შევა საკრებულოში, იქ დარჩება და იმ ადამიანებისთვის იმუშავებს, ვისაც მისთვის ხმა ექნება მიცემული.

— ბატონო ნიკა, თქვენმა გვარმა, გასაგები მიზეზების გამო, საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია: ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილთან, გვარის გარდა, რაიმე ხომ არ გაკავშირებთ?

— სწორად ბრძანეთ, მარტო გვარი გვაქვს საერთო და კიდევ — სამუშაო კაბინეტში, კედელზე „ქართუ ბანკის“ კალენდარი მიკიდია... სამწუხაროდ, ამ პიროვნებას არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან ბევრ კარგ საქმეს აკეთებს. იმედი მაქვს, ჩემი ახალი ამპლუა მასთან დაახლოების საშუალებას მომცემს და შესაძლოა, კარგი საქმეებიც ერთად ვაკეთოთ...

— მის პოლიტიკაში „ჩათრევასაც“ ხომ არ აპირებთ?

— არა, პოლიტიკაში არავის „ჩათრევას“ არ ვაპირებ, ვინაიდან ეს — ადამიანის პირადი საქმე და მისი გადასაწყვეტია.

— დღეს წარმოდგენილი პოლიტიკური სპექტრიდან, რომელ პარტიასა და ორგანიზაციასთან თანამშრომლობის სურვილი გაქვთ?

— ყველა პოლიტიკურ ძალასთან ვითანამშრომლებთ, მათ შორის, მმართველ გუნდთან, მიუხედავად იმისა, რომ მისი წარმომადგენლები ჩვენს აზრს არც ერთ საკითხში არ ითვალისწინებენ... ■



21 წელი — თანატოლების მკვლელობისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ნინო სანდოძემ მუხიანში მომხდარი შემზარავი მკვლელობის საქმის განხილვა დაასრულა. შეგახსენებთ: 2009 წლის 11 აპრილს, საღამოს 6 საათზე, მუხიანში, 21-ე კორპუსის წინ საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ახალგაზრდები დომინოს თამაშის დროს თანატოლმა უმოწყალოდ ჩაცხრილა და მიიმალა. სამივეს ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი. 20 წლის სერგი მელქაძე ადგილზევე გარდაიცვალა, მისი მეგობრები, ძმები — 19 წლის ლევანი და 17 წლის თემურ გახელაძეები — უმძიმესი დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ოპერაციისას ლევანი გარდაიცვალა, ხოლო მისი ძმა კომატოზურ მდგომარეობაში დიდხანს ებრძოდა სიკვდილს. ამჟამად თემური ინვალიდის ეტლსაა მიჯაჭვული.

დანაშაული 19 წლის გოჩა გელიაშვილმა, მის სახელზე რეგისტრირებული „მაკაროვის“ პისტოლეტით ჩაიდინა. მკვლელობის შემდეგ თბილისი უპრობლემოდ დატოვა. ჯერ — ბათუმში, იქიდან კი თურქეთში წავიდა. მაგრამ 17 აპრილს გელიაშვილი იქიდან ისევ სარფის საბაჟოზე დაბრუნდა და პოლიციას ჩაჰბარდა. მის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის 3 მუხლით აღიძრა. ჩადენილ დანაშაულს ის აღიარებდა და ამბობდა, რომ თანატოლები შურისძიების მოტივით ჩაცხრილა.

ამავე პოზიციაზე იყო იგი სასამართლოზეც და ისიც არ დაუმალავს, რომ კიდევ ერთი ადამიანის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი:

— 2-3 წლის წინ მივიღე მათი მოკვლის გადაწყვეტილება, როცა მივხვდი, მათთან არც საუბარს და არც ჩხუბს აზრი არ ჰქონდა. იარაღი ოფიციალურად შევიძინე, გადავწყვიტე, 4 პირი მომეკლა. ყვავასთანაც (ერთ-ერთის მეტსახელი) ასევე ცუდი ურთიერთობა მქონდა, ისიც ასე მექცეოდა. მისი ნამდვილი სახელი არ ვიცი და არც ის, მეგობრობდა თუ არა მოკლულებთან. ყვავა ზედა უბანში ცხოვრობდა... ადრე იმიტომ არ განვახორციელე, რომ პირად ცხოვრებაში რაღაცები მოსაგვარებელი მქონდა. საზღვარგარეთ წასასვლელად საბუთებს ვაწესრიგებდი... 1-ელი ან 2 საათი იქნებოდა, მუხიანში რომ მივედი. პირველად, ყვავას ვეძებდი, უბანში არ დამხვდა და სახლში მივაკითხე, კარი დედამისმა გამიღო, მითხრა: არ ვიცი, სად არისო. რომ დამხვედროდა, იქვე, სახლში ვესროდი. ვერც ინტერნეტკაფეში ვნახე, იქაც ვეძებე. ყვავა რომ ველარ ვიპოვე, მერე ამათი ძებნა დავიწყე, ჩემს თავთან მართალი ვიყავი, რომ ვეძებდი და ვერ ვნახე.... მერე სერგისა და გახელაძეების ძებნა დავიწყე. ჯიხურთან მივედი, სადაც ისინი იკრიბებოდნენ. არც იქ დამხვდნენ. შორიდან დავინახე, კორპუსთან იყვნენ. ორი რომ დამხვედროდა, ალბათ ორს მოვკლავდი და ამით დავკმაყოფილდებოდი. ისე, ოთხი კაცი მინდოდა, მომეკლა. საბავშვო ბაღის ეზოდან ვუყურებდი, მათი სახეები გავარჩიე. ვიღაც ბიჭი მივიდა და მალე წავიდა, მერე იქვე, კორპუსის სადარბაზოში შევედი, შარვლის საქამრიდან იარაღი ამოვიღე და „კურტკის“ ჯიბეში შევინახე. ჯინსის შარვალი მეცვა, კაპიუშონიანი ზედა, ქუდი მეხურა. მათ მივუახლოვდი. პირველად ლევანს ვესროლე სახეში, ის სახით ჩემკენ იყო და დამინახავდა; მეორე ტყვია სერგის ვესროლე, შემდეგ — თემურს 2-ჯერ თუ 3-ჯერ ვესროლე, რადგან დავინახე, რომ წამოდგა. ამდენი იმიტომ ვესროლე, რომ მის სიკვდილში დავრწმუნებულიყავი. იმ ორს კარგად მოვარტყი, სერგის მარჯვენა მხარეს აფხაზავა იჯდა; იმ მომენტში ვიღაცამ დაიყვირა, — ვახ, ჩემიო!.. აფხაზავა გარბოდა. მივაძახე, — ნუ გარბიხარ, შენ არ გერჩიმეთქი. ალბათ იყო საფრთხე, ტყვია აფხაზავას მოხვედროდა, მაგრამ ყველანაირად ვეცადე, არ მოხვედროდა. ყველას დამიზნებით ვესროდი და არა მიბრჯნით. სროლების მომენტში სხვა არავინ იყო. რომ მოვრჩი, ჰაერში ორჯერ გავისროლე, მერე ჩქარი ნაბიჯით, კორპუსისკენ გადავედი. თავიდან ხელში მეჭირა იარაღი, მერე ისევ საქამრეში შევინახე. ტაქსი გავაჩერე და მეტრომდე ჩავყევი...

სასამართლომ წარდგენილ ბრალდებაში გოჩა გელიაშვილი დამნაშავედ ცნო. შურისძიების მოტივით თანატოლების მკვლელობისთვის მას 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ■

ორწლიანი პირობითი სასჯელი პოლიციელთა მოტყუებისთვის

სისხლის სამართლის კოდექსში არის ისეთი მუხლები, რომელსაც სამართალდამცავები იშვიათად იყენებენ, თუმცა გამონაკლისი შემთხვევებიც არსებობს. ამჯერად სწორედ ერთ უცნაურ ბრალდებაზე ვისაუბრებთ. ცრუდასმენა სისხლის სამართლის კოდექსში 373-ე მუხლია და კანონით ისჯება. „დანაშაულის შესახებ ცრუდასმენა“ ორ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. სწორედ ამ მუხლით, თბილისის საქალაქო სასამართლომ მამაკაცი გაასამართლა. განსასჯელის სკამზე გიორგი იჯდა და მას დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუდასმენაში ედებოდა ბრალი.

ყველაფერი გიორგის ვალებს მოჰყვა: მან მეგობრისგან 850 ლარი ისესხა; ვახტანგი და გიორგი მეგობრები იყვნენ და ბუნებრივია, მათ შორის მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება შედგა. გარკვეული ხნის შემდეგ, გიორგის ვალი უნდა დაებრუნებინა. რომ არ დააბრუნა, მეგობარმა მას ფულის მოტანა მოსთხოვა, ისიც თავის მხრივ დაჰპირდა, რომ თანხას დაუბრუნებდა. დაპირების მიუხედავად, ფულის შოვნა ვერ შეძლო და მეგობართან თავი რომ ემართლებინა, უჩვეულო ხერხს მიმართა. ჩხეიძის ქუჩაზე საპატრულო მანქანა გააჩერა და პოლიციის თანამშრომლებს უთხრა: უცნობმა სამმა პიროვნებამ მშენებარე კორპუსის ეზოში დამაყაჩაღა და დანის მუქარით, ფული — 855 ლარი წამართვაო. აბა, მაშინ რას წარმოიდგენდა, რომ მისი შეთხზული ტყუილი გაცხადდებოდა და ამის გამო საბრალდებო სკამზე თავად აღმოჩნდებოდა?!.

როგორც მოსალოდნელი იყო, გიორგის მონათხრობს ძალოვანთა მოქმედება მოჰყვა. პოლიციელებმა სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და სამი უცნობი მამაკაცის ძებნა დაიწყეს. გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ გიორგი ცრუობდა და ეს ამბავი მისი მოგონილი იყო.

ამჯერად საქმე გიორგის მიმართ აღძრეს და ცრუდასმენის ბრალდებით, მასალები საქალაქო სასამართლოს გადაეცა. განსასჯელმა პროცესზე, წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო და არც ის დაუმალავს, თუ რაში დასჭირდა ასეთი ტყუილი. სასამართლო განხილვის შემდეგ მოსამართლემ მიიჩნია, რომ მისი ბრალეულობა, საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობითაც, სრულად დადასტურდა. სასამართლომ კანონის სრული დაცვით განიხილა გიორგის საქმე, განაჩენის გამოტანისას გაითვალისწინა ფაქტობრივი გარემოებები — ის, რომ განსასჯელმა აღიარა, გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული და მასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა. გიორგის პირობითი სასჯელი — 2 წელი მიუსაჯეს, ამასთანავე, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის — 2 ათასი ლარის გადახდა დააკისრეს. ■

ცრუგანგაში კანონით ისჯება

ამ დღეებში თბილისის საქალაქო სასამართლომ მსგავსი ბრალდებით განაჩენი არასრულწლოვან ბიჭს გამოუტანა. ამჯერად განსასჯელის სკამზე 16 წლის დათო აღმოჩნდა. მას ტერორიზმის შესახებ ცრუშეტყობინებაში ედებოდა ბრალი.

ყველაფერი ერთი შეხედვით, უწყინარი ხუმრობით დაიწყო. ალბათ ყველას ახსოვს, შარშან ანონიმურად, ხშირად რეკავდნენ სკოლებში და იტყობინებოდნენ, რომ შენობაში ბომბი იყო. ბუნებრივია, ამ ინფორმაციას განგაში მოსდევდა, სასწავლო პროცესი იშლებოდა, შენობიდან ბავშვებისა და მასწავლებლების ევაკუაცია ხდებოდა და შემდეგ სამართალდამცავები კინოლოგებთან ერთად, სკოლის ყველა კუთხეკუნჭულში ბომბს ეძებდნენ. ბევრი ასეთი ზარი ცრუგანგაშის საფუძვლად მოგვევლინა. ძალოვნებმა რამდენიმე საქმე აღძრეს.

16 წლის დათომ სკოლის სამორიგეო ოთახიდან საპატრულო პოლიციაში დარეკა და აცნობა, რომ თბილისის №138-ე საჯარო სკოლაში ბომბი იყო. ბუნებრივია, ამ ინფორმაციას ოპერატიულად მოჰყვა რეაგირება. სკოლიდან ბავშვებისა და მასწავლებლების ევაკუაცია განხორციელდა. ამის შემდეგ სამართალდამცველებმა შენობა საგულდაგულოდ შეამოწმეს და გაირკვა, რომ ცრუგანგაში იყო.

ძალოვნებმა ტერორიზმის შესახებ ცრუშეტყობინების ფაქტზე საქმე აღძრეს და დამნაშავის ძებნა დაიწყეს. ასე აღმოჩნდა 16 წლის ბიჭი საბრალდებო სკამზე. არასრულწლოვანს დანაშაული არ დაუმალავს და სასამართლოზე გულწრფელად აღიარა ჩადენილი. პროცესზე გაირკვა, რომ ბიჭუნამ ყველაფერი ბავშვური დაუფიქრებლობით ჩაიდინა, მაგრამ ამისთვის ის მაინც დასაჯეს. საბედნიეროდ, დათო პატიმრობას გადაურჩა, მოსამართლემ მისი ასაკი გაითვალისწინა, მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა და 16 წლის ბიჭს „ხუმრობისთვის“ პირობითი სასჯელი — ერთი წლით პირობითი პატიმრობა აკმარეს. ამასთანავე, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 2.000-ლარიანი ჯარიმის გადახდაც დააკისრეს. ■

რუბრიკა მოამზადა
თეა ხურცილავამ

ქართველებს საკუთარი შვილებისთვის, მათთვის სასურველი სახელების დარქმევის უფლებას არ აძლევენ, წინაპრების მიერ აშენებულ ტაძრებში არ უშვებენ, კულტურის სახლებს უწვავენ და ფუნდამენტურ ადამიანის უფლებებს ულახავენ — ეს ყველაფერი დღეს, ჩვენ გვერდით, მეზობელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ისტორიული ჰერეთის მიწაზე ხდება... ჩვენი ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოქალაქეებს ისეთი პირობები შეუქმნას, რომ მათი ეროვნული თუ სარწმუნოებრივი ინტერესები არ შეილახოს, მაგრამ აზერბაიჯანის ხელისუფლება რატომღაც, ასეთივე დამოკიდებულებას არ იჩენს ჰერეთის მოსახლეობის მიმართ და მას გამუდმებით ახალ-ახალ პრობლემებს უქმნის. აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველებს სასათბურე პირობებში ცხოვრება ადრეც რომ არ უწევდათ, ამის შესახებ ვიცოდით, მაგრამ ბოლო დროს, ამის დამადასტურებელი კიდევ ერთი შემაშფოთებელი ტენდენცია გამოიკვეთა: როგორც შევიტყვეთ, ქართველები ლამის ყოველდღიურად ტოვებენ ჰერეთის მიწას...

აზერბაიჯანელი — საქართველოში და ქართველი — აზერბაიჯანში

ანუ სატკივარი, რომელსაც არა და არ დაადგა საფეხელი

ნათუნა ბახტურიძე

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში ამის ძირითად მიზეზად, ეკონომიკურ პრობლემებს ასახელებენ და იმით ხსნიან, რომ ჰერეთელ ქართველთა დიდი ნაწილი უმუშევრობას გაურბის და სამუშაოს საძებნელად, ზოგი საქართველოში, ზოგი კი სხვა ქვეყნებში მიდის. ვესაუბრებით აზერბაიჯანის ქართულ დიასპორასთან ურთიერთობის სპეციალისტ ***თემურ ტარტარაშვილს.***

— ბატონო თემურ, ეკონომიკური პრობლემები საინგილოდან ქართველების წასვლის ერთადერთი მიზეზია?

— ძირითადი მიზეზი ეს არის.

— როგორ ფიქრობთ — კახში ქართული კულტურის ერთადერთი ცენტრის დაწვა უბრალო შემთხვევის შედეგი იყო?

— ეს ქართული კულტურის ცენტრი შარშან ოქტომბერში, გამთენიისას დაიწვა. ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევიდან რამდენიმე საათში, ადგილობრივი სტრუქტურის წარმომადგენლებმა შენობის შესასვლელში გაკეთებული ქართული აბრა ჩამოხსნეს. ადგილობრივ მოსახლეობაში მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ვიღაცამ ქართული კულტურის ცენტრი მიზანმიმართულად გადაწვა. აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე წლის წინ ამ შენობაზე პრეტენზია გამოთქვა კახის მუნიციპალიტეტის გამგეობამ. მისი მესვეურები კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობას სასამართლოშიც კი ედავებოდნენ. არადა, შენობა 2001 წელს, აზერბაიჯანისა და საქართველოს კულტურის მაშინდელმა მინისტრებმა — ფოლად ბულბულოღლიმ და სესილი გოგიბერიძემ კახის ქართველებს ოფიციალურად, საზეიმო ვითარებაში გადასცეს. მიუხედავად ამისა, კულტურის ცენტრის თანამშრომლებს ხელფასი არ დაუნიშნეს და ამ დრომდე დირექტორი, სხვა თანამშრომლებთან ერთად, მხოლოდ ენთუზიაზმზე მუშაობდა.

— თვით შენობა რაიმე ღირებულებას თუ წარმოადგენს?

— შენობა ძველისძველია და ღირებულიც არის. აღსანიშნავია, რომ მის გარშემო სულ ქართველები ცხოვრობენ; იქვე, 50 მეტრში კი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ჰერეთისა და დედოფლისწყაროს ეპარქიის, წმინდა გიორგის ეკლესია მდებარეობს. ადგილობრივ ხელისუფლებას კულტურის ცენტრის ადგილზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენება უნდოდა. მოსახლეობის საპროტესტო აქციების შედეგად, ამ

ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია

გეგმის განხორციელება შეჩერდა. 2009 წლის 19 ივლისს, საქართველოსა და აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროებმა ხელი მოაწერეს შეთანხმების ოქმს, რომლის თანახმადაც, აზერბაიჯანის კულტურის სამინისტრო აღძრავდა შუამდგომლობას კახის გამგეობის წინაშე, შენობის გარემონტების თაობაზე, მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა.

— საბოლოოდ, შენობა ვის მიაკუთვნეს?

მშობელმა ამ სიიდან უნდა შეარჩიოს ერთ-ერთი; როდესაც მას სხვა სახელის დარქმევა სურს, უბრალოდ, არ აძლევენ დაბადების მოწმობას

— ამ საკითხთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროებს შორის მოლაპარაკება ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

— როგორც ვიცი, ქართველებს პრობლემები აღმსარებლობასთან დაკავშირებითაც აქვთ. მათ არათუ ახალი ტაძრების აშენების უფლებას არ აძლევენ, არამედ ძველ ეკლესიებშიც კი არ უშვებენ. ქართველებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დავის მიზეზად, კარგა ხნის განმავლობაში ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარი იქცა. ახლა მაინც თუ აღევლინება იქ წირვა-ლოცვა?

— სამწუხაროდ, არა...

— როგორ ფიქრობთ — რამდენად განსხვავდება ერთმანეთისგან აზერბაიჯანის ქართველი მოსახლეობისა და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების წინაშე არსებული პრობლემები?

— შედარებაც კი არ შეიძლება. მაგალითად, ზაქათალის რაონში, დაბა ალაიაბადში ბევრ ქართველ ბავშვს სახელი არა აქვს: ვიდრე სკოლაში შესასვლელები არ ხდებიან, მშობლები დაბადების მოწმობებს არ უღებენ და აი, რატომ. მშობელს უნდა, შვილს ქართული სახელი დაარქვას, მაგრამ ადგილობრივი სტრუქტურები ამის უფლებას არ აძლევენ; როცა ბავშვი 6 წლის ხდება, მშობელი უკვე იძულებული ხდება, ის სახელი დაარქვას, რომელიც მას არ უნდა.

— მშობელს საკუთარი შვილისთვის სახელის დარქმევას რა ფორმით უკრძალავენ ან აკრძალვის მიზეზად რას ასახელებენ?

— ადგილობრივი ბიუროკრატია ახალშობილის მშობლებს აძლევს სახელების სიას და მშობელმა ამ სიიდან უნდა შეარჩიოს ერთ-ერთი; როდესაც მას სხვა სახელის დარქმევა სურს, უბრალოდ, არ აძლევენ დაბადების მოწმობას. ზაქათალის რაიონის დაბა ალიაბადში არიან ბავშვები, რომლებსაც ამის გამო დაბადების მოწმობები არა აქვთ.

— მშობლებს ქართულ სკოლებში ბავშვების შეყვანის გამოც ხომ არ ექმნებათ პრობლემები?

— კახის რაიონში ქართველებს ქართულ სკოლაში სიარულს ვერ უკრძალავენ. ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში კი ადგილობრივი ხელისუფლება ზეწოლას ამ მიმართულებითაც ახორციელებს. დაუფარავად უნდა ვთქვათ ისიც, რომ ზოგიერთ მშობელს საკუთარი ნებით შეჰყავს შვილი აზერბაიჯანულ სკოლაში, რადგან არ უნდა, მომავალში პრობლემები შეექმნას.

— რას გულისხმობთ?

— იმ ადამიანებს, ვისაც ქართული განათლება აქვთ მიღებული, ძალიან უჭირთ სამსახურის შოვნა.

— იმ ქართველებს, რომლებიც აზერბაიჯანულ სკოლაში დადიან, საქართველოს ისტორიის სწავლის საშუალება თუ აქვთ?

— საქართველოს ისტორია, აზერბაიჯანულ სკოლაში კი არა, ქართულ სექტორზეც არ ისწავლება. ქართველები ყველა მხრივ შეზღუდულები არიან. სერიოზული პრობლემები აქვთ მიწასთან დაკავშირებითაც. პრივატიზაციის დროს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ნაწილმა მისთვის განკუთვნილზე ნაკლები მიწის ნაკვეთი მიიღო, თანაც — მისი საცხოვრებელი ადგილიდან საკმაოდ შორ მანძილზე. მცირემიწიანობა და სიშორე მიწის დამუშავებას ართულებს.

— ამ წინააღმდეგობების გამკლავებას ქართველები რამდენად ახერხებენ?

— ყველანაირად ცდილობენ, ქართველობა და წინაპრების ტრადიციები შეინარჩუნონ. რაც უფრო მეტია ზეწოლა აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან, მით უფრო ძლიერია წინააღმდეგობა ქართველების მხრიდან.

— კახში ბელაქნისა და ზაქათალისგან განსხვავებული ვითარებაა?

— კი, ზაქათალასა და ბელაქანში უფრო მეტი ზეწოლაა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ბელაქანსა და ზაქათალაში ეროვნული ასიმილაცია დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. იქ ძირითადად, მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობენ, რომლებსაც ისტორიულ სამშობლოსთან მხოლოდ მშობლიური ენა და ისტორიული მეხსიერება აკავშირებთ. როგორც მოგეხსენებათ, დღევანდელი საინგილოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ქართველები ცხოვრობდნენ. ამ ტერიტორიაზე ეთნიკური სურათი XVII საუკუნეში შეიცვალა — 1604 წელს კახეთის მეფე ალექსანდრეს სპარსეთის შაჰ აბასმა მისი სამეფოს განაპირა ნაწილი — კაკი ჩამოართვა და ელისუს სასულთნო დააარსა. სულთნობა გამაჰმადიანებულ ქართველ თავადს, ალიბეგ ვახვახიშვილს უბოძა. ჩრდილო კავკასიიდან მთიელების მასობრივად ჩამოსახლების შედეგად, ასევე შეიქმნა ჭარ-ბელაქნის უბატონო თემები. ჩამოსახლებულები ადგილობრივ მოსახლეობას — ქართველებსა და მუღალებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდნენ. როგორც ისტორიული წყაროებიდანაა ცნობილი, XVIII საუკუნეში ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არსებობდა გიშის ეპარქია, რომელიც ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა. წყარო იმასაც იტყობინება, რომ ამავე საუკუნის მეორე ნახევარში გიშის ეპარქია აოხრებულა და ქართველებისგან დაცლილა. საუკუნის დასასრულს ეპარქიამ არსებობა შეწყვიტა. XIX საუკუნის დასაწყისიდან — 1803 წლიდან ამ რეგიონის მიმართ რუსეთს გაუჩნდა ინტერესი. როდესაც მოსკოვმა შამილის წინააღმდეგ ომი დაიწყო, გადაწყვიტა, ეს რეგიონიც დაეპყრო, რადგან მოსახლეობის უმრავლესობას ლეკები შეადგენდნენ და ეშინოდა, მისგან ზურგში მახვილი არ მიეღო. 1830 წელს რუსეთმა ჭარ-ბელაქანი დაიპყრო და მიიერთა... 1860 წელს ჩამოყალიბდა „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება“, რომლის მიზანი — მთელი კავკასიის მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა გახლდათ. კავკასია 12 სამისიონერო ობიექტად — „საბლაღოჩინოდ“ დაიყო. თანამედროვე კახს, ზაქათალასა და ბელაქანს საინგილოს „საბლაღოჩინო“ ეწოდა. ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა დიდი სიხარულით უბრუნდებოდა წინაპრების სარწმუნოებას. ივანე ბულუღაშვილი პირველი იყო, ვინც ქრისტიანობა მიიღო. ის 1850 წელს სხვა ქართველებთან ერთად, თბილისში ჩამოვიდა და მართლმადიდებლურად მოინათლა. ძალიან მოკლე პერიოდში, 16 ათასი ქართველი გაქრისტიანდა, მაგრამ ამ პროცესს 1864 წელს რეგიონში მომხდარმა აჯანყებამ შეუშალა ხელი. აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული და რეგიონში მისი გავლენის შესუსტებას ისახავდა მიზნად. ამის შემდეგ, იქ მცხოვრები ქართველების დიდმა ნაწილმა უარი თქვა გაქრისტიანებაზე და კვლავ მაჰმადიანურ სარწმუნოებას დაუბრუნდა. არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც ქრისტიანობამ ზაქათალასა და ბელაქანში ფეხი ვერ მოიკიდა: 1860 წელს — როდესაც რუსებმა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე კავკასიის მოქცევა დაიწყეს, ჭარ-ბელაქანში, ელისუს სასულთნოსგან განსხვავებით, ეკონომიკური შეღავათები არ დააწესეს.

— დღეს კახისა და ზაქათალა-ბელაქნის ქართველებს შორის როგორი დამოკიდებულებაა?

— ძალიან კარგი. პირადად მე, ძალიან ბევრი მეგობარი მყავს ზაქათალასა და ბელაქანში. მაჰმადიანობა მრწამსია და არა ეროვნება. ჩემი აზრით, ეს ყველა შეგნებულ ქართველს უნდა ჰქონდეს გაცნო-

გაგრძელება იხ. გვ. 18

პალიტრა მედია

მედია-დანაზოგი

ანტიკრიზისული პროექტი

მათ უკვე ნახეს ჩვენი ფასები

თქვენ?

25 იანვარი - 1 თებერვალი

PUMA®

„პუმას“ სახელგანთქმული
პროდუქცია

ფასი: ~~375~~ 168

ფასი: ~~299~~ 130

„სიტყვა და საქმის“ პირველ გვერდზე დაბეჭდილია კუპონი,

შეაგროვეთ 2 ცალი, მიიტანეთ „პუმას“ მაღაზიაში

პეკინის 19/21 ტელ: 38 39 89

ანონსი

მომავალი ორშაბათიდან
1-8 თებერვალი
იხილეთ „მედია-დანაზოგის“
ახალი შემოთავაზება

KUMHO TIES

მაღალხარისხიანი
საბურავები

ხელოვნურად ბაბუკი
ოვსი

აქციაში მონაწილობის მსურველი კომპანიები დაგვიკავშირდით: danazogi@palitra.ge

დასაწყისი იხ. გვ. 15

ბიერებული და ურთიერთობისთვის ბარიერს არ უნდა წარმოადგენდეს.

— როგორ ფიქრობთ — აზერბაიჯანის ხელისუფლება რატომ არ ითვალისწინებს იმას, რომ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს

არანაირი პრობლემა არ ექმნებათ თავიანთი ეროვნებისა და სარწმუნოების გამო, ხოლო საქართველოს ხელისუფლება რატომ არ რეაგირებს აზერბაიჯანში ქართველების დისკრიმინაციაზე?

— ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება არ რეაგირებს აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების წინაშე არსებულ პრობლემებზე. აღნიშნული პრობლემები დღეს არ წარმოქმნილა, ის ათწლეულების განმავლობაში გროვდებოდა. ჩვენი ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლები ეროვნულ უმცირესობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მჭიდროდ თანამშრომლობენ.

არსებული პრობლემები აზერბაიჯანული ეროვნების საქართველოს პარლამენტის წევრთან — ალბერტ შამილოვთან და საქართველოს სახალხო დამცველთან — გიორგი ტუღუშთან განვიხილეთ. ვიდრე ბატონ ალბერტს დავუკავშირდებოდი, მის კოლეგებთან და თანამემამულეებთან — ისვაჰან შამილოვთან და რამინ ბაირამოვთან გასაუბრება ვცადეთ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, მათთან ინტერვიუ არ შედგა. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ არც ერთმა მათგანმა ქართული არ იცის, ბატონ ალბერტთან საუბარი რუსულად დავიწყე:

— ბატონო ალბერტ, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს რა პირობებში უწევთ ცხოვრება?

ALBERT SULEIMANOVI, *მაჟორიტარი დეპუტატი მარნეულის რაიონიდან:*

— დღემდე, ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობის დასამკვიდრებლად არაფერი კეთდებოდა, რაც ამ ხალხის გაუცხოებისთვის სერიოზული საფუძველი აღმოჩნდა.

— მაინც რა უნდა გაკეთებულიყო?

— აზერბაიჯანელებისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქართული ენის სწავლა. ახლა ვცდილობთ, ახალ თაობაში მაინც მოგვარდეს ეს პრობლემა. მარნეულის, ბოლნისისა და რუსთავის აზერბაიჯანელ მოსახლეობას, ქართული ენის არცოდნის გამო, ძალიან უჭირს სამსახურის შოვნა.

— თქვენ უმაღლესი განათლება სად გაქვთ მიღებული?

— მე პირადად სანქტ-პეტერბურგში დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი.

— სამსახურის შოვნასთან დაკავშირებით ოდესმე თუ შეგქმნიათ პრობლემა?

— მე — არა, მაგრამ ვიცნობ სტუდენტებს, რომლებმაც საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მიიღეს განათლება და მაინც უმუშევრები არიან.

— თქვენ თუ საუბრობთ ქართულად?

— დიახ, ძალიან კარგად. თუ გინდათ, ინტერვიუ ქართულად გავაგრძელოთ.

— კი, ბატონო...

— ქართული ჩემთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც მშობლიური ენა...

— საქართველოს პარლამენტში კიდევ ორი აზერბაიჯანელი პარლამენტარია — ისვაჰან შამილოვი და რამინ ბაირამოვი, რომლებმაც ქართული არ იციან...

— მერე?..

— მათ ქართული ენის არცოდნის გამო სამსახურის შოვნა არ გასჭირვებიათ...

— კი, მაგრამ ძალიან ბევრი აზერბაიჯანელი ნამდვილად ვერ შოულობს სამსახურს... თუმცა ეს ალბათ გლობალურ კრიზისს და ქვეყანაში დასაქმების პრობლემას უფრო უკავშირდება.

— საქართველოში თქვენი რელიგიური მრწამსის გამო თუ შეგქმნიათ პრობლემა?

— არა, ამ კუთხით პრობლემა არც ერთ აზერბაიჯანელს არ შეჰქმნია. სულ ახლახან მარნეულსა და ბოლნისში რამდენიმე ახალი მეჩეთი გაიხსნა.

— რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ ის ფაქტი, რომ კახსა და ზაქათალა-ბელაქანში მცხოვრებ ქართველებს მათი წინაპრების მიერ აშენებულ ეკლესიებში ლოცვისა და საკუთარი შვილებისთვის სახელების დარქმევის უფლებას არ აძლევენ?

— ვერაფერს გეტყვით — მე ასეთი ინფორმაცია არა მაქვს, მაგრამ მგონი, ეს აბსურდია... მეტსაც გეტყვით — აზერბაიჯანში ახლახან ახალი ეკლესია აშენდა.

— ეს ეკლესია ქართულია?

— ზუსტად არ ვიცი.

— შეგიძლიათ, დაგვისახელოთ აზერბაიჯანში რომელიმე ქართული ეკლესია, რომელიც მოქმედია?

— მე საქართველოს მოქალაქე, ამ ქვეყნის პარლამენტის წევრი ვარ და ნამდვილად არ ვიცი, აზერბაიჯანში რამდენი ქართული ეკლესია მოქმედებს.

— ქურმუხის ეკლესიასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ თუ გსმენიათ რამე?

— ეს პრობლემა რელიგიასთან არ იყო დაკავშირებული...

— აბა, რასთან იყო დაკავშირებული?

— საქმის კურსში არა ვარ, მაგრამ ვიცი, რომ სხვა რაღაც იყო...

— აზერბაიჯანში მოქმედ ქართულ სკოლებში არსებული პრობლემების შესახებ თუ იცით რამე?

— მე საქართველოს პარლამენტის წევრი ვარ და არა ვარ ამ საკითხში კომპეტენტური...

— ბატონო გიორგი, რა პირობებში უწევთ ცხოვრება ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს?

GIORGI TULUSHI, *საქართველოს სახალხო დამცველი:*

— საქართველოში ორი კომპაქტურად დასახლებული რეგიონია — სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად მუშაობს ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისთვის. ამ მიმართულებით ძალიან სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ჩვენი ხელისუფლების მხრიდან — უკვე მიიღეს ეროვნული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმაც. ამ მიმართულებით გარკვეული პრობლემები ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ იმედი მაქვს, მალე ესენიც მოგვარდება.

— რა პრობლემებს გულისხმობთ?

— ერთ-ერთი პრობლემა მათთვის, ქართული ენის შესწავლა გახლავთ. ეს აუცილებელია, რომ ამ ხალხმა საზოგადოებაში ინტეგრაცია მოახერხოს.

— იმ ფაქტს როგორ შეაფასებთ, რომ საქართველოს პარლამენტის აზერბაიჯანული ეროვნების წევრებმა ქართული არ იციან?

— მე მგონი, მათ ქართული სალაპარაკო დონეზე იციან.

— ქართული ენა მხოლოდ ერთმა მათგანმა იცის...

— ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით.

— საინგილოში მცხოვრები ქართველების შესახებ თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია?

— ვიცი, რომ ჩემი წინამორბედი — სოზარ სუბარი რამდენჯერმე იყო ჩასული საინგილოში და ადგილობრივ სახალხო დამცველსაც შეხვდა. ბოლო დროს იქიდან არანაირი საჩივარი არ შემოსულა... ისე კი, ვიცი, რომ საინგილოში მცხოვრებ ქართველებს გარკვეული პრობლემები აქვთ.

— მათი პრობლემების მოსაგვარებლად, რამის გაკეთებას თუ აპირებთ?

— თუ ისინი დახმარებისთვის მოგვმართავენ, გარკვეულ ზომებს აუცილებლად მივიღებთ, მაგრამ თუ თავად არ ამოიღებენ ხმას, ჩვენ ვერაფერს გავხდებით. აზერბაიჯანის სახალხო დამცველი ხშირად მოგვმართავს სხვადასხვა საკითხის გამო. ამიტომ მისი შეწუხების ნამდვილად არ მომერიდება, თუ ეს საჭირო გახდება...

სახე

დათო ევგენიძე ორგზის ბაბუა გახდა და გრანდიოზული კონცერტისთვის ემზადება

შვილის ქორწილში მოსკოვიდან ერთი კვირით ჩამოსული, აგერ უკვე რამდენიმე თვეა, უკან დაბრუნებას ვეღარ ახერხებს, რადგან ძალიან მოენატრა აქაურობა... თუმცა, ცოტა ხანში მაინც უნდა წავიდეს და როგორც ამბობს, „მოსკოვური ამბავი“ ერთ თვეში დაასრულოს, რომ თბილისს საბოლოოდ დაუბრუნდეს... ლაპარაკია უნიჭიერეს მუსიკოსზე, კომპოზიტორზე, პოეტსა და საერთოდ, საინტერესო შემოქმედ ДАТО ЕВГЕНИДЗЕЗЕ, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში მოსკოვში მოღვაწეობამ მოუწია.

ლალი ფაცია

— დათო, 5 წლის წინ რამ განაპირობა თბილისიდან მოსკოვში თქვენი წასვლა და ასე ხანგრძლივად იქ დარჩენა?

— ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, 16 წლის ასაკიდან (სტუდენტობიდან მოყოლებული), მსოფლიოს მასშტაბით ხშირად მიწევს მოგზაურობა: ხან რუსეთში ვარ, ხან — საფრანგეთში, ხან — ესპანეთში, ხან — ამერიკაში... ეს ჩემი პროფესიაა! ასე რომ, ჩემი მოსკოვში ბოლო ხუთწლიანი ცხოვრების ეტაპი აბსოლუტურად არ განსხვავდება არც ერთი სხვა წინა შემთხვევისაგან... 5 წლის წინ მოსკოვიდან შეკვეთები მივიღე და როგორც ტურისტი, იქ არ ჩავსულვარ. ყოველთვის ასე ხდებოდა — როცა უცხო ქვეყნიდან საინტერესო შემოთავაზება მიმიღია, თუ ჩემთვის ხელსაყრელი იყო, ვთანხმდებოდი. ამ შემთხვევაში, ლაპარაკი იყო ფეოდორ ბონდარჩუკის ფილმზე — „მეცხრე როტა“, რომელზე სამუშაოდაც მოსკოვში გავემგზავრე. ფილმისთვის მუსიკა დავწერე, რაშიც 3 პრიზი ავიღე. ამ წარმატებას შემდეგ უამრავი საქმიანი წინადადება მოჰყვა — ერთი ფილმი, მეორე, მესამე... და ჯამში, სულ 17 ფილმისთვის შევქმენი მუსიკა. ბალეტის შეკვეთაც მივიღე და ჩემი იქ ყოფნის პერიოდიც ასე გახანგრძლივდა. თორემ მანამდე, უცხო ქვეყანაში პროექტის დასრულებისთანავე უკან ვბრუნდებოდი ხოლმე. ასე იყო საფრანგეთში დადებული კონტრაქტისას თუ კანარის კუნძულებზე 4-წლიანი მუშაობისას. მაგრამ მაშინ რატომღაც, არავის მიუქცევია ყურადღება, რატომ ვიყავი 4 წელი კანარის კუნძულებზე...

— ამ გასვლებიდან, შემოქმედებითად ყველაზე ნაყოფიერი მაინც რომელი იყო?

— ჩემთვის ყველა მნიშვნელოვანი იყო და რაც მთავარია, ერთმანეთისგან განსხვავებული. ბოლო პერიოდში მოსკოვში, როგორც კომპოზიტორი, ისე ვმუშაობდი. კონცერტები ნაკლებად მქონდა. გითხარით, რომ იქ ერთი ბალეტიც დავწერე, მეორეს ახლა ვასრულებ... მოვამზადე 3 ახალი ალბომი. ასე რომ, ბოლო 5 წელი ჩემთვის, როგორც კომპოზიტორისთვის, ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამ კუთხით წინა წლებშიც ბევრს ვმუშაობდი, მაგრამ მეტ დროს მაინც ჩემს სასცენო მოღვაწეობას ვუთმობდი ანუ თავს აქტიურად, როგორც შემსრულებელი, ისე წარმოვაჩენდი. კონცერტებს ვმართავდი. საინტერესო საკონცერტო ტურნეები მქონდა... ხოლო თუ ავიღებთ, კონსერვატორიის დამთავრების შემდგომ პერიოდს, მაშინ დიდ თეატრთან თანამშრომლობაც ძალზე ნაყოფიერი გახლდათ. ასე რომ, ყოველი ახალი ეტაპი განსხვავებული იყო და ყველას რაღაც პლუსი ჰქონდა...

— ადგილს, სივრცეს, დროს შემოქმედისთვის ალბათ მნიშვნელობა აქვს. რუსეთი და კერძოდ, მოსკოვი თუ იძლეოდა მუშაობისთვის იმპულსს, მუხტს?

— კანტი მთელი ცხოვრება ისე მუშაობდა, თავისი ოთახიდან გარეთ არ გასულა. ერთ-ერთი ბერძენი ფილოსოფოსი საერთოდ, კასრში იჯდა... იმ შემთხვევაში, როცა მუშაობ და მუსიკას ქმნი, თუ მაინცდამაინც შენს ქვეყანაში ომი არ არის, არ გბომბავენ, ადამიანები არ იხოცებიან და ყველაფერი, როგორც ქართველს, ისე არ გეხება, სხვა შემთხვევაში, მიმდინარე პოლიტიკური ბატალიები, რაც მასმედიის საშუალებით შუქდება, მუშაობას ხელს არ უშლის... აგვისტოს ომმა ჩემზე სერიოზულად იმოქმედა...

— დათო, თბილისი რომ განსაკუთრებულად გიყვართ, ამის დადასტურება ისიც არის, რომ დღეს აქ ხართ...

— თბილისს მსოფლიოს არც ერთ ქალაქს არ შევადარებ. გითხარით,

რომ კომუნისტების დროიდან მოყოლებული, მსოფლიოს მასშტაბით, გასტროლებსა და საქმიან ვიზიტებზე დავდივარ. ბევრი ისეთი შემოთავაზება მქონია, ხელი ისეთ კონტრაქტებზე უნდა მომეწერა, რომ გარკვეული დროის განმავლობაში

ასე რომ, ბოლო 5 წელი ჩემთვის, როგორც კომპოზიტორისთვის, ნაყოფიერი აღმოჩნდა

უცხოეთში მემუშავა, გასამრჯელოსაც ყოველთვის სოლიდურს მთავაზობდნენ, მაგრამ აქაურობის გარეშე დიდხანს ვერ ვძლებ. არასდროს გამივლია თავში აზრად, რომელიმე ქვეყანაში დავრჩენილიყავი...

— თბილისის განსაკუთრებულ სიყვარულს წლების წინ, ორიგინალური ლექსი მიუძღვენით — „ცივი დო, ცივი რე, ცივი მი, ცივი ფა, ცივი სოლ, ცივი ლა, თბილი სი“... ამ ლექსზე სიმღერაც დაწერეთ, რომელიც წელს, საახალწლოდ, ზუკა ხუციშვილმა შეასრულა...

— კი, სიმღერის ტექსტი, რომელიც ზუკამ იმღერა, ჩემია, და ამ ნამუშევარში თქვენ მიერ ნახსენები ლექსიც ჩავრთე...

— ოჯახს — მეუღლეს, შვილებს — რა როლი აქვს თქვენს ცხოვრებაში?

— ოჯახს საერთოდ, ქართველი ადამიანისთვის უდიდესი როლი აკისრია. მიუხედავად იმისა, რომ ისეთი პროფესიის ადამიანი ვარ, რომლისთვისაც ბოჰემური ცხოვრება უცხო არ არის, არ შემრცხვება იმის თქმის და შეგიძლიათ, ჩემს შვილებსაც ჰკითხოთ, რომ ნამდვილად კარგი მამა ვარ...

— ვიცი, რომ შვილებს ძალიან უყვარხართ. მეუღლეზე რას გვეტყვით?

— ჩემი ცოლი, ნინო ჟვანია გახლავთ. არც ერთი ცოლისთვის მეუღლე არასდროს დამირქმევია. რატომღაც, სიტყვა „მეუღლე“ მოგონილი მგონია და უღელს მაგონებს... მე ცოლს უღელს არ ვადგამ!..

— ესე იგი, გყავთ ცოლი და არა — მეუღლე?..

— დიახ, ცოლი... საყვარელი ქალი, რომელთანაც გადავწყვიტე, რომ ვიცხოვრო. შეიძლება, ცხოვრებაში კაცი ბევრ ქალზე იყო შეყვარებული, მაგრამ მათთან ცხოვრება არ გადაწყვიტო...

— ვინ არის ნინო პროფესიით?

— ჟურნალისტია, მაგრამ იმდენად ცხოვრობს ჩემი ცხოვრებით, რომ საკუთარი პროფესია აღარც ახსოვს... არიან მამაკაცები, დიდი ფიქრი რომ სჭირდებათ, სანამ ქალს ცოლად მოიყვანენ. რამდენიმე წელი მასთან ერთად დადიან და მერე ხვდებიან, რომ ცოლად უნდა შეირთონ... მე პირველი ცოლიც უცებ, რამდენიმე წამში მოვიყვანე და დანარჩენებიც...

— ყოფილ მეუღლეებთან ადამიანურ, ჩვეულებრივ ურთიერთობას ინარჩუნებთ თუ დაცილების შემდეგ ურთიერთობას წყვეტთ?

— როგორ არ უნდა მქონდეს მათთან ურთიერთობა?! ჩვენ ხომ საერთო შვილები გვყავს! შვილებიდან გამომდინარე, მილიონი რამ დაგვრჩა საერთო. დასაკარგავი რა გვაქვს?! ამდენი წელი ერთად ვიცხოვრეთ და მეგობრებად დავრჩით. მათი კეთილის მსურველი ვარ, მათი შვილებიც მიყვარს და დარწმუნებული ვარ, მათაც ასევე უყვართ ჩემი ნიკოლოზიც...

— მგონია, რომ შვილებიდან თქვენთან ყველაზე ახლოს ლიკაა, რადგანაც ისიც შემოქმედია, თქვენსავით, ლექსებს წერს...

— არა, რატომ?! ლუკაც ახლოსაა. ის მოსკოვში სარეჟისოროზე, „ვგიკში“ (*კინემატოგრაფიის ინსტიტუტში. — ავტ.*) სწავლობს. წელს ამთავრებს. ორივენი, ჩემდა სასიხარულოდ, ძალიან ნიჭიერები არიან. ჩემი პირველი გოგოც ასეთივეა. სხვათა შორის, გუშინწინ (*ინტერვიუ ჩაწერილია 23 იანვარს. — ავტ.*) ბაბუა გავხდი: ჩემმა პირველმა შვილმა, რომელიც პარიზში მყავს, მეორე შვილიშვილი — გოგონა მაჩუქა; პირველი — წლინახევრის ბიჭი ჰყავს. იმას ვამბობდი, რომ ისიც ძალიან ნიჭიერია, კინოსკოლაში სწავლობდა, მაგრამ სიყვარულმა და ოჯახმა სძლია... ის ჭეშმარიტი პარიზელია, საფრანგეთის მოქალაქე გახლავთ, დაბადებიდან იქ ცხოვრობს. თუკი შვილების მსგავსებაზეა საუბარი, ყველაზე მეტად, გარეგნობით სწორედ ის მგავს. რომ შეხედავთ, მაშინვე იტყვით, რომ ჩემი შვილია. თვალები და სახის ნაკვთები სულ ჩემი აქვს. შინაგანადაც ძალიან მგავს ლიკა; ლუკაც მგავს, ის ოჯახში კაცია! მას ჩემი კაცური თვისებები აქვს გამოყოლილი. ძალიან მგავს ნიკუშაც...

— თქვენმა ქალიშვილმა ლიკამ, პრეზიდენტ სააკაშვილის ბიძაშვილს, ნიკა ალასანიას დაუკავშირა ბედი. როგორც მამა, ამ ფაქტმა ხომ არ დაგაბრკოლათ და უხერხულობა ხომ არ შეგიქმნათ? რაც უნდა იყოს, თქვენი შვილი პრეზიდენტის სანათესაოს რძალი გახდა!

— არა, ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანი ის არჩევანია, რომელიც ლიკამ გააკეთა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ის სწორ არჩევანს გააკეთებდა, რადგანაც მჯერა ჩემი შვილის და ამაში დავრწმუნდი კიდეც მაშინ, როდესაც ჩემი სიძე გავიცანი. ნიკა ძალიან მიყვარს. ის ჩემი მეხუთე შვილია! ჰო, მე კიდევ მყავს ერთი შვილი — ჩემს ცოლს პირველი ქორწინებიდან ვაჟი ჰყავს, რომელიც ასევე ჩემი შვილია. ზუსტად ასევე არიან ნინოსთვის ჩემი შვილებიც...

— ასე რომ, ჯამში 6 შვილის მამა ხართ, ხომ?

— დიახ, სიძიანად, ექვსი მყავს...

— შემოქმედ ადამიანებს უცნაურობები ახასიათებთ ხოლმე, თუმცა ჩემი აზრით, თქვენ ახერხებთ, იყოთ ჩვეულებრივი ადამიანიც...

— ვისი მოსაზრებაა, რომ ამას ვახერხებ?

— პირადად ჩემი...

— საერთოდ, არ მჯერა იმ „გაპრანჭული ხელოვნების“ ცხვირაწეული, ამპარტავანი „ვარსკვლავ-შემოქმედებისა“, რომლებიც ასეთ იმიჯს იქმნიან... მგონია, რომ მათ ნიჭი აკლიათ და ამ რაღაც როლით, ამ ნაკლს ივსებენ. რაც ღმერთისგან მებოძა და რისი გაკეთებაც შემიძლია, იმით როგორ უნდა გავიპრანჭო, ცხვირი როგორ უნდა ავწიო?! ყველაფერი

არც ერთი ცოლისთვის მეუღლე არასდროს დამირქმევია

ხომ ღმერთის საჩუქარია! მე ამის მხოლოდ და მხოლოდ „მატარებელი“ გახლავართ, ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანი, როგორიც თითოეული გლეხია, რომელიც მაგალითად, ვაზს ახარებს. მასავით, ვაზს ვერ მოვუვლი და ღვინოს ვერ დავაყენებ — ამიტომ მან ცხვირი უნდა ასწიოს, მევენახეობაში რომ მჯობნის?.. ამ ცხოვრებაში ღმერთისგან ყველას რაღაც გზა და ნიჭი მოგვეცა. მაგალითად, გავიხსენოთ კომპოზიტორი რეზო ლაღიძე — განა ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო?! ან ბიძინა კვერნაძე — ჩვეულებრივი ადამიანი არ არის?! ყველა დიდი შემოქმედი ცოცხალიც და აწ გარდაცვლილიც ჩვეულებრივები იყვნენ და არიან...

— ახლა გესაუბრებით და ის წლები მახსენდება, როდესაც „თეატრალურ სარდაფში“ ახალგაზრდებს საინტერესო ლექციასაუბრებს უტარებდით. რამდენჯერმე მეც დავსწრებივარ...

— თბილისში ლიკას ქორწილში რომ ჩამოვედი, მეგონა, აქ მხოლოდ ერთი კვირა გავჩერდებოდი, მაგრამ მივხვდი, ისე მომნატრებია ჩემი ქვეყანა, რომ ვეღარ მივდივარ... მაგრამ ცოტა ხანში მოსკოვში წასვლას ვაპირებ, რომ იქ დაწყებული საქმეები დავასრულო, ბოლომდე მივიყვანო. თან, ყველაფერი იქ მაქვს, აბსოლუტურად ყველაფერი — მთელი ჩემი სტუდია, აპარატურა, ნოტები, ლექსები, დაუმთავრებელი პროექტები... საერთოდ, ჩვევად მაქვს — სადაც მივდივარ, ცხოვრებაში რაც დამიწერია, შემიქმნია, ყველაფერი თან დამაქვს... იქიდან ეს ყველაფერი უნდა წამოვიღო. ამიტომ, კიდევ ერთი თვე დამჭირდება, „მოსკოვური ამბავი“ რომ დავასრულო და ჩემს ქვეყანაში დავბრუნდე. როცა ჩამოვალ, შემდეგ მინდა, თქვენ მიერ ნახსენები „თავისუფალი საუბრები ხელოვნებაზე“ აღვადგინო. იქ მუსიკა კი იყო ხოლმე დომინანტი, მაგრამ ვლაპარაკობდით ფერწერაზეც, პოეზიაზეც... იმ საღამოებმა ამავსო... ბევრი რამ მომცა. არადა, ყველაფერი აბსოლუტური იმპროვიზაცია გახლდათ. პარასკეობით, ახალგაზრდებთან ყოველი ჩემი შეხვედრა წინასწარ მომზადებული არ ყოფილა; ყველაფერი ადგილზევე ხდებოდა, იქვე იწერებოდა მუსიკა და იქვე ვისმენდით...

— სულ ბოლოს, სამომავლო გეგმებზეც გვითხარით.

— ბოლოს თბილისში რაღაც კონცერტები კი შევასრულე, მაგრამ ისინი მაინც ძველი პროგრამებიდან იყო, რომელთაც ახალი ინტერპრეტაცია ჰქონდა. ხოლო რაც შეეხება ახალ პროექტს — „გალობანი სინანულისანი“, რომელიც მომზადებული მაქვს, — მისი ფილარმონიაში შესრულება მინდა. 10 წლის წინ ოპერაში ჩატარებული მასშტაბური კონცერტის შემდეგ მსგავსი აღარაფერი გამიმართავს. ამიტომ, ჩემი ხალხისთვის, უსაყვარლესი საქართველოსთვის, 10 წლის შემდეგ, მაისში, გრანდიოზულ კონცერტს გავმართავ; მასში ჩართული იქნებიან სიმფონიური ორკესტრი, გუნდი, ხალხური ინსტრუმენტები, სოლისტები... პროექტის შესახებ დაწვრილებით საუბარი ჯერჯერობით არ მინდა. ჯობია, ის ხალხმა მოისმინოს და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახოს. ვიტყვი ერთს

თბილისში ლიკას ქორწილში რომ ჩამოვედი, მეგონა, აქ მხოლოდ ერთი კვირა გავჩერდებოდი

— ამ პროგრამაში გადმოცემული იქნება საქართველოს ათასაუკუნოვანი ისტორია — დავით აღმაშენებლიდან დღემდე...

— ისე, დათო, მართლაც რომ თბილისსაც მოენატრეთ...

— რაც უნდა ვთქვა, ჩემი ამდენი ხნით მოსკოვში ჩარჩენა მაინც სავიზო რეჟიმის გაუქმებამ და პირდაპირი რეისების შეწყვეტამ გამოიწვია. ამიტომ, ხშირად ვეღარ ჩამოვდიოდი...

სულ ბოლოს, მინდა, ჩემს საყვარელ ქვეყანას ახალი წელი მივუღოცო. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება! იმდენ რამეს გავუძელით, იმდენი რამე გამოვიარეთ, დაწყებული — არაბებისგან, ბერძნებისგან, სპარსელებისგან, ბიზანტიელებისგან, თურქებისგან, მონღოლებისგან, რომ... მსოფლიოში ხალხი არ დარჩენილა, ჩვენი გადაყლაპვა რომ არ ნდომებოდა. მთელ დედამიწაზე მართლაც, გემრიელი „ლუკმა“ ვართ! ჩვენზე უფრო გემრიელი ადგილი მსოფლიოში არ არსებობს, მაგრამ ვერ გადაგვყლაპავენ, იმიტომ, რომ ეს უფლის ნებაა! ■

„მგზავრების“ „ომი და ქორწილი“ და „მგზავრული“ რეკორდსმენობა

სულ რამდენიმე დღის წინ თბილისის კინოთეატრებში ზაზა კოლელიშვილის ახალი ფილმის — „ომი და ქორწილი“ — პრემიერა შედგა. როგორც ცნობილი გახდა, ფილმის საუნდტრეკის ავტორი ჯგუფის — „მგზავრები“ — სოლისტი, გიგი დედალამაზიშვილია. სიმღერებსაც, რასაკვირველია, „მგზავრები“ ასრულებენ. ჯგუფმა უკვე დაიწყო მეორე ქართული ფილმის მუსიკაზე მუშაობა, თუმცა ისინი ამ ფილმში მსახიობებადაც მოგვევლინებიან. როგორ მუშაობენ ახალ ფილმზე, როგორ გახდა „მგზავრები“ გინესის წიგნის რეკორდსმენი და რომელ ფესტივალზე მოიპოვეს მათ გამარჯვება, — ამ ყველაფერზე თავად გიგი მოგვიყვება.

ნათია ჟვანია

— გიგი, „ომი და ქორწილი“ პირველი ფილმია, რომლის მუსიკალურ გაფორმებაზეც თქვენ იზრუნეთ?

— მხატვრული ფილმის მუსიკაზე პირველად ვიმუშავეთ და ეს ნამდვილად არ ყოფილა იოლი. ზაზას შვილებთან ვმეგობრობ და შესაბამისად, მასაც ვიცნობდი. ჩვენს შემოქმედებას არც ისე კარგად იცნობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზაზამ ფილმის გადაღება რომ დაიწყო, გადაწყვიტა, მასში ჩვენი მუსიკა აეჟღერებინა. რასაკვირველია, მის წინადადებას მაშინვე დავთანხმდი, თუმცა ვინერვიულე, რადგან

ეს ჩემთვის ძალზე საპასუხისმგებლო საქმე იყო. მანამდე „მგზავრებმა“ პროექტი „აგვისტო“ გავაკეთეთ, რომლისთვისაც აგვისტოს მოვლენებზე 30-მდე სიმღერა დავწერეთ. რა მექნა, ემოცია სხვაგან ვერსად გამოვხატე... ამიტომ ავიღე გიტარა და სიმღერები დავწერე. შემდეგ სწორედ ეს სიმღერები ზაზას მოვასმენინე, რომელიც ახლა უკვე ფილმის საუნდტრეკია, მან ის აარჩია. გარდა ამისა, სხვა ახალი კომპოზიციებიც გავაკეთეთ, თუმცა ფილმის მუსიკის დიდი ნაწილი ლევან აფშილავასია. მან ჩვენი მუსიკის არანჟირებები გააკეთა და ბევრი სცენა მუსიკალურადაც გააფორმა.

— ვიდრე ფილმი გამოვიდოდა, თქვენ ეს სიმღერა უკვე პოპულარული გახდა...

— იმიტომ, რომ ეს სიმღერა გადაცემა „პროფილში“ შევასრულეთ. სხვათა შორის, ჩანაწერს, იქ შესრულებული სჯობდა, რადგან ძალზე დიდი ემოცია ჩავდეთ. ცოცხლად შესრულებული სულ სხვაა... ამ სიმღერამ ჩვენთვის ბევრი რამ გააკეთა. ვცდილობთ, ყალბები არ ვიყოთ, რამდენად გამოგვდის, ეს სხვამ უნდა შეაფასოს, მაგრამ მგონი, ამ სიმღერით „მგზავრებმა“ საშშობლოს მიმართ ჩვენი დამოკიდებულება გამოვხატეთ. ფილმი მეც ახლა, პრემიერის დროს ვნახე და სიმართლე რომ ვთქვა, ძალიან მომეწონა. მგონი, მოუხდა ჩვენი სიმღერა.

— როგორც ვიცი, ახლა უკვე მეორე ფილმის მუსიკაზე მუშაობ და თუ არ ვცდები, ამ ფილმში მსახიობობ კიდეც, არა?

— მართალი ხარ. ფილმს — „ოცნების ქალაქი“ — დათო იმედაშვილი იღებს და მასში „მგზავრებიც“ ვმონაწილეობთ. მოგეხსენებათ, მე პროფესიით მსახიობი ვარ, ჯგუფში ჩემ გარდა, კიდევ 3 მსახიობი, ერთი რეჟისორი და ბანკირები არიან, მაგრამ ფილმში თამაში არც ერთს არ უჭირს. მიმაჩნია, რომ დათო ძალიან ნიჭიერი რეჟისორი და ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო ადამიანია. ფილმი მსუბუქი მელოდრამაა კომედიური ელემენტებით. ღარიბ ბიჭს მდიდარი გოგონა უყვარდება, ჩვენ კი ღარიბი მუსიკოსები ვართ, რომლებსაც სტუდიაც კი არა აქვთ და სახურავზე უკრავენ. ეს პროექტი ჩვენთვის ძალზე საინტერესოა. აქ რადიკალურად განსხვავებული მუსიკა გვჭირდება. ზაზას ფილმში თუ ტრაგიზმი იყო, აქ უფრო მსუბუქი მუსიკაა. ისე, ჩვენ სტუდია მართლა არა გვაქვს და ჩემს სახლში გავდივართ ხოლმე რეპეტიციებს. ფილმისთვის ეს სახლი დაგვიწუნეს, ღარიბი მუსიკოსებისთვის მეტისმეტად მდიდრულიაო. ჩვენს თავზე ბიძაჩემი ცხოვრობს და ეს სცენა მის სახლში გადავიღეთ.

— ფილმში ცნობილი მსახიობები თამაშობენ?

— კი, ძალიან ცნობილები. მთავარ როლებს ნანკა კალატოზიშვილი და აჩიკო სოლოღაშვილი ასრულებენ. ისე კი დუტა სხირტლაძე, გოგა ბარბაქაძე, გვანცა დარასელია და ბევრი სხვა საინტერესო სახეც თამაშობს. მოკლედ, კარგი გადამღები ჯგუფია. ძალიან ვიღლებით, მაგრამ ეს სასიამოვნო დაღლაა.

— ამ ფილმში „მგზავრების“ რამდენი სიმღერა იქნება?

— ფილმში ჩვენი 6-7 ძველი სიმღერა იქნება, ახალი ჯერ მხოლოდ სამია ჩაწერილი, მაგრამ საერთოდ ალბათ 8 სიმღერა იქნება.

— ფილმი როდის გამოვა ეკრანებზე?

— „ოცნების ქალაქის“ პრემიერა თბილისის კინოთეატრებში 14 აპრილს არის დაგეგმილი.

— ახლა მიამბე, როგორ გახდით ერთ-ერთი ცნობილი ფესტივალის მეორე პრიზიორი?

— ფესტივალი „ზალატოი შლაგერ“ შარშან ოქტომბერში ბელორუსიაში ჩატარდა. პროდიუსერი მამუკა სააკაშვილი დაგვიკავშირდა და ამ ფესტივალში მონაწილეობა შემოგვთავაზა. ჩვენც დავთანხმდით. სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდით, სად მივდიოდით. მამუკა კი გვეუბნებოდა, კარგ ამბავში მიდიხართო, მაგრამ ვიდრე ჩვენი თვალით არ ვნახეთ, ვერ დავიჯერეთ. მერე რა რომ, საქართველოში რაღაცას ვაკეთებდით, ბელორუსიაში ვინ გვიცნობდა?!. როცა ჩავედით, იქ ისეთი სიტუაცია დაგვხვდა, დავიბენით კიდეც. მერე ჩავიკეტეთ და სულ „ვრეპეტიციობდით“, რომ არ შევრცხვენილიყავით. ფესტივალში 12 ქვეყნის ჯგუფები მონაწილეობდნენ და მათ შორის ასაკით ყველაზე პატარები ჩვენ ვიყავით. სპეციალურად ისეთი სიმღერა წავიღეთ, რომელიც ფოლკლორული ელემენტებით იყო დატვირთული. ფესტივალი ორკვირიანი იყო და მის ფარგლებში გაიმართა კონკურსი, რომლის პირველი დღეც პატარა დარბაზში ჩატარდა. მეორე დღეს კი გალა-კონცერტი უნდა ჩატარებულიყო, სადაც გამარჯვებული ჯგუფები იქაურ პოპულარულ მომღერლებთან ერთად იმღერებდნენ, თქვენ წარმოიდგინეთ, ბელორუსებს ძალიან მოვეწონეთ და მეორე ადგილზე გავედით. ქართველებს უფრო მომთხოვნი მსმენელი გვყავს. იქ კი ამ ყველაფერს სხვანაირად უყურებენ. ქუჩაში გიტარით რომ დავდიოდით, უკვე ყველას ვუყვარდით. აეროპორტში რომ ჩავედით, არ გაგვჩხრიკეს, სიტყვიერად გვკითხეს, — ნარკოტიკი გვქონდა თუ არა? უარყოფითი პასუხი რომ მიიღეს, — მაშინ გაიარეთ, თქვენ მუსიკოსები ხართ და ხომ არ გაგჩხრეკთო, — გვიპასუხეს. იქაურებს მუსიკოსებისადმი სხვანაირი დამოკიდებულება აქვთ. აბსოლუტურად უცხო ადამიანები მოდიოდნენ და ავტოგრაფებს გვთხოვდნენ. საერთოდ, ძალიან მრცხვენია ასეთი რაღაცების და იქ რომ ავტოგრაფი მთხოვეს, სულ დავიბენი, რად უნდოდათ, ვერ მივხვდი.

— როგორც ვიცი, სულ ცოტა ხნის წინ, ჯგუფი „მგზავრები“ გინესის რეკორდების წიგნში შევიდა. იქნებ ამის შესახებაც გვიამბო...

— მხოლოდ „მგზავრები“ არ შესულა. მსოფლიოს მასშტაბით გაკეთდა გრანდიოზული პროექტი, რომელიც შიდსის დღეს მიეძღვნა. 156 ქვეყნის წარმომადგენლებმა ჯგუფ „ბითლზის“ სიმღერა შევასრულეთ. გასაოცარი ის იყო, რომ 156-ივე ქვეყანაში სიმღერა ერთობლივად დავიწყეთ. მერე ამ სიმღერების 4-წუთიანი კლიპი გაკეთდა და სწორედ ეს კლიპი შევიდა გინესის რეკორდების წიგნში. კლიპში, რასაკვირველია, საქართველოს სახელით, ჯგუფი „მგზავრები“ ვართ. ეს გერმანიის წამოწყება იყო. საქართველოში კი იდეა სტუდია „სარკემ“ განახორციელა. ძალიან სასიამოვნო შეგრძნება იყო, როცა შევიტყვეთ, რომ ჩვენთვის აბსოლუტურად მოულოდნელად, გინესის რეკორდსმენები გავხდით.

— „მგზავრები“ მხოლოდ ბოლო პერიოდში გააქტიურდით და უკვე საკმაო პოპულარობაც მოიპოვეთ. როდის შეიქმნა თქვენი ჯგუფი, აქამდე რას აკეთებდით?

— 3 წელია, რაც ჯგუფი „მგზავრები“ შეიქმნა. რაც შეეხება აქტიურობას, მიმაჩნია, რომ სულაც არ ვაქტიურობთ, უბრალოდ, ვწერთ სიმღერებს და კონცერტებს ვატარებთ, რადგან ეს საქმე მოგვწონს,

3 წელია, რაც ჯგუფი „მგზავრები“ შეიქმნა

„შემიძლია, მთელი ცხოვრება ერთი ადამიანის გვერდით ვიყო. მე ძალიან კარგი ბიჭი ვარ“...

გულწრფელი ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტის შედგენა საკმაოდ იოლია. სწორედ ასეთი აღმოჩნდა დღევანდელი ჩემი რესპონდენტი — გია სურამელაშვილი. მას 24 იანვარს 41 წელი შეუსრულდა. წლების მატებას მომღერალი მტკივნეულად განიცდის, თუმცა, ამბობს, რომ გული არ ბერდება... საკუთარ დაბადების დღეს გიამ ახალი სიმღერა — „მოგონება“ მიუძღვნა, რომელიც როგორც მისი სიმღერების უმეტესობა, მანვე შექმნა. კლიპის გადაღება ამ დღეებში დამთავრდება და მალე მომღერლის თაყვანისმცემლები მას ეკრანზე იხილავენ.

ნინო მჭედლიშვილი

— ამ სიმღერის ტექსტი 6 იანვარს დავწერე. როგორც ყველა სიმღერა, ესეც სიყვარულზეა, მონატრებამ დამაწერინა... კლიპი ორ დღეში გადავიღეთ, ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კლიპის რეჟისორ გია კაიშაურს. ვიდეორგოლში მხოლოდ მე ვმონაწილეობ.

— გია, ჩვენ დღეს შენი ფსიქოპორტრეტი უნდა შევადგინოთ და ამისთვის სპეციფიკურ კითხვებზე მოგიწევს პასუხის გაცემა. მზად ხარ?

— რა თქმა უნდა, რადგან გავბედე და მოვედი, არაფერი მაქვს დასამალი...

— როცა ინტერვიუს აძლევ, ცდილობ, რომ იმაზე უკეთესი გამოჩნდე, ვიდრე ხარ?

— არა, როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივი ვარ. საერთოდ, არ მიყვარს ტყუილი და შესაბამისად, ვერც როლებს ვირგებ. არც წინასწარ ვფიქრობ, რა ვთქვა, როგორ ვთქვა, რომ მკითხველის თვალში კარგად გამოვჩნდე. ასეთი ვარ და ასეთი ვუყვარვარ ჩემს მსმენელს. ვერ ვითამაშებ... მე თამაში სცენაზე ვიცი, როცა ვმღერი.

— სარკის წინ დიდ დროს ატარებ?

— სანამ სახლიდან გამოვალ, თავის ფორმაში მოსაყვანად, 30 წუთი მჭირდება... ტანსაცმლის შერჩევა ცოტა მიჭირს. გარდერობიდან რაღაცას გამოვიღებ, ჩავიცვამ და თუ არ მომეწონება, ისევ შევინახავ, მერე სხვას გამოვიღებ და ასე... ეს მტანჯავს.

— ძირითადად, რა არ მოგწონს ხოლმე?

— ხან შარვალი არ მომწონს, ხან — ფეხსაცმელი. ხასიათის ადამიანი ვარ. თუ ცუდ ხასიათზე ვარ, საერთოდ, ჩემს ტანზე ჩაცმული არაფერი მომწონს. ის კი არა, თუ ხასიათზე არ ვარ, საკუთარი თავიც აღარ მომწონს. თან, დილიდან ვიცი ხოლმე უაზროდ „ავარდნა“...

— რაზე შეიძლება „ავარდე“?

— მაგალითად, ვიღაცის მონატრებამ, ჩვეულებრივმა საჭირბოროტო პრობლემებმა შეიძლება, „ამაგდოს“.

— მაგალითად, დილით გაიღვიძე და ყავა არ გაქვს სახლში. შეიძლება, ამაზე „ავარდე“?

— არა, ჩემს ცხოვრებაში ასეთი მომენტი არ არსებობს.

— რატომ, ვინ ზრუნავს იმაზე, რომ ყოველ დილით ყავა გქონდეს სახლში?

— ამაზე ჩემი მეგობრები ზრუნავენ, რომ ყავაც მქონდეს სახლში და — საჭმელიც.

— სამზარეულოში ფუსფუსი არ გეხერხება?

— როგორ არა, საუკეთესო სადილებს ვაკეთებ. გადასარევი ტოლმა გამომდის, საცივი, თევზი მაიონეზში... ძალიან მიყვარს ჭამა; დედა კარგი კულინარი იყო და ბევრი კერძი მისგან ვისწავლე. გარკვეული პერიოდი რუსეთში მომიწია ცხოვრებამ. იქ გემრიელი კერძებით ჩემი მეგობრები მანებივრებდნენ, მაგრამ საღამოობით, როცა ბევრი საქმე არ მქონდა, თავადაც სიამოვნებით ვამზადებდი. ზოგჯერ იყო ისეთი პერიოდი, რაღაც ქართული კერძი მინდოდა, მეჭამა, რასაც იქ ვერ ვიშოვიდი. ასეთ შემთხვევაში დედაჩემს ვურეკავდი, ეს როგორ გავაკეთო-მეთქი, — ვეკითხებოდი და კერძებს ასეთი სატელეფონო კონსულტაციების შედეგად ვამზადებდი.

— დავუშვათ, სიგარეტი გაგითავდა. მის საყიდლად ხალათით მაღაზიაში თუ ჩახვალ?

თორემ რადიოშიც კი არ მივსულვართ და არ გვითხოვია, ჩვენი სიმღერა დაატრიალეთ-თქო. ყველაფერი თავისთავად მოდის. თუ რამეს შემოგვთავაზებენ — კი, ბატონო, უარს არ ვიტყვით, თუ არა და, სულაც არ ვაქტიურობთ... აქამდე სად ვიყავით და — მე ჯერ თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი; „მგზავრების“ რამდენიმე წევრი სწორედ ჩემი უნივერსიტეტელი მეგობარია. მათთან ერთად, დედაჩემთან ვმღეროდი. მერე თეატრალურში სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე. ეს პროფესია ცხოვრებაში ძალიან დამეხმარა — ბევრ რამეს სხვა კუთხით და სხვა თვალით შევხედე. იქაც შევკრიბე მეგობრები და „გეპეისა“ და თეატრალურის სამეგობროთი შევქმენი ჯგუფი „მგზავრები“.

— წელან მითხარი, სტუდია არა გვაქვს და სახლში ვმეცადინეობთო. ისიც ვიცი, რომ ჯგუფში სულ 15 წევრი ხართ და ყველა რაღაც საკრავზე უკრავს. მეზობლები თქვენი რეპეტიციების გამო რას ამბობენ?

— მეზობლებში გაგვიმართლა — მათ ძალიან ვუყვარვართ და ჩვენც გვიყვარს ჩვენი მეზობლები. ყოველდღე ღამის 2-3 საათამდე ჩვენს ბრაგაბრუგს ისმენენ და ამის გამო საყვედური ერთხელაც კი არ უთქვამთ.

— როგორც მსახიობი, „ოცნების ქალაქის“ გარდა, სხვაგან თუ გამოჩენილხარ?

— როგორ არა, სპექტაკლებშიც ვმონაწილეობ. მარჯანიშვილის თეატრში ვითამაშე ჩვენს სადიპლომო სპექტაკლში „შერცხვენილნი“, რომელიც ჩემმა პედაგოგმა, ნუკრი ქანთარიამ დადგა. მერე რუსთაველის თეატრში, ჩემმა მეგობარმა ვათო ჯუღელმა დადგა კიდევ ერთი სპექტაკლი და იქაც ვითამაშე. ასე, ცოტ-ცოტა რაღაცებს ვაკეთებ. ვცდილობ, თუ კარგ რამეს ვერ გავაკეთებ, არ დავაშავო მაინც.

— ასეთი დაკავებული რომ ხარ, პირადი ცხოვრებისთვის თუ იცლი?

— კი, პირადი ცხოვრებისთვის ვიცლი ხოლმე.

— მართალია, ჭორები იმის შესახებ, რომ შენ და ია სუხიტაშვილს რომანი გაქვთ?

— არა. მე და იას — არა...

— აღარ გაქვთ რომანი თუ არც გქონიათ?..

— იასთან ვმეგობრობ, ძალიან მიყვარს და ვაფასებ. ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვაქვს.

— ძალიან არადამაჯერებელი პასუხები გაქვს. როგორც ჩანს, იასთან მართლაც, რაღაც ხდება.

— ჰო, ხდებოდა. ისე, პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი არ მიყვარს. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჯერ ცოლი არ მომყავს. ვინც მიყვარს, ის ყოველთვის ჩემთან ერთად არის და ძალაუნებურად, ისიც ერთ-ერთი „მგზავრელი“ ხდება. ამის შესახებ მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია. ■

— ხალათით არა, მაგრამ მარკეტში დილაობით ხშირად „ჩავვარდნილვარ“. გამყიდველებს ჩემი დანახვა ძალიან უხარიათ ხოლმე. მაგრამ ხომ შეიძლება, უცბად შამპანურის დალევა მომინდეს. სანამ რომელიმე მეგობარი მოვა, იმას ხომ ვერ დაველოდები, ავდგები და მაღაზიაში თავადაც კარგად ჩავირბენ.

— ისე, მაღაზიაში საყიდლებზე სიარული თუ გიყვარს?

— რას ლაპარაკობ, როგორ არ მიყვარს?! საყიდლებზე სიარული ჩემი „წიკია“.

— შინ ხალათით სიარული გიყვარს?

— საერთოდ, ხალათი მიყვარს. 5 ცალი მაქვს — სულ ფერად-ფერადი, ატლასით დაწყებული, პირსახოცის ქსოვილით დამთავრებული...

— მაგალითად, უკვე ქუჩაში გამოსულმა შეამჩნიე, რომ ქურთუკი უკუღმა გაცვია, რას იზამ?

— რა უნდა ვქნა? გადმოვაბრუნებ და წაღმა ჩავიცვამ, მაგრამ ქუჩაში როგორ უნდა შევამჩნიო ეს, მე ხომ ფაქტობრივად, ქუჩაში არ დავდივარ?.. სახლიდან გამოვალ თუ არა, მანქანაში ვჯდები... ამიტომ, თუ ტანსაცმელი უკუღმა მაცვია და ეს მძღოლმა შენიშნა, აუცილებლად მეტყვის...

— მძღოლი გემსახურება?

— აბა, შენ რა გგონია, სამარშრუტო ტაქსით მოვედი ახლა შენთან?!. ისე, ერთხელ მაისური მეცვა უკუღმა და ეს რომ შევამჩნიე, ისე გადავიხარხარე, მგონი, ირგვლივ ყველამ შეიტყო ამის შესახებ... ამ ფაქტმა კინაღამ სიცილით გამგუდა...

— როცა კომპლიმენტს გეუბნებიან, გსიამოვნებს?

— რა თქმა უნდა...

— რამდენ ხანს გეყოფა ერთი კომპლიმენტი, რომ ბედნიერი იყო?

— დღეში ათ კომპლიმენტს მაინც ვიღებ და წარმოიდგინე, რა ბედნიერი ვარ...

— თვითონ ამ მხრივ რამდენად ხელგაშლილი ხარ, სხვებისთვის ქათინაურებს ადვილად იმეტებ?

— თუ ადამიანი მიყვარს, მის მიმართ ხელგაშლილი ვარ...

— აბა, მითხარი, შენი საფირმო კომპლიმენტი?

— (*ფიქრობს*) დაცემა ხარ!...

— ისე, რთული ხასიათი გაქვს?

— თავისებური ხასიათი მაქვს; მაგალითად, ამას წინათ 150-ლარიანი თეთრეული მაჩუქეს. ვერ ავიტანე... ვერ მოვირგე და ახლა 40-ლარიანში ვწევარ. მართლა კარგი ხარისხის იყო, მაგრამ ერთხელ რომ ამოვიჩემე, რაღაც არ მომწონს-მეთქი, მორჩა...

— ახლა ის ადამიანი, ვინც ეს თეთრეული გაჩუქა, ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავს, არ ეწყინება, საჩუქარი რომ დაუწუნე?

— უკვე იცის, ვუთხარი. რა არის ამაში დასამალი, ვერ ავიტანე და რა ვქნა?!

— რა არ მოგწონს შენს ხასიათში?

— ფიცხი ვარ, შეიძლება, წონასწორობიდან უმნიშვნელო რამეზე გამოვიდე და თავი ვეღარ გავაკონტროლო...

— ერთი ასეთი შემთხვევა მაინც გაიხსენე...

— ერთ-ერთმა ტაბლოიდმა ხუთი გვერდი რომ მოგვიძღვნა მე და ჩემს შვილს, ის. რაღაც სისულელეს მაბრალებდნენ, ვითომ მე ჩემს შვილს ცოლის მოყვანა ავუკრძალე და საცოლე დავუწუნე და ა.შ.

— მდგომარეობიდან რომ გამოდიხარ, ამას როგორ გამოხატავ?

— ვყვირი და ვიგინები...

— იგინები?!

— დიახ (*იცინის*). ვინმემ იმ დროს ჩემი გინება რომ მოისმინოს, იტყვის, ამ გინების შემდეგ მისი ბაგიდან სიმღერა როგორღა ამოდისო...

— შენმა ბიჭმა თავისზე 20 წლით უფროსი ქალი რომ შეირთოს ცოლად, რას იზამ?

— დაუშვებელია. არა მგონია, ეგ გაბედოს.

— რჩევას ყოველთვის გეკითხება?

— რა თქმა უნდა, ურჩხული არ ვარ, ჩვენ ვმეგობრობთ, ძმაკაცები ვართ და არა მგონია, ამის შესახებ წინასწარ არ გამაფრთხილოს. ყველანაირად შევეცდები, ამაში ხელი შევუშალო.

— გია, რამდენი წლის ხარ?

— 24 იანვარს 41-ის გავხდი...

— რას ვერ აპატიებ ახლობელ ადამიანებს?

— ღალატს, ტყუილს.

— თუ მოგიძულებია ახლობელი ადამიანი?

— კი... საყვარელი ადამიანი დამიკარგავს. უდანაშაულოდ არავის დავშორდები, მაგრამ თუ დააშავა, ვეღარც დამირეკავს. შეიძლება, მომენატროს კიდეც, მაგრამ მასზე გული აღარ მომიბრუნდება...

— ამაყი ხარ?

— არა. უბრალოდ არის მომენტი, როცა ადამიანს ვერ ვაპატიებ. ჩემთვის ძალიან საყვარელი პიროვნება, რომელიც სიგიჟემდე მიყვარდა, ცოტა ხნის წინ დავკარგე, მისი დანახვა აღარ მინდა. სურვილი მაქვს, რომ ჩემი ცხოვრებიდან საერთოდ ამოვშალო. არაადამიანურად მოიქცა... მინდა, თქვენი ჟურნალის საშუალებით ვუთხრა, რომ მართლა ძალიან მიყვარდა, მაგრამ...

დღეში ათ კომპლიმენტს მაინც ვიღებ და წარმოიდგინე, რა ბედნიერი ვარ...

— ასეთი რა ჩაიდინა?

— გახსენებაც არ მსურს...

— ვიცი, რომ ალკოჰოლი გიყვარს.

— ძალიან მიყვარს.

— სიმთვრალეში სისულელეები თუ ჩაგიდენია?

— რამდენიც გინდა... მაგრამ ახლა რომ ისინი გავიხსენო, თავი მომეჭრება (*იცინის*).

— პირველივე შემხვედრს გაჰყოლიხარ სახლში ან შენთან თუ მოგიყვანია?

— კი (*იცინის*), მთვრალსაც და ფხიზელსაც.

— მეორე დღეს არ გინანია ამის გამო?

— რატომ? მე ისეთ ადამიანს არ გავყვები, მერე სანანებელი რომ გამიხდეს. რადგან ის ჩემს საწოლში აღმოჩნდა, ე.ი. მომწონს და მის მიმართ ლტოლვა მაქვს, მსიამოვნებს მასთან ურთიერთობა...

— ერთგული ხარ?

— ძალიან. შემიძლია, მთელი ცხოვრება ერთი ადამიანის გვერდით ვიყო. თვითონ ვერ „ქაჩავენ“, თორემ მე ძალიან კარგი ბიჭი ვარ...

— ისეთი რამ თუ გაგიკეთებია ცხოვრებაში, რაც შემდეგ გინანია?

— გრძნობით ჩადენილ შეცდომებს გულისხმობ?.. ეგ სადღეგრძელოა, — გრძნობით ჩადენილ შეცდომებს გაუმარჯოს! მაგას მე შეცდომად არ მივიჩნევ. ხშირად მომხდარა ასეთი რამ. იქიდან სიყვარული დაბადებულა და ურთიერთობა გაგრძელებულა.

— დავუშვათ. ნაბახუსევზე გიყვებიან, წინაღამეს როგორ მიადექი პრეზიდენტის რეზიდენციას და როგორ უმღერე შენი ცნობილი სიმღერა „პაემანი“ დაიჯერებ?

— სისულელეები მართლაც ჩამიდენია; ქუჩაში იმღერე ან მანქანის „კაპოტზე“ გაშლილ პურმარილზე კარგად მოულხინეო, რომ მითხრან, შეიძლება, დავიჯერო, მაგრამ... პრეზიდენტის ფანჯრებთან „პაემანს“ რატომ ვიმღერებდი?! თან ისე არც ვთვრები, მეორე დღეს რომ არაფერი მახსოვდეს.

— ზარმაცი ხარ?

— დიახ... მიყვარს მეორე დღისთვის საქმის გადადება. ვერ შევიგნე, რომ მაგალითად, თუ დღეს ვთვრები, მეორე დღისთვის შეხვედრა არავის დავუნიშნო.

— მთვრალი მაშინვე იძინებ, თუ სიარული გიყვარს?

— რას ლაპარაკობ, დილამდე ვქეიფობ, რა დამაძინებს (*იცინის*)?!

— დასასრულ, შენი საყვარელი სადღეგრძელო მითხარი...

— „რადგან უთქმელად მჯეროდა შენი,
შემომფიცეო, ვერ გაგიბედე.
ისე დაეცა იმედის ტევრი,
ერთი ამბორიც ვერ გაგიბედე.
დავშორეულდით და გვიან შევხვდით,
მე საყვედურიც ვერ გაგიბედე.
გაუბედავებს გაურბით ბედი,
ვიცოდი, მაგრამ ვერ გაგიბედე.“

გაუბედავ და გაუმხელელ სიყვარულს გაუმარჯოს!

■

„შორენა ბეგაშვილი“ მსურველებს ტანსაცმლით ასაჩუქრებს — „წაილეთ, რომ კიდევ არ ჩამაცვან!“

„კომედი-შოუს“ მსახიობმა — ნიკა გრიგოლიამ დავით აქუბარდიათი დაწყებული „კარიერა“ პროდიის განხრით გაამრავალფეროვნა და ახლახან „ახალთახალი“ შორენა ბეგაშვილის იმიტაცია შემოგვთავაზა. გაირკვა, რომ კოლეჰოტისა და მოკლე კაბისთვის ნიკა ქვისლმა — მიშა ანდღულაძემ „გაწირა“. „შორენა“ სარკეში საკუთარ ორეულს აგინებდა, სამაგიეროდ, „კომედი-შოუს“ თანამშრომელი მამაკაცები მას ბედნიერი სახეებით უყურებდნენ...

ეთო ყორღანაშვილი

— პროდირების დიდი ნიჭი არასოდეს მქონია. თავდაპირველად, ჩვენმა შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ დავით აქუბარდიასთვის მიმებაძა. ყველაფერი აქედან დაიწყო. ახლა, როცა ტელეწამყვანის პროდირებაზეა საუბარი, ბევრს არ ფიქრობენ — ნიკამ უნდა გააკეთოს და მორჩა!

— მაინცდამაინც შენ რატომ მოგანდვეს ეს საქმე?

— ერთხელ ხუმრობით აქუბარდიას ხმით რაღაც ვთქვი. მისი გადაცემა სულ 2-ჯერ მქონდა ნანახი, მაგრამ იმდენად სპეციფიკური ტიპია, რომ მისი საუბრის მანერა დამამახსოვრდა. თან, ეტყობა, მის ხმას კარგად მივამსგავსე, თორემ თავი რომ მოვიკლა, მაგალითად, სააკაშვილის პროდიას ვერ გავაკეთებ. სამაგიეროდ, ეს გიორგი აფციაურისთვის ძალზე იოლია. შემდეგ მგონი, ინგა გრიგოლიას პროდია გავაკეთე. ალბათ, ამაში გვარმაც შემიწყო ხელი, თორემ ინგას არც გარეგნობით, არც ხმით და მით უმეტეს, არც ჟურნალისტური გამოცდილებით არ ვგავარ. მის გადაცემებს ყოველთვის ვგულშემატკივრობდი. პატარ-პატარა ნიუანსების „დაჭერა“ მეხერხება. საბოლოო ჯამში, ინგას პროდიაც კარგი გამოვიდა. ძალიან მწყინს, როცა ამბობენ, რომ თითქოს რომელიმე ტელეწამყვანს დავცინი. ასეთი რამ როგორ უნდა დამაბრალონ? მაია ასათიანის პროდია 2-ჯერ გავაკეთე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დავცინით, პირიქით — მაიკო ჩვენი მეგობარია, ძალიან გვიყვარს და მისი გადაცემის გულშემატკივრები ვართ. ცუდია, როცა ამბობენ, — აუ, აქუ როგორ „გააბანძეო?“ შეურაცხყოფას არავის ვაყენებთ, უბრალოდ, ვხუმრობთ — ეს ჩვენი საქმეა. ძალიან მინდა, რომ აქუ ჩემი მეგობარი იყოს!

— მერე, რა გიშლის ხელს?

— რა ვიცი, აბა? ჩვენი სამუშაო ადგილი, მისწრაფებები, გართობის სფეროები ერთმანეთს ვერ დაემთხვა, თორემ მასთან სიამოვნებით ვიმეგობრებდი, ერთად დავლევდით...

— პირადად არასოდეს შეხვედრიხარ?

— სამწუხაროდ — არა. მისი ერთ-ერთი ნათესავი ჩემი მეგობარია, მაგრამ თავად აქუსთან ვერ ვმეგობრობ. სხვათა შორის, ვის პროდიასაც ვაკეთებ, აქუბარდიას გარდა, თითქმის ყველამ დამირეკა და მითხრა: ბევრი ვიცინეთ, კარგი იყოო!

— წელან მაია ასათიანი ახსენე. რა დრო მოანდომე „მაიად გადაქცევას“?

— მაიკო სხვა ტელეწამყვანებისგან ისევე განსხვავდება, როგორც აქუ, ინგა... მას რაღაც დამახასიათებელი თვისებები აქვს, თუნდაც — ხელის მოძრაობა. გარკვეული ნიუანსები „დავიჭირე“ და სასაცილო რომ ყოფილიყო, მაყურებლისთვის უფრო თვალში საცემი გავხადე. არ გამჭირვებია და მგონი, კარგი გამოვიდა. გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ, მაიკომ დამირეკა და პირველად ეს მკითხა: — მაკიაჟი ვინ გაგიკეთაო? ერთი და იგივე ვიზაჟისტი გვყავდა (*იცინის*).

— მაია ასათიანის გადაცემა მოგწონს? „პროფილს“ უყურებ ხოლმე?

— რა თქმა უნდა, ქართული ტელეარხებიდან მხოლოდ „რუსთავი 2“-ს ვუყურებ — ჩვენთან, სახლში სხვა არხებს არ აჩვენებს (*იცინის*). სიმართლე გითხრა, დიდი „ტელევიზორისტი“ არ ვარ და დროც არ მაქვს, რომ „პროფილს“ სისტემატურად ვუყურო. ჩემთან, შინ ამ გადაცემას ყოველთვის უყურებენ და როცა დრო მაქვს, მეც თვალს ვადევნებ. სხვათა შორის, საინტერესოა და მხოლოდ ტრირილისთვის განკუთვნელი თემები (რაზეც ჩვენ ვიცინით ხოლმე) არა აქვს.

— მიუხედავად იმისა, რომ შენი ტელევიზორი მხოლოდ „რუსთავი 2“-ს უჩვენებს, შორენა ბეგაშვილის გადაცემისთვისაც გიყურებია...

— კი. მორიგ სიმართლეს გეტყვი. ეს გადაცემა ტელევიზორში არ მინახავს. მიზეზი ისევ მოუცლელობაა. სამაგიეროდ, ინტერნეტში ვნახე. რომ გავიგე, „იმედზე“ შორენას ასეთი ტიპის გადაცემა მიჰყავდა, მაშინვე დავინტერესდი. შეიძლება, ზოგს მოსწონს, ზოგს — არა, მაგრამ „ღამემ შორენასთან“ ყველა დააინტერესა. რაც საზოგადოებას აინტერესებს, იმით ჩვენც ვინტერესდებით — „მონადირეები“ ვართ. ჩემს ქვისლს — მიშა ანდღულაძეს მოუვიდა იდეა, რომ შორენას პროდია გამეკეთებინა. რა თქმა უნდა, მისი აზრი ყველამ მოიწონა, სამწუხაროდ...

— რატომ სამწუხაროდ?

— იმიტომ, რომ ჩემთვის, ცოტა არ იყოს, უხერხულია მოკლე კაბის, „ჩულქის“ ჩაცმა, სახეზე 400-500 გრამი მაკიაჟის დადება, პარიკი... ყველაფრის თქმა არ მინდა (*იცინის*)!.. რთულია, მაგრამ როცა რაიმეს გაკეთებას გადავწყვეტ, შესაძლებლობების მაქსიმუმს ვიყენებ. შორენა ბეგაშვილს ვერავინ დამამსგავსებს — ალბათ, ამისათვის ივა კუზანოვი ძალიან უნდა გაისარჯოს (*იცინის*), მაგრამ ჩაცმულობამ, საუბრის მანერამ, დეკორაციამ თავისი ქნა. მიხარია, რომ სამსახურში, იმ დღეს ბევრი თანამშრომელი მამაკაცი ცოტა სხვა თვალით მიყურებდა.

— რატომ გიხარია? რას გულისხმობ?

— ჯერ ქვედაბოლო ამოვიცვი და ყველამ გავიცინეთ. მერე პერანგი ჩავიცვი... ნელ-ნელა შორენას ვემსგავსებოდი. ბოლოს უკვე ბედნიერი სახით მიყურებდნენ — „სკეტჩი“ კარგი გამოვაო! დეკორატორმა ისეთი დეკორაცია გააკეთა, რომ თავი მართლა იქ მეგონა, სადაც შორენა ზის ხოლმე. მაკიაჟიც რომ გამიკეთეს, ყველამ აღნიშნა, — აუ, გრიგოლ, მაგარიაო! ერთმანეთს ყოველდღე არ

ვაქებთ. ბიჭებს ვეუბნებოდი, — მაინცდამაინც შორენას უნდა ვგავდე, ჩემი დანახვა ასე რომ გიხაროდეთ-მეთქი (*იცინის*)? სარკეში რომ ჩავიხედე, კინაღამ ცუდად გავხდი — საკუთარ თავს ვაგინებდი და თან, მაგრად მეცინებოდა! ეს „სკეტჩი“ ჩემი მეგობრებისთვის ხუმრობის საბაბი გახდა: მირეკავენ და დამცინიან, — შორენა, საღამოს რას აკეთებო (*იცინის*)?

— ნიკა, „სკეტჩში“ ვისი ტანისამოსი გაცვია?

— ის სამოსი ჩემამდე არავის ჩაუცვამს — ჩვენმა დიზაინერმა მაღაზიაში იყიდა. თუ ვინმეს აქვს სურვილი, აიღოს და უკან არასოდეს მოიტანოს, რომ კიდევ არ ჩამაცვან (*იცინის*)!

— მამაკაცი თაყვანისმცემლებიც ხომ არ გამოგიჩნდნენ?

— ჯერ არავისგან არაფერი მიგრძნია — შეიძლება, ფარულად მყავს (*იცინის*). თუ მართლა არსებობთ ასეთები, ძალიან გთხოვთ, თავი შეიკავეთ — მე ძალიან ლამაზი ცოლშვილი მყავს და მოდი, მეგობრებად დავრჩეთ (*იცინის*)...

— „სექსი“ ლათინური სიტყვაა და ქართულად „გათხოვებას“ ნიშნავს“ — ამ ფრაზით ქორწინებამდე სექსის მოწინააღმდეგეებს დასცინე?

— ეს ხუმრობა გადაცემის თემას — სექსს მოჰყვა, თორემ ადამიანის გადაწყვეტილებას არასოდეს დავცინებ. თუკი ვინმეს სურს, რომ ქორწილამდე ან ქორწილის შემდეგაც არ ჰქონდეს სექსი, ეს მისი ნებაა! თუ ქალს უნდა, მხოლოდ ერთ მამაკაცთან ჰქონდეს სექსი, ეს დასაცინი არაა. ასევე, არ შეიძლება, მამაკაცს ცოლის ერთგულების გამო დასცინო.

— „სკეტჩში“, სადაც შორენა ბეგაშვილს ჰბაძავ, ქვაბში ქათამს ძალიან „სექსუალურად“ აგდებ. შინაც ასეთი „ხელმარჯვე“ ხარ?

— მოხარშულ ქათამს ქვაბში რომ ვაგდებ, ამაში ჩემი აზრით, სექსუალურობის ნატამალიც არაა! როცა ქათამი ხელში მეჭირა და ყინულები კოლჰოტიან ფეხებზე მეცემოდა, თავს ძლივს ვიკავებდი — კინაღამ გიჟივით სიცილი წამსკდა! რომ შემძლებოდა, საკუთარ თავს ვცემდი (*იცინის*)! სხვათა შორის, სამზარეულოში ტრიალი მიყვარს. ჩემთან, სახლში ამბობენ, — როგორ შეიძლება, „ომლეტი“ ისე მოამზადო, რომ გაგიკვირდესო? აი, მე ისეთ „ომლეტს“ ვამზადებ, რომ ნამდვილად გაგიკვირდება — საიდუმლო რეცეპტი მაქვს. მხოლოდ კვერცხის შეწვა კი არ ვიცი — რამდენიმე წლის განმავლობაში, მარტო ვცხოვრობდი და კერძების მომზადება შემიძლია. სამწუხაროდ, ახლა ამისთვის დრო არ მრჩება: სამსახურში გვიანობამდე ვარ. შინ მისულს დაძინებული შვილი მხვდება, ცოლს კი იმიტომ არ სძინავს, რომ ქმრის დაბრუნებას ელის. ჩემი თანამშრომლებიც ასეთ დღეში არიან — ბევრს ვშრომობთ...

— შენს შვილზე მიამბე. როგორი ბიჭუნაა?

— ჭკვიანი ბიჭია: ტელევიზორში მამას რომ ხედავს, ამბობს, — მამა, მამაო! 1 წლის და 8 თვისაა. ძალიან მიყვარს — ალბათ, ისე, როგორც ყველა მშობელს — შვილი.

— პატარამ შორენას ფორმაში გამოწყობილიც გიცნო?

— რომ არ მოგატყუო, მხოლოდ შორენას ფორმაში ვერ მიცნო, ჯერჯერობით. ვკითხეთ, — ვინ არისთქო? მაგრამ თავი გააქნია ანუ ვერ მიხვდა. როცა ამბობს, — „ის“ არისთქო, ე.ი. არ იცის, ვინაა. ისე, როცა ეკრანზე მხედავს, ტელევიზორთან მიდის და „მელაპარაკება“. ხუმრობებს ჯერ ვერ იგებს, უფრო ზუსტად — მხოლოდ იმ ხუმრობებს იგებს, რაც მარტო მე და მან ვიცით (*იცინის*). კარგი ბიჭუნაა. ხელს არ მიშლის, პირიქით, მეხმარება...

— ნიკა, კიდევ რომელი ტელეწამყვანი გყავს „მიზანში ამოღებული“?

— შორენა ჯერ სულ ახალთახალია და ჯერჯერობით ამით დავკმაყოფილდეთ. მაყურებელს პირობას ვაძლევ, რომ ყოველი ახალი გადაცემა წინაზე უფრო სასაცილო იქნება!

■

ელენე ბასილიძე

ყველასათვის საყვარელი სერიალის, „შუა ქალაქის“ ახალმა გმირმა — არსენამ, მალევე მოიპოვა საზოგადოების სიმპათია და როგორც უნდა გაგიკვირდეთ, არსენას პროტოტიპი, ნამდვილი არსენა აღმოვაჩინეთ, რომელიც 15 წლიდან ავტომობილებს „მკურნალობს“. ბატონი არსენა დღეს დიდი „პროფილაქტიკის“ მფლობელია და როდესაც ჩემი მისვლის მიზეზი ავუხსენი, გულიანად გაიცინა: — მე და სერიალის გმირი არსენა სეხნიებიც ვართ და პროფესიითა და სიმელოტით ერთმანეთს ვგავართო. აღმოჩნდა, რომ არსენ ნატრიაშვილი ტელესერიალ „შუა ქალაქის“ დიდი გულშემატკივარი ყოფილა და თავის სეხნიაზე მეტად თუ არა, ნაკლებად ნამდვილად არ უყვარს ანანო.

— 15 წლიდან მანქანების „ექიმი“ ვარ, ახლა 62 წლის გახლავართ და დღემდე, საკუთარ პროფესიაზე ვარ შეყვარებული... მთელი ცხოვრება მანქანებთან მაქვს საქმე, ჩემი სპეციალობა ტრანსპორტის წინა სავალი ნაწილების აღდგენაა.

წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან გახლავართ, სოფელი ბაღდათში მაქვს; ბავშვობაში, ბებიასთან, დასავლეთში ვიზრდებოდი, ჩემი მშობლები კი — თბილისში ცხოვრობდნენ. 15 წლიდან, მშობლებთან საცხოვრებლად ქალაქში ჩამოვედი.

— ბატონო არსენ, რამ განაპირობა თქვენი ავტომობილებით დაინტერესება?

— ბავშვობიდანვე ძალიან მიტაცებდა ავტომობილები. საკმაოდ პატარა ვიყავი, ტაქსების სარემონტო „პროფილაქტიკაში“ რომ დავიწყე მუშაობა. მაშინ, გაზეთშიც დაიბეჭდა ჩემ შესახებ სტატია, თუ როგორი პატარა და მონდომებული ბიჭი ვიყავი (*იცინის*). აი, იქიდან მოვდივარ და მოვდივარ... ეს პროფილაქტორიუმი არაფრისგან შევქმენი.

— მეუღლე თუ გყავთ?

— კი, აბა, რა?! ჩემი მეუღლე მეხუთე კლასში შემიყვარდა. დიდი „ხულიგანი“ ბიჭი ვიყავი, ჩემი მომავალი მეუღლე კი — ოქროსმედალოსანი. მთელი მისი სანათესავო დამდევდა, ცოლად რომ არ მომეყვანა, მაგრამ ჯარიდან ჩამოსვლისთანავე მივაკითხე და მას შემდეგ, ერთად ვართ, მყავს ერთი გოგონა და შვილიშვილები. სამწუხაროდ, ვაჟი 19 წლის ასაკში დამეღუპა...

— როგორც ვიცი, ძალიან ბევრი კლიენტი გყავთ...

რეალური არსენა „შუა ქალაქის“ ანანოს საკუთარ „პროფილაქტიკაში“ ეპატიჟება

აბა, ანანოზე უარს ვინ იტყვის?!

— ბოლო დროს ეკონომიკური კრიზისის გამო მუშაობა შეჩერდა. ისე კი ხალხი ჩვენს „პროფილაქტიკაში“ საქართველოს ყველა კუთხიდან მოდის. კარგი კლიენტებიც გვყავს; საბედნიეროდ, ამრევები და პრობლემურები არ გვსტუმრობენ. ბოლო დროს ხალხს განსაკუთრებულად გაუჭირდა, ვცდილობთ, ყველაზე მეტად ხელი ახალგაზრდებს შევუწყოთ, მათ ბენზინის ფულიც არა აქვთ და ვცდილობთ, არ „დავახრჩოთ“.

— **თუ არის მანქანა, რომელიც გინდათ, რომ გყავდეთ?**

— რა ვიცი, არა მგონია... დაახლოებით 40-45 მანქანა გამოვიცვალე, ერთსა და იმავე მანქანას დიდი ხნის განმავლობაში ვერ ვიყენებ. მაქსიმუმ ერთი წელი დავდივარ, მერე ვყიდი და ახალს ვყიდულობ. რატომღაც, ასეთი ჩვევა მაქვს... პირველად საკუთარი ხელით „ჭიჭიკო მოსკვიჩი“ ავაწყვე; გადასაგდები მანქანა იყო და ისე გავაკეთე, რომ სააქაოს „მოვაბრუნე“. შემდეგ 1948 წელს გამოშვებული BMW მყავდა, ძალიან პატარა ვიყავი, იმ მანქანით რომ დავგრიალებდი. შემდეგ ერთი თანამშრომელი გადამეკიდა, — გინდა თუ არა, ეგ მანქანა მომყიდეო და მეც გავყიდე. 70-იანი წლების დასაწყისი იქნებოდა, პირველად „ნივა“ რომ ვნახე და ცუდად გავხდი, სანამ ამ მანქანას არ ვიყიდი, მანამდე ვერ მოვისვენებ-მეთქი (*იცინის*)! იმ პერიოდში „ადინადცატი“ მყავდა და შემოვიდა თუ არა „ნივა“, ჩემი მანქანა მაშინვე მასში გადავცვალე. 80-იან წლებში „მერსედესი“ თბილისში მხოლოდ მე და წამლების ვაჭარ „ჩაშკას“ გვყავდა. იმ პერიოდში, „ვაზ 24“ თუ გყავდა, დასაჭერად დაგდევდნენ... ჰოდა, ჩემი „მერსედესი“ იმ პერიოდში იშვიათობა იყო. იცით, ის „მერსედესი“ როგორ შევიძინე? ერთმა ქარხნის მეპატრონემ მითხრა: — ავტოფარეხში მაინც ტყუილად მიყენია და მოდი, შენ წაიღე, ხელოსანი ხარ, ვერავინ ვერაფერს გეტყვისო. წამოვიყვანე და მართლაც, არავინ მომდავებია... მას შემდეგ უამრავი მანქანა გამოვიცვალე, ახლა „სუზუკი გრანდ ვიტარა“ მყავს, ქალებს ვერ ვიცვლი და ამ დანაკლისს მანქანებზე ვინაზღაურებ (*იცინის*)! რა ვქნა, ჩემმა ცოლმა მითხრა, გვერდზე არ გაიხედო, სხვა ქალს არ შეხედოო და (*იცინის*)...

— **ეტყობა, ქალების დიდი მოტრფიალე ხართ...**

— ვისაც ქალი არ უყვარს, ოხრად დარჩეს, რაც ამქვეყნად უშოვია (*ხარხარებს*)! ქალზე უკეთესი რა უნდა ნახო, მათზე უარის თქმა შეიძლება?! ახლანდელ ახალგაზრდებზე ძალიან მწყდება გული, ამ ნარკოტიკმა სულ აურიათ ჭკუა... მე სიგარეტიც არ მომიწევია ცხოვრებაში...

ქალის შედარება რკინასთან, როგორ შეიძლება, არ გადამრიო...

— **ამბობენ, ქალსა და მანქანას ბევრი საერთო აქვთო...**

— ქალის შედარება რკინასთან, როგორ შეიძლება, არ გადამრიო (*იცინის*)?! ისე კი არც ერთის განათხოვრება არ ვარგა, დიდ შარს აგკიდებს (*იღიმება*).

— **სერიალ „შუა ქალაქს“ თუ უყურებთ?**

— ოოო, აბა, რა?! მათი დიდი გულშემატკივარი ვარ (*იღიმება*)!

— **სერიალის გმირი, არსენა ძალიან გგავთ?**

— ეს ხომ სერიალია და სცენარისტსა და რეჟისორს როგორც უნდა, საკუთარ გმირს ისე წარმოაჩენს. სამწუხაროდ, არსენა ხელოსანია, მე კი უკვე საკუთარი „პროფილაქტიკა“ მაქვს (*იცინის*). შინაურები ხშირად მეკითხებიან, — სერიალში შენზეა ლაპარაკიო? — აბა, მე რა ვიცი-მეთქი? — ვპასუხობ. სხვათა შორის, სერიალის ერთ-ერთი სცენარისტი ჩემი თანამშრომლის ნათლულია, მაგრამ არა მგონია, არსენას ტიპაჟი ჩემნაირი შეექმნათ.

— **ანანოსნაირი გოგონები თუ მოგწონთ?**

— აბა, ანანოზე უარს ვინ იტყვის?! ძალიან საყვარელი ადამიანია, სერიალიდან ყველაზე მეტად, ეგ მომწონს; ისე, ის არსენაც მაგარი ვინმეა რა, ასეთ გოგოს, ვინმე ხელიდან გაუშვებდა (*იცინის*)? შენ თუ იცი, მარიამ ჯოლოგუას მანქანა ჰყავს?

— **არ ვიცი. თქვენს „პროფილაქტიკაში“ ხომ არ ეპატიჟებით?**

— თუ მანქანა ჰყავს, გვეწვიოს და დიდი სიამოვნებით მოვემსახურებით; სერიალის არსენა თუ „ჟიტკოსტის“ ჩუქნის, ჩვენ ვერ ვაჩუქებთ ვითომ (*იცინის*)?! ძალიან მინდა, ამ სერიალის გმირები, ქართველ მაყურებელს კიდევ დიდხანს ახალისებდნენ. მართლაც, მაგარ სერიალს აკეთებენ. რაც მთავარია, კარგი იუმორის გრძნობა აქვთ მსახიობებსაც და მათ სცენარისტებსაც. ეს ღლონტები, „ვაბშე ხურავენ“ ყველაფერს. ჩვენს ქვეყანას ბევრი „ჭირი სჭირს“, დაკარგული ტერიტორიების ტკივილი ვერაფრით მოგვინელებია, ცოტა სულის მოთქმა გვჭირდება და ეს სერიალი ცხოვრებას გვიხალისებს. ■

უცნობი ახალი შოუსთვის ემზადება

წლის პროტესტად წოდებული „საკანი №5“ დაიხურა. ახლა გია გაჩეჩილაძე ახალი შოუსთვის ემზადება. მიაჩნია, რომ სიმღერითაც ძალიან ბევრის გაკეთება შეიძლება, ამჯერად პროტესტს ამ ფორმით გამოხატავს. მისი ძმა — ლევანი კი შესაძლოა, მერობის კანდიდატად მოგვევლინოს. წინ პოლიტიკურად „ცხელი“ გაზაფხული გველის. ძმები გაჩეჩილაძეების დედას ქალბატონ ნანა თევზაძეს ინტერვიუსთვის შინ ვეწვიე და მისგან ერთი სასიამოვნო სიახლეც შევიტყვე...

თამუნა კვინიკაძე

— ქალბატონო ნანა, როგორ ბრძანდებით? მახსოვს, გია „საკანში“ რომ იჯდა, ძალიან ნერვიულობდით...

— დედა ვარ და ამას ყველა გამიგებს. ტელეკომპანია „მაესტროს“ შესასვლელში აფეთქება რომ მოხდა, მაშინ ყველაზე მეტად შემეშინდა... „საკანში“ როცა იყო, გია გაიღვიძებდა თუ არა, ვურეკავდი, როგორ ხარ, წუხანდელმა ღამემ როგორ ჩაიარა-მეთქი? ყოველდღე არა, მაგრამ მის მოსანახულებლად ხშირად დავდიოდი. აბა, 9 თვე ისე რა გამაძლებინებდა?

— და ურჩევდით, რომ „საკანი“ დაეტოვებინა?

— რა თქმა უნდა, ვურჩევდი! იმ უჰაერობაში რამდენ ხანს უნდა ყოფილიყო, როდემდე გაძლებდა?! ან რა შედეგი ექნებოდა მის იმგვარ პროტესტს? თუმცა პროექტმა თავისი საქმე მაინც გააკეთა... თან, გიას ჯანმრთელობის მდგომარეობას ძალიან განვიცდიდი.

— გიამ პროექტი ისე დაასრულა, რომ მაყურებელს პირდაპირ ეთერში არ დამშვიდობებია. ტელეკომპანია „მაესტრომ“ მისი ჩანაწერი გამოიყენა. ბუნებრივია, იცოდით ამის შესახებ.

— მე წინადღეს, გიას მოსანახულებლად „საკანში“ მივედი. მაშინ მითხრა, მაყურებელთან დამშვიდობების ჩანაწერი გავაკეთე, როცა ის ეთერში გავა, უკვე აქ აღარ ვიქნები, შენ არ შეგეშინდესო. — რატომ-მეთქი? — ვკითხე. — გარეთ ვერ გავსულვარ, ეზოშიც რომ ჩავიდე, ერთდროულად იმდენი ხალხი შემომესევა, ყველა რაღაცას მეკითხება, ძალიან ვიღლებიო. როგორც კი ეთერში ჩანაწერი გავიდა, „მაესტროს“ იმწუთშივე ჟურნალისტებმა მიაკითხეს.

— ანუ თავი შეგნებულად გაარიდა...

— გადაღლილი იყო. არ მესმის, ამაზე ამხელა ამბავი რატომ ატეხეს?! „საკანში“ სულ რომ არაფერი გააკეთო და არავის მოუსმინო, მარტო იჯდე ან იმ საწოლზე იწვე, ეს შეაწუხებს ადამიანს. გიასთვის შაბათ-კვირაც ხომ არ არსებობდა...

— ცნობილია, რომ გია სამკურნალოდ ჩეხეთში იმყოფებოდა. მკურნალმა ექიმმა რა უთხრა?

— შედეგით კმაყოფილია. ახლა თავს უკეთესად გრძნობს. თბილისში შობის წინადღეს დაბრუნდა.

— და ახალ პროექტზე მუშაობს, ამბობს, — ახლა პროტესტს სიმღერით გამოვხატავო...

— სტუდიაში მუშაობს, წასული რომ იყო, ფიქრისთვის დრო ჰქონდა. ალბათ ახალი ტექსტიც დაწერა. კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით...

— როგორც ვიცი, კლიპის გადაღებასაც აპირებს. ამას კი დიდი თანხა სჭირდება. ფინანსები საიდან აქვს?

— 1998 წელს, როცა პირველი შოუ გააკეთა, ბიძინა ივანიშვილმა დაუფინანსა; ახლა ვისი მხარდაჭერით აკეთებს, არ ვიცი.

— იქნებ ისევ ივანიშვილი აფინანსებს?..

— არა, ახლა მათ ურთიერთობა აღარ აქვთ. ბიძინა ხან სად არის, ხან — სად; ერთმანეთს ვეღარც ხვდებიან.

— როგორც ვიცი, გიას მის ოჯახთან ნათელმირონობაც აკავშირებს.

— გიას ქალიშვილი — ირინა ბიძინას შვილის ნათლიაა.

— ირინა შარშან გათხოვდა; გია შვილიშვილს ხომ არ ელოდება?

— გია — არა, მაგრამ ლევანი მალე ბაბუა გახდება. ამბობენ, ბიჭიაო. ჩვენს ოჯახში პატარა ლევან გაჩეჩილაძე დაიბადება!..

— ბაბუის სახელს არქმევენ?

— ასე ვფიქრობ (*იცინის*). აბა, რას დაარქმევენ?! რიგით მესამე ლევანი იქნება — ჩემს მამამთილსაც ეს სახელი ერქვა...

— ეი. გაზაფხულზე შეიძლება, ლევანი ქალაქის მერიც და ბაბუაც ერთდროულად გახდეს?..

— ბაბუა რომ გახდება, ვიცი, ქალაქის მერობაზე კი რა მოგახსენოთ?! ჯერ კანდიდატიც კი არ არის.

— რადიო „პალიტრაში“ სტუმრობის დროს გიამ თქვა, ახლა ლევანი ოპოზიციის გაერთიანებას ცდილობს; თუ ვერ გააერთიანა, შეიძლება, მაგიდაზე მუშტიც დაარტყას და საკუთარი თავი კანდიდატად წამოაყენოსო...

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს. საპრეზიდენტო არჩევნების დროს ლევანმა ხელისუფლებას არა მარტო თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც მოუგო. ჩემი აზრით, თუ ოპოზიცია ერთ კანდიდატზე შეთანხმდება, კარგი იქნება. ხელისუფალი სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს. სახელმწიფო ხომ დიდი ოჯახივით არის. ოჯახის პიარით მართვა შეიძლება?! შვილები შიმშილით გეხოცებოდეს, შენ კი სხვების დასანახავად და გასაგონად შოუებს აწყობდე, გაყვიროდე, — ჩემი ოჯახის წევრები საამურად ცხოვრობენ, არაფერი აკლიათო, შეიძლება?! საბოლოო ჯამში, ეს რა შედეგით დასრულდება, არ უნდა ვიფიქროთ?!.

— პოლიტიკურად „ცხელი“ გაზაფხული გველოდება, წინ ადგილობრივი არჩევნებია. ოპოზიცია დაუფარავად აცხადებს, რომ გაყალბების შემთხვევაში, ამბოხებისთვისაც მზად არის. „აქციები დაიწყება და წერტილიც დაესმება“, „ბოლო და უკანასკნელი იქნება“, „ამ ხელისუფლებას გადავაყენებთ“ — მსგავსი შინაარსის განცხადებები არაერთხელ მოგვისმენია, მაგრამ უმაღლესი ხელისუფალი ისევ სააკაშვილია...

— მაგრამ ის „ვარსკვლავბიჭუნა“ აღარ არის — არც საქართველოში და არც საზღვარგარეთ რეიტინგი აღარ აქვს. ნურავინ იტყვის, რომ შარშან გამართულ აქციებს შედეგი არ მოჰყოლია. ნურც იმას უსაყვედურებენ ოპოზიციას, — ხელისუფლების გადაყენებას გვპირდებოდით და ვერაფერი გააკეთეთო. ხალხს უფრთხილდებოდნენ და სისხლის ღვრას მოერიდნენ — ასე იმიტომ მოხდა, თორემ ლევანსაც და გიასაც (და სხვა ლიდერებსაც) საკმარისად მოხვდათ...

— მერობის დასახელებული კანდიდატებიდან ფავორიტი გყავთ?

— არა, ჩემი ფავორიტი ჩემი შვილი იქნება. თუ ლევანი კენჭს არ იყრის, მერე შევარჩევ ღირსეულს! ყველაზე მეტად კი ლევანს ვენდობი. მას ჩემთვის ტყუილი არასდროს უთქვამს. ჩემი შვილები პატარები რომ იყვნენ, ვარიგებდი, — ისეთ რამეს ნუ გააკეთებთ, რაც იცით, რომ არ მომეწონება-მეთქი. მიჯერებდნენ.

— ახლა რას ურჩევთ?

— ახლა ორივეს ზომიერებისკენ მოვუწოდებ. ■

დაჩაგრული ქართველი წყვილი
და „სპორტის ოსტატის“ პირველი მარცხი

10-წლიანი საქმიანობის განმავლობაში, სამეჯლისო-სპორტული ცეკვების კონკურსზე 19 წლის სოფო ბურდულაძე პირველად ვერ გავიდა პირველ ადგილზე: ერევნის ღია საერთაშორისო ჩემპიონატზე მან და მისმა მეწყვილემ — ზურა კიკაბიძემ მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავეს. როგორც სოფო აღნიშნავს, კონკურსანტებს შორის ქართველების უპირატესობა მსაჯებმა აღიარეს, მაგრამ გამარჯვება მაინც სხვებს მიაკუთვნეს.

ეთო ყორღანაშვილი

— ის, რაც სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ერევნის საერთაშორისო კონკურსზე მოხდა, უსამართლობის უმაღლესი გამოვლინება იყო! ჩემი 10-წლიანი კარიერის განმავლობაში მსგავსი რამ ჯერ არ დაფიქსირებულა — მე და ჩემი მეწყვილე მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავედით. ძალიან სერიოზული კონკურსი იყო, მაგრამ ჩვენთვის გამარჯვება სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგენდა. გული სწორედ ამიტომ დაგვწყდა... კონკურსის დასრულების შემდეგ, ბანკეტზე რუსეთის სამეჯლისო ცეკვების ფედერაციის პრეზიდენტმა — სტანისლავ პოპოვმა ჩვენ შესახებ თქვა: მადლობა, ასეთი ლამაზი ცეკვისთვის და ბოდიშს ვუხდით, პირველი ადგილის ღირსები, მეხუთე ადგილზე რომ გავიყვანეთო. ეს სიტყვები ჩვენთვის გამარჯვებაზე მეტი იყო, რადგან სტანისლავ პოპოვი ცეკვის ლეგენდაა!

სოფო ბურდულაძე თავის პარტნიორთან ერთად

— კონკურსანტებს შორის, თუკი თქვენი უპირატესობა ცეკვის ლეგენდამაც აღიარა, რატომ ვერ გაიმარჯვეთ?

— ალბათ მიკერძოებასთან გვქონდა საქმე. სხვა ასაკობრივ კატეგორიებში მოცეკვავე ქართველ კონკურსანტებსაც უსამართლოდ მოექცნენ, მაგრამ განსაკუთრებულად მე და ჩემი მეწყვილე დაგვჩაგრეს, რადგან ჩვენს ასაკობრივ კატეგორიაში — „ამომავალი ვარსკვლავი“ (19 წლიდან ზემოთ) უფრო მეტი რუსი წყვილი ცეკვავდა.

— პირველ ადგილზე რომელი ქვეყნის წარმომადგენლები გავიდნენ?

— რა თქმა უნდა, რუსეთის, მეორეზე — მოლდავეთის, მესამეზე — სომხეთის...

— იმედგაცრუებამ შენს შემოქმედებაზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედა?

— იმედი საკუთარი თავის მიმართ არ გამცრუებია. მართალია, თავდაპირველად ავფორიაქდი, მეგონა, კონკურსზე რაღაც ისე კარგად ვერ გავაკეთე, როგორც საჭირო იყო, მაგრამ მერე მოცეკვავე მსაჯებს დაველაპარაკე, რომლებმაც ყველაფერი აგვიხსნეს. ვიდეოჩანაწერიც ვნახე და მივხვდი, რომ ჩემი ბრალი არ იყო.

— საინტერესოა, მსაჯებმა თავიანთი საქციელი როგორ ახსნეს?

— ჩვენს სფეროში ასეთი რამ ყოველთვის ხდება, მაგრამ არ უნდა დანებდე და ხელი არ უნდა ჩაიქნიოო... იმ მოცეკვავეებს, რომლებმაც ერევანში ვითომ მომიგეს, დარწმუნებული ვარ, კიდევ შევხვდები და დავარწმუნებ, რომ მათზე კარგად ვიცეკვე!

— კონკურსის დასრულების შემდეგ, როცა აღნიშნეს, რომ მეხუთე ადგილზე გასული წყვილი პირველობას იმსახურებდა, გამარჯვებულებს რა რეაქცია ჰქონდათ?

— მათ ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ჩემთვის გამარჯვებულის თასი ძალიან დამამცირებელი იქნებოდა და არც წავიღებდი, მაგრამ ყველას ერთნაირი თავმოყვარეობა როდი აქვს...

— ზოგადად, კონკურსანტებს შორის დაძაბული ურთიერთობაა ხოლმე?

— ყველა ისეთი თვალებით მიყურებს, ასე მგონია, შუაზე გავსკდები (*იცინის*)! პირადად მე, ცუდს არავის ვუსურვებ, პირიქით — ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს! ეს სპორტია და თუკი ვინმე ჩემზე კარგად იცეკვებს, იყოს პირველი, მერე, რა?! მაგრამ მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემზე წინ არავინ გავუშვა! ამ საკითხში ცოტა ეგოისტი ვარ, პირველი ადგილი ძალიან მიყვარს (*იცინის*)!..

— სამეჯლისო-სპორტულ ცეკვებში რა წარმატებებისთვის მიგიღწევია?

— 14-გზის საქართველოს ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი, ამიერკავკასიის და საბერძნეთის აკროპოლისის თასის მფლობელი ვარ, უკრაინაში საუკეთესო მოცეკვავის ტიტული მომანიჭეს. სამეჯლისო-სპორტულ ცეკვებში პირველი ქართველი სპორტის ოსტატი გახლავართ. ასევე, ერევნის საერთაშორისო კონკურსების ჩემპიონი ვარ — ახლა მივაღწიე „დიდ წარმატებას“, თორემ წინათ ერევანში ყოველთვის პირვ-

ელ ადგილზე გავდიოდი (*იცინის*). წელს ახალ მეწყვილესთან ერთად ვიყავი.

— ვინ არის შენი ახალი მეწყვილე?

— ზურა კიკაბიძე, რომელიც უკრაინაში საქმიანობდა. იქ ერთ გოგონას ჰყავდა „ნაყიდი“ და კონკურსებზე ერთად, უკრაინის სახელით გამოდიოდნენ ხოლმე. შემდეგ ზურამ შეიტყო, რომ საქართველოში არსებობს გოგონა, რომელიც მას ღირსეულ პარტნიორობას გაუწევს. გამოემგზავრა და უკან ვეღარც დაბრუნდა — აქ დავტოვეთ (*იცინის*).

— ერთმანეთს კარგად გაუგეთ?

— დიახ. ხანდახან ვკამათობთ, ვკინკლაობთ, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდა, უფრო კარგად ვიცეკვოთ. ზურასთან — იმდენად არა, ადრინდელ პარტნიორებთან უფრო ვჩხუბობდი (*იცინის*).

— ერევნის საერთაშორისო კონკურსზე შენ და ზურამ რა ცეკვები შეასრულეთ?

— ლათინური პროგრამით წარვდექით — „ჩაჩაჩა“, „სამბა“, „რუმბა“, „პასადობლი“ და „ჯაივი“ შევასრულეთ, ნახევარფინალიდან ფინალში გადავედით და არაჩვეულებრივ შედეგს მივაღწიეთ (*იცინის*)!

— სოფო, ალბათ ბევრს ვარჯიშობ. პირადი ცხოვრებისთვის დრო თუ გრჩება?

— წარმატების მიღწევა თუ გინდა, რა თქმა უნდა, ბევრი უნდა ივარჯიშო! შემიძლია, 4-5 საათის განმავლობაში დარბაზში ვიყო და ვიცეკვო — ვარჯიში ძალიან მიყვარს! ვარჯიშისას ცეკვისთვის საჭირო მოძრაობები იხვეწება. შეიძლება, ბოლომდე ჩამოყალიბებული მოცეკვავე არა ვარ და უცხოეთში მოღვაწე პროფესიონალებს ვერ შევედრები, მაგრამ იმედია, მათ დონესაც მალე მივაღწევ. როცა კონკურსზე შენი ქვეყნის სახელით გადიხარ, ეს დიდი პასუხისმგებლობაა. წარმატების მისაღწევად ძალღონეს არ ვიშურებ! პირად ცხოვრებას რაც შეეხება, მშვიდობაა, ყოველ შემთხვევაში — თბილა (*იცინის*)...

წარმატების მიღწევა თუ გინდა, რა თქმა უნდა, ბევრი უნდა ივარჯიშო!

— ეი. შეყვარებული ხარ?

— ჩემი მეწყვილე აქ რომ იყოს, ამაზე უფრო სრულ პასუხს გაგცემდა — მე, ცოტა არ იყოს, მრცხვენია (*იცინის*)...

— მოკლედ, გავარკვიეთ, რომ შენ და ზურა შეყვარებულები ხართ. სოფო, ამჟამად სად ცეკვავ?

— სპორტის აკადემიაში თენგიზ ერიშვილი და რომან არჩაია მამეცადინებდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, ბატონი რომანი ცოტა ხნის წინ სიმსივნით გარდაიცვალა... ახლა მხოლოდ თენგიზ მასწავლებელთან ვმუშაობ.

— სოფო, მაინც-დამაინც სპორტული ცეკვებით რატომ დაინტერესდი?

— თავდაპირველად ქართულ ცეკვებზე დავდიოდი. შემდეგ დეიდა-ჩემის ინიციატივით, რუსთავში გამართულ ფესტივალში მივიღე მონაწილეობა. იქ ან სამეჯლისო-სპორტული ცეკვები უნდა წარმედგინა, ან — ქართული. სპორტული ცეკვები ავირჩიე. მოწონება დავიმსახურე და შემომთავაზეს, — თბილისში იარე სამეცადინოდო. ეს ჩემთვის დიდი მიღწევა იყო, რადგან ახალბედა გახლდით — ფაქტობრივად, ცეკვა 2 თვის დაწყებული მქონდა. სპორტის აკადემიაში სიარული დავიწყე, „პრივატებს“ (კერძო გაკვეთილებს) რუს, უკრაინელ მსაჯებთან ვიღებდი... წარმატებას წარმატება მოჰყვა და მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. მერე საბუთები სპორტის დეპარტამენტში შევიტანე და სპორტის ოსტატის წოდება მომანიჭეს.

— სასცენო კოსტიუმებს როგორ არჩევ ხოლმე?

— ეს ძალიან რთულია: შეიძლება, კაბა ძალიან ლამაზი იყოს, მაგრამ არ მოგიხდეს. ფეხსაცმელებს, კაბის გასაფორმებლად საჭირო თვლებს, კოსმეტიკას ინტერნეტით ვიწერ, რაც იაფი ნამდვილად არ ჯდება.

— საზღვარგარეთ გამართულ კონკურსებზე შენს მონაწილეობას ვინ აფინანსებს?

— ჩემი მშობლიური ქალაქის — რუსთავის მერია, რისთვისაც მის წარმომადგენლებს დიდ მადლობას ვუხდი. ისინი რომ არ მეხმარებოდნენ, ბევრ რამეს ვერ მივაღწევდი.

— ცეკვის გარდა, კიდევ რას საქმიანობ?

— ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტზე ვსწავლობ, ხოლო რუსთავში — შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში, უცხო ენების ფაკულტეტზე. უცხო ქვეყნებში მოგზაურობისას, ჩემთვის ინგლისურის ცოდნა აუცილებელია.

— ამდენ რამეს როგორ ასწრებ?

— ვცდილობ. წარმატების მიღწევა თუ გინდა, ბევრი უნდა იშრომო (*იღიმის*).

— შენს სამომავლო გეგმებზე რას მეტყვი?

— მე და ზურა ყველაფერს ერთად ვგეგმავთ, ბევრს ვვარჯიშობთ და დიდი წარმატების მისაღწევადაც ვემზადებით! ყველაფრისთვის მზად ვართ...

■

მე და ზურა ყველაფერს ერთად ვგეგმავთ, ბევრს ვვარჯიშობთ და დიდი წარმაგების მისაღწევადაც ვემზადებით!

წლის ყველაზე ლამაზი ქორწილები

ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან, უყვარდებათ და ქორწინდებიან... ქორწილი მუდამ ულამაზესი, რომანტიკული და ამაღელვებელი მოვლენაა, მით უმეტეს, როდესაც საქმე ცნობილ ადამიანებს ეხება, რომელთა შესაძლებლობების წყალობით ჯვრისწერის ცერემონია ნამდვილ ზღაპრად გადაიქცევა ხოლმე.

ამჯერად გასული წლის ყველაზე ლამაზი და მდიდრული ქორწილების შესახებ მოგითხრობთ და თავად გადაწყვიტეთ, თუ რომელი იყო მათ შორის საუკეთესო.

2009 წლის იანვარი — წინა წლების საქორწინო ესტაფეტა მომღერალმა და მსახიობმა ფერჯიმ აიტაცა, რომელიც იანვრის დასაწყისში ცოლად ჯოშ დუხამელს გაჰყვა. პატარძალს Dolce&Gabbana-ს კრისტალების თაიგულებით შემკული საქორწინო კაბა ემოსა, მისი მეგობარი გოგონები კი კონტრასტულ შავ კაბებში იყვნენ გამოწყობილნი. წვეულება ათასობით თეთრი ვარდით მორთულ უზარმაზარ დახურულ კარავში გაიმართა და ასზე მეტი გამოჩენილი სტუმარი დაესწრო.

2009 წლის თებერვალი — ფერჯის კვალდაკვალ, კანონიერი ქორწინების უღელი სუპერმოდელმა ჟიზელ ბიუნდხენმა და ფეხბურთელმა ტომ ბრედიმ დაიდგეს. ჟიზელსაც Dolce&Gabbana-ს საქორწილო კაბა ემოსა, მისი სამი საყვარელი ძაღლიც Dolce&Gabbana-ს მაქმანიან საყელოებში იყო გამოპრანჭული. ქორწილი მეგობრებისა და ნათესავების ძალზე ვიწრო წრეში ჩატარდა, ორიოდე კვირის წინ კი მოდელს პირველი შვილი შეეძინა.

2009 წლის მარტი — ბრიუს უილისი მუდამ ამბობდა, დემი მური იმდენად მიყვარდა, რომ აღარასდროს დავქორწინდებიო, მაგრამ ულამაზესმა მოდელმა ემა ჰემინგმა



ჭაღარაშეპარული „კერკეტი კაკალი“ აიძულა, გეგმები შეეცვალა და გასული წლის მარტის ბოლოს მათ ერთმანეთს სამუდამო ერთგულება შეჰფიცეს. ქორწილი, რომელსაც სხვა სტუმრებთან ერთად, დემი მური ახალგაზრდა მეუღლე ეშტონ კატჩერსა და სამ ქალიშვილთან ერთად ესწრებოდა, მალიბუში შედგა. ბრიუს უილისმა პრესისთვის ერთი ფოტოსურათიც კი ვერ გაიმეტა, ამიტომ შეგვიძლია, მხოლოდ წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იქნებოდა საქორწილო ცერემონია, რომელსაც ბედნიერი პატარძალი დიდხანს ელოდა...

2009 წლის აპრილი — 2009 წლის 23 აპრილი ვენეციას დიდხანს ემახსოვრება. ამ ღირსშესანიშნავ დღეს ვენეციის ისტორიულ Fenice Theatre-ში მსახიობ სალმა ჰაიეკისა და მილიონერ ფრანსუა ანრი-პინოს ქორწილი შედგა. სალმამ და ფრანსუამ ჯერ ზედიზედ ორი მასკარადი მოაწყვეს, შემდეგ კი ასობით სანთლით გაჩირაღდნებულ და ათასობით თაიგულით მორთულ დარბაზში ჯვარი დაიწერეს. Balenciaga-ს საქორწინო კაბაში გამოწყობილი პატარძალი თვალისმომჭრელი იყო, სტუმრებს შორის კი ჰოლივუდის ვარსკვლავები პენელოპა კრუსი და შარლიზ ტერონი ელავდნენ.

2009 წლის მაისი — ამბობენ, მაისში დაქორწინება არ შეიძლებაო, მაგრამ მსახიობმა მეგი გილენჰოლმა და მისმა რჩეულმა პიტერ სარსჰაარდმა, რომელიც მეგის ორი წლის ქალიშვილის მამაა, ცრურწმენა არად ჩააგდეს და რომში იქორწინეს. როგორც მოგეხსენებათ, რომი მომაბეზრებელი პაპარაცებისგან თავისუფალი ქალაქია და ამიტომ საქორწინო კაბისა და სხვა დეტალების ფოტოსურათებს ვერ შემოგთავაზებთ.

2009 წლის ივნისი — ზაფხულის სეზონი Playboy-ს ყოფილი ვარსკვლავის კენდრა უილკინსონის ქორწილით გაიხსნა, რომელმაც როგორც იქნა, ჭკუას მოუხმო და გადაწყვიტა, ფეხბურთელ ჰენკ ბასკეტს სანიმუშო ცოლობა გაუწიოს! პატარძალი საკურთხეველთან თავად Playboy-ს იმპერიის დამაარსებელმა ჰიუ ჰეფნერმა მიიყვანა. კენდრას გრძელი შლეიფით დამშვენებული მდიდრული კაბა ემოსა და 100.000 დოლარად ღირებული პლატინის სამკაულები ამშვენებდა. ოდნავ შესამჩნევად შემრგვალებული მუცელი პატარძალს განსაკუთრებულ ეშხს მატებდა. აღსანიშნავია, რომ ამ დღეებში კენდრა უილკინსონს ვაჟიშვილი შეეძინა.

2009 წლის ივლისი — ფილმში

„ნაბიჯი წინ“ ახალგაზრდა მსახიობები, ჩენინგ ტატუმი და ჯენა დიუენი შეყვარებულებს განასახიერებენ. ეკრანული რომანი რეალურ ცხოვრებაში გადაიზარდა. წყვილმა დაქორწინება გადაწყვიტა და საქორწინო ცერემონიის ადგილად მალიბუში მდებარე გუბურითა და მასში მოცურავე თეთრი გედებით დამშვენებული ულამაზესი მამული შეარჩია. საკურთხეველი თეთრი და ვარდისფერი ვარდებით იყო მორთული, პატარძალს კი მაქმანები და უძვირფასესი აბრეშუმი ამშვენებდა...

2009 წლის აგვისტო — განსაკუთრებულად მდიდარი იყო ქორწილებით. რვა წლის ერთობლივი ცხოვრების შემდეგ, მსახიობმა მარკ უოლბერგმა მისი სამი შვილის დედა რი დიურემი, როგორც იქნა, ცოლად შეირთო. წყვილმა ჯვარი ბევერლი ჰილზზე მდებარე ერთ-ერთ ეკლესიაში დაიწერა. ცერემონიას მხოლოდ 12 სტუმარი ესწრებოდა. ის ფაქტი, რომ ქორწილი მეტისმეტად მოკრძალებული იყო, ახალდაქორწინებულთა მდიდრულმა სამოსმა ერთიორად აანაზღაურა. პატარძალს მართლაც რომ დედოფლის საკადრისი Marchesa-ს კაბა ემოსა, სასიძო კი სადღესასწაულო შავ კოსტიუმში იყო გამოწყობილი.

აგვისტოს ქორწილები

მოდელის, დიზაინერისა და მსახიობ მილა იოვოვიჩისა და რეჟისორ პოლ ანდერსონის ქორწილი 22 აგვისტოს, ლოს-ანჯელესში მათი საკუთარი სახლის ეზოში ჩატარდა. წყვილმა კავშირი ოფიციალურად მხოლოდ ახლა გააფორმა, თუმცა უკვე რამდენიმე წელია, ერთად ცხოვრობს და ორი წლის ქალიშვილს ზრდის. წყნარ, მოკრძალებულ საქორწინო

ცერემონიას მხოლოდ 50 სტუმარი ესწრებოდა, მაგრამ როგორც ამბობენ, სტუმრებმაც და მასპინძლებმაც ჩინებულად მოილხინეს და იმხიარულეს.

სერიალის „მონუსხულნი“ ვარსკვლავი ალისა მილანო მის აგენტ დევიდ ბაგლიარის გაჰყვა ცოლად. მათი ქორწილიც აგვისტოში შედგა. წყვილმა საზეიმო წვეულება ნიუ-ჯერსიში, სასიძოს სახლში გადაიხადა. პატარძალს Vera Wang-ის კაბა ემოსა, ხელში კი შროშანების თაიგული ეკავა. საკურთხევლისკენ მიმავალი გზა ვარდის ფურცლებით იყო მოფენილი. ამ ამაღელვებელ სურათს ჩინებულად ავსებდა ჯონ ლენონის კომპოზიცია Imagine.

სერიალების კიდევ ერთმა გმირმა (სერიალი „გმირები“), ალი ლატერმა და მსახიობმა ჰეიზ მაკარტურმა მენში მდებარე სახლის ეზოში იქორწინეს. მცირერიცხოვანი სტუმარი ცხენშებმული ეტლებით ეწვია. სიძის წარმოშობის პატივსაცემად ორკესტრი ირლანდიურ მუსიკას უკრავდა. პატარძალს Vera Wang-ის მაქმანებიანი კაბა ეცვა, სასიძო კი Ralph Lauren-ის ელეგანტურ კოსტიუმში იყო გამოწყობილი.

2009 წლის სექტემბერი — სერიალის „მე ერლი მქვია“ ვარსკვლავმა ჯეიმი პრესლიმ და ადვოკატმა სიმრან სინგმა სექტემბერში იქორწინეს. წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე კერძო მამულში გადახდილი ქორწილი ჰოლივუდის საზომით მოკრძალებული იყო, მაგრამ ფული რა სახსენებელია, როდესაც საკურთხეველთან ულამაზესი პატარძალი დგას, იატაკზე ვარდის ათასობით ფურცელია მოფენილი, ჰაერში კი რომანტიკისა და სიყვარულის სურნელი ტრიალებს?

რეალითი-ვარსკვლავმა ხლოე კარდაშიანმაც სექტემბერში გათხოვება გადაწყვიტა. გოგონამ, რომელიც საკუთარ ფუმფულა სხეულთან სრულ ჰარმონიაში ცხოვრობს, ცხოვრება კალათბურთელ ლამარ ოდომს დაუკავშირა. აღსანიშნავია, რომ წყვილმა დაქორწინება გაცნობიდან ერთი თვისთავზე გადაწყვიტა, მაგრამ ამ ნაუცბადევმა გადაწყვეტილებამ ხმაურიან ზეიმს ხელი ვერ შეუშალა და საპატარძლომ Vera Wang-ის თვალისმომჭრელი კაბის შერჩევაც კი მოასწრო...

მოსკოველებს დიდხანს ემახსოვრებათ მოციგურავე ევგენი პლიუშენკოსა და იანა რუდკოვსკაიას ქორწილი. წყვილმა მოსკოვში, კუტუზოვის პროსპექტზე მდებარე მმაჩის ბიუროში მოაწერა ხელი, საქორწინო სუფრა კი Barvikha Hotel & SPA-ში გაიშალა, რომელსაც რუსეთის შოუბიზნესისა და მოსკოვის ელიტური საზოგადოების უამრავი წარმომადგენელი ესწრებოდა. პატარძალს Zuhair Murad-ის ზამბახისფერი კაბა ამშვენებდა, სასიძომ კი ტრადიციული სმოკინგი და „ბაბოჩკა“ ამჯობინა.

2009 წლის ოქტომბერი — რუსი მაყურებლის საყვარელი მსახიობი ოლესია სუძილოვსკაია ბიზნესმენს გაჰყვა ცოლად. პატარძალს ორი საქორწინო კაბა ჰქონდა. იგი ჯერ Tony Ward-ის კაბასა და Helen Yarmak-ის ქურქში იყო გამოპრანჭული, მოგვიანებით კი ტანსაცმელი გამოიცვალა და მოდელიერ ანა დირეჩინას საქორწინო კაბაში გამოეწყო. ნეფე-პატარძალი თეთრ ცხენებშებმულ ეტლში იჯდა, სუფრას ასობით თაიგული ამშვენებდა, არც რუსული ქორწილისთვის ტრადიციული მტრედები დავიწყნიათ, რომლებიც ახალდაქორწინებულებმა ცაში გაუშვეს. წვეულების მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი სტუმარი კი წყვილის პატარა ვაჟიშვილი გახლდათ.

და ბოლოს, 2009 წლის ოქტომბერი მილიარდერი დონალდ ტრამპის ქალიშვილისა და New York Observer-ის გამომცემელ ჯარედ კუშნერის ქორწილითაც იყო დასამახსოვრებელი. ივანკას Vera Wang-ის მაქმანიანი კაბა ემოსა და ნახევარ მილიონ დოლარად ღირებული საკუთარი საიუველირო ხაზის Ivanka Trump Fine Jewelry ძვირფასეულობა ამშვენებდა. სტუმრებს შორის მრავლად იყვნენ საერთაშორისო მასშტაბის ვარსკვლავები. ქორწილის ბუნებრივი გაგრძელება იყო ერთ-ერთ პოპულარულ ჟურნალში გამოქვეყნებული ძალზე ლამაზი ფოტოსესია. ■

იაგუარი

მარი ჯაფარიძე

შემოდგომის თბილი დღე იყო. ნია ყვითელ ფოთლებზე მსუბუქად მიაბიჯებდა. იქვე ზურმუხტისფერი, სპორტული „იაგუარი“ შენიშნა. ქალი გაჩერდა და მანქანა შეათვალიერა.

— მოგწონს?

ნია შემობრუნდა და მაღალი, კარგი აღნაგობის, ჭაღარა, სიმპათიური მამაკაციც ისევე თამამად შეათვალიერა, როგორც რამდენიმე წამის წინ მის მანქანას ათვალიერებდა.

„მამაკაცები ძვირად ღირებულ მანქანებს იმიტომ ყიდულობენ, რომ მამაკაცური სისუსტე და უძლურება დამალონ“, — რომელიღაც ამერიკულ ფილმში გაგონილი ფრაზა გაახსენდა და გაიღიმა.

— თქვენია? — ჰკითხა მამაკაცს.

მან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— მანქანაც და პატრონიც ძალიან მაგრად გამოიყურებით...

— კომპლიმენტისთვის მადლობას მოგახსენებთ, — გაიღიმა უცნობმა.

ნიამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უკან მიიხედა. მამაკაცი ისევ ისე იდგა და გაღიმებული უყურებდა.

— რომელი საათია? — მოულოდნელად ჰკითხა.

— თუ გეჩქარებათ, შემიძლია, მოგემსახუროთ და ადგილამდე მიგიყვანოთ.

— ასეთი მანქანით გასეირნებაზე უარს არ ვიტყვი.

მამაკაცმა კარი გალანტურად გაუღო. ასეთი მანქანები ქალს მხოლოდ ფილმებში ჰქონდა ნანახი. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როცა ოცნებობდა, როგორ იქროლებდა კაბრიოლეტით, მის გვერდით კი ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცი იჯდებოდა...

ვერც კი შენიშნა, როგორ მიუახლოვდნენ მის სახლს.

ამ შეხვედრიდან 2 კვირის შემდეგ ნია „იაგუარის“ პატრონს შემთხვევით სუპერმარკეტში გადააწყდა.

ქალის ღიმილს მამაკაცმა ღიმილით უპასუხა და ისევ შესთავაზა მანქანით მომსახურება. ნიას არც ამჯერად უთქვამს უარი.

— ყავაზე ხომ არ დამპატიჟებთ? — ჰკითხა მამაკაცმა, როდესაც მანქანა ნიას სადარბაზოსთან გააჩერა.

— თქვენნაირ მამაკაცს უარს ვერ ვეტყვი, — გაიღიმა ქალმა.

სამმა საათმა უცებ გაირბინა. მამაკაცმა საათზე დაიხედა, ზანტად წამოდგა, დიასახლისს მადლობა გადაუხადა და ლოყაზე აკოცა.

— მომავალ შაბათს დაბადების დღე მაქვს. თუ გეცლებათ, შემოიარეთ, — მორცხვად დაპატიჟა ნიამ.

...ის ნიასთან მაშინ მივიდა, როცა ლხინი უკვე გახურებული იყო. დაგვიანებისთვის ბოდიში მოიხადა და იუბილარს კონვერტი გაუწოდა.

— არ ვიცი, რომელ სუნამოს ანიჭებთ უპირატესობას... ეს ჩემგან — სასაჩუქრე ბარათია.

— გაიცანით, ეს ლაშაა, — სტუმრებს წარუდგინა ქალმა.

ნიას ყველა მეგობარს სტუმრის ყურადღების მიპყრობა სურდა... ყველამ იცეკვა მასთან, ნიას გარდა.

— იცოდე, წაგართმევენ მაგ კაცს, — გააფრთხილა ერთ-ერთი მეგობრის ქმარმა...

საღამოობით ნია და ლაშა ტელეფონით საუბრობდნენ. ყველაფერზე ლაპარაკობდნენ — ამინდზე, ბუნებაზე, პოლიტიკაზე, ფეხბურთზეც კი. ქალი სტუმრად ეპატიჟებოდა, მაგრამ მამაკაცი მოუცლელობას იმიზეზებდა და თავაზიან უარს ეუბნებოდა.

* * *

თითქმის 1 კვირა იყო გასული, რაც ლაშას ნიასთან არ დაურეკავს. ნია შეშფოთდა. რამდენჯერმე მისი ტელეფონის ნომერი აკრიბა, მაგრამ ქალურმა სიამაყემ უფლება არ მისცა, პირველს დაერეკა. ტელეფონის აპარატი მთელი საათის განმავლობაში კალთაში ედო და დაჰყურებდა, მაგრამ დარეკვა მაინც ვერ გაბედა. ტელევიზორი ჩართო, დივანზე მიწვა და პლედი დაიფარა. ტელეფონმა სწორედ ამ დროს დარეკა.

— ნია, — გაიგონა ნანატრი ხმა, — თუ თქვენი წინადადება ისევ ძალაშია, შემიძლია, გესტუმროთ, მაგრამ იმ პირობით, რომ რაიმე გემრიელ კერძს დამახვედრებთ.

ნია მთელი მონდომებით ცდილობ-

და, სტუმრისთვის ესიამოვნებინა. კარგი მზარეული არასოდეს ყოფილა და არც სამზარეულოში ტრიალი ანიჭებდა სიამოვნებას, მაგრამ ამჯერად თვითონაც გაუკვირდა, ჩაშუშული ხორცი ისეთი გემრიელი გამოუვიდა.

— 6 წლის ვიყავი, როდესაც დედა გარდაიცვალა, — რატომღაც, ლაშას გულის გადაშლა მოუნდა.

— დედინაცვალმა გაგზარდათ?

— მას დედინაცვალს ვერ დავარქმევ. ენა არ მიბრუნდება, ნანას დედინაცვალი ვუწოდო. ის მამაჩემის მეგობრის, გიას და იყო. ძმამ მოიწადინა, რომ ნანა მამაჩემის ცოლი გამხდარიყო. თვითონ ქალი წინააღმდეგი იყო, რადგან მამაჩემი მასზე 14 წლით უფროსი გახლდათ.

— ბოლოს მაინც დათანხმდა, ხომ?

— მე მგონი, მე ვიყავი „დამნაშავე“ იმაში, რომ ის მამაჩემზე გათხოვდა. დედის სიკვდილმა ჩემს ფსიქიკაზე იმოქმედა. გამუდმებით ვტიროდი. ნანას კარგად ვიცნობდი, რადგან მისი ძმა ჩემი ნათლია იყო და და-ძმა ხშირად გვსტუმრობდა. ერთხელ ავად გავხდი და გია ბიძიამ დას სთხოვა, ჩემთვის მოევლო. მაღალი სიცხე მქონდა და როდესაც თვალები გავახილე, მომეჩვენა, რომ ჩემ გვერდით დედა იჯდა. ხელები გავიშვირე და ტირილი დავიწყე. ნანამ ამიყვანა, კალთაში ჩამისვა და მკერდზე მიმიკრა. ასე დედაჩემი იქცეოდა ხოლმე... სწორედ მაშინ დავუძახე პირველად „დედა“ და ის ატირდა. არ ვიცი, მამაჩემი უყვარდა თუ არა, მაგრამ მე ძალიან ვუყვარდი, უფრო მეტადაც კი, ვიდრე საკუთარი გოგონა.

— მამათქვენი ცოცხალია?

— არა. მან ნანასთან ერთად მხოლოდ 3 წელი იცხოვრა. ჩემი და, ანა 1 წლის იყო, როდესაც მამა ავარიაში დაიღუპა. მასთან ერთად დაიღუპა გიას ცოლი და გოგონა. საჭესთან გია იჯდა. მამას გარდაცვალების შემდეგ ნანამ მე და ჩემი და საცხოვრებლად გიასთან გადაგვიყვანა. არც ნანას და არც გიას სხვა ოჯახი აღარ შეუქმნიათ. გიამ მამობა გამიწია და როდესაც 26 წლის გავხდი, თავისი ფირმა გადმომაბარა...

ლაშა ნიასთან 9-ის ნახევრამდე დარჩა. შემდეგ საქმე მოიმიზეზა და წავიდა.

მარტო დარჩენილმა ნიამ ალბომი გადმოიღო და ბავშვობის ფოტოების თვალიერება დაიწყო. ხელში დედის ფოტო მოხვდა, რომელსაც 6 თვის ნია მკერდზე ჰყავდა მიკრული. გულზე სევდა შემოაწვა, როდესაც მშობლების რთული ცხოვრება გაახსენდა...

დედა ექთანი იყო და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა პოლიკლინიკაში, ქირურგიულ განყოფილებაში დაიწყო. ქირურგი მასზე 15 წლით უფროსი, სიმპათიური მამაკაცი გახლდათ, რომელსაც მექალთანის სახელი ჰქონდა. სულ იოლად შეძლო, ახალგაზრდა გოგონასთვის თავი შეეყვარებინა... როდესაც გაიგო, რომ მისი ექთანი ფეხმძიმედ იყო, ექიმმა სცადა, ბავშვის მოშორებაზე დაეყოლიებინა... ამ ამბავმა პოლიკლინიკის მთავარი ექიმის ყურამდე მიაღწია და ქირურგი კაბინეტში დაიბარა.

— პატარა ბიჭი აღარ ხარ და შენს ქმედებაზე პასუხი უნდა აგო. უკვე მომბეზრდა შენი თავგადასავლების მოსმენა. ან ცოლს შეირთავ ან განცხადებას დაწერ და საკუთარი სურვილით წახვალ.

ასე დაიბადა ნია. ცოლ-ქმრის ცხოვრება ვერა და ვერ აეწყო. ქალი ცდილობდა, ქმრის გული მოეგო და საამისოდ ძალისხმევას არ იშურებდა. ქმრის მშობლებს რძალი უყვარდათ და ცდილობდნენ, შვილისთვის ოჯახი შეენარჩუნებინათ. რძალს საჩუქრებით ანებივრებდნენ და გოგონაც ხშირად მიჰყავდათ თავისთან. მალე მამამ სმა დაიწყო. ამას ისიც მოჰყვა, რომ მთვრალი, დედას შეურაცხყოფას აყენებდა და სცემდა კიდეც. ერთ-ერთი ასეთი ხელჩართული ჩხუბის დროს ცოლს ხელიც კი მოსტეხა. მამა იმის გამო საყვედურობდა დედას, რომ „შეეტენა“ და ცხოვრება დაუნგრია. ამის გამო ცოლს ღალატობდა კიდეც და არც მალავდა. შვილი ძალიან უყვარდა და ანებივრებდა... როდესაც ნია 5 წლის იყო, მამა სხვა ქალთან წავიდა, მაგრამ მშობლებმა უკან დააბრუნეს. 2 წლის შემდეგ კი ისევ ჩაალაგა ჩემოდნები და სხვა ქალთან წავიდა. ახალ ცოლთან მხოლოდ 1 წელი იცხოვრა. შემდეგ კვლავ ცოლ-შვილს დაუბრუნდა, მაგრამ 6 თვის შემდეგ საცხოვრებლად სხვა ქალაქში, სხვა ქალთან გადავიდა და რამდენიმე ხნის შემდეგ ვაჟი შეეძინა.



ნიას დედა ქმარს წარამარა ურეკავდა და შინ დაბრუნებას სთხოვდა, მაგრამ ამაოდ. მამა მხოლოდ შვილის სანახავად მოდიოდა, საჩუქრები მოჰქონდა და ფულითაც ეხმარებოდა, როცა ნიას სჭირდებოდა.

ნიამ ალბომი თაროზე დააბრუნა და ლაშას ნაამბობი გაახსენდა. წარმოიდგინა და-ძმა, რომელიც 2 პატარას ზრდიდა.

ამ საღამოს შემდეგ ნიას დიდხანს ლოდინმა აღარ მოუწია. ლაშამ მეორე დღესვე დაურეკა და შაბათს პრეზენტაციაზე დაპატიჟა.

— სიამოვნებით წამოვიდოდი, მაგრამ შესაფერისი ტანისამოსი არ მაქვს, — გამოუტყდა ქალი.

ლაშამ გაიცინა. მეორე დღეს კი ძალიან ლამაზი კაბა და ფეხსაცმელი მოუტანა. ასეთი ძვირფასი ტანისამოსი ქალს არასოდეს სცმია.

შაბათს საღამოს ლაშამ შინ მიაკითხა და თავად წაიყვანა... მთელი საღამო ნიას ქცევას აკვირდებოდა და ხვდებოდა, რომ მისი მეგობრებისა და ნაცნობების წრეში ქალი თავს უხერხულად გრძნობდა.

— ნუ ნერვიულობ, — გაშლილ თმაზე ხელი ჩამოუსვა მამაკაცმა.

— მეჩვენება, რომ ყველა მე მიყურებს, — ჩურჩულით უთხრა ქალმა.

— რა თქმა უნდა, გიყურებენ — აქ ყველაზე ლამაზი შენ ხარ; ქალებს შენი შურთ, მამაკაცებს კი — ჩემი.

* * *

მათი ნაცნობობიდან 4 თვე იყო გასული, როდესაც ლაშამ ნია შინ დაპატიჟა.

— რატომაა ყველაფერი ასეთი მტვრიანი? — იკითხა ქალმა, როდესაც ორსართულიანი სახლის ყველა ოთახი ფეხდაფეხ მოიარა.

— დამხმარე ქალი ავად გახდა და მთელი თვეა, აქაურობა არავის დაულაგებია.

— მე დავალაგებ, თუ საათში 20 ლარს გადამიხდი.

— მე 15-ს ვიხდიდი.

— ჰო, მაგრამ არაფერი მოხდება, თუ 20-ს გადამიხდი, რადგან ფული ძალიან მჭირდება, — მამაკაცს თვალებში ჩახედა და გაუღიმა.

— როდის მოიცლი საამისოდ? — დაინტერესდა ლაშა.

— ხუთშაბათს. ამ დღეს ვისვენებ.

— კარგი, მოვილაპარაკეთ, იყოს ხუთშაბათს.

...ნია სახლის დალაგებას ამთავრებდა, როდესაც ზღურბლზე ლაშა გამოჩნდა. გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რომ გუნებაზე ვერ იყო.

— რა მოხდა? — ჰკითხა ქალმა.

ლაშამ არაფერი უპასუხა. რამდენიმე წამით შეჩერდა, შემდეგ კიბეზე

აირბინა და საძინებელში შევიდა.

ნია სამუშაოს მორჩა და სახლის პატრონს საძინებელში მიაკითხა. ის ბალიშში თავჩარგული, საწოლზე იწვა.

— რა გჭირს? — საწოლის კიდეზე ჩამოჯდა ქალი და თმაზე ხელი გადაუსვა.

ლაშა საწოლიდან წამოხტა, ნიას ეცა და გიჟივით დაუწყო კოცნა. ქალი წინააღმდეგობას უწევდა. მამაკაცმა ბლუზა შემოახია.

— ხელი გამიშვი, მტკივა! — დაიყვირა ქალმა. — გაგიჟდი?!

ლაშამ საწოლზე მიაგდო.

— იწექი! არ გაინძრე! — მამაკაცის ხმაში ბრძანება ისმოდა.

ნიამ წამოდგომა სცადა, მაგრამ ლაშამ სახეში მთელი ძალით დაარტყა.

ნია მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და მამაკაცის ნებას დაჰყვა. ლაშა მის დაუფლებას ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ძალაგამოცლილი ლოგინზე ზურგით დაეცა, ფრჩხილებით ზეწარი მოფხოჭნა და ხმამაღლა დაიღმუვლა.

— არაფერი თქვა, გაიგე? არა-ფერი! — კბილებში გამოცრა კაცმა.

— ახლა ვხვდები, რატომ არიდებდი თავს ჩემთან ურთიერთობას. შენი ძვირფასი „იაგუარი“ შენი მამაკაცური უძლურების კომპენსაციაა, — სიცილით თქვა ქალმა. მისმა კისკისმა ლაშა გაახელა.

— რა თქვი?! — გაყინული ხმით ჰკითხა, წამოიწია და იდაყვებს დაეყრდნო. — წადი აქედან!

— ფული გაქვს მოსაცემი. მთელი 5 საათი ვიმუშავე შენს სახლში.

— წადი, შენი!.. — უთხრა და სახე კვლავ ბალიშში ჩარგო.

ქალი ხედავდა, როგორ უცახცახებდა მხრები. ის იყო, ნია წასასვლელად შებრუნდა, რომ ზურგიდან მამაკაცის ხმა მოესმა:

— მაპატიე... ჩემმა ყოფილმა საყვარელმა, რომელთანაც 8 წელი ვურთიერთობდი, შენთან ერთად დამინახა და მითხრა, რომ შენც ერთ მშვენიერ დღეს მასავით მიმატოვებ. 3 წლის წინ რთული ოპერაცია გავიკეთე. დრო მჭირდებოდა საიმისოდ, რომ ძალა მომეკრიბა, მაგრამ მან მოცდა არ ინდომა. ჩემთვის ყოველი ღამე წამება იყო, როდესაც ის დამცინოდა და მამცირებდა. ერთხელ კი, როდესაც ჩემს მეგობრებთან სტუმრად ვიყავით, ხმამაღლა გამომიცხადა, რომ ჩემთან ურთიერთობას წყვეტდა, ვინაიდან როგორც მამაკაცი, უძლური ვიყავი. ეს თქვა და წავიდა... მეგონა, ამ საშინელებას ვერ გავუძლებდი, მაგრამ დრომ მოაშუშა იარა. ნანამ მირჩია, „იაგუარი“ მეყიდა და სწორედ მან შეცვალა ქალი...

— გიყვარდა?

— არ ვიცი, ალბათ შეჩვეული ვიყავი, რადგან 8 წელი მცირე დრო არაა.

მამაკაცმა ნიას მადლობა გადაუხადა, ფული მისცა და რამდენჯერმე ბოდიშიც მოუხადა მომხდარის გამო.

ერთი თვის განმავლობაში ლაშას ქალისთვის არც დაურეკავს.

მერე ნიამ თვითონ დაურეკა. ლაშას გაუხარდა მისი ხმის გაგონება, მაგრამ შეხვედრის სურვილი არ გამოუთქვამს... გავიდა დრო და ისინი კვლავ ერთად დადიოდნენ ლაშას მეგობრებთან. მეგობრები აღფრთოვანებული იყვნენ ნიას სილამაზით, ამას არც მალავდნენ და ქალს კომპლიმენტებით ავსებდნენ.

— სალაპარაკო მაქვს, — უთხრა ერთხელ ლაშამ, როდესაც წვეულებიდან ბრუნდებოდნენ, — მე ცოლი მჭირდება, — ხმადაბლა თქვა და ქალს თვალი აარიდა, — უფრო სწორად, ფიქტიური ცოლი. ის ჩემს სახლში იცხოვრებს, ყველგან ჩემ გვერდით იქნება, ყველანაირ კომფორტს შევუქმნი, ვუყიდი ყველაფერს, რასაც მოისურვებს, მაგრამ სხვადასხვა საძინებელში დავიძინებთ.

— თუ ასეა, ცოლი რისთვის გჭირდება?

— საქმე ისაა, რომ... — დაიწყო ლაშამ და გაჩუმდა.

— შენს მეგობრებს უნდა უჩვენო, რომ ყველაფერი კარგადაა? ჩემი ყიდვა გინდა?..

— ასე გამოდის.

— რა ვადით მყიდულობ — სამუდამოდ თუ ერთი საღამოთი?

— მინდა, რომ ჩემს წინადადებაზე დაფიქრდე.

ნიამ უკვე დიდი ხნის წინ იცოდა, რომ ლაშა უყვარდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ მის გვერდით ყოფნაზე არც უნდა ეოცნება. ახლა კი ეს შანსი გაუჩნდა...

დილით ნიამ ლაშას დაურეკა და უთხრა, რომ ფიქტიურ ქორწინებაზე თანახმა იყო.

ლაშას მოთხოვნით, ნოტარიალური ხელშეკრულება გააფორმეს, რომელშიც შავით თეთრზე, გარკვევით ეწერა, რომ თუ წყვილი 5 წლის განმავლობაში განქორწინებას გადაწყვეტდა ან ამ ხნის განმავლობაში მამაკაცი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდებოდა, ცოლი მემკვიდრეობას ვერ მიიღებდა.

— შენ გგონია, რომ მოგწამლავ?

— 5 წელი მალე გაივლის და მერე შენს წილს მიიღებ...

ნია სამსახურიდან წამოვიდა და საცხოვრებლად ქმართან გადავიდა.

საუზმეს, სადილსა და ვახშამს ამზადებდა, სახლს ალაგებდა, დღის ბოლოსთვის ქმარს ელოდა...

ერთ საღამოს ლაშამ მოულოდნელი რამ თქვა:

— დროა, ბავშვზე ვიფიქროთ.

— რომელ ბავშვზე?

— ჩვენს ბავშვზე, — მშვიდად მიუგო მან.

— შენ რა, გაგიჟდი?! ჩვენ შვილი როგორ გვეყოლება?!

— უნდა გვეყოლოს... გოგონა ან ბიჭი... სულ ერთია...

— როგორ უნდა გავაჩინო, როცა ერთად არ ვწევართ?

— რადგან ამის საშუალება არ გაქვს, ერთი ვარიანტი რჩება.

— რომელი ვარიანტი? — ქალი გაოცებისგან სათქმელს თავს ვერ უყრიდა.

— ბავშვი უნდა ვიყიდოთ.

— კი, მაგრამ როგორ უნდა ვიყიდოთ?! სად იყიდება, რომელ მაღაზიაში?!.

— მოვძებნით ღარიბ ცოლ-ქმარს, შევუკვეთთ ბავშვს, ამაში სოლიდურ თანხას გადავუხდით და შენც ნელ-ნელა მუცელი „გაგეზრდება“... შემდეგ „იმშობიარებ“ და შინ ბავშვით დაბრუნდები.

მალე ლაშამ ახალი ამბავი მოიტანა — მან შეყვარებულისგან შეცდენილი და მიტოვებული სტუდენტი გოგონა იპოვა, რომელსაც დიდი თანხა გადაუხადა და ბავშვის მოშორება გადააფიქრებინა...

მშობიარობის დრო რომ მოახლოვდა, ის გოგონა შინ მოიყვანა. სამშობიარო ტკივილები რომ დაეწყო, ექიმიც შინ მიჰგვარა... მეორე დღეს კი ყველამ შეიტყო, რომ ნიასა და ლაშას შვილი შეეძინათ.

ლაშა ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე იყო. ბავშვს ხშირად ასეირნებდა და მის მიმართ სიყვარულსა და მზრუნველობას ნამდვილი მამასავით იჩენ-

და. ეჩვენებოდა, რომ მისი ყველას შურდა. უწინდელი თავდაჯერება დაუბრუნდა. თავი სრულყოფილ მამაკაცად იგრძნო. ერთ დღეს კი შინ დაბრუნებულმა ცოლს ჩვეულებისამებრ, ლოყაზე აკოცა.

— ქალის სუნამოს სუნი გაქვს, — ეჭვით თქვა ქალმა.

— მე იმ ქალთან ვიყავი, რომელიც გარკვეული თანხის საფასურად მამაკაცს მომსახურებას უწევს, — დაუფარავად უთხრა ქმარმა...

ნია ნაწყენი სახით შებრუნდა და საძინებელში გავიდა.

ლაშამ თვალი გააყოლა...

მეორე დღეს კი ცოლს პატიება სთხოვა.

მსგავსი ამბავი რამდენიმე კვირის შემდეგაც განმეორდა... მამაკაცი შინ თვალებგაბრწყინებული დაბრუნდა... მიუხედავად იმისა, რომ ის მარცხს მარცხზე განიცდიდა, მაინც კმაყოფილი იყო იმით, რომ ფულს იხდიდა და სამაგიეროდ, ქალის ალერსსა და სითბოს იღებდა...

ნია კი უზომოდ ეჭვიანობდა... ქმრის მორიგი „გასეირნება“ ქალს მძიმე დარდად აწვებოდა გულზე და ეჭვის ჭია ღრღნიდა... ერთ დღეს კი ვერ გაუძლო და ქმარს შეუტია:

— შენ ჩემი ცხოვრება დაანგრიე და ჯოჯოხეთად აქციე, შენ მე გამანადგურე, როგორც ქალი! — ყვიროდა ნია.

გარეთ საშინელი ამინდი იყო... ლაშამ კარი გაიხურა და შინიდან გავიდა... ნია წინ გადაეღობა, არ უნდოდა მისი გაშვება, რადგან გული ცუდს უგრძნობდა, მაგრამ მამაკაცმა ხელით ჩამოიცილა გზიდან, ავტოფარეხის კარი გააღო და მალე ნიას ყურს მოტოციკლის მოტორის ხმა მისწვდა.

ლაშა ეზოდან ნელი სვლით გავიდა. ქალაქიც ასევე გაიარა, მაგრამ ავტობანზე გავიდა თუ არა, აიწყვიტა და ლამის სინათლის სიჩქარით გააქროლა მოტოციკლი... ის სიკვდილთან შესახვედრად მიიჩქაროდა...

რამდენიმე ხნის შემდეგ ნიამ ტელეფონის ზარს უპასუხა... კედელს ზურგით მიეყრდნო და ჩაცურდა... რამდენიმე წუთის განმავლობაში ასე, გაოგნებული იჯდა, შემდეგ კი უეცრად გამოფხიზლდა, ლაბადა მოიცვა, ძიძას უთხრა, დამაგვიანდებაო და ეზოდან გიჟივით გავარდა.

საავადმყოფოში მისული ექიმებს თვალებში უყურებდა, მაგრამ მათი ნათქვამი თითქმის არ ესმოდა... მხოლოდ პირველი ფრაზა დაამახსოვრდა, რომელსაც უაზროდ ატრიალებდა გონებაში, — „იმედს ვერ მოგცემთ“.

რეანიმაციაში არ შეუშვეს... იქ ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა. ნია ეკლესიაში წავიდა, ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლებზე დაეცა და ლაშას გადარჩენას შეჰვედრა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ხატის წინ მუხლებზე დაჩოქილი ლოცულობდა...

რამდენიმე დღე გავიდა. ლაშა სიკვდილს ებრძოდა... ექიმმა შედარებით დამამშვიდებელი ინფორმაცია მიაწოდა — გადარჩება, მაგრამ სამუდამოდ საწოლს მიეჯაჭვება.

„ეგ არაფერი, ეგ არაფერი, მთავარია, რომ ცოცხალი იქნება“, — ხმამაღლა ფიქრობდა საავადმყოფოდან წამოსული ნია...

მართლაც, 2 თვის შემდეგ ლაშა გამოწერეს...

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, მე გვერდიდან არ მოგცილდები და ფეხზე დაგაყენებ, — სახე დაუკოცნა ქალმა. ლაშას ლოყებზე ცრემლი ჩამოუგორდა. გულაღმა იწვა და ჭერზე ერთ ადგილს მიშტერებოდა.

— ნია, — დაუძახა ერთხელ, სამკვირიანი დუმილის შემდეგ. ქალი მაშინვე მასთან გაჩნდა. — არ გეგონოს, რომ მე შენზე არ ვიფიქრე... უზომოდ მიყვარხარ, ღამეებს შენზე ფიქრში ვატარებ, ჩემი ერთადერთი სიყვარული ხარ... ავარიამდე რამდენიმე თვით ადრე ნოტარიუსთან გაფორმებული ხელშეკრულება გავაუქმე და ანდერძი დავწერე, სადაც წერია, რომ ჩემი ერთადერთი მემკვიდრე ხარ...

— რატომ მოიქეცი ასე? — მსუბუქად უსაყვედურა ქალმა. — მე ხომ მიყვარხარ, რატომ მატკინე გული?.. რატომ გადაწყვიტე თავის მოკვლა?

— მეც მიყვარხარ და სწორედ ამიტომ. მინდოდა, ჩემგან და მძიმე ტვირთისგან გამეთავისუფლებინე... ახლა კი წადი, დამტოვე და ძილის წამლები ტუმბოზე დამიტოვე... ნუ დავიტანჯავთ თავს... ასე აჯობებს, ჩემთვისაც და შენთვისაც.

— არავითარ შემთხვევაში! — იყვირა ქალმა. — სიკვდილზე ფიქრიც კი არ გაბედო!

ერთი წლის შემდეგ ლაშამ პირველი ნაბიჯის გადადგმა დაიწყო... ის ბავშვივით სწავლობდა სიარულს... ნია კი მის წარმატებას შეჰხაროდა და კოცნით აჯილდოებდა.

* * *

— ნია, ნახე, რა ჩამოგიტანე! — კარი შემოაღო უცხოეთიდან დაბრუნებულმა ლაშამ და ოთახში კოჭლობით შემოვიდა. ხელში დიდი ჩემოდანი ეჭირა...

დედა-შვილი ჩემოდნის შიგთავსს ინტერესით ათვალიერებდა... ის მათი საჩუქრებით იყო სავსე... 3 თვის უნახავ ცოლ-შვილს ლაშა სიყვარულითა და მონატრებით შეჰყურებდა. იმ საღამოს შინიდან გავიდა და მთელი ღამე არ დაბრუნებულა...

ნიამ მის მოლოდინში, ფანჯარასთან გაათენა... ნერვიულობდა და თან ბრაზობდა ქმარზე... ლაშა გამთენიისას დაბრუნდა და კვლავ ქალის სუნამოს სურნელს აფრქვევდა...

ნია ისევ საძინებელში განმარტოვდა, თავი ბალიშში ჩარგო და ატირდა... ლაშამ თავის საწოლს მიაშურა და საღამომდე არ გაუღვიძია... საღამოს ივახშმეს... ნიას საყვედური არ დასცდენია. მხოლოდ თვალებში ეტყობოდა, რომ ნაწყენი იყო, მაგრამ ლაშა ამას ყურადღებას არ აქცევდა. ის გაბრწყინებული თვალებით დადიოდა ოთახიდან ოთახში, გოგონას ეთამაშებოდა. მამა-შვილი იატაკზე გორავდა და ხმამაღლა იცინოდა...

— ძილის დროა, — ძიძას შეახსენა ნიამ.

ქალმა ბავშვი საძინებელში გაიყვანა, ცოტა ხნის შემდეგ კი იქიდან ფეხაკრეფით გამოვიდა, ცოლ-ქმარს დაემშვიდობა და შინ წავიდა...

— ძილი ნებისა, — ლაშას დაემშვიდობა ნია და თავისი ოთახისკენ გასწია.

ცოტა ხანში კარზე ფრთხილი კაკუნის ხმა გაიგონა, მაგრამ ხმა არ გასცა.

ლაშამ კარი შემოაღო, ცოლის საწოლს მიუახლოვდა და ლოგინზე ჩამოუჯდა. ლოყაზე ხელი ჩამოუსვა. შემდეგ საბანი ასწია და ქალს გვერდით მიუწვა...

— კი, მაგრამ თუ ყველაფერი კარგად იყო, როცა დაბრუნდი, რატომ მაშინვე არ მითხარი? — ქმრის მკერდზე თავდადებული ქალი გაბრწყინებული სახით ეღუღუნებოდა კაცს...

— მკურნალობამ კარგად ჩაიარა, როგორც ხედავ, — ღიმილით ეუბნებოდა ქმარი, — მაგრამ საქმე ის იყო, რომ ვიდრე შენ გეტყოდი, ამაში ჯერ თავად უნდა დავრწმუნებულიყავი... ჰოდა, გუშინ ღამით იმიტომ წავედი სხვასთან... მარცხის შემთხვევაში არ მინდოდა, შენთვის გული მეტკინა... ამას ვეღარ გადავიტანდი... ამიტომ, საკუთარ თავს გამოცდა მოვუწყვე... ვინაიდან მეძავთან ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ბუნებრივია, შენთან გაცილებით უკეთ გამომივიდოდა... ჰოდა, ახლა შენც ხომ დარწმუნდი ამაში...

— ჰო, დავრწმუნდი, — გაიღიმა ქალმა, თვალებში შეხედა და თავი ისევ მკერდზე დაადო...

— ჰოდა, გპირდები, რომ ეს უკანასკნელი „გასეირნება“ იყო და ამის შემდეგ არასოდეს გიღალატებ, — მხარზე ხელი ჩამოუსვა ქმარმა...

— კიდევ ერთი პირობა უნდა მომცე...

— რა?

— ცალ-ცალკე საძინებლებში აღარ დავიძინებთ.

— ეგ ხომ თავისთავად ცხადია, ამის მერე ერთმანეთს ვერაფერი დაგვაშორებს, ჩემო ფისუნია...

— ჰო, ჩემო „იაგუარო“... ■

როგორ შეიძლება პატარა იშვილოთ

დედამ ბავშვის გაშვილებაზე თანხმობა ორჯერ უნდა გასცეს

ბავშვზე ძალიან ბევრი უშვილო წყვილი ოცნებობს. ისინი მზად არიან ბიოლოგიური მშობლისგან უარყოფილ პატარებს სითბო და სიყვარული არ მოაკლონ. საქართველოში ჩვილის აყვანის მსურველთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ წყვილებს ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის სააგენტოში ხშირად ლოდინი წლობითაც უწევთ. ნაწილი დიდხნიან ლოდინს თავს არიდებს, კანონდარღვევაზეც მიდის და ჩვილის აყვანას სხვადასხვა გზით ცდილობს. ყველაზე გავრცელებული მეთოდი — მარტოხელა დედასთან გარიგებაა. მსგავსი უკანონო აქციის გამო არაერთი მოქალაქე აღმოჩენილა ციხეში.

შვილად აყვანა სამოქალაქო კოდექსით რეგულირდება. ამ კუთხით, კანონმდებლობაში ცვლილება 2007 წელს შევიდა და დღეს ამ ნორმების დაცვა ყველა მშვილებელს ევალება. ამ საკითხის ირგვლივ ბევრ საინტერესო ინფორმაციას სამოქალაქო საქმეების ადვოკატ ციცინო ცხვედიანისგან შეიტყობთ.

თეა ხურცილავა

ციცინო ცხვედიანი:

— საქართველოში ძირითადად ჩვილის აყვანის მსურველები არიან, თუმცა კანონით სრულწლოვანი პირის შვილად აყვანაც იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ გასაშვილებელსა და მშვილებელს შორის მშობლისა და შვილის ურთიერთობა უკვე ჩამოყალიბებულია. არის შემთხვევები, როცა ბავშვს უშვილო ოჯახი გაზრდის, მაგრამ ეს იურიდიულად გაფორმებული არ აქვს და შვილებას შემდგომ აფორმებს. თუკი ბავშვი მარტოხელა დედისაა და სურვილი აქვს საკუთარი შვილი გააშვილოს, ამ შემთხვევაში ბიოლოგიურმა დედამ ოფიციალური თანხმობა უნდა გასცეს. პირველი თანხმობა, ბავშვის დაბადებიდან 6 კვირის გასვლის შემდეგ გაიცემა.

— ადრე მოქმედ კანონში ვადები არ იყო, კონკრეტული ვადის განსაზღვრა რატომ გახდა აუცილებელი?

— ცვლილება შევიდა, რადგან ჩაითვალა, რომ მშობიარობიდან 40 დღე ქალი თავის მოქმედებას შეიძლება, ვეღარ აკონტროლებდეს. ეს ვადა საჭიროა იმისთვის, რომ ბიოლოგიურმა დედამ საღ გონებაზე გადაწყვიტოს ნამდვილად უნდა თუ არა შვილის დატოვება. თუ დედის თანხმობა მითითებულ ვადაზე ადრეა გაცემული, მაშინ თანხმობას იურიდიული ძალა არ აქვს. ადრე მართლაც შესაძლებელი იყო მშობიარობის მეორე დღესაც დედას ნოტარიალურად გაეფორმებინა თანხმობა. შემდეგ დედა დავობდა, რომ არ იყო სრულ ჭკუაზე და გაშვილებული შვილის უკან დაბრუნებას ითხოვდა. ასეთი დავები რომ არ იყოს, დღეს ბავშვის გაშვილება უკვე ორი საფეხურის გავლის შემდეგ წყდება. ანუ დედა სხვადასხვა დროს თანხმობაზე ხელწერილს ორჯერ წერს. გაშვილებაზე მას უარის თქმა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეუძლია. კანონი ადრეც და ახლაც ითვალისწინებს ბავშვის გაშვილებას მშობლების თანხმობის გარეშე. ეს გამონაკლის შემთხვევაში, როცა დადგენილია მშობლის ვინაობა, მაგრამ მშობელი აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ბავშვს მშობლები გარდაცვლილი ჰყავს, ან თუ მშობლებს ჩამოერთვათ მშობლის უფლება. ანუ ბავშვი მიტოვებულად უნდა იყოს აღიარებული. ასევე საინტერესოა ერთი საკითხი: თუ გასაშვილებელი ბავშვი 10 წელს მიღწეულია, მაშინ ბავშვის თანხმობა გაშვილებაზე აუცილებელია. სასამართლო სხდომას ბავშვი უნდა ესწრებოდეს და თავისი პოზიცია ანუ თანხმობა უნდა განაცხადოს. თუმცა გათვალისწინებულია ერთი გარემოებაც: ბავშვის თანხმობა არ არის აუცილებელი მაშინ, თუ შვილად აყვანის გაცხადების წარდგენამდე ბავშვი მშვილებლის ოჯახში ცხოვრობდა და მშვილებელს თავის მშობლად თვლიდა. ვთქვათ, ბავშვი იზრდება გამზრდელებთან, მაგრამ არ არის შვილება გაფორმებული. მან არ იცის, რომ მათი შვილი არ არის. შეიძლება ამის გაცხადებით ბავშვმა დიდი ტრავმა მიიღოს. ასეთ შემთხვევაში საჭირო არ არის ბავშვის თანხმობა. ჩემთან კონსულტაციაზე ქალი მოვიდა. ის და მისი მეუღლე ზრდიან თავისი მეუღლის შვილს პირველი ქორწინებიდან. ბავშვს დაბადების მოწმობაში მამად ნამდვილი მამა უწერია და მისი გვარი აქვს, დედის გრაფაში კი მისი ბიოლოგიური დედის სახელი წერია. ბავშვმა არ იცის, რომ მისი ბიოლოგიური დედა სხვაა. ამ ქალბატონს სურს, დედის გრაფაში თავისი სახელი ჩაიწეროს. ბავშვს თავისი დაბადების მოწმობა ნანახი არ აქვს და არ იცის, რომ დედა სხვა ქალია. ეს საკითხი სასამართლოს წესით უნდა გადაწყდეს, კანონი ითხოვს ბავშვის თანხმობას შვილებაზე, მაგრამ აქვე გამოსავალს გვთავაზობს, ასეთ დროს მისი თანხმობა აუცილებელი არ არის. ამ შემთხვევაში მშობლებმა სასამართლოს უნდა მიმართონ განცხადებით, უნდა მოითხოვონ ბავშვის შვილად აყვანის შესახებ გადაწვეტილების მიღება და ამავე დროს სასამართლოს უნდა დაუსაბუთონ, რომ ბავშვი პატარა ასაკიდან მათთან იზრდება და არ იცის, მისი დედა სხვა ქალი რომ არის. ასეთ შემთხვევაში ჯობია, უფრო ადრეულ ასაკში მოხდეს ამის დაკანონება. როცა ბავშვს ორივე მშობელი ჰყავს, მაშინ ორივეს წერილობითი, დადასტურებული თანხმობაა საჭირო ბავშვის გაშვილებაზე. ხოლო თუ ბავშვი ჩვილ ბავშვთა სახლიდან შვილდება, თანხმობას ჩვილ ბავშვთა სახლის დირექტორი გასცემს. გაშვილებაზე მშობლის თანხმობა საჭირო არ არის, თუ მშობელი ქმედუუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულადაა გამოცხადებული. გაშვილების პროცესში ყოველთვის მონაწილეობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელიც დასკვნას იძლევა, სადაც მითითებულია შეესაბამება თუ არა გაშვილება ბავშვის ინტერესს. ამ ორგანოს დასკვნას სასამართლო ითვალისწინებს. კანონით აუცილებელია: გასაშვილებელი ბავშვი გასაშვილებელ ბავშვთა ერთიან სიაში იყოს რეგისტრირებული, ხოლო მშვილებელი — მშვილებელთა ერთიან სიაში. სხვაგვარად ბავშვის შვილება არ

მოხდება. ცოტა ხნის წინ ასეთი ფაქტი მქონდა: ქალმა ბავშვი იშვილა და პატარა მის გვარზე იყო, ამ დროს მისი მეუღლე საქართველოში არ იმყოფებოდა და შვილება ქალზე გაფორმდა. ყველაფერი კანონიერად მოხდა. ისე გამოვიდა, რომ ბავშვი იყო ქალის და მამაკაცი ბავშვის მამინაცვალი გამოდიოდა. მან სასამართლოს მიმართა, რათა თავისი მეუღლის შვილი ეშვილებინა. მოსამართლემ მოითხოვა ბავშვი გასაშვილებელთა სიაში უნდა იყოს და შესაბამისად, შენ — მშვილებელთა სიაში, სხვანაირად ბავშვს ვერ მოგაკუთვნებო და განცხადება ხარვეზზე დაუტოვა. ჩვენ მივიჩნევდით, რომ ეს არ იყო სამართლიანი, რადგან რეალურად აქ სულ სხვა სიტუა-

ცია იყო. ქალი არ ამბობდა დედობაზე უარს, ბავშვი მშობლის გარეშე არ რჩებოდა, რომ გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი მიეღო და არც ამ მამაკაცს სჭირდებოდა რიგში ჩადგომა. ამის მიუხედავად ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს მაინც მივმართეთ, პასუხად ის მივიღეთ, რასაც ვვარაუდობდით, რომ ამ შემთხვევაში არ იყო საჭირო ორსაფეხურიანი თანხმობა და არც სიაში ყოფნა. ამ პასუხის შემდეგ ეს პრობლემა გადაწყდა, თუმცა ამას დიდი დრო დასჭირდა.

— რა ასაკის ადამიანს შეუძლია ბავშვის შვილად აყვანა?

— მშვილებელი ბავშვზე 16 წლით უფროსი მაინც უნდა იყოს. როგორც ბიოლოგიურ მშობელსა და შვილს შორის არსებობს ასაკობრივი ზღვარი, აქაც ასეთი ზღვარი დაცულია. კანონში წერია, რომ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება ასაკი შემცირდეს, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი რამ არ მომხდარა. როგორც წესი, ბავშვი შვილად მაშინ აჰყავთ, როცა ცოლქმარს შვილის შეძენის იმედი ამოეწურება. ბავშვის შვილება ასევე ბევრ მარტოხელა ქალს სურს, რომელიც ფიქრობს, რომ აღარ გათხოვდება.

— გაშვილების პროცედურა სასამართლო გზით რეგულირდება?

— შვილად აყვანა სასამართლო წესით რეგულირდება. ამიტომ მსურველები ჩვენთან, ადვოკატებთან ხშირად მოდიან. ძირითადად თვეების ბავშვი აჰყავთ. ხშირად წყვილი ცდილობს, ეს საკითხი ისე მოაგვაროს, ახლობლებსაც არ უთხრას, რომ ბავშვი აჰყავს. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ არ უნდათ, მომავალში ბავშმა ეს გაიგოს. ისინი რამდენიმე თვით საცხოვრებელ ადგილს ტოვებენ და უკან ბავშვთან ერთად ბრუნდებიან. აცხადებენ, რომ ბავშვი მათი შვილია. ხოლო რაც შეეხება მარტოხელა, გაუთხოვარ ქალებს, ისინი პირიქით, ცდილობენ 2-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვი აიყვანონ. ურჩევნიათ, ირგვლივ მყოფებმა გაიგონ, რომ მათ მეუღლის გარეშე არ გაუჩენიათ ანუ სახელს უფრთხილდებიან. ამ კატეგორიის ქალებს კარგი მატერიალური პირობები აქვთ და ახალდაბადებული ბავშვის აყვანას მოზრდილის აყვანა ურჩევნიათ, რომ შემდეგ ბაღში შეიყვანონ ან ძიძას დაუტოვონ.

— როცა თქვენთან მოდიან, ბავშვი შერჩეული ჰყავთ?

— ძირითადად შერჩეული ჰყავთ. იყო ასეთი შემთხვევა: ბავშვი ფიზიკურად მშვილებლის ოჯახში ორ წლამდე იზრდებოდა და იურიდიულად შვილება მერე გაფორმდა. ასეთიც: ქალს უნდოდა თავისი მრავალშვილიანი დის ერთ-ერთი შვილი ეშვილებინა და ბავშვი უკვე 3 წლის იყო. ასევე ოჯახი შორეული ნათესავის ბავშვს პატარა ასაკიდან შვილივით ზრდიდა, მაგრამ ბავშვს ბიოლოგიური მშობლების გვარ-სახელი ჰქონდა. როცა გამზრდელები ასაკში შევიდნენ, მისი ოფიციალურად შვილება გადაწყვიტეს. კანონი უშვებს ამ შესაძლებლობას. თუ შვილად ასაყვანი დაოჯახებულია, მაშინ მისი მეუღლის თანხმობაც კი არის საჭირო. ასეთ დროს გადადის მშვილებლის გვარზე და ქონება მას რჩება.

— გაშვილებული პატარა რა უფლებებით სარგებლობს?

— გაშვილების შემდეგ ბავშვი ბიოლოგიური მშობლების მემკვიდრეობაზე იურიდიულ უფლებას კარგავს. მათი გარდაცვალების შემდეგ ის მათ მემკვიდრედ არ ითვლება. სამაგიეროდ, შვილის უფლებებს თავის ახალ მშობლებთან იძენს და მათი გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრეობას თვითონ ისე იღებს, როგორც ბიოლოგიური შვილი. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი უცხო სახელმწიფოში უნდა გაშვილდეს, საქმე სხვაგვარადაა. მაშინ სამოქალაქო კოდექსის ნორმები აღარ მოქმედებს და შვილად აყვანის წესის შესახებ კანონით რეგულირდება.

— უცხოეთში ბავშვის გაშვილება ადვილად ხდება?

— თუკი ბავშვი რეგისტრირებულია გასაშვილებელ ბავშვთა სიაში და გარდა ამისა, არსებობს მონაცემი, რომ ამ ბავშვის შვილად აყვანა საქართველოს არც ერთმა მოქალაქემ არ ისურვა, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ბავშვის უცხოელზე გაშვილება. ამასთან, სწავლობენ მშვილებლის ჯანმრთელობას, სამსახურებრივ მდგომარეობას, საცხოვრებელ პირობებს. სათანადო დოკუმენტების არსებობის შემდეგ ამ საკითხს სასამართლო წყვეტს. ფაქტობრივად, ამ კანონით შეუძლებელია უცხოელმა ჯანმრთელი ბავშვი აიყვანოს, რადგან საქართველოში ბავშვის აყვანა ბევრს უნდა. უცხოელებს ჯანმრთელობაშერყეული ბავშვები რჩებათ.

— მაშინ რატომ არის უცხოელების ასეთი ინტერესი?

— უცხოელებს პრაქტიკულად, დაავადებული ბავშვები აჰყავთ. მათი მენტალიტეტი განსხვავებულია. ქართველები მხოლოდ ჯანმრთელი ბავშვის აყვანას ცდილობენ. უფრო მეტიც, ხშირად გენეტიკასაც სწავლობენ. უცხოელებს კი ისეთები აჰყავთ, რომლებსაც რამდენიმე ოპერაცია სჭირდებათ და ზოგჯერ ისიც იციან, რომ ბავშვი შეიძლება არ გამოჯანმრთელდეს. როგორც ამბობენ, უცხოეთში საკმაოდ მაღალი გადასახადებია და როცა ოჯახში ასეთი ბავშვია, ისინი ამისგან თავისუფლდებიან. ერთ-ერთ მოტივად ამას ასახელებენ.

— განსაკუთრებით ადრეულ წლებში, ჰირდაჰირ ორსულს ურიგდებოდნენ და ის საავადმყოფოში მშვილებლის სახელით ფორმდებოდა. ყალბი დაბადების მოწმობა იქმნებოდა და ბევრს პატარა სწორედ ამ გზით ჰყავს აყვანილი...

— ეს კანონის დარღვევაა. დოკუმენტის გაყალბება დანაშაულია. თუმცა, გარკვეულ პერიოდში ჩადენილი მსგავსი დანაშაულები ამნისტირებულია. ასეთ დროს ადვოკატი არ სჭირდებათ და ისინი ჩვენ არ გვაკითხავენ. ასეთ შემთხვევაში ბავშვის დაბადებამდე ფეხმძიმეს ურიგდებიან, უვლიან და ბიოლოგიური დედა საავადმყოფოში გამზრდელი დედის სახელით წვება. ისე ჩანს, თითქოს იმან გააჩინა, რომელმაც უნდა გაზარდოს. შესაბამისად, დაბადების მოწმობაც გაიცემა და შვილების გაფორმება აღარ სჭირდებათ. იყო შემთხვევა, ბავშვი გარკვეული ნაკლით დაიბადა. არადა, ქალმა ამ ფორმით იშვილა. შემდგომში ჩემთან მშვილებელი პრეტენზიით მოვიდა, ნაკლიანი ბავშვი არ მინდაო. ოფიციალური დოკუმენტებით ითვლებოდა, თითქოს ამ ქალმა იმშობიარა, ვუთხარი, სიყალბე რომ ჩაიდინე, ამას ხმამაღლა ხომ არ იტყვი, ბავშვი უნდა გაზარდო-მეთქი. თანხმობის ორი სახე არსებობს: შეიძლება დედამ დაწეროს, ჩემი შვილი გაშვილდეს ნებისმიერ ადამიანზეო, ან მიუთითოს კონკრეტული პიროვნების ვინაობა. მშვილებლებს ურჩევნიათ, ბიოლოგიურმა დედამ არ იცოდეს მათი ვინაობა, რადგან ხშირად ისინი შანტაჟს იწყებენ და ცდილობენ, გამზრდელებს ფული გამოსძალონ. ადრე მშვილებლები მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ ყოველგვარი კვალი მოესპოთ. ახლა მენტალიტეტი ცოტათი შეიცვალა. რამდენიმე შემთხვევა ვიცი, როცა გამზრდელები ამბობენ, ბავშვი წამოიზრდება და ვეტყვი, ნაშვილები რომ არისო. როგორც წესი, საბოლოოდ ამას ბავშვები იგებენ და ჯობია, თვითონ უთხრან, ამას ბავშვი უფრო უმტკივნეულოდ გაიგებს.

— შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება კანონით ისჯება?

— დიახ. თავიდან ბოლომდე გამზრდელზეა დამოკიდებული, ეტყვის თუ არა ბავშვს ამას. ადრე მოქმედი ნორმა ძალიან ზოგადი იყო. იქ ეწერა, რომ შვილად ამყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება მშვილებლის თანხმობის გარეშე აკრძალულია, სანამ შვილად აყვანილს არ შეუსრულდება 17 წელი, ანუ აკრძალვას უკვე ვადა აქვს. მაგრამ 17 წლის შემდეგაც, თუ შვილად აყვანილს არ უნდა ამის გამჟღავნება, აკრძალულია, მისი თანხმობის გარეშე. შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება, ასევე აკრძალულია ბიოლოგიური მშობლის თანხმობის გარეშე და პირი, რომელიც ამ ნორმებს დაარღვევს, პასუხს სისხლის სამართლის წესით აგებს. ასევე ცვლილებაა მუხლში, რომელიც შვილად აყვანის კონფიდენციალობის უზრუნველყოფას ეხება. ძველ ნორმაში მშვილებლის თხოვნით, შვილად აყვანილის კონფიდენციალობის უზრუნველსაყოფად შეიძლებოდა შეცვლილიყო ნაშვილები ბავშვის დაბადების ადგილი, თვე და რიცხვი. ეს ნორმა ახლა ოთხნაწილიანია, ის ძველი რჩება, ნაშვილები ბავშვის დაბადების ნამდვილი ადგილი და თარიღი უნდა ინახებოდეს და არ უნდა გამჟღავნდეს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამას არ ითხოვს მშვილებელი. ანუ სრულწლოვნებამდე ამ საკითხს მშვილებელი წყვეტს. თუ ნაშვილებმა უკვე მიაღწია 17 წელს და სურს დაიბრუნოს თავისი ნამდვილი დაბადების თარიღი და ადგილი, ეს მისი მოთხოვნით აღდგება. ■

ეშმაკის სახლი

ნათიას არც სიყვარული აკლდა და არც ოჯახური სიმყუდროვე, მაგრამ გათხოვებიდან 7 წლის შემდეგ ჯერ ეჭვი გაჩნდა, მერე შიშმა და გაურკვევლობამ დაისადგურა, ბოლოს კი სიყვარულიც გაქრა...

ნათიასა და გიოს სიყვარული აზარტს შეეწირა... აზარტს, რომელიც უკურნებელი სენივით შეეპარა კაცს და ვერაფრით დაუსხლტა მას („აზარტს შეწირული ბედნიერება“, — „კვირის პალიტრა“, 2008 წ. 31 მარტი).

მარინა ბაბუნაშვილი

ამბავი პირველი
ბზარი

ისეთი ბედნიერები იყვნენ, ნათიას ეგონა, მათ თავზე არასდროს მოგროვდებოდა საავდრო ღრუბელი. სამწლიანი რომანის შემდეგ დიდი და ლამაზი ქორწილი გადაიხადეს... გიოს შემოსავლიანი სამსახური ჰქონდა, ნათიაც მუშაობდა. ერთი წლის შემდეგ ვაჟი შეეძინათ.

გიოს ისეთი სამსახური ჰქონდა, შინ გვიან მისვლა უწევდა, საზღვარგარეთაც ხშირად დადიოდა. ოჯახის მიმართ კი ყოველთვის ყურადღებას იჩენდა.

ორწლიანი ბედნიერი თანაცხოვრების შემდეგ მათ ურთიერთობაში რაღაც მოხდა. გიო ხშირად გაღიზიანებული ბრუნდებოდა შინ, ზოგჯერ კი საოცრად გახარებული იყო, მაგრამ ახლა ოჯახისთვის ველარ იცლიდა, სულ საქმეს იმიზეზებდა. როცა ცოლი საყვედურს შეაპარებდა ან მაშინვე ფულს გაუწვდიდა, — მე არ მცალია, ბავშვი გაასეირნეო, ან ჩხუბს იწყებდა. ნათიას ეჭვი თანდათან უძლიერდებოდა. რამდენჯერმე ტყუილშიც გამოიჭირა... ნამდვილად სხვა ქალი ჰყავს და იმასთან ატარებს დროის უდიდეს ნაწილსო, ფიქრობდა. ნათიასთვის მტკივნეული იყო იმის გაფიქრებაც კი რომ გიოს სხვა ჰყავდა, სხვა ქალი უყვარდა და ოჯახში ყოფნას იმ „სხვასთან“ ყოფნა ერჩივნა. დიდხანს ითმინა, მაგრამ, ერთხელაც, როცა გიო შინ გათენებისას დაბრუნდა, ნათიამ სკანდალი მოუწყო. გიომ ამჯერადაც დამღლელ სამსახურს გადააბრალა ყველაფერი, სხვა ქალის არსებობა კატეგორიულად უარყო, ცოლს კი ისტერიკიანი უწოდა. კარგა ხანს არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. მერე შერიგდნენ.

გავიდა დრო და გიომ მოულოდნელად თავისი „მერსედესი“ გაყიდა. ნათიას გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მის ნაცვლად ძველი „ნივა“ შეიძინა. ამის მერე ორი თვეც არ იყო გასული, რომ მათი ბინა გაძარცვეს. წაღებული იყო ნათიას ძვირფასეულობა, ფული და გუდიაშვილის სურათი, რომელიც თავად მხატვარმა აჩუქა გიოს ბაბუას და იგი ოჯახის რელიკვიად ითვლებოდა. ნათია საგონებელში ჩავარდა. კვლავ ეჭვები აფუთფუთდა მის გონებაში. გიო უცნაურად იქცეოდა — ბინის გაქურდვის ამბავი რომ შეიტყო, ჯერ შეფუცხუნდა, მერე დამშვიდდა, ხელი ჩაიქნია, რაც არის, არის, დაკარგულს აწი არაფერი ეშველება, ჩვენი პოლიციის იმედი არ მაქვსო. მართლაც, ორი თვე ისე გავიდა, პოლიციამ მძარცველთა კვალს ვერ მიაგნო.

ამბავი მეორე
სულ სხვა გზა

როცა სახლიდან ძვირფასეულობით სავსე ზარდახშაც გაქრა, ნათია მიხვდა, რომ მძარცველი უცხო კი არა, გიო იყო. გიოს მშობლები და რამდენიმე ნათესავი საქმის გამოსარკვევად შეიკრიბნენ. დამალვას აზრი არ ჰქონდა და გიო გამოტყდა — კაზინოში დიდი ფული წავაგე და სხვა გზა არ მქონდა, სახლიდან ნივთები უნდა გამეტანა და გამეყიდაო. გიოს მამას ნერვიულობისგან ინსულტი დაემართა... ნათიამ გადაწყვიტა, გაშორებოდა ქმარს.

— ნათია, იმ ამბების შემდეგ დიდი ხანი გავიდა. შეიცვალა რამე სასიკეთოდ?

— როცა გიოსთან განქორწინება გადავწყვიტე, მამამისმა მთხოვა, არ ავჩქარებულიყავი. ჩემს მამამთილს ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი და მისი თხოვნა შევასრულე, სასამართლოში სარჩელი არ შემიტანია, მაგრამ გიოს ვუთხარი, რომ ცოტა ხნით მარტო ყოფნა მინდოდა. ისიც მშობლების ბინაში გადავიდა... მეგონა, სანამ ცალკე ვცხოვრობდით, ჭკუას მოუხმობდა, აზარტს მოერეოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

— და რა მოხდა?

— იმ კაზინოში, სადაც ის ხშირად დადიოდა, ერთი ნაცნობი ქალი აღმოვაჩინე. იგი იქ ბარში მუშაობდა. ჩემი გაჭირვების შესახებ ვუამბე და ვთხოვე, თუ კიდევ გამოჩნდებოდა იქ გიო, დაუყოვნებლივ ჩემთვის შეეტყობინებინა. დამპირდა, ასე ვიზამო. ერთხელაც, უკვე გვიანი იყო, ის იყო, ნიკა დავაძინე და ტელეფონმაც დარეკა. ახლახან შემოვიდა შენი ქმარი კაზინოშიო, მითხრა. კანკალმა ამიტანა. მინდოდა, ფაქტზე წამესწრო და თავს წამოვდგომოდი. ის ხომ უმეტეს შემთხვევაში, თავს იცავდა და გამოღმა მედავებოდა. ბავშვთან მეზობელი დავტოვე, მე კი სასწრაფოდ კაზინოსკენ გავემართე. ის არ მელოდა, თვალებს არ უჯერებდა. აქ რა გინდაო, — ძლივს ამოთქვა. მეშინოდა, ნერვიულობისგან გული არ წამსვლოდა, მაგრამ მაინც ვუთხარი: აქ იმიტომ მოვედი, რომ გაგაფრთხილო, ჩემზე და ნიკაზე ხომ ვერ ითამაშებ, სახლში ძვირფასი ნივთები აღარ დარჩა-მეთქი. თამაში ველარ გააგრძელა, გარეთ გიჟივით გავარდა. ბევრი აღარ მიფიქრია და ოფიციალურად შევიტანე სასამართლოში სარჩელი. ვერ ვიტყვი, რომ არ განიცადა. რამდენჯერმე ჩემთან დალაპარაკება სცადა, პატიებას მთხოვდა, მპირდებოდა, — გამოვსწორდებიო, მაგრამ მე უკვე დაკარგული მქონ-



და მისი ნდობა. რომ მახსენდებოდა, იმ პირველი „ძარცვის“ შემდეგ როგორ მსახიობობდა და გაძარცული კაცის როლს რა ოსტატურად თამაშობდა, ვგიჟდებოდი. რაც დრო გადიოდა, ვხვდებოდი, რომ გამიჭირდებოდა მისი პატიება, მაგრამ მან მართლაც დიდი ძალისხმევა გამოიჩინა.

— დაანება თავი კაზინოში სიარულს?

— სამსახურში ერთი კარგი მეგობარი ჰყავს, მერაბი. სწორედ მისი ჩიჩინის წყალობით სულ სხვა გზას დაადგა. კაზინოს თავი დაანება და ეკლესიაში დაიწყო სიარული. მერე, მერაბი და გიო ერთად წავიდნენ ათონის მონასტერში. იქიდან სრულიად შეცვლილი დაბრუნდა, მაგრამ მე მაინც არ ვჩქარობ შერიგებას. მინდა, დრომ გამოსცადოს მისი ნებისყოფა. როცა დავრწმუნდები, რომ მან „ეშმაკის სახლს“ საბოლოოდ შეაქცია ზურგი, მაშინ შევურიგდები. ■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

ბედის ირონია

ქურდს თითი ეცვის

მარი ჯაფარიძე

ცოტა ხნის წინ ერთ მამაკაცს გადავეყარე, რომელიც ძალზე საინტერესო ბიოგრაფიის პატრონი აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ წარჩინებული გვარის შვილია, თურმე კარგად წერს და უამრავი ესე, მოთხრობა და 3 რომანი აქვს დაწერილი. ჰოდა, მე სწორედ იმის გამო დამიკავშირდა, რომ მის ნაწარმოებებს გავცნობოდი და თუ მომეწონებოდა, შემდეგ მთავარი რედაქტორისთვის გადამეცა, შემდგომში დაბეჭდვის პერსპექტივით. მაგრამ ჩემს ოთახში საუბარს შევყევით და თავისი ცხოვრებიდან ერთი, ძალზე საინტერესო ამბავი გამიმხილა. მასთან ინტერვიუს მისივე თანხმობით გთავაზობთ, მაგრამ ვინაობას ინკოგნიტოდ დავტოვებთ, ერთი უბრალო მიზეზის გამო — ის ცოლიანი გახლავთ. რატომ უშლის ეს ფაქტი ხელს ვინაობის გამჟღავნებას, ამას მისი ნაამბობიდან შეიტყობთ.

— ჯან-ღონით სავსე, ქართველი მამაკაცი ვარ და უცნაურად არ მოგეჩვენებათ, თუ ვიტყვი, რომ სუსტი სქესის მიმართ გადაჭარბებულ ინტერესს ვიჩენ. მერე რა, რომ ოჯახი მყავს და ცოლი? ხანდახან უფლება მაქვს, ცხოვრებით დავტკბე და „ლევი“ ქალის საწოლში ვიკოტრიალო. ჰოდა, 2 წლის წინ, გაზაფხულზე, მივლინებით ბათუმში მომიწია წასვლამ. იქ სტუმრებს უნდა დავხვედროდი და თბილისში ჩამომეყვანა, მაგრამ საღამოს შეფმა დამირეკა და მითხრა, რომ თურმე ფრენა გადაიდო და სტუმრები მხოლოდ 3 დღის შემდეგ მოახერხებდნენ ჩამოსვლას. მითითებაც მივიღე, ბათუმში დავრჩენილიყავი და იქ დავლოდებოდი. ასე რომ, მთელი 3 დღე ჩემს ხელში იყო. მოგეხსენებათ, მივლინებაში წასული კაცის ამბავი... ხშირ შემთხვევაში ღრეობა, ქალები და დროსტარება მივლინების ჩვეულებრივი, თანმდევი მოვლენებია. მეც, მეტი რა საქმე მქონდა? გადავწყვიტე, „თვალი გამეხილა“ და ვინმე გამეცნო. ეს გეგმა საღამოს დავსახე და განხორციელებას დილიდან შევუდექი.

შუადღემდე ვიხეტიალე, მერე მომშივდა და ბარში შევედი. ვიდრე შეკვეთას ველოდი, აქეთ-იქით მიმოვიხედე და ერთ-ერთ მაგიდასთან 2 ახალგაზრდა ქალი შევნიშნე. საეჭვოდ კისკისებდნენ...

— საეჭვოდ კისკისი რას ნიშნავს?

— რაღაც, სხვანაირად იცინოდნენ, გარშემო მყოფთა ყურადღების მიპყრობა რომ უნდათ, ისე...

— მერე? თქვენი ყურადღებაც მიიპყრეს, რა თქმა უნდა...

— ბუნებრივია... ორივე შევათვალიერე... თანაბარი „დონის“ ქალები იყვნენ... ანუ ვერ იტყოდი, რომელი რომელს სჯობდა. მათ მაგიდასთან მივედი და ვკითხე, ადგილობრივები იყვნენ თუ არა. ბათუმელები აღმოჩნდნენ. მერე მოვიმიზეზე, ქალაქს ცუდად ვიცნობ და რაღაცების გარკვევაში დამეხმარეთ-მეთქი და ამის მერე წავიდა... ორივე ჩემი მანქანით გავასეირნე, გავიცანი და მივხვდი, რომ ჩემთან ურთიერთობაზე არც ერთი არ იტყოდა უარს, მაგრამ რა მექნა, ერთ-ერთისთვის გული უნდა დამეწყვიტა. არჩევანის გაკეთებაც გამიჭირდა და ბოლოს, ისევ მათ მივანდე... ვუთხარი, ერთ-ერთი თქვენთაგანი შინ თუ დამპატიჟებს, უარს არ ვიტყვი-მეთქი და ცოტა ხნით მარტო დავტოვე, რომ გადაწყვეტილება მიეღოთ. მანქანაში რომ დავბრუნდი, ვიკითხე, ახლა სად წავიდეთ-მეთქი? ერთმა მითხრა, მე შინ მიმიყვანე და თქვენ მერე სადაც გინდათ, იქ წადითო. მოკლედ, ასე გადაწყვიტეს და მეც დავყაბულდი. იმ დღეს ცოტა კიდევ გავისეირნეთ და მეორე დღეს შეხვედრაზე შევთანხმდით. შინ მივიყვანე და შესაბამისად, ისიც გავიგე, სად ცხოვრობდა. ჰოდა, მეორე დღეს, საღამოს 6 საათზე პირდაპირ სახლში უნდა მივსულიყავი. მთელი დღე ვიხეტიალე და ვნანობდი, რომ შეხვედრა ასე გვიან დავთქვი. 6 საათზე უკვე მისი სახლის კარზე ვაკაკუნებდი. მაშინვე გამიღო. საგანგებოდ გამოპრანჭულიყო და მელოდა. კონიაკი, ბომბონერი და ხილი მივიტანე, თვითონ ხორცის შეწვა დაიწყო, მეც ვეხმარებოდი და თითიც კი დავიწვი. ცოტა ხანში სუფრაც გაიშალა. მოკლედ, მივუსხედით და დავიწყეთ „გახურება“. სულ 3-4 ჭიქა გვქონდა შესმული, რომ უეცრად კარზე დააკაკუნეს. დიასახლისი დაფაცურდა შეშინებული, ვაიმე, არავის ველოდი, მაგრამ ჩემმა ყოფილმა ქმარმა იცის ხოლმე ასე დაუპატიჟებლად შემოხეტება და ახლა რა მეშველება, ყოფილი მოკრივეა, ორივეს მაგრად დაგვამჟავებსო... ადგა და საძინებელში, კარადაში დამმალა. თან გამაფრთხილა, იმას სამზარეულოში შევიყვან, კარსაც მივხურავ და შენ გაიპარე, გარეთ დაელოდე, რომ წავა, ისევ შემობრუნდი, ვეცდები, მალე გავუშვაო.

— თქვენ არ შეშინდით?

— როგორ არა... წარმოუდგენელია, ასეთ დროს არ შეშინდე და არ აღელდე. მეც მუხლები მიკანკალებდა და ძალიან ვნერვიულობდი. გავიგონე ხმა, როგორ შემოვიდა ის კაცი და როგორ შევიდნენ სამზარეულოში, კარის მიხურვის ხმაც გავიგონე, ცოტა ხანს დავიცადე და მერე ფრთხილი ნაბიჯებით დავიძარი გასასვლელი კარისკენ, მაგრამ ის იყო, სამზარეულოს წინ უნდა გამევლო, რომ იატაკმა გაიჭრიალა, ამ ხმაზე ორივენი გამოვიდნენ და რომ დამინახეს, ქალი აყვირდა, — ვაიმე, ქურდიო. ადგილზე გავშეშდი. ამ კაცმა ხელი მტაცა და ველარ დავეხსენი. ქალი ყვიროდა, მიშველეთ, ქურდია, ჯიბეები გაუჩხრიკე, ხომ არაფერი მოიპარაო, კაცი კი ჩემს გაკავებას ცდილობდა და წინააღმდეგობა რომ გავუწიე, მუშტი ჩამცხო და დამაგდო. გონს წყლის ჭავლმა მომიყვანა. ამ დროს უკვე სკამზე ვიჯექი და თოკით ვიყავი მიბმული. ძლივს გავარჩიე მათი სახეები. კაცი მეკითხებოდა, აქ რა გინდაო, ქალი ტიროდა. მერე მამაკაცმა უთხრა, პოლიციაში დარეკე და უთხარი, მოვიდ-

ნენო. რა პოლიცია, გიჟები ხომ არ ხართ, ქურდი კი არა, შენმა ცოლმა დამიბარა და მეც მოვედი-მეთქი. ქალმა შეშინებულმა იუარა. არა, იტყუება, თავის გადარჩენა უნდაო. მერე კაცმა მითხრა, თუ 5 ათას დოლარს გადაიხდი, მაშინ გაგიშვებ და პოლიციას აღარ ჩავრევ ამ საქმეშიო. არა, პოლიციას დაურეკეთ, იმან გაარჩიოს მტყუან-მართალი-მეთქი. ადგნენ და დაურეკეს. ოთხი პოლიციელი მოვიდა. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიც შეადგინეს, ისინიც დაჰკითხეს, მე კი ხელი ჩამავლეს და პოლიციაში მიმაბრძანეს. გამომძიებელს ჩემი დაჯერება არ სურდა. საქმე ისე წაიყვანა, რომ ლამის თავადაც დავიჯერე, ქურდი რომ ვიყავი. სასამართლო ჩატარდა. ჩემი ადვოკატი თავს იკლავდა, არაა ეს კაცი ქურდი, საკმაოდ კარგი სამსახური აქვს, ნორმალური შემოსავალი, ნამდვილად იმ ქალმა დაიბარა, ხორციც ერთად შეწვეს და თითიც კი დაიწვა, თანაც, როგორც დაზარალებულები აცხადებენ, ეს კაცი თურმე მათ ბინაში ფანჯრიდან შესულა და მოვითხოვ, რომ იმ ფანჯრის დათვალიერება ჩატარდეს და დადგინდეს, შესაძლებელია თუ არა, რომ ამ სიმაღლისა და წონის ადამიანი იქ გაეტიოსო, მაგრამ მოსამართლემ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯა. გავასაჩივრეთ ზემდგომ ინსტანციაში, მაგრამ იქაც იგივე განაჩენი დატოვეს ძალაში. ისევ გავასაჩივრეთ და მხოლოდ მესამე მოსამართლემ დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა.

— **ანუ, ის ფანჯარა დაათვალიერეს, რომლითაც, ვითომ თქვენ შეიპარეთ სახლში?**

— დიახ. ექსპერტიზა დანიშნეს და აღმოჩნდა, რომ თურმე ის ფანჯარა დალურსმულია, არ ფუნქციონირებს და მხოლოდ სარკმელი იღება. ის სარკმელი კი ისეთი პატარაა, რომ იქ მე კი არა, 3 წლის ბავშვიც ვერ გაეტევა. თანაც, პირველ სასამართლოზე იმ დაქალმა მისცა ჩვენება, რომელიც ჩემს მასპინძელთან ერთად გავიცანი. თქვა, რომ თურმე სტუმრად იყო მეგობართან და იქიდან წამოსულმა დაინახა, როგორ შევიდა სადარბაზოში მეგობრის ყოფილი ქმარი... იქ მე არავინ მინახავს, ჩემი მეგობარი შინ მარტო იყო, შემდეგ ქმარი მივიდა და ეს კაცი ნამდვილად ფანჯრიდან გადაძვრებოდა, სხვა შანსი არ იყოო. მისი სტუმრობით ახსნეს გაშლილი სუფრა. თითქოს მეგობრები ისხდნენ და სვამდნენ. ჩემმა ადვოკატმა მოითხოვა, ჭიქებზე ანაბეჭდები აეღოთ, მაგრამ უკვე გვიანი იყო... მოკლედ, ძალიან დიდ გაუგებრობაში აღმოვჩნდი, მაგრამ უზენაესმა სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამომიტანა. თანაც, თურმე ამ პერიოდში დაქალებს უჩხუბიათ და იმან, ვინც მანამდე ცრუჩვენება მისცა, ყველაფერი დაფქვა. გაახარებს ღმერთი, მე კი მაგრად დამეხმარა... სასამართლოდან გამათავისუფლეს, მაგრამ მერე მე შევიტანე სარჩელი ამათ წინააღმდეგ და მორალური ზარალის კომპენსაცია მოვითხოვე. იმათ თანხის გარკვეული ნაწილი გადამიხადეს და მერე სადღაც გაქრნენ. დავემუქრე, თუ ბოლომდე არ გადაიხდით, თაღლითობასა და ფულის გამოძალვაში დაგდებთ ბრალს-მეთქი. როგორც ჩანს, შეეშინდათ და უცხოეთში გაიქცნენ...

— **საინტერესო თავგადასავალი გადაგხდენიათ...**

— თქვენთვის შესაძლოა, საინტერესოა, მაგრამ მე მთელი 2 წელი გავატარე ციხეში, ვიდრე სიმართლეს დაადგენდნენ და გამამართლებდნენ. ფაქტობრივად, მოსჯილი პერიოდის ნახევარი მოვიხადე.

— **ახლა, რამე თუ ისწავლეთ საკუთარ შეცდომაზე?**

— ალბათ იმას გულისხმობთ, უცნობ ქალებს კიდევ ვენდობი თუ არა? არ ვენდობი და ამიტომ ახლა კარგი გამოსავალი მოვძებნე, შინ არავისთან მივდივარ. სასტუმროში კი იმის საშიშროება არ არსებობს, რომ ასეთი ინციდენტი მოხდეს.

— **კი, მაგრამ ვინაობას ნუ დაწერო, მითხარით, რადგან ცოლი გყავთ და ერიდებით, რომ ღალატში მხილებული არ აღმოჩნდეთ. ნუთუ მან არ იცის თქვენი ამბავი?**

— მას სასტიკად ავუკრძალე პროცესზე მოსვლა, რადგან 2 არჩევანი მქონდა: ან სიმართლე უნდა მეთქვა და ოჯახი დამენგრია, ან ქურდობა დამებრალებინა თავისთვის და ოჯახი შემენარჩუნებინა. მე კი არც ერთი არ მაძლევდა ხელს. ამიტომ მას არც ვაგებინებდით, როდის იმართებოდა პროცესი. ადვოკატი აგებინებდა ჩემს ამბებს, იმან კი იცოდა, რაც უნდა ეთქვა. ყველა ადვოკატი კარგად ცრუობს და არც ჩემი იყო გამონაკლისი. შევთხზეთ ამბავი, რომელიც ჩემი მეუღლისთვის იყო განკუთვნილი და ისიც იჯერებდა.

— **სამსახური შეინარჩუნეთ?**

— კი, ყველა თანამშრომელი მგულშემატკივრობდა. ისინი ჩემს სიმართლეში დარწმუნებული იყვნენ. როდესაც ციხიდან გამოვედი, უფროსმა ძველ ადგილზე დამაბრუნა და ახლა ისევ იქ ვმუშაობ.

■

პრინცესები და უფლისწულები

მარი ჯაფარიძე

მართალია, ახალი წელი კარგა ხანია დადგა, მაგრამ მინდა, ერთი საინტერესო სიტუაციის შესახებ მოგიყვეთ. ჩემი ერთ-ერთი ნათლული 6 წლის გახლავთ და შესაბამისად, პირველი კლასის მოსწავლეა. პატარა თიკუნიას მოთხოვნით, ყველა მნიშვნელოვან დღეს მის გვერდით ვარ. ჰოდა, ამ ახალ წელსაც ვერ ავცდი სკოლის ზეიმზე სტუმრობას... მანამდე კი დედამისმა მთხოვა, ბავშვისთვის კაბისა და აქსესუარების შერჩევაში დავხმარებოდი. ყველაფერი მოვაგვარეთ და ზეიმის დღეც დადგა.

როგორც კი საკლასო ოთახში შევედი, პირველი შოკი მაშინვე მივიღე. ასეთი რაოდენობის ბაფთები, რუშები, ნეილონი და ორგანზა პირველად ვიხილე. გოგონები ისეთ კაბებში იყვნენ გამოწყობილნი, როგორებსაც დიდი დეიდები წვეულებაზე იცვამენ. ზოგს ზურგამოჭრილი, სწორი, შეხსნილი კაბა ეცვა, ზოგს — დეკოლტე და წინიდან შეხსნილ კაბაში ღია ფერის კოლჰოტი უჩანდა... აბსოლუტურად ყველას თავზე კუსტარული წესით გაკეთებული გვირგვინი ედგა. ბავშვები ტანისამოსში თავს უხერხულად გრძნობდნენ, ვინაიდან ნაბიჯის გადადგმა უჭირდათ. გვირგვინიც, წარამარა სძვრებოდათ და თავი ერთ პოზაში ჰქონდათ გაშეშებული.

მათ გარშემო შავ სმოკინგებსა თუ პიჯაკებში გამოწყობილი ბიჭები ისე მოჩანდნენ, როგორც პინგვინები ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეზე. მომავალი მამაკაცები სერიოზული სახით დადიოდნენ და უჩვეულოდ გამოწყობილ გოგონებს ჩუმჩუმად უთვალთვალებდნენ.

— დაბალ კლასებში ბიჭების ნაკლებობას განვიცდით, — თითქოს ბოდიში მოიხადა მასწავლებელმა და იქ მყოფ მშობლებს შორის, ერთადერთ მამაკაცს გადახედა.

არ ვიცი, რას გულისხმობდა ელზა მასწავლებელი, მაგრამ იქ მყოფი გოგონები და ბიჭები რომ გადავთვალე, აღმოჩნდა, რომ გოგონების რიცხვი მხოლოდ ერთით სჭარბობდა.

დავფიქრდი... რა საჭიროა ეს ყველაფერი? პირველკლასელი გოგონები სასაცილოდ გამოიყურებოდნენ ამ ტანისამოსში...

— უჰ, ნამდვილი პრინცესები არიან! — აღტაცებით წამოიყვირა ერთ-ერთი გოგონას ბებიამ, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ფოტოაპარატს აჩხაკუნებდა. ბავშვების დედები შვილებზე არანაკლებ გამოპრანჭულიყვნენ და ერთმანეთს შემფასებე-

ლი მზერით აკვირდებოდნენ. ყველას ყურადღება საკლასო ოთახის კუთხეში, ტკბილეულით სავსე სუფრისკენ იყო მიპყრობილი. ამდენ მშობელში ერთადერთი მამაკაცი, კუთხეში მიმდგარიყო და უხერხულად იღიმებოდა. გოგონები პოზირებდნენ, კაბებს ოდნავ წამოიწევდნენ, ნამდვილი პრინცესებივით რევერანსს აკეთებდნენ, კისრებს წამოსწევდნენ და ვიდრე ფოტოაპარატი არ გაჩხაკუნდებოდა, ასე რჩებოდნენ.

— ეს „პრინცესები“ გაიზრდებიან და მერე „პრინცებს“ მოძებნიან, — თქვა ვიღაცის დედამ. როგორც ჩანს, ეს ბიჭის დედა იყო, რადგან დანარჩენი ბიჭების მშობლებმა მოწონებით გადახედეს.

— ისე, საიდან უნდა მოიყვანონ ამდენი „პრინცი“? ნახეთ, რამდენი „პრინცესა“ გვყავს, — ნიშნის მოგებით უთხრა ერთ-ერთი გოგონას დედამ.

— ლამაზი თვალების გამო რომ პრინცს გიწოდებენ, ეს ცოტა არ იყოს, შეურაცხმყოფელია, პრინცი და უფლისწული შთამომავლობით უნდა იყო, — თქვა მეორემ, მაგრამ ეს რომელი „სქესის“ დედა იყო, ვერ გავარკვიე.

— ჩვენ, მამაკაცები ამას დიდ ყურადღებას ვაქცევთ, — ხმა ამოიღო იქ მყოფმა ერთადერთმა მამაკაცმა, — შესაძლოა, ბევრი რამის გამო გვისაყვედუროთ ქალებმა, მაგრამ იმის გამო, რომ თავს უფლისწულებად მივიჩნევთ, საყვედურს არ ვიმსახურებთ, თქვენგან განსხვავებით. ქალები სხვაგვარად ხართ მოწყობილი, ფიქრობთ, რომ პრინცესები ხართ და მწყემსს ხომ არ გაჰყვებით ცოლად? აუცილებლად უფლისწული უნდა მოძებნოთ, — მამაკაცი განაწყენებული ჩანდა.

ჩემი აზრით, არც ერთ ბავშვს არ მოუვა აზრად, ზღაპრის რეალურ ცხოვრებაში გადმოტანა, ამას ხელს სხვადასხვა გარემოება რომ არ უწყობდეს. როგორც კი გოგონა იმ ასაკს მიაღწევს, როცა უფლისწულის მოძებნა შეუძლია, მაშინვე ქუსლებზე შედგება და გზას გაუდგება ხოლმე. უბედურება კი ის გახლავთ, რომ „პრინცის“ დამოკიდებულებას „პრინცესას“ მიმართაც თანამედროვე დედა აყალიბებს. კარგი იქნებოდა, რომ როგორც ზღაპრებში ხდება, დედამ შვილს ჯერ ჭკუა ასწავლოს, განათლება მისცეს, შემდეგ, როგორც ადრინდელ, ნამდვილ პრინცესას შეეფერებოდა, ხელსაქმე შეასწავლოს და მხოლოდ ამის შემდეგ გაარკვიოს მოდის ტენდენციებში. მაგრამ თანამედროვე „პრინცესები“ ჯერ პლასტიკურ ქირურგთან მიდიან, ტუჩებსა და მკერდს დაიბერავენ, შემდეგ დამანიკიურებულ თითს საიუველირო მაღაზიის ვიტრინაში გამოდგმული ბრილიანტის დიადემისკენ გაიშვერენ და ითხოვენ, რომ აუცილებლად უყიდონ. ყველაზე კარგ შემთხვევაში ბრილიანტისთვლიან საყურეზე ან ბეჭედზე თანხმდებიან.

მამაკაცებს მიაჩნიათ, რომ საშინელებაა, როცა ქალი საჩუქარს ითხოვს და სამაგიეროდ არაფრის გაცემა არ უნდა. მაგალითად, ჩემს 25 წლის, უცოლო მეზობელს ხელი უკვე ჩაქნეული აქვს, რომ ოდესღაც ისეთ უბრალო გოგონას იპოვის, რომელსაც კარტოფილის შეწვა მაინც ეცოდინება, დღის პირველ საათამდე არ იძინებს და გადაჭარბებულ ყურადღებას არ მოითხოვს.

— წარმოგიდგენია, მარი? — დამიმარტოხელა ერთხელ ეზოში და საუბარი გამიბა. — იმან დღის პირველ საათზე გაიღვიძოს, სამსახურში დამირეკოს (ჩემი მეზობელი არ სვამს, არ ეწევა და კარგი სამსახურიც აქვს) და შამპანური მომთხოვოს, რადგან „თავი სტკივა“, დედამისი კი თავის შვილს პრინცესასა ეძახის და ყოველ საღამოს ურეკავს და ეკითხება, რა ვაჩუქე იმ დღეს. არადა, სულ 1 კვირაა, რაც ვიცნობ, მეორე დღეს შინ გამომყვა, ღამე ჩემთან დარჩა და იმის შემდეგ შინ აღარ მიდის. ვუთხარი, ჯანდაბას შენი თავი, იყავი, რამდენი ხანიც გინდა-მეთქი და ისიც ჯერ კიდევ აქ არის. ამ ხნის განმავლობაში ყავის ჭიქაც კი არ გაურეცხავს. სახლში სუფთა ჭურჭელი აღარ გვაქვს. დედას გეფიცები, ეგ რომ კარგი დიასახლისი იყოს, შინიდან მე თვითონ აღარ გავუშვებდი.

ვუთანაგრძნე მეზობელს, სხვა რა გზა მქონდა? უკვე ვიცოდი, რომ ბოლო 1 წლის მანძილზე მისთვის ეს მესამე „პრინცესა“ იყო. წინა ორმა აღზრდის პროცესს ვერ გაუძლო და გაიქცა.

— მხოლოდ სილამაზე და სექსში გაწაფულობა არ არის იმის საფუძველი, რომ მოთხოვნები და პრეტენზიები ჰქონდეს და თან იმ დროს ელოდეს, როდის აჩუქებს მამაკაცი ოქროს ზოდს, — დაასრულა ლაპარაკი.

— ეს თანამედროვე, ტიპური „პრინცესაა“ და ამის მიზეზი ნაწილობრივ ისიცაა, რომ ცხოვრებაში არ უმართლებს, — ჩემი აზრი გამოვთქვი.

— მერე, ეგ იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ეს პრეტენზიები ჩვენ წაგვიყენოს. ასეთ ქალებს ქათამზე ნაკლები ჭკუა აქვთ თავში და იმიტომაცაა, რომ მამაკაცებს მალე გვწყინდება, — პოლემიკაში ჩაერთო მეორე მეზობელი.

მამაკაცი მონადირეა, რომელიც იოლ ნანადირევზე ოცნებობს და არა უფლისწული. ამიტომ, ის მუდამ ახალ მსხვერპლს ეძებს, რომელსაც იოლად მოიპოვებს კიდეც და ცოტა ხანში ის დანარჩენი, უბედური და მიტოვებული ქალების სიაში საპატიო ადგილს იკავებს, გამოცდილებას აგროვებს და წლების განმავლობაში ან „სტერვად“ გადაიქცევა, ან ქალის სახეს საერთოდ დაკარგავს.

— არსებობენ ნამდვილი ქალები? — იკითხა ისევ პირველმა. ყველა გავჩუმდით, რადგან ჩემს აზრს ალბათ ამ სიტუაციაში არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ისე კი, რა თქმა უნდა, არსებობენ, მაგრამ ისინი პრინცესებიდან კი არ „გამოდიან“, ჩვეულებრივი ბავშვებისგან ყალიბდებიან, რომლებსაც ემოციურად ჯანმრთელი, რეალური ცხოვრებისეული შეხედულებების მქონე დედები ზრდიან. ისინი შვილებს ჭეშმარიტ ღირებულებებს აცნობენ და ბავშვობიდან უნერგავენ, რომ, როცა გაიზრდება, რაშზე ამხედრებული უფლისწული კი არა, კეთილი, შრომისმოყვარე მამაკაცი უნდა მოძებნოს, რომელიც ისეთი გონიერი აღმოჩნდება, რომ უფლისწულის სტადიას გამოტოვებს, პირდაპირ მეფედ მოევლინება და თავსაც დედოფლად აგრძნობინებს.

რაც შეეხება „პრინცესების“ დედებს, ასე მგონია, ისინი თავიანთი ფანტაზიების წყალობით შვილს თავიდანვე გასაწირად იმეტებენ. სამყარო სასტიკია! იმ „დიდური“ კაბების პატარა ანალოგით მათ გემოვნებას გააფუჭებთ. ყველამ მაპატიოს, არავისთვის ჭკუის დარიგებას არ ვაპირებ. უბრალოდ, ეს იმ ერთადერთი მამაკაცი-მშობლის აზრია, რომელსაც სრულიად ვეთანხმები.

ალბათ გაინტერესებთ, როგორი კაბა შევურჩიე ნათლულს? თეთრი, წითელკოპლებიანი, ფუშფუშა სახელოებითა და გულზე დიდი, წითელი ბაფთით, თეთრი „რეტუზი“. წითელი, დაბალძირიანი ფეხსაცმელი კი მის ბავშვურ სისადავეს ხაზს უსვამდა. ის ბიჭებთან ერთად დარბოდა, კისკისებდა და „პრინცესებს“ გვირგვინებზე ეჭიდებოდა. ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც 6 წლის ბავშვს შეეფერება. ■

სამყარო

ბუნების შეცდომა თუ გენიოსი ცაციები?

ძველ რომში ცაციას „ბოროტებას“ ეძახდნენ, მემარჯვენეს — „სიკეთეს“. მისალმებისას ხელის ჩამორთმევის ტრადიცია ძველ რომში წარმოიშვა და კეთილ განზრახვას გულისხმობდა ანუ შეხვედრისას ადამიანი მიგანიშნებდათ, რომ კეთილი განზრახვით იყო მოსული და იარაღი არ ჰქონდა. რომაელებს ცაციასი ეშინოდათ, რადგან მას მარჯვენით ხელის ჩამორთმევა, ხოლო მარცხენით ხმლის მოქნევა შეეძლო. ცაციებს ძირითადად, კილერებად ქირაობდნენ.

ძველ ბერძნებს, ინდუსებსა და ჩინელებს კი ცაციები ბედნიერების მომტან ღვთის შვილებად მიაჩნდათ, მაგრამ შუა საუკუნეებში, ინკვიზიციის დროს უამრავი ცაცია გამოასალმეს სიცოცხლეს, რადგანაც ისინი ეშმაკისეულებად, მაგიისა და ოკულტიზმის მიმდევრებად შერაცხეს. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, იმ პერიოდში მემარცხენეებმა თავი ამერიკას შეაფარეს და ამიტომაც, მას „ცაციების ქვეყანას“ ეძახიან.

საბჭოთა კავშირში, 1985 წლამდე, ცაციებს მარცხენა ხელის ნაცვლად მარჯვენის გამოყენებას აიძულებდნენ. შედეგად, ბავშვებს ფსიქიკური აშლილობა, გონებასუსტობა და სხვა დარღვევები აღენიშნებოდათ.

ლონდონის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორების აზრით, ცაციები, რომლებიც მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენენ, შეუდარებლები, ხშირ შემთხვევაში, გენიოსები არიან. სხვათა შორის, უამრავი გამოჩენილი ადამიანი სწორედ ცაცია გახლდათ: ნაპოლეონი, ალექსანდრე მაკედონელი, უინსტონ ჩერჩილი, ჯორჯ ბუში (უფროსი), ბილ კლინტონი, ალბერტ აინშტაინი, ლეონარდო და ვინჩი, ჰენრი ფორდი, ბილ გეიტსი, მიქელანჯელო, პიკასო, როდენი, რუბენსი, ჩარლი ჩაპლინი, მერილინ მონრო, ნიკოლ კიდმანი, რობერტ დე ნირო, პაგანინი, ბეთჰოვენი, კარუზო, მოცარტი, პოლ მაკარტნი, არისტოტელე, ნიცშე, ლუის კეროლი, ფრანც კაფკა, მარკ ტვენი და ა.შ.

ფაქტები ცაციებზე

ცაციებს მარჯვენა ხელი უფრო კარგად აქვთ განვითარებული, ვიდრე მემარჯვენეებს — მარცხენა.

ხშირ შემთხვევაში, ცაციები დღენაკლული ჩვილები არიან.

დისლექსიითა და აუტიზმით დაავადებული ადამიანები ძირითადად, მემარცხენეები არიან.

ქალები, 40 წლის შემდეგ, უმეტესწილად, ცაციებს შობენ.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ცაციები საუკეთესო მათემატიკოსები და მუსიკოსები არიან.

წელიწადში 2500 ცაცია მემარჯვენეთათვის შექმნილი საგნის გამოყენებისას იღუპება. ■

მიწის ქვეშ მცხოვრები ხალხი

მიწისქვეშა საცხოვრებელ სახლებსა და გვირაბებს ადამიანი უხსოვარი დროიდან აშენებდა. დღესდღეობით ყველაზე საინტერესო დერინკუია („ღრმა ჭა“), რომელიც თურქეთში, ანკარიდან 300 კმ-ში 1963 წელს აღმოაჩინეს. არქეოლოგების აზრით, იგი ჩვენს ერამდე VII საუკუნეში უნდა აეგოთ. შენობა მიწის ქვეშ 7 სართულით ჩადის. ოროთახიან „ბინას“ სააბაზანო (რომელშიც წყალი მიწისქვეშა ნაკადულებით ივსება) და

საკუჭნაოც აქვს. იქ ტემპერატურა პლუს 2 გრადუსია.

მიწისქვეშა სახლები ჩინეთში, რუსეთში, პერუში, გობისა და სხვა ადგილებშიც აღმოაჩინეს. სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობისას, კონკისტადორი ფრანსისკო პისარო ესპანელ მეფეს სწერდა, რომ წმინდა მთა გუასკარანის ქვეშ მიწისქვეშა გვირაბს მიაგნო. 1991 წელს მდინარე რიუ-სინჟუს მახლობლად პერუელმა სპელეოლოგებმაც აღმოაჩინეს მიწისქვეშა გამოქვაბულები. ერთ-ერთის შესასვლელში, კარის ნაცვლად ქვისგან გამოთლილი, გორგოლაჭებიანი ქვის ფილაა, „კარს“ მიღმა კი მრავალკილომეტრიანი გვირაბი გადის, რომლის დანიშნულება ჯერ-ჯერობით, უცნობია. მეცნიერების აზრით, ასეთი ნაგებობების აგება მხოლოდ ზეგანათლებულ ადამიანებს თუ შეეძლოთ. ■

ორჯერ ჩამომხრჩვალი ცხოველი

ოდესღაც, დედამიწაზე მილიონობით სპილო ბინადრობდა. დღეს მათი რიცხვი 400-500 ათასამდეა შემცირებული. არსებობს სპილოს ორი ჯიში — აზიური და აფრიკული. აფრიკული სპილოს ყურის ფორმა აფრიკის კონტინენტს მოგაგონებთ. აზიურისგან განსხვავებით, იგი უფრო ბეწვიანი და დიდია — სიმაღლით 4 მეტრამდე იზრდება და 5500-დან 6000 კგ-მდე იწონის. ყველაზე დიდი სპილო ანგოლაში, 1965 წელს მოკვდა. იგი სიმაღლით 4,2 მეტრი იყო და 12 ათას კგ-ს იწონიდა. ამ გიგანტური ცხოველის ფეხმძიმობა 20-22 თვე გრძელდება და ის ერთ ან ორ სპლიყვს ბადებს. ახალდაბადებული სპილო საშუალოდ, 1 მეტრამდეა და 90 კგ-ს იწონის.

ცხოველებს შორის მას ყველაზე დიდი ყურები აქვს, ტვინი კი — ადამიანზე 4-ჯერ მეტი. ის ძალიან კარგად ცურავს. სპილო საშუალოდ, 2-6 კმ/სთ-ს გადის, საჭიროების შემთხვევაში კი 35-40 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს. საინტერესოა ისიც, რომ მხოლოდ სპლიყვებს სძინავთ მწოლიარე მდგომარეობაში, ხოლო ზრდასრულები პატარების გარშემო დგებიან და ზეზეულად იძინებენ.

სპილოები დიდ ოჯახებად ცხოვრობენ, სადაც მატრიარქატი სუფევს. მამაკაცები დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევიან და სასურველი მდედრის ყურადღების მისაქცევად ერთმანეთს უპირისპირდებიან. ხშირად, რამდენიმე მამრი სპილო ერთ ჯგუფში ერთიანდება. მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ მათ შორის ხშირია ჰომოსექსუალიზმის გამოვლენის ფაქტიც.

შინაური ცხოველების გარდა, აზიელებმა სპილოც მოაშინაურეს. ძველად, ამ ცხოველს ბრძოლის დროს იყენებდნენ, დღესდღეობით კი ძირითადად, ადამიანების გასართობად წვრთნიან. მათზე ნადირობა დიდი ხნის წინ აიკრძალა.

აზიურ ქვეყნებში სპილო სიბრძნის სიმბოლოდაა მიჩნეული. ინდური მითოლოგიის მიხედვით, აირავატი იმ ოთხი სპილოდან ერთ-ერთია, რომელზეც დედამიწა დგას. აღმოსავლური რწმენით, თუ სახლში სპილოს ბევრი ფიგურა გაქვთ, უბედურება ახლოსაც არ მოგეკარებათ. ინდურ ღმერთ გენეშს სპილოს თავი აქვს და ლიტერატურის, სიბრძნის მფარველად მიიჩნევა. შუა საუკუნეების ევროპაში სპილოს მითოლოგიურ ცხოველად მიიჩნევდნენ. მოგვიანებით, იგი გერბებზეც გამოსახეს, როგორც სიბრძნისა და ძლიერების სიმბოლო... ზოგჯერ სპილოები, განსაკუთრებით — მამრები აგრესიულებიც არიან და გაბრაზებულებს, ადამიანების გაჭყლეტა, შენობების დანგრევაც შეუძლიათ. ინდოეთში ყოველწლიურად, დაახლოებით, 200 ადამიანი ხდება სპილოს მსხვერპლი.

მსოფლიოში რამდენიმე „ცნობილი“ სპილოც არსებობს, მათ შორის ყველაზე საინტერესოა: ბატირი, რომელიც 1993 წელს, ყაზახეთის ზოოპარკში მოკვდა. მას 20-მდე სიტყვის თქმა შეეძლო; გიგანტი, რომელმაც ცეცხლმოკიდებული ცირკიდან პატარა სპილო გაიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა, თავად კი დაიღუპა; რუბინი, რომელმაც სახელი ხატვით გაითქვა; უძლეველი მერი, რომელიც კინგსპოტის (ტენესი, აშშ) ცირკის წარმოდგენებში გამოდიოდა. მან ერთხელ, საკუთარი მწვრთნელიც კი გაჭყლიტა: სასეირნოდ გამოყვანილმა სპილომ ქუჩაში დაჭრილი საზამთროს კანის ჭამა დაიწყო, მწვრთნელს არ დაემორჩილა და ამიტომაც, მათრახით გაილახა. ამით განაწყენებულმა უძლეველმა მერიმ მწვრთნელი დაუნდობლად გასრისა. ცირკის დირექციამ მკვლელი ცხოველის სახალხოდ დასჯა გადაწყვიტა და 5-ტონიანი მერი 2500 ადამიანის თანდასწრებით, ამწეზე ჩამოკიდეს. პირველ ჯერზე თოკი გაწყდა და ჩამოვარდნისას, სპილომ ფეხი მოიტეხა; დაჭრილი ცხოველი მეორე ჯერზე ჩამოახრჩვეს. დადასტურდა მოსაზრება, რომ სპილოებს როგორც სიკეთის, ასევე წყენის დამახსოვრებაც შეუძლიათ. ■

სასტიკი ბუნება

ბოლო დროს ცხოველებში ანომალიამ იმატა. ალ-მანილაში (ეგვიპტე) ორთავიანი, ორკუდიანი და ექვსკიდურიანი ხბო დაიბადა.

გასული საუკუნის 50-იან წლებში, კორდილიერების მთებში დაახლოებით, 10 ცალთვალა კრავი დაიბადა.

შპიცბერგენში (ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში მდებარე პოლარული არქიპელაგი) ყოველ მეორე თეთრ დათვს ერთდროულად, მდედრის და მამრის სასქესო ორგანოები აქვს.

ჰავანის მახლობლად ხშირად პოულობენ ორთავიან კუს. ერთხელ, მექსიკელებმა იპოვეს კუ, რომლის ბაკანზე გრძელთმიანი და გრძელწვერიანი მამაკაცის გამოსახულება იყო აღბეჭდილი. მნახველებმა იგი იესოს მიამსგავსეს.

ლონდონის ჰაიდ პარკში მომრავლდნენ ციყვები, რომლებიც ერთმანეთს, ან უკეთეს შემთხვევაში — უპატრონო ძაღლებს ჭამენ.

ჩინეთის ქალაქ ლიაოჩენში აღმოჩენილი ობობების ზურგზე ადამიანის სახის ნაკვთებია გამოსახული; სამხრეთ კორეის ქალაქ ჩხონგუჯის წყლებში კი ადამიანისსახიანი თევზი დაიჭირეს. პირველი ასეთი თევზი 2003 წელს, სამხრეთ კაროლინაში აღმოაჩინეს.

ყირგიზელი იბრაჰიმ ისმატულაევი შოკში ჩავარდა, როცა დასაკლავად განწირულმა მამალმა ორჯერ წამოიძახა: „ალაჰ! ალაჰ!“ მოლაპარაკე მამალში იბრაგიმს 500 დოლარს სთავაზობენ, მაგრამ პატრონი მას ვეღარ ელევა. იბრაჰიმის თქმით, მას შემდეგ, რაც მამალი ოჯახსა და მეზობლებს ყივილის ნაცვლად, „ალაჰის“ ძახილით აღვიძებს, მრავალი ადამიანი უფრო მორწმუნე გახდა. ■

რუბრიკა მოამზადა რუსუდან გელაშვილმა

ბრძოლები, გმირები, მოღალატეები...

საქართველოს ისტორია მრავალ საიდუმლოს ინახავს. მათ შორის ბევრი ისეთია, რომელიც არათუ ფართო საზოგადოებამ, ისტორიით დაინტერესებულმა ადამიანებმაც არ იციან. მოვლენები, ადამიანები, ისტორიული ბატალიები, პატრიოტები თუ მოღალატეები, ცნობილი თუ ჩრდილში დარჩენილი გმირები — ასეთია არასრული ჩამონათვალი თემებისა, რომელსაც ჩვენს ახალ რუბრიკაში შემოგთავაზებთ.

ამგვართა რიგს მიეკუთვნება „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტის“ საქმიანობა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთში მოქმედებდა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლას ისახავდა მიზნად.

ევროპის სპეცსამსახურები, ოსმალეთის „ქართული ლეგიონი“ და ლაზი მეთაურის გმირული აღსასრული

მიხეილ ლაბაძე

XX საუკუნის დასაწყისი რუსეთის იმპერიაში სიტუაციის მკვეთრი გამწვავებით აღინიშნა. „თვითმპყრობელმა“ იმპერატორმა და მისმა კარმა იმჟამინდელ მსოფლიოში არსებულ ახალ ვითარებას ალღო ვერ აუღო. ქვეყანას დანაწევრების აშკარა საფრთხე პირველად მაშინ დაემუქრა, როცა 1905 წელს იაპონიასთან ომი წააგო, პარალელურად კი არარუსულ მხარეებში ეროვნული თვითგამორკვევისათვის მოძრაობა თანდათან სრულ დაუმორჩილებლობაში გადაიზარდა.

იაპონიასთან ომში რუსეთის იმპერიის დამარცხების შემდეგ, სხვა სახელმწიფოებისთვისაც ცხადი გახდა, რომ რუსეთში არსებული თვითმპყრობელობა დროის მოთხოვნებს ვეღარ უპასუხებდა და სანქტ-პეტერბურგს, ფაქტობრივად, უზარმაზარი ტერიტორიების ეფექტურად მართვა აღარც შეეძლო.

ასე რომ, 1914 წელს, როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, რუსეთის დაშლის გეგმა უკვე კარგა ხნის შემუშავებული ჰქონდათ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის სპეცსამსახურებს. მათი გაანგარიშებით, რუსეთის განადგურება მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ქვეყანას გამოეყოფოდა არარუსი ხალხებით დასახლებული სამი დიდი რეგიონი — უკრაინა, ბალტიისპირეთი და კავკასია.

გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ეს ჩანაფიქრი პირდაპირ უპასუხებდა რუსთა მიერ დაპყრობილ ხალხთა ეროვნულ ინტერესებს. ამიტომაც, ბერლინსა და ვენაში ეჭვიც არ ეპარებოდათ მის წარმატებაში. ომის დაწყების პირველივე დღეებიდან „რუსულ ფრონტებზე“ გერმანულ-ავსტრიულმა საიდუმლო სამსახურებმა რუსული არმიის არარუსული ქვედანაყოფების მებრძოლთა შორის ანტირუსული პროპაგანდა ფართოდ გაშალეს, იმავდროულად, ევროპაში მყოფ უკრაინელ, ქართველ და ბალტიელ პოლიტიკურ ემიგრანტებს დაუკავშირდნენ.

ქართველ საზოგადოებრიობაში ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისა და რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის იდეა სწორედ იმ პერიოდში გახდა პოპულარული. ამიტომაც, 1905-1907 წლებში რევოლუციური სიტუაციის აღმავლობამ ჩვენში პიკს მიაღწია: ყველაზე „რევოლუციურ კუთხეში“ — გურიაში, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. სხვა მხარეებშიც ძალზე გაძლიერდა რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა, რასაც სხვათა შორის, იმდროინდელ ევროპულ პრესაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლებამ 1907 წელს მაინც შეძლო რევოლუციის ჩახშობა და ძალაუფლების შენარჩუნება. 1914 წლამდე იმპერია მთელ ტერიტორიაზე ინარჩუნებდა კონტროლს, ხოლო მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, გაძლიერდა საიდუმლო სამსახურის — „ოხრანკის“ მუშაობაც, განსაკუთრებით — არარუსულ მხარეებში.

ასეთ ვითარებაში, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის სპეცსამსახურებისათვის ანტირუსული მუშაობის მთავარ ფორპოსტად იმჟამინდელი ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში დარჩენილი ისტორიული ქართული მიწა — ლაზეთი ანუ ლაზისტანის სანჯაყი იქცა, რომლის ცენტრიც მაშინ ქალაქი ტრაპიზონი იყო.

საქართველოში 1905-1907 წლებში ანტირუსული გამოსვლების სისხლში ჩახშობის შემდეგ, ქართველი „სამოსტოინიკები“ (ანუ დამოუკიდებლობის მომხრეები, როგორც მაშინ უწოდებდნენ) უცხოეთში, ძირითადად, ოსმალეთის იმპერიის გავლით გადიოდნენ. ბევრი მათგანი ლაზისტანის სანჯაყშიც რჩებოდა: თუ ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა კვლავ დაიწყებოდა, საქართველოში გადმოსვლა ადვილად რომ შესძლებოდათ.

იმ დროს ლაზისტანის სანჯაყი ოსმალეთის იმპერიის ყველაზე მივარდნილ მხარეს წარმოადგენდა. მას სტამბოლისგან ფართო ავტონომიური უფლებები ჰქონდა მინიჭებული და იქაური ქართველი არისტოკრატიაც (რასაკვირველია, ოსმალურ ყაიდაზე, „ბეგებად“ და „აღებად“ წოდებულნი) განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა. მართალია, მხარეში ქართული სკოლები არ არსებობდა, მაგრამ ყველა ქართული გაზეთი, რომელიც მეზობელ რუსეთში გამოდიოდა, ბათუმიდან იქაც ოფიციალურად იგზავნებოდა. ლაზების უმრავლესობას, სტამბოლზე უფრო ხშირად, ბათუმსა და საქართველოს სხვა ქალაქებში უწევდა და ერჩივნა მისვლა-მოსვლა. მოკლედ, ლაზეთს საქართველოსთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა და, სხვათა შორის, ამას ოსმალეთის ხელისუფლება არათუ ხელს უშლიდა, არამედ ახალისებდა კიდეც — რუსეთთან ვაჭრობის განვითარების მიზნით.

„საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტის“ ერთ-ერთი მეთაური მესუდ ფეილევანოღლი

სწორედ ამ დროს, ევროპის ქართული ემიგრაციის ერთმა ნაწილმა წამოაყენა საკითხი — საქართველოში მონარქიის აღდგენის შესახებ: მათი აზრით, საქართველოს მეფედ უნდა დაესვათ გერმანიის იმპერატორის, ვილჰელმ II-ის ვაჟი იოახიმი, რომელსაც მართლმადიდებლურად მონათლავდნენ და ქართველ წარჩინებულ ქალბატონზე დააქორწინებდნენ. ამგვარად, საქართველოში იცვლებოდა სამეფო დინასტია და ტახტს ეუფლებოდა გერმანელი ჰოჰენცოლერნების გვარი.

ამ გეგმამ, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანულ-ავსტრიული სპეცსამსახურების მესვეურებმა შეიმუშავეს, ქართველ ემიგრანტებში თავიდან არცთუ დიდი ინტერესი გამოიწვია. შემდეგ კი როდესაც ცხადი გახდა, რომ რუსეთისაგან თავდასახსნელად სხვა გამოსავალი არ არსებობდა, დაინტერესდნენ.

1914 წელს გერმანიაში შექმნილი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ სრულუფლებიანი წარმომადგენელი — ლეო კერესელიძე ბერლინიდან სტამბოლში ჩავიდა და იქ სულთნის კართან საიდუმლო მოლაპარაკებები გამართა. იმავე წელს, როდესაც ოსმალეთი გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხარეს ომში ოფიციალურად ჩაება, ამ ქვეყნის მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულე-

ბელმა, სამხედრო მინისტრმა ენვერ ფაშამ გამოსცა საგანგებო ფირმანი, რომლის თანახმადაც, ოსმალეთის არმიაში უნდა შექმნილიყო ქართული ქვედანაყოფი — „თამარ მეფის ლეგიონი“.

ტრაპიზონის ფრონტის ქართული წარმოშობის ოსმალო სარდალი ავნი ფაშა (ცხენზე) და „ქართული ლეგიონის“ მებრძოლები

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა“ და ოსმალეთის უმაღლესი სარდლობის ურთიერთშეთანხმებით, ქართული ლეგიონი ბრძოლაში თავისი ალმით ებმებოდა; ეს იყო წითელ-შავი ალამი. ლეგიონს საკუთარი ფორმაც ჰქონდა და ორდენიც, რომელზეც გამოსახული იყო თამარ მეფე და ჰქონდა ქართული წარწერა: „ქართული ლეგიონი 1915“. ამასთანავე, ოსმალეთის ტერიტორიაზე შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ფილიალები, ერთ-ერთი — ლაზეთის პატარა ქალაქ ვიწეში (დღევანდელი ფინდიკლი), რომელსაც „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტი“ დაერქვა.

იმდროინდელ ოსმალეთში, როგორც წესი, ლაზისტანის სანჯაყის მოსახლეებს რეგულარულ ჯარში არ იწვევდნენ, თუმცა ომიანობის დროს იქაურები ვალდებულნი იყვნენ, საკუთარი შეიარაღებითა და ცხენებით სულთნის დასაცავად გამოსულიყვნენ. ლაზების სახალხო ლაშქარს ოსმალეთის ხელისუფლება ძირითად მოიერიშე ძალად ან დაპყრობილ რეგიონებში სადამსჯელო რაზმებად იყენებდა.

ქართული ლეგიონის შექმნის შემდეგ, ლაზების უმეტესობა მის შემადგენლობაში მოხალისედ ჩაეწერა. ამით მათ უფლება მიეცათ, თავიანთ მხარეში დარჩენილიყვნენ, რადგანაც ენვერ-ფაშას ფირმანის თანახმად, ქართული ლეგიონი მხოლოდ კავკასიის ფრონტზე უნდა გამოეყენებინათ. ამდენად, ვიწეში შექმნილი კომიტეტი სწორედ მეომრად გამოსადეგი ხალხის შემოკრებით იყო დაინტერესებული. მისი წევრების მოვალეობას შეადგენდა ასევე, რუსეთიდან გამოქცეულ ქართველთა ან ქართველ სამხედრო ტყვეთა ერთად შეკრება და ლეგიონში ჩარიცხვა.

ვიწეში „დამოუკიდებლობის კომიტეტს“ ხელმძღვანელობდა ვინმე ბესო ჭყონია — 1907 წელს გურიიდან ლაზეთში გამოქცეული ყოფილი ფირალი, ხელობით მჭედელი. მას ლაზები „უსტა ბესოს“ („ოსტატ ბესოს“) ეძახდნენ. მასთან ერთად, ამ კომიტეტს ოსმალეთის მოქალაქე ორი ლაზიც — მესუდ ფეილევანოღლი და ჰაფიზ ბიბინოღლი — ედგა სათავეში.

კომიტეტს ლაზისტანის სანჯაყის ყველა დასახლებულ პუნქტში ჰყავდა თავისი წარმომადგენლები: ხოფაში — შეფიკ-აღა კლარჯიოღლი, არქაბში — მუსტაფა თიბუკოღლი, ართაშენში — ჯელალ გურჯიოღლი და სხვანი. სხვათა შორის, ისინი ადრე ცნობილი ფირალები იყვნენ და, რომ არა „დამოუკიდებლობის კომიტეტი“, ოსმალეთის ჟანდარმერია მათ დევნას არ შეეშვებოდა. აქვე უნდა ვთქვათ, რომ პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთი საკუთარი ნებით არ ჩაბმულა: ქვეყანაში საყოველთაო მობილიზაცია მაშინ გამოცხადდა, როცა სამხედრო მინისტრმა ენვერ-ფაშამ და შინაგან საქმეთა მინისტრმა თალაათ-ფაშამ (წარმოშობით ორივე ბულგარელი იყო) სულთანი მეჰმედ V რეშადი აიძულეს, გერმანიასთან სამხედრო კავშირის თაობაზე საიდუმლო ხელშეკრულება დაედო. ამ ხელშეკრულების ძალით, ოსმალეთის არმია და ფლოტი გერმანიის ხელში მოექცა.

ამიტომაც იყო, რომ ოსმალეთის უმაღლესმა მესვეურებმა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“ ქვეყნის ტერიტორიაზე ფილიალების დაარსებაზე უარი ვერ უთხრეს. ისე კი ცხადია, ეს ამბავი მაინცდამაინც არ გახარებიათ. იმდროინდელი ოსმალეთის ხელისუფლების მმართველი გუნდის, „ახალგაზრდა თურქების“ ერთ-ერთი ლიდერი ჯემალ-ფაშა, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ ომს მხარს არ უჭერდა, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“ ოსმალეთისათვის უაღრესად საშიშ გაერთიანებად მიიჩნევდა და მის საწინააღმდეგოდ ინტრიგებსაც ხლართავდა.

ამასობაში კი „ქართული ლეგიონი“ ძალებს იკრებდა და ომში ჩასაბმელად ემზადებოდა. მისი მეთაური იყო სოციალ-ფედერალისტი ლეო კერესელიძე („ისკანდერ-ბეგი“), შტაბის უფროსი — ნესტორ კერესელიძე, ასეულთა მეთაურები — ძმები ვანო და სერგო ლაბაძეები. ლეგიონის შტაბბინა ტრაპიზონში მდებარეობდა. მის შემადგენლობაში, ოსმალეთში მცხოვრები ქართველებისა და ყოფილი სამხედრო ტყვეების გარდა, გერმანიაში სასწავლებლად მყოფი ქართველი ახალგაზრდაც მრავლად ყოფილა.

ლეგიონის პირველი საბრძოლო ნათლობა 1914 წლის დეკემბერში, არტაანთან ბრძოლისას მოხდა. ქართველებმა რუსების თავდაცვა გაარღვიეს და პირველები შეიჭრნენ ქალაქში. მაშინდელი გერმანული პრესა ამ ამბავს აღტაცებით გამოეხმაურა. პარალელურად, „ლაზეთის კომიტეტიდან“ რამდენიმე წევრმა — შეფიკ-აღა კლარჯიოღლიმ, მესუდ ფეილევანოღლიმ და ჯელალ გურჯიოღლიმ საქართველოში ფარულად შემოაპარეს ლაზურ ჩაქურაში გამოწყობილი ლეო კერესელიძე. მან აქაურ თანამოაზრეებს აცნობა, რომ გერმანიიდან მალე ჩამოვიდოდა იარაღით დატვირთული ხომალდი, რომელსაც ბათუმში დაცლიდნენ. ამგვარად, რუსული არმიის ზურგში დიდი აჯანყება მზადდებოდა, რასაც კავკასიის ფრონტის შესუსტება და დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა უნდა მოჰყოლოდა. აჯანყებულების საშველად „ქართული ლეგიონი“ უნდა წამოსულიყო, რომელიც როგორც ქუთაისის, ასევე თბილისის მიმართულებით განახორციელებდა შეტევას.

სამწუხაროდ, „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ეს გეგმა მალევე ჩაიფუშა, რადგან კავკასიის ფრონტზე რუსულმა არმიამ ოსმალები თითქმის მთლიანად გაანადგურა და 1916 წლის პირველ ნახევარში ტრაპიზონიც დაიკავა. გერმანიიდან ბათუმში ჩამოსული იარაღით დატვირთული ხომალდი ჟანდარმერიამ ჩაიგდო ხელში. ასევე გამოავლინეს და დააპატიმრეს „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ აგენტები ბათუმის ოლქში, გურიასა და აფხაზეთში.

„ლაზეთის კომიტეტი“ უმძიმეს დღეში ჩავარდა: მისი შტაბბინაც და წევრებიც რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. უფრო მეტიც — „ქართული ლეგიონის“ ადგილობრივმა ასეულმა, რომელიც კომიტეტის ამ ფილიალს ექვემდებარებოდა, სრულიად დაკარგა კავშირი უმაღლეს სარდლობასთან.

ბესო ჭყონიამ, მესუდ ფეილევანოღლიმ და ასეულის მეთაურმა სერგო ლაბაძემ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კომიტეტის წევრები დროებით იატაკქვეშეთში გადასულიყვნენ. ამასთან, მათ იარაღი არ უნდა დაეყარათ და ებრძოლათ რუსეთის არმიის მოკავშირე სომხურ დაჯგუფებებთან, რომლებიც ლაზისტანის სანჯაყს — არც მეტი, არც ნაკლები — დიდი სომხეთის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ 1915 წელს, როდესაც ლაზეთი საომარი მოქმედების ასპარეზად იქცა, ცალკე ოსმალებმა, ცალკე რუსებმა და ცალკე სომხებმა ამ მხარის მშვიდობიან მოსახლეობაში ხმა დაყარეს, თითქოს რუსები ყველა მუსლიმანს ძალით მონათვლასა და ციმბირში გადასახლებას უპირებდნენ. ლაზთა დიდი ნაწილი მართლაც, შეშინდა და მშობლიური მიწის დატოვებას მიჰყო ხელი. მათ დაცარიელებულ კერაზე კი არზრუმელი და ბაიბურთელი სომხები სახლდებოდნენ. „ლაზეთის კომიტეტიც“ სწორედ ამას უნდა აღდგომოდა წინ.

საბედნიეროდ, ლაზეთში საომარი მოქმედებების გაშლის პირველივე ხანებში, იმდროინდელმა ქართველმა საზოგადოებრიობამ ლაზთა ტკივილი გულთან ახლოს მიიტანა და რეგიონში დიდძალი ჰუმანიტარული დახმარება გაგზავნა. ამან იხსნა ის მშვიდობიანი მოსახლეები, რომლებსაც, სხვების მსგავსად, სადმე შიდა თურქეთში გადასახლება უნდოდათ. რუსებმა ოკუპირებული ლაზისტანის სანჯაყის უმაღლეს სამხედრო მმართველად ცნობილი ქართველი მწერალი, დავით კლდიაშვილი დანიშნეს, რაც ადგილობრივი ლაზებისთვის მართლაც ბევრს ნიშნავდა.

არალეგალური სომხური რაზმები, რომლებიც განსაკუთრებით ბევრ პრობლემას ქმნიდნენ ლაზისტანის სანჯაყის ხოფისა და ათინას მაზრებში, ბუნებრივია, მალევე შეეჯახნენ „ქართული ლეგიონის“ იმ ასეულს, რომელიც ვიწედან იმართებოდა. 1915 წლის დასაწყისში, როცა ფრონტი ტრაპიზონამდე იყო მისული, ვიწეს მისადგომებთან ლეგიონერთა 25-კაციანი რაზმი, მესუდ ფეილევანოღლის მეთაურობით, სრულიად მოულოდნელად დაესხა თავს სომეხ მოხალისეთა შენაერთს, რომელიც რუსული დროშით გადაადგილდებოდა. ლეგიონერებმა, რომელთა უმეტესი ნაწილი ვიწელები იყვნენ, ხელთ იგდეს შენაერთის მეთაური, გვარად ფეტვაჯიანი და მას ცხვირი მოსჭრეს: სახეზე ხელს რომ მოისვამ, გაგახსენდებით და აქეთ პირს აღარ იზამო. ცხვირის მოჭრით გადარჩენილი ფეტვაჯიანი იმავე წლის აპრილში, სომეხთა გენოციდს ემსხვერპლა...

1916 წლისათვის, როცა რუსულმა არმიამ, როგორც იქნა, ტრაპიზონი აიღო, ოსმალებმა კი სომხები სულ გაჟლიტეს, კავკასიის ფრონტზე მცირე ხნით სიმშვიდემ დაისადგურა. გაქცეული ლაზების უმრავლესობა მიტოვებულ სახლებს დაუბრუნდა და თითქოს ყველაფერი ჩაწყნარდა. სამაგიეროდ, მძიმე დღეში ჩაცვივდნენ „ქართული ლეგიონისა“ და „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრები: საქმე ის იყო, რომ „დამოუკიდებლობის კომიტეტი“, როგორც წესი, პრეტენზიას აცხადებდა ლაზისტანის სანჯაყზე და სხვა ტერიტორიებზეც, რომელთაც ოსმალები თავიანთ საკუთრებად მიიჩნევდნენ. როგორც უკვე აღინიშნა, „ახალგაზრდა თურქების“ ერთ-ერთი ლიდერი — ჯემალ-ფაშა ქართველებს განსაკუთრებულად ვერ იტანდა და დიდად ეწინააღმდეგებოდა ლეგიონს. მისი მანიპულაციების წყალობით, ქართველებისადმი ცუდად განეწყვნენ სხვა ოსმალო ხელისუფალნიც — მათ შორის, თვით ლაზისტანის სანჯაყის ყოფილი მმართველი („ვალი“) ჯემალ აზმი ბეი, რომელმაც რუსების მიერ ტრაპიზონის აღების შემდგომ, სტამბოლში პირდაპირ მოითხოვა ქართული ლეგიონის გაუქმება. ჯემალ აზმი ბეიმ ტრაპიზონის ფრონტის მეთაური, ქართული წარმოშობის ავნი-ფაშა ტრაპიზონის დათმობაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ იგი ქართველებს მეტისმეტ უფლებებს აძლევდა: აზმი ბეის თქმით, ყველა, ვისაც ოსმალურ ჯარში სამსახური არ სურდა ანდა ოსმალო სამართალდამცავებთან პრობლემები ჰქონდა, ამბობდა, რომ ქართველი იყო და „დამოუკიდებლობის კომიტეტში“ წევრდებოდა; ამის შემდეგ მას ოსმალები ხმას ვეღარ სცემდნენ.

ბოლოს, 1916 წლის დეკემბერში გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით, „ქართული ლეგიონი“ და „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ყველა თურქული ფილიალი გაუქმდა, გარდა ვიწეს ფილიალისა, რომელიც, როგორც ითქვა, უკვე იატაკქვეშეთში, რუსების მიერ ოკუპირებულ მიწებზე არსებობდა და ამის გამო, გერმანელებს და ოსმალებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდათ. 1917 წლის მაისში „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ დავალებით, ოსმალეთის სარდლობის კონტროლქვეშ მყოფი ტერიტორიიდან ლეგიონის წევრები რუმინეთში გადაიყვანეს.

„ლაზეთის კომიტეტი“ კი 1918 წლამდე მაინც არსებობდა. მისი წევრები ლაზისტანის სანჯაყის ტერიტორიიდან რუსების გასვლის შემდეგ (1917 წლის დეკემბერი), პოლიციის ფუნქციების შეთავსებასაც შეეცადნენ, მაგრამ მალევე მოუწიათ შეტაკებამ ოსმალური არმიის საუკეთესო რეგულარულ ნაწილებთან, რომლებმაც 1918 წლის იანვარ-თებერვალში სანჯაყის თითქმის მთელი ტერიტორია დაიკავეს. ოსმალები „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“ ახლა უკვე მტრულ ძალად განიხილავდნენ, რადგან ამიერკავკასიაში რუსეთის ხელისუფლება (რომელთანაც ოსმალეთს ოფიციალურად ზავი ჰქონდა დადებული) აღარ არსებობდა და ამ რეგიონს „ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატი“ განაგებდა, კომისარიატში კი ოსმალეთის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი.

ამასთან, „ლაზეთის კომიტეტი“ ცდილობდა, როგორმე მიეპყრო „ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატის“ ყურადღება და ლაზეთი ოსმალური არმიის შემოსვლისაგან ქართული საჯარისო ფორმირებების მეშვეობით გადაერჩინა. ამ მიზნით, ბესო ჭყონიამ და მესუდ ფეილევანოღლიმ ბათუმში გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენელი, ვინმე იბრაჰიმ ჭერვათოღლი, მაგრამ ეს უკანასკნელი, დანიშნულების ადგილზე ვერც კი ჩავიდა — ხოფასთან მძარცველებს გადაეყარა და მათთან შეტაკებისას დაიღუპა.

„საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტის“ წევრები

ვიწეში ოსმალური არმიის შემოსვლისას „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტმა“ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შესახებ. ამ დროისთვის მის შემადგენლობაში მხოლოდ და მხოლოდ 70-მდე მებრძოლი ირიცხებოდა. მიუხედავად ამისა, კომიტეტმა მაინც არ დაიხია უკან, რადგან მისი წევრები ფიქრობდნენ, რომ ბათუმიდან დამხმარე ძალა მალე მოვიდოდა. ამის საფუძველი მათ ერთმა ყალბმა ინფორმაციამ მისცა — ვიწეში ვიღაცამ ხმა გაავრცელა, რომ ლაზეთში ქართული სახალხო ლაშქარი შემოდიოდა.

1918 წლის 10 მარტს კომიტეტის მიერ შეკრებილმა მებრძოლებმა ვიწეს მისადგომებთან, ოსმალები ერთი დღით შეაჩერეს, თუმცაღა მაშველი არსად ჩანდა. უთანასწორო ბრძოლაში დაეცნენ: კომიტეტის ხელმძღვანელი ბესო ჭყონია, მუსტაფა თიბუკოღლი და ჰაფიზ ბიბინოღლი; შეფიკაღა კლარჯიოღლიმ და ჯელალ გურჯიოღლიმ მიმალვა მოახერხეს, ხოლო მესუდ ფეილევანოღლი ოსმალებმა ცოცხლად ჩაიგდეს ხელში.

იმავე საღამოს, ის ვიწეს ბაზარში, ხალხის წინაშე თავის მოსაკვეთად გაიყვანეს. მესუდი ღიმილით ავიდა სახელდახელოდ მოწყობილ ეშაფოტზე და სწორედ აქ მოხდა ის, რასაც ლაზები დღესაც სიამაყით იხსენებენ: კომიტეტის წევრმა ოსმალოთა სარდალს, — კარგად იყავიო, — უთხრა და სახეში შეაფურთხა. ამან, ცხადია, სარდალი გააშმაგა და საპასუხოდ მანაც იგივე გააკეთა. ეშაფოტზე მდგარი მესუდ ფეილევანოღლი კინაღამ სიცილით მოკვდა. გაოცებულ ოსმალებსა და ბაზარში შეკრებილ ლაზებს მესუდმა ასე მიმართა: „სარდალმა სამაგიერო ვერ გადამიხადა: მე ამ შეფურთხებულ სახეს ახლავე მოვიშორებ, ეგ კი სიცოცხლის ბოლომდე სულ შეფურთხებული ივლის!“

P.S. ის ოსმალო სარდალი, ვისაც მესუდ ფეილევანოღლიმ სახეში შეაფურთხა, თურქეთის რესპუბლიკის დაარსების (1923 წ.) შემდეგ, ემიგრაციაში სუდანში წავიდა და იქ, ყველასაგან მივიწყებული, კეთროვანთა თავშესაფარში გარდაიცვალა.

P.P.S. ილუსტრაციების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდი ისტორიკოს ზურაბ ბატიაშვილს.

■

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეროვა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ბინ ლადენს 11 ვაჟი ჰყავს.
2. დინდგელი სკის შავი ცვილია.
3. ლურსმნებს ფოლადის სქელი მავთულისგან ამზადებენ.
4. ფილადელფია ამერიკის შეერთებული შტატების პირველი დედაქალაქი იყო.
5. ექიმ ვეტერინარს, რომელიც აკვარიუმის თევზებს მკურნალობს, იქთიოპათოლოგი ჰქვია.
6. კატები და ძაღლები ადამიანის მსგავსად, კბილებს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ იცვლიან.
7. პირველი ალმასი რუსეთში, ურალში მცხოვრებმა 14 წლის ყმა-გლეხმა, პაველ პოპოვმა იპოვა.
8. გარეულ ტახს კელტები იმდენად მძვინვარე ცხოველად მიიჩნევდნენ, რომ იგი ომის სიმბოლოდ აქციეს.
9. მსოფლიოს მასშტაბით მოპოვებული ზღვის პროდუქტების ერთ მეექვსედს იაპონელები მოიხმარენ.
10. სტალინგრადში 100 ათასი გერმანელი ჩავარდა ტყვედ, რომელთაგან გერმანიაში მხოლოდ 6 ათასი დაბრუნდა. ზოგიერთ მათგანს, შინ დასაბრუნებლად, 13 წელი დასჭირდა.
11. ტყე ინგლისში იმის მიხედვით ფასობდა, თუ რა რაოდენობის ღორის კოლტების გამოკვება შეეძლო.
12. ქალის ფეხსაცმლის ქუსლის თითოეული სანტიმეტრი ათი კილოგრამით ზრდის დატვირთვას ხერხემალზე.

13. სალვადორ დალის ცოლს, გალას მთელი ცხოვრება ახალგაზრდა საყვარლები ჰყავდა, მაგრამ დალი ამას არ აპროტესტებდა. მხატვარს მოსწონდა კიდეც, მისი ასაკოვანი ცოლი ახალგაზრდა მამაკაცებს რომ იზიდავდა.
14. ყოფილი მეკობრე და ინგლისის ფლოტის ადმირალი — ფრენსის დრეიკი გამუდმებით ძარცვავდა ესპანეთის სამხრეთ ამერიკულ კოლონიებს. ესპანელი ჩინოვნიკები ამით სარგებლობდნენ და თავიანთ გაფლანგულ ფულს დრეიკის მიერ წართმეულ ქონებასთან ერთად ჩამოწერდნენ.
15. „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“, — გაიძახოდა ფილიპე მახარაძე.
16. „ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა! ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა საქართველოს ბედისწერა?!“ — წერდა ილიას სიკვდილით გულშეძრული აკაკი წერეთელი.

ინდოელები ძვირად ღირებულ მანქანას ამზადებენ

ნიუ-დელის ავტოსალონზე ინდურმა დიზაინატელიემ — D. C. Design - Tata Nano-ს ტიუნინგ-ვერსიის შექმნის შესახებ განაცხადა, რომლის ფასიც 220 ათასი დოლარი იქნება. ინდური მცირელიტრაჟიანის ბაზაზე აწყობილი პირველი პროტოტიპი, რომელმაც ღირებულების გამო (2.800 დოლარი) მსოფლიოში ყველაზე იაფფასიანი მანქანის სტატუსი შეიძინა, მარტში მზად იქნება. D.C. Design-ის სპეციალისტთა თქმით, საბაზო ვერსიისგან Tata Nano-ს ტიუნინგ-ვერსია მხოლოდ შასის მიიღებს. ძარა თავის ფორმას შეინარჩუნებს, მაგრამ ავტომობილის მასის შესამცირებლად, იგი მთლიანად, კარბონისგან დამზადდება, ხოლო სტანდარტული 33 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე, 624 კუბური სმ-ის მოცულობის ბენზინის ძრავას ნაცვლად, მას 1,6-ლიტრიანი მოტორი დაუმონტაჟდება. ამასთან, D.C. Design-ის წარმომადგენლები სიახლისთვის არა მხოლოდ ახალი სალონის შექმნას, არამედ მისი მაღალი დონის ელექტრონული ტექნიკით აღჭურვასაც გეგმავენ. სავარაუდოდ, წელიწადში 2-დან 5-მდე ასეთი მანქანა გამოვა, რომელიც ინდოეთის შიდა ბაზარზე მდიდარი კლიენტებისთვის იქნება განკუთვნილი. ■

„ფორდი“ ახალ MONDEO-ს უშვებს

კომპანია „ფორდი“ მომავალი თაობის ავტომობილ Mondeo-ს დიზაინ-პროექტებზე მუშაობას ასრულებს, რომელიც ახალ Focus-თან და Fiesta-სთან ერთად, ამერიკული ავტომწარმოებლის მესამე გლობალურ ავტომობილად იქცევა. ევროპული დილერების სალონებში სიახლე 2014 წლიდან გამოჩნდება და მსოფლიოს ყველა ბაზარზე ერთნაირი გარეგნობის, ფერისა და აგრეგატების გამის მქონე ავტომობილი გაიყიდება. იგი ევროპაში, ამერიკასა და ჩინეთში გამოვა. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახალი „მონდეო“ იმავე პლატფორმაზე აიწყობა, რომელზეც წინამორბედი ავტომობილი, თუმცა მას ბორბლების ბაზის ზომები და ძარას სიგრძე შეეცვლება, განსხვავებული ექნება წინა და უკანა ბორბლებიც. გარდა ამისა, ზოგიერთი მონაცემით, ასეთ მანქანას შეიძლება, ოთხკარიანი კუპეს ძარა დაუყენდეს.

„ფორდის“ გამიდან მომდევნო სიახლე — მომავალი თაობის მოდელი Focus — 11 იანვარს, დეტროიტის მოტორშოუზე წარადგინეს. ავტომობილი ახალ პლატფორმაზეა აგებული. მას სიჩქარის გადაცემათა რობოტიზებული კოლოფი და ხიდებშორისი დიფერენციალის ელექტრონული იმიტაცია დაუმონტაჟეს. აშშ-ში ავტომობილს 155 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე, ხოლო ევროპაში — 1,6-ლიტრიანი ბენზინის ტურბინირებული ძრავათი გაყიდიან. ■

FORD FOCUS-ის მომავალი თაობა

კომპანია „ფორდმა“ ახალი თაობის Ford Focus-ის შესახებ პირველი ცნობა გაავრცელა. დეტროიტის ავტოგამოფენაზე ჰეჩბეკისა და სედანისძარიანი სიახლის, ხოლო მოგვიანებით, ჟენევის მოტორშოუზე ევროპული მოდიფიკაციის დებიუტი შედგება. Ford Focus-ის მომავალი თაობა C-კლასის ახალი გლობალური პლატფორმის ბაზაზეა აგებული, რომელსაც საფუძვლად წინამორბედი მოდელის მნიშვნელოვნად გადაკეთებული შასი დაედო. ახალი „ფოკუსის“ საჭის მართვა განახლებული ელექტროგამაძლიერებლითაა აღჭურვილი. როგორც მოსალოდნელი იყო, მომავალი თაობის „ფოკუსს“ ახალი მოტორების ხაზი ექნება: ევროპაში ავტომობილი EcoBoots-ის სერიის

ბენზინის 1,6-ლიტრიანი ტურბომოტორებით, ხოლო აშშ-ში თავდაპირველად, 2-ლიტრიანი, 155 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე აგრეგატით გამოჩნდება. მისი ტრანსმისია სიჩქარის გადაცემათა მექანიკური ან PowerShift-ის ახალი პერსპექტიული რობოტია. გარდა ამისა, მანქანას სრულიად შეეცვლება ინტერიერი წინა პანელის განახლებული არქიტექტურით და ხელსაწყოთა ახალი კომბინაციით, რომლის ცენტრშიც ფერადი (ზოგიერთ ვერსიაში მონოქრომული) დისპლეი განთავსდება. კიდევ ერთი სიახლე MyFord-ის მულტიმედიური კომპლექსია. იგი ამერიკულ ბაზარზე SYNC-ის საკომუნიკაციო სისტემასთან იქნება ინტეგრირებული. დიდი, სენსორული თხევადკრისტალური დისპლეის დახმარებით, მძღოლს ავტომობილის მრავალი სისტემის მართვა შეეძლება. როგორც „ფორდის“ წარმომადგენლები აცხადებენ, ახალი „ფოკუსი“ გლობალურ პლატფორმაზე აგებული 10 მომავალი მოდელიდან ერთ-ერთი უნდა იყოს და 2012 წლისთვის ამ შასიზე აწყობილი ყველა ავტომობილის გასაღება წელიწადში 2 მილიონს მიაღწევს. იგივე პლატფორმაზე უკვე შექმნილია კომპაქტვენები — Ford C-Max და Grand C-Max — რომლებიც გაყიდვაში წელს გამოჩნდება. ■

VOLKSWAGEN-ის კონცეპტუალური მოდელი

დეტროიტის მოტორშოუზე კომპანია Volkswagen-მა კონცეპტუალური ორკარიანი ავტომობილი NCC (ე.წ. Compact Coupe — ახალი კომპაქტური კუპე) წარადგინა, რომელიც ანალოგიური სერიული მანქანის წინამორბედად იქცევა. ადრე გავრცელებული ცნობის მიხედვით, იგი ჩრდილო ამერიკის ბაზარზე Jetta Coupe-ს სახელით გამოჩნდება. პროტოტიპის გაბარიტული სიგრძე 4,54 მეტრია, სიგანე — 1,78 მ, ხოლო სიმაღლე — 1,41 მ. კუპეს ძრავას სათავსში ჰიბრიდული აგრეგატია ჩამონტაჟებული, რომელიც 1,4-ლიტრიანი, 150 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ტურბომოტორისა და ლითიუმ-იონური აკუმულატორებით მკვებავი 27 ცხ.ძ. სიმძლავრის ელექტრომოტორისგან შედგება. კონცერნის მონაცემებით, ასეთი ავტომობილი მხოლოდ ელექტროგაწევითაც შეძლებს გადაადგილებას. VW NCC-ის საწვავის საშუალო ხარჯი 100 კმ-ზე 4,2 ლიტრია, ხოლო CO2-ის გამონაბოლქვი კილომეტრზე 98 გრამს შეადგენს. კონცეპტუალური კუპე 100 კმ/სთ-ს 8,9 წამში განავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 227 კმ/სთ-ია. არაოფიციალური ინფორმაციით, კონცერნ VW-ის ხელმძღვანელობამ უკვე მიიღო NCC-ის სერიული ვერსიის გამოშვების გადაწყვეტილება. სავარაუდოდ, ასეთი მანქანა მხოლოდ აშშ-ში გაიყიდება. ■

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

17. დავით აღმაშენებლის გამეფებამდე ერთი წლით ადრე, 1088 წელს მანამდე გაუგონარმა მიწისძვრამ დააქცია საქართველო. მთელი წელიწადი ირყეოდა ქვეყანა, ინგრეოდა და იმარხებოდა სოფლები, ქალაქები, ტაძრები, ციხენი და სასახლენი. ჩამოქცეულ თმოგვის კედლებქვეშ ცოცხლად, ცოლთან ერთად ჩაიმარხა ერისთავი კახაბერ ნიანიას ძე.

18. რომაელ დიქტატორ ლუციუს კორნელიუს სულაზე თანამედროვენი ამბობდნენ, რომ მის სხეულში ერთდროულად ორი ცხოველი — ლომი და მელაა ჩასახლებული და აუცილებლად დასძენდნენ: ეს უკანასკნელი ლომზე გაცილებით სახიფათოაო.

19. გადმოცემით ცნობილია, რომ ბანქოს მოყვარულმა ინგლისელმა გრაფმა, თამაშის დროს ხელი რომ არ დასვროდა, შემწვარი ხორცის ნაჭერი პურის ორ ნაჭერს შუა მოათავსა და ისე შეექცა. გრაფი გვარად სენდვიჩი გახლდათ და სახელდახელოდ გაკეთებულ ამგვარ ნამზადსაც მისი სახელი უწოდეს. სინამდვილეში, გრაფს ბანქო დასანახავად სძულდა და სენდვიჩი მხოლოდ იმისთვის გამოიგონა, რომ დაძაბული მუშაობისას სწრაფად დანაყრებულიყო, რადგან იგი, როგორც ინგლისის პარლამენტის წევრი, 1778 წელს მსოფლიოს გარშემო, კაპიტან კუკის მოგზაურობის მომზადებაში მონაწილეობდა.

20. 1899 წელს ივანე ჯავახიშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტი პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა და იქვე დატოვეს პროფესორის თანამდებობაზე მოსამზადებლად. არდადეგებზე პეტერბურგიდან თბილისში ჩამოსული მეცნიერი ბედისწერამ ლამის, სასიკვდილოდ გაიმეტა — სოლოლაკში, რომელიღაც საკონდიტროში ფუნთუშების ერთმა წყებამ უამრავი ხალხი მოწამლა და მათ შორის გახლდათ ივანე ჯავახიშვილიც. იგი ძლივს გადაურჩა სიკვდილს და იძულებული გახდა, მთელი ცხოვრება მკაცრი დიეტა დაეცვა.

21. ინგლისელი ფიზიკოსი მაიკლ ფარადეი არასდროს ისწრაფოდა სიმდიდრისა და პატივისაკენ, მაგრამ საკუთარი დამსახურებისათვის იგი სამოცდაათზე მეტი სამეცნიერო საზოგადოებისა და აკადემიის საპატიო წევრად იყო არჩეული. მისი შრომები ფიზიკაში ახალი ეპოქის დასაწყისად იქცა, მაგრამ ფარადეის საკუთარი გამოგონებანი არასოდეს დაუპატენტებია. მეცნიერს არაერთხელ უთქვამს უარი ხელსაყრელ თანამდებობაზე, რომელიც არნახულ შემოსავლებს უქადდა; მან უარი განაცხადა თავადაზნაურის ტიტულზეც და განაცხადა: „დიდი მადლობა, მაგრამ მე მინდა, უბრალოდ ვიწოდებოდე — მაიკლ ფარადეი!“

ფერთა პალიტრა - სახლის ხასიათი

ფერები ადამიანის განწყობილებაზე გავლენას რომ ახდენს, ყველასთვის ცნობილია. ამ ეფექტს დიზაინერები ინტერიერის გაფორმების დროს იყენებენ. ფერების მეშვეობით შეგიძლიათ შეცვალოთ ოთახის სიმეტრია, თქვენ წარმოიდგინეთ, ტემპერატურაც — გახადოთ ის თბილი ან ცივი ტონალობის; ასევე — ვიზუალურად გაუზარდოთ მოცულობა ან შეიქმნათ პატარა მყუდრო სივრცე და ა.შ.

ფერი და მისი ალქმა

რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენნაირივეა გემოვნებაც და ეს გემოვნება დროთა განმავლობაში იცვლება. ახალგაზრდებს ხალისიანი, მკვეთრი ფერები მოსწონთ, ასაკოვნები კი — თბილ პასტელის ტონებს ანიჭებენ უპირატესობას.

მყვირალა ფერები უყვართ ენერგიულ, კონტაქტურ ადამიანებს. მუქი, დამამშვიდებელი ფერები უფრო სიმშვიდის მსურველი, ან მარტოხელა ადამიანების არჩევანია. ასევე ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალინტელექტუალურია პიროვნება, მით უფრო რთული ტონალობები მოსწონს.

ფერის შერჩევა ინტერიერისთვის ძალიან რთულია და ამიტომ კარგი იქნება, მხოლოდ საკუთარ შეხედულებებს თუ არ დაეყრდნობით. სასურველია, გაითვალისწინოთ ოჯახის წევრების გემოვნებაც, მათი ასაკი და ისე გააკეთოთ არჩევანი. მაგალითად, წითელი ფერი, უმეტესწილად ცუდად მოქმედებს ხანდაზმულებზე; არცთუ იშვიათად, იწვევს თავის ტკივილს, უძილობასა და აგრესიას.

ვირჩევთ პალიტრას...

მყუდრო ინტერიერის შესაქმნელად, ავეჯი კარგად უნდა ეხამებოდეს კედლების ფერს. ამიტომ აუცილებელია, წინასწარ გქონდეთ შერჩეული, თუ როგორი იქნება ავეჯი, კედლის სურათები. კაბინეტისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ კონტრასტული ფერები: თეთრი კედლები, შავი ავეჯი; დაკიდოთ მყვირალა პოსტერები კედელზე. ამასთანავე, მცირედი წითელი ტონის შეტანა ინტერიერში (აპლიკაციები, სკამი ან პატარა დივანი) აცოცხლებს ოთახს და სამუშაო განწყობილებას ქმნის. სამუშაო განწყობილების შესაქმნელად ასევე კარგია ლურჯი ფერი და მისი ვარიაციები.

საძინებლისთვის აირჩიეთ დამამშვიდებელი პასტელის ფერები (ღია ყვითელი შეხამებული ყავისფერთან; ანდა ცისფერი ან მწვანე შეხამებული თეთრთან ან ღია ყვითელთან).

მყვირალა, კონტრასტული ფერები ბავშვის ფსიქიკაზე არცთუ დადებითად მოქმედებს — ის შეიძლება ძილის წინ გაჭირვეულდეს და შესაბამისად დაძინებაც გაუძნელდეს. ამიტომ მისი ოთახი უმჯობესია, გაფორმოთ მშვიდი პასტელის ფერებით. ღია ლიმონისფერს დამამშვიდებელი, ამავდროულად გამამხნევებელი ეფექტიც აქვს. ამასთან ერთად, გაზაფხულის ასოციაციას იწვევს.

მისაღებში კი შეგიძლიათ ფანტაზიას ფართო გასაქანი მისცეთ: მაგალითად, ერთი კედელი შეღებოთ მკვეთრ ფრად, დანარჩენები — მშვიდ ფერებში. სხვადასხვა ფერის კედელი არ ტვირთავს ოთახს, პირიქით — საკმაოდ ორიგინალურად და ჰარმონიულადაც გამოიყურება.

ფერები და არქიტექტურა

პატარა გეჩვენებათ თქვენი ბინა? — გადაღებეთ ღია ფერებში და ვიზუალურად ოთახის სივრცე გაიზრდება. ბნელი ოთახის კედლები ყვითლად ან ოქროსფრად შეღებეთ: ოთახი განათდება და უფრო „თბილი“ გახდება.

ცისფერი კი „გააგრილებს“ თქვენს ოთახს — მით უფრო, თუ ფანჯრები აღმოსავლეთ მხარეს გადის, საიდანაც მზე მთელი დღის მანძილზე ანათებს.

რაც შეეხება თეთრ კედლებს, ისინი ქაღალდის სუფთა ფურცელივითაა, რომლის ფონზეც შესაფერისი ავეჯისა და აქსესუარების დახმარებით შეგიძლიათ მოიწყოთ სხვადასხვა — თქვენთვის სასურველი სტილის ინტერიერი. ასე რომ, მიეცით ფანტაზიას გასაქანი! ■

გაუფრთხილდით წამწამებს

ყველასთვის ცნობილია, რომ გრძელი და აპრეხილი წამწამები თვალს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას მატებს, მაგრამ ბევრმა არ იცის, როგორ მოუაროს მათ. თუ წამწამების ასაპრეხ ტუშს ყოველდღე იყენებთ, მალე დაგჭირდებათ კოსმეტოლოგის კონსულტაცია — თუ რა მოუხერხოთ წამწამების ორად გაყოფილ ბოლოებს. უხარისხო საღებავმა შესაძლოა, ქუთუთოების წვა და ქავილიც გამოიწვიოს, რასაც საბოლოოდ წამწამების ცვენა მოჰყვება. ამიტომ, ქუთუთოს სულ უმნიშვნელო შეწითლების შემთხვევაშიც კი აუცილებელია, წამწამების მოვლაზე იზრუნოთ.

დილით გაკეთებული მაიაჟი, ძილის წინ აუცილებლად მოიცილეთ კოსმეტიკური რძის საშუალებით.

წამწამების მოვლა ზეითუნის ზეთის რეგულარული გამოყენებით დაიწყეთ. ჯერ კარგად ამოიბანეთ თვალები თბილი წყლით, შემდეგ კი წამწამებზე ზეითუნის ზეთი წაისვით — წამწამები გახშირდება, გამუქდება და ბზინვარება მოემატება. თუ ძილის შემდეგ თვალის კუთხეებსა და წამწამებზე ლორწოვანი გამონადენი გიგროვდებათ, თვალები გვირილის თბილი ნაყენით (1 ჩ/კ გვირილა, 1 ჩ/ჭ წყალში) უნდა ამოიბანოთ. შეგიძლიათ საამისოდ ჩაის ნაყენიც გამოიყენოთ.

წამწამების სამკურნალოდ საკმაოდ ეფექტურია აბუსალათინის ზეთიც. სპეციალური (შესაძლებელია ყურის საწმენდი) ჩხირი დაასველეთ ზეთში და თხელ ფენად წაისვით წამწამებზე. ჩამობანა საჭირო არ არის. ეს პროცედურა სასურველია, საღამოობით, მაკიაჟის მოცილების შემდეგ ჩაიტაროთ. ■

მაკიაჟი საღამოს წვეულებისთვის

მსუბუქი და ბუნებრივი — ასე გამოიყურება დღის მაკიაჟი. გარდა ამისა, ადვილია დღის მაკიაჟის ზემოდან საღამოს მაკიაჟის გაკეთება.

* თუ აქცენტის გაკეთება თვალებზე გსურთ, მის გარშემო მიდამოები მბზინავი პუდრით გამოკვეთეთ. წაისვით მუქი ნაცრისფერი ჩრდილი თვალის ზედა ქუთუთოს გარე კუთხეში და ქუთუთოს ნაკეცში. აგრეთვე შეგიძლიათ გამოიყენოთ მუქი მწვანე ან ლურჯი ჩრდილები.
* შემდეგ გაიკეთეთ თვალის კონტური. თუ დიდი თვალის ჭრილი გაქვთ, მაშინ თვალის ფანქარი ქვედა ქუთუთოს შიდა მხარეს წაისვით. სხვა შემთხვევაში — კონტური წამწამების გაყოლებაზე გაატარეთ.
* თუ აქცენტის გაკეთება თვალებზე არ გსურთ, მაშინ გამოკვეთეთ ტუჩები — უმჯობესია, მყვირალა ფერის პომადით. კონტური გაიკეთეთ პომადაზე ერთი ტონით მუქი ფერის, სპეციალური ტუჩის ფანქრით. ■

ლორის კუჭმაჭი

საჭირო პროდუქტები:

1 კგ კუჭმაჭი;
2-3 თავი ხახვი;
2 ჩ/ჭ ნიგოზი;
5-6 ძირი ქონდარი;
2 კბილი ნიორი;
1 ცალი ბროწეული;
ყვითელი ყვავილი, წიწაკა, ქინძი, სუნელები — გემოვნების მიხედვით.

მოამზადების წესი:

კუჭმაჭი კარგად გარეცხეთ, გაასუფთავეთ, ჩაყარეთ წყალში და ხარშეთ. შემდეგ გააცივეთ, მოხარშული ხორცი დაჭერით წვრილად. დაუმატეთ წმინდად დაჭრილი ხახვი, ქონდარი. ცალკე დანაყეთ ნიგოზი, წიწაკა, ყვითელი ყვავილი, ქინძი, სუნელები, ნიორი, მარილი. ყველაფერ ამას დაასხით ბულიონი, დაუმატეთ გემოვნების მიხედვით ძმარი და აურიეთ მოხარშულ კუჭმაჭში. თუკი გამზადებული კერძი ზედმეტად მშრალი მოგეჩვენებათ, დაუმატეთ ბულიონი. სუფრაზე მიტანის წინ, მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები. ■

ძეხვის სალათა

მასალად საჭიროა:

250 გ შებოლილი ძეხვი;
300 გ კარტოფილი;
3 თავი მწვანე ხახვი;
1 ცალი ახალი კიტრი;
თითო-თითო ს/კ ძმარი და მცენარეული ზეთი;
მარილი, მაიონეზი, შავი პილპილი, კამა, ოხრახუში — გემოვნებით.

მოამზადების წესი:

დაჭერით ძეხვი წვრილად, მოხარშული კარტოფილი და კიტრი კი — კუბურებად. დაუმატეთ მარილი, ძმარი, ზეთი, მაიონეზი, კამა, ოხრახუში და კარგად აურიეთ. სალათა შეგიძლიათ მწვანე სალათის ფოთლებით გააფორმოთ. ■

ხატთაყვანისცემის მნიშვნელობა და პირველი ქრისტიანული ხატები

„ხატის წინაშე მლოცველი ადამიანი ზეციურ სასუფევლამდე ამაღლდება და ლოცვით ამყარებს ურთიერთობას უფალთან, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან, წმინდა ანგელოზებსა და წმინდანებთან. მათგან კი მლოცველზე ღვთიური მადლი, შემწეობა და ლოცვა-კურთხევა გადმოედინება“, — ბრძანებენ წმინდა მამები. არამართლმადიდებლური კანონიკით შესრულებულ ხატს ლოცვითი ღირებულება არ გააჩნია. ხატს აქვს უამრავი დეტალი და თითოეული ძალზე მნიშვნელოვანია.

ანჩისხატი

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი *(აბესაძე):*

— ხატმებრძოლები ქრისტიანებად მიიჩნევდნენ თავს. ეს იყო ქრისტიანობიდან წარმოქმნილი ერესი, მაგრამ სხვა მიმდინარეობებისგან განსხვავებით, ხატმებრძოლობა საერო ხელისუფლებისგან და საერთოდ, ჩვეულებრივი ადამიანებისგან წარმოიშვა, დანარჩენ მწვალებლობათა ფუძემდებლები კი სასულიერო პირები იყვნენ. ხატმებრძოლებმა წმინდა ხატების დევნა თავიანთი შეხედულებიდან გამომდინარე წამოიწყეს და ამაში ზოგიერთი სასულიერო პირიც ჩააბეს. ისინი საეპისკოპოსო კათედრებიდან დევნიდნენ ხატთაყვანისცემის დამცველ სასულიერო პირებს და მათ ადგილზე ხატმებრძოლებს ნიშნავდნენ. კათედრებზე ინიშნებოდნენ ხელისუფლებისგან გამორჩეული საერო და ხატმებრძოლობის მომხრე სასულიერო პირებიც.

ხატმებრძოლებს ერთიანი, ჩამოყალიბებული სწავლება არ ჰქონიათ და ხშირად მიდიოდნენ აღოგიკურ ქმედებამდე — ეკლესიაში მყოფი ხატმებრძოლები არ აღიარებდნენ წმინდა ხატებს, მაგრამ თაყვანს სცემდნენ ჯვარს და წმინდა ნაწილებს. იმ გაგებით, რა გაგებითაც ისინი ხატებს კერპებად მიიჩნევდნენ, ჯვარი და წმინდა ნაწილებიც კერპებად უნდა მიეღოთ. მათგან განსხვავებით, ერში მყოფი ხატმებრძოლები წმინდა ნაწილებსაც ანადგურებდნენ და ცხოველმყოფელ ჯვარსაც შეურაცხყოფდნენ; თუკი ეკლესიაში მყოფი ხატმებრძოლები არ გამოირჩეოდნენ მართლმორწმუნე, ხატთაყვანისცემის დამცველ ქრისტიანთა ტანჯვა-წამებითა და დევნით, საერო ხელისუფლებაში მყოფნი ამას არად დაგიდევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თავს ქრისტიანებად აღიარებდნენ, ხატმებრძოლთა მიერ მოწყობილმა მართლმორწმუნე ქრისტიანთა დევნამ სისასტიკით დიოკლეტიანეს მიერ მოწყობილ დევნას გადააჭარბა. ხატმებრძოლთა ქმედებები არ იყო ერთიანი, თანამიმდევრული და აქედანაც ჩანს, რომ მათთან არ იყო ჭეშმარიტება.

— რადგან ხატმებრძოლობა საერო ხელისუფლებისგან მომდინარეობდა, ალბათ ძალადობითა და სისასტიკითაც ამიტომ გამოირჩეოდა...

— ცხადია. საერთოდაც, როდესაც ამა თუ იმ მწვალებლურ მიმდინარეობას საერო ხელისუფლება უჭერდა მხარს, ესა თუ ის ერესი სწორედ მაშინ იკიდებდა მყარად ფეხს და იწყებოდა ქრისტიანთა დევნა. ამ შემთხვევაში, ხატმებრძოლობა თავად საერო ხელისუფლებისგან დაიწყო და მეტი ძალადობითაც გამოირჩეოდა.

— როგორც ცნობილია, ხატმებრძოლობა მხოლოდ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე იყო გავრცელებული...

— ხატმებრძოლობა გავრცელებული იყო იმ ტერიტორიებზე, სადაც ბიზანტიის იმპერატორების ხელისუფლება ვრცელდებოდა. ესეც ერთ-ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ეს ერესი ეკლესიის წიაღში არ წარმოქმნილა. მას ეწინააღმდეგებოდნენ რომის პაპი, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები. იმ პერიოდში, როდესაც ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლობა მძვინვარებდა, იოანე გუთელი საქართველოში იქნა ხელდასხმული ეპისკოპოსად, რადგან არ ისურვა ხელდასხმა მიეღო კონსტანტინოპოლში, სადაც ხატმებრძოლობა მძვინვარებდა და მიეღო იგი იმ ადამიანებისგან, რომლებიც არ იყვნენ ჭეშმარიტი ქრისტიანები. აქედან ისიც ჩანს, რომ ამ მოვლენას საქართველოში არ მოუკიდებია ფეხი.

— ცხადია, ამ პერიოდში ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე უამრავი ხატი იარსებებდა. იქაური ტაძრებიც ხომ უფლისა და მის წმინდანთა გამოსახულებებით იყო მოხატული... როგორ მოხერხდა წმინდა ხატების გადარჩენა?

— ხატმებრძოლობის დროს ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე უამრავი ხატი განადგურდა. ეკლესიების კედლებიც ჩამოფხიკეს, შელესეს და სხვადასხვა ფიგურით მოხატეს, მაგრამ ბევრი ხატის გადარჩენა მოხერხდა. როდესაც ბერმონაზვნები და მართლმადიდებლები ბიზანტიის იმპერიის საზღვრებს ტოვებდნენ, თან წმინდა ხატებიც მიჰქონდათ. ამ გზით აურაცხელი ხატი გადაარჩინეს განადგურებას. ხატმებრძოლობის დასრულების შემდეგ, ამ ხატებიდან ნაწილი კვლავ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე დაბრუნეს, ნაწილს კი ათონის მთაზე მოუყარეს თავი, რომელიც სწორედ IX საუკუნეში იწყებდა ჩამოყალიბებას, როგორც საეკლესიო ცენტრი. ხატმებრძოლობის დროს კონსტანტინოპოლიდან გამორიდებულ იქნა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი — ანჩისხატად წოდებული. იგი ბიზანტიიდან წასულმა ბერებმა ანჩის საეპისკოპოსოში მიაბრძანეს და სწორედ ამის გამო ეწოდა ანჩისხატი. მოგვიანებით, თურქთაგან ტაო-კლარჯეთის დაპყრობისა და ანჩის საეპისკოპოსოს დაცემის შემდეგ, ანჩისად წოდებული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი საქართველოში იქნა გადმობრძანებული და დღემდე ჩვენს ქვეყანაში იმყოფება. ამჟამად, ეს უდიდესი სიწმინდე საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

იმ პერიოდში, ხატთაყვანისცემის დამცველებად უპირველესად, ბერმონაზვნები გვევლინებიან, ამიტომ საერო ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგაც წამოიწყო ბრძოლა. მათმა უმრავლესობამ დატოვა ბიზანტია, ნაწილი დასავლეთში — რომის კათედრის დაქვემდებარებაში მოქცეულ ტერიტორიებზე გადავიდა, ნაწილმა კი აღმოსავლეთს მიაშურა. ამ პერიოდში რომში უამრავი ბერძნული მართლმადიდებლური მონასტერი ამოქმედდა, სადაც მსახურებები ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. IX საუკუნიდან, ხატმებრძოლობის დამარცხების შემდეგ, ხატთაყვანისცემის აღდგენასთან ერთად, ბიზანტიაში კვლავ აღორძინდა და განმტკიცდა მართლმადიდებლობა.

— საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს ხატთაყვანისცემას? რატომ არის ქრისტიანობაში მიღებული ხატების — ანგელოზთა, უფლის და მის წმინდანთა გამოსახულებების შექმნა?

— წმინდა მამები ბრძანებენ: ხატი სარკმელია, რომლის მეშვეობითაც ზეციურ სამყაროს, იქ დავანებულ უფალს, წმინდა ანგელოზებსა და წმინდანებს ვუკავშირდებით. ხატის წინაშე მლოცველი ადამიანი ზეციურ სასუფევლამდე ამაღლდება და ლოცვით ამყარებს ურთიერთობას უფალთან, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან,

წმინდა ანგელოზებსა და წმინდანებთან. მათგან კი მლოცველზე ღვთიური მადლი, შემწეობა და ლოცვა-კურთხევა გადმოედინება. ხატის თაყვანისცემისას, თაყვანს ვცემთ და პატივს მივაგებთ არა ხეს, საღებავსა და იმ მასალას, რომლისგანაც ხატია შექნილი, არამედ მასზე გამოსახულ პირველსახეს — უფალს, ანგელოზებს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, წმინდანებს ან წმინდა მოვლენებს. წმინდანთა გამოსახულებებს თაყვანს ვცემთ და ლოცვა-ვედრებას აღვუვლენთ იმის გამო, რომ ისინი თავიანთი ამქვეყნიური ცხოვრებით და ქრისტიანული აღსასრულით სათნო ეყვნენ უფალს და ამის გამო მეტი კადნიერება აქვთ უფლის წინაშე თხოვნისა, ვიდრე ჩვენ.

— როდის და როგორ შეიქმნა პირველი ქრისტიანული ხატები?

— პირველი ქრისტიანული ხატი გახლდათ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რომელიც მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების დროს შეიქმნა. ქალაქ ედესის მძიმედ დასნეულებულმა ავგაროზ მეფემ მხატვარი ანანია იერუსალიმში მყოფ მაცხოვართან მიავლინა, თან წერილი მისწერა ქრისტეს, რომელშიც ატყობინებდა, რომ იცოდა მისი სასწაულებრივი მკურნალობის შესახებ, აღიარებდა მას მესიად და სთხოვდა, ჩასულიყო მასთან და სნეულებისგან დაეხსნა. ამასთანავე, მაცხოვარს საცხოვრებლად თავის ქალაქს — ედესს სთავაზობდა. ავგაროზმა ანანიას ისიც დაავალა, — თუკი ქრისტე თავად არ ინებებს წამოსვლას, მისი ღვთაებრივი სახე დახატე, რათა სურათი მაინც მქონდესო. უფალმა ედესში წასვლა ვერ შეძლო, მაგრამ ანანიას მისი დახატვის ნება დართო. მხატვარმა ვერასგზით მოახერხა უფლის არაამქვეყნიური ნათლით გაბრწყინებული სახის ტილოზე გადატანა. მაშინ მაცხოვარმა წყალი და ტილო მოატანინა, პირი დაიბანა და ტილო სახეზე მიიდო, რომელზეც სასწაულებრივად აღიბეჭდა მაცხოვრის სახე... ამ გამოსახულებას მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ეწოდა. ამგვარად, ქრისტიანთა შორის ხატთაყვანისმცემლობას დასაბამი მისცა მაცხოვრის ხელთუქმნელმა ხატმა. უფალმა თავად აკურთხა წმინდა გამოსახულებების — ხატების თაყვანისცემა.

ოდიგიტრია

სწორედ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ბრძანდება საქართველოში, რომელიც როგორც ვთქვით, ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია დაცული. XX საუკუნეში ამ ხატის დათვალიერებამ უჩვენა, რომ იგი შესრულებულია ტილოზე ჩვენგან უცნობი მეთოდებით (უცნობია იმის გამო, რომ ხელთუქმნელია), რომელიც შემდეგ არის გადაკრული ხეზე, მოჭედილია და შემკულია ძვირფასი ქვებით.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისგან კიდევ რამდენიმე ხელთუქმნელი ხატი გამოისახა. ერთ-ერთი მათგანი — კეცის ხელთუქმნელ ხატად წოდებულიც, საქართველოში მოხვდა. იგი ჩვენს ქვეყანაში წმინდა ანტონ მარტყოფელმა ჩამოაბრძანა, მაგრამ დიდი თურქობის დროს დაიკარგა: საქართველოს მეფის, გიორგი მეშვიდეს (1393-1407) ხანაში, თემურ ლენგის შემოსევისას, გიორგი მარტყოფელმა ეს ხატი, იმის შიშით, რომ ურჯულოებს არ გაენადგურებინათ, ყველასთვის უცნობ ადგილას გადამალა; მოგვიანებით, გიორგი მარტყოფელი მოწამებრივად აღესრულა და თან წაიღო კეცზე აღბეჭდილი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ადგილსამყოფლის საიდუმლო, რომელიც დღემდე უცნობი რჩება.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის გარდა, არსებობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატიც, რომელიც წმინდა ქალწულის პირისახეზე მიდებით გამოისახა. იგი ღვთისმშობელმა თან გამოატანა საქართველოში საქადაგებლად წამოსულ ანდრია პირველწოდებულს. ეს ხატი დღესაც საქართველოშია და აწყურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელწოდებითაა ცნობილი.

ხატები ქრისტიანობის პირველი საუკუნიდან იწერებოდა. ლუკა მახარებელი — ერთ-ერთი სახარების ავტორი, ცნობილი ხატმწერი გახლდათ. მან შექმნა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის რამდენიმე ხატი, ასევე მოციქულთა ხატები. საეკლესიო მეცნიერებაში ცნობილია 100-მდე ხატი, რომელთა სახელიც ლუკა მახარებელს უკავშირდება.

— არამართლმადიდებლური კანონიკით შესრულებულ ხატს ლოცვითი ღირებულება არ გააჩნია. როდის შეიქმნა მართლმადიდებლური კანონიკა და შესაძლებელია თუ არა, ადამიანმა დამოუკიდებლად გაარკვიოს, ხატი მართლმადიდებლური კანონიკის ზუსტი დაცვითაა შესრულებული თუ არა?

— მართლმადიდებლური კანონიკა ქრისტიანობის პირველივე საუკუნეში შეიქმნა, საბოლოოდ კი ხატმებრძოლობის დამარცხების შემდეგ, IX საუკუნეში ჩამოყალიბდა. ეკლესიის მიერ უამრავი არაკანონიკურად შექმნილი ხატი განადგურდა.

იმის გარჩევა, კანონიკის ზუსტი დაცვითაა შესრულებული ხატი თუ არა, ძალზე ძნელია. თუ ადამიანმა მართლმადიდებლური კანონიკა არ იცის, ამას ვერც გაარჩევს. ხატს აქვს უამრავი დეტალი და თითოეული მნიშვნელოვანია. მაგალითად: მაცხოვარს, მისი ღვთაებრივი ბუნების ნიშნად, შარავანდედში აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჯვარი; ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი არ გამოისახება თავსაბურავის გარეშე, არ შეიძლება, რომ ღვთისმშობელს უჩანდეს თმა; იგი იშვიათად გამოისახება მარტო — თითქმის ყველა ხატში ღვთაებრივი ყრმა უჭირავს ხელში, ამასთანავე, შუბლსა და

ელეუსა

მხრებზე სამი ვარსკვლავი აქვს გამოსახული, ნიშნად იმისა, რომ ღვთისმშობელი ქალწული იყო შობამდეც, შობის დროსაც და შობის შემდეგაც. დამახასიათებელი ნიშნები აქვს წმინდანთა ხატებსაც: არ შეიძლება, წმინდანი გამოსახული იყოს პროფილში; მოციქულებს და ღვთის სიტყვის მქადაგებლებს სახარება ან ქარტია უპყრიათ ხელთ, წმინდა მოწამეებს — ჯვარი, მკურნალ წმინდანებს — წამლის ყუთი და ა.შ. რაც შეეხება ცალკეულ დეტალებს: გრძელი თითები წმინდა და მართალ ცხოვრებას აღნიშნავს, მაღალი შუბლი — სიბრძნეს, დიდი თვალები — სულიერ ხედვას... მნიშვნელობა აქვს ფერებსაც: თეთრი სიწმინდეს აღნიშნავს, მწვანე — ცხოვრებას, ლურჯი — საიდუმლოს, ცისფერი — უმანკოებას, ოქროსფერი — მარადიულობას, ყვითელი — სითბოსა და სიყვარულს, წითელი — მსხვერპლად შეწირვას.

ცხადია, ყველა დეტალზე ლაპარაკი შეუძლებელია. ხატის კანონიკურობის დამტკიცება ხდება მისი კურთხევის დროს — თუ ხატი მართლმადიდებლური კანონიკით არ არის შესრულებული, ამას მოძღვარი გვეტყვის. ■

დანიელ სვაროვსკი — ნაყალბევი ბრილიანტის დიდოსტატი

დანიელ სვაროვსკის პიროვნული იდუმალების ახსნა სულ სხვადასხვაგვარად შეიძლება. მაგალითად, ის შეიძლება კრიმინალურ მოღვაწედ, თაღლითად და სახელგანთქმულ ჟორჟ ფრედერიკ სტრასის მსგავს იმიტატორად მივიჩნიოთ. შეგახსენებთ, სტრასი XVIII საუკუნეში ცხოვრობდა და წარმატებით აყალბებდა ძვირფას ქვებს. სხვათა შორის, ყალბ ბრილიანტებს სწორედ მის პატივსაცემად უწოდეს „სტრაზები“, მაგრამ იგი, წარმატებული და კანონმორჩილი ბიზნესმენის, ინჟინრისა და უზარმაზარი ფაბრიკის მეპატრონე სვაროვსკისგან განსხვავებით, ისტორიას მაინც, მარტოხელა ავანტიურისტად შემორჩა.

სვაროვსკი ესთეტი, ხელმოცარული მევიოლინე და რომანტიკოსი იყო. გარშემო მყოფთათვის იმის დამტკიცების სურვილი ამოძრავებდა, რომ ხელოვნებაში მთავარი, სამუშაო მასალა კი არა, შემოქმედის ოსტატობა და ბროლის ის მისტიკური სამყაროა, რომელშიც მაყურებელი იძირება: განა მაცდუნებელი არ არის ხელოვნური სხივის ბუნებრივზე ბრწყინვალედ წარმოჩენა — თანაც იმდენად, რომ ნაყალბევმა ბრილიანტმა ნამდვილი დაჩრდილოს?!.

დანიელ სვაროვსკი 1862 წელს, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ჩრდილოეთში, ბოჰემიის მთებში დაიბადა. სხვათა შორის, ეს მხარე ჯგუფ უეენ-ის „ბოჰემურ რაფსოდიაზე“ მეტად, იმ ბოჰემური მინითაა ცნობილი, რომლის გამობერვა და დამუშავება სამრეწველო რევოლუციამდე ბევრად ადრე დაიწყეს. ეს ის პერიოდი იყო, როცა თითქმის ყოველ ბოჰემელს სახლში მინის სახელოსნო ჰქონდა. ცხადია, გამონაკლისი არც დანიელის მამა იყო, მაგრამ მისი საწარმო განსაკუთრებული გაქანებით ნამდვილად არ გამოირჩეოდა — მინისგან ის ბიჟუტერიას, თმის სამაგრებსა და სხვა აქსესუარს ამზადებდა, რაც მხოლოდ საოჯახო საჭიროებისა და საცალო ვაჭრობისთვის იყო განკუთვნილი. უმცროსი სვაროვსკიც, რომელიც თავისუფალ დროს ვიოლინოზე დაკვრით იქცევდა თავს, ერთხანს მამის საწარმოში მუშაობდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ დიდი საქმეები ბოჰემიის პატარა სოფელში კი არა, ისეთ დიდი ქალაქებში კეთდება, როგორიც, მაგალითად, პარიზია.

დანიელი ქიმიის, ფიზიკის, მექანიკისა და ინჟინრისთვის აუცილებელი სხვა მეცნიერებების შესასწავლად სწორედ პარიზში გაემგზავრა. სწავლის დასრულების შემდეგ კი მსოფლიო ელექტროტექნიკურ გამოფენას მიაშურა, სადაც იდუმალ მექანიზმებსა და არანაკლებ იდუმალ მათ გამომგონებლებს შორის მოქცეულს, ელექტროდენის მინის გახეხა-დახვეწისთვის გამოყენებაც მოუვიდა აზრად. 1891 წელს, ხანგრძლივი ფიქრისა და გათვლა-გაანგარიშების შემდეგ, სვაროვსკიმ მსოფლიოში პირველი ელექტრული სახეხი დაზგა დაამზადა — ეს მანქანა სოლიდური რაოდენობის ქვისა და ბროლის საუკეთესოდ დამუშავების საშუალებას იძლეოდა. როცა მასობრივი წარმოების გახსნისა და ბაზარზე გასვლის დრო დადგა, დანიელმა აქაც ჭკუა იხმარა და ბოჰემელ ოსტატებთან შეჭიდებას, ავსტრიაში გადაბარგება და ტიროლის პატარა დაბა ვატენსში ბროლის დამუშავება არჩია. იმიტაციის ფაქტი სვაროვსკის არასდროს დაუმალავს და საკუთარ ბიზნესსაც სავსებით კანონიერად მიიჩნევდა. მის მიერ დამუშავებული ბროლი გარეგნულად ბუნებრივ ბრილიანტს არაფრით ჩამოუვარდებოდა. მან მაღალი საზოგადოების ბრწყინვალება, პრესტიჟი, რჩეულობის უფლება და ძვირფას ქვებთან დაკავშირებული ყველა სხვა ილუზიაც უბრალოდ, საწარმოო რელსებზე შეაყენა. ამბობენ, ნამდვილი, ბუნებრივი ბრილიანტი თვითონ ირჩევს, ვის თითზე უნდა იბრწყინოსო, მაგრამ ელიტურობის დრო წარსულს უსწრაფესად ჰბარდებოდა და ახლა უკვე საშუალო შეძლების ჩინოვნიკსაც თავისუფლად შეეძლო, ცოლისთვის ან მეგობარი ქალისთვის ელეგანტური ბროლის ნივთი ეყიდა. მალე სვაროვსკის ფაბრიკა შეკვეთებით აიკლეს და მასაც, შენობის გაფართოება, 200 მუშის დაქირავება მოუხდა. სწორედ მაშინ ეწოდა ფირმას Swarovski, რადგან ბაზარზე საქონელი უსახელოდ ვერ გავიდოდა. რამდენიმე წელიწადში სვაროვსკიმ, იმ დროისთვის უკვე განათლებამიღებულ თავის ვაჟებთან ერთად, კრისტალების დაწახნაგებისა და გახეხა-დახვეწის ტექნოლოგია შესაშურ სრულყოფილებამდე აიყვანა. შედეგად, დანიელის მთავარი კონკურენტები — ვენეციის მინის ქარხნები გაკოტრების პირას აღმოჩნდა. თუმცა მაშინდელი ვენეცია რაღა სახსენებელია, როცა რაიმე მსგავსის გაკეთება დღემდეც ვერ-

ავინ შეძლო?! დაზგებზე მეტად, სვაროვსკის ძალა იმ ფორმულაშია, რომელიც მან საკუთარი ბროლის ხარშვისთვის შეიმუშავა.

დანიელმა საკუთარი სამკაულების ნიმუშები პარიზსა და სანქტ-პეტერბურგში გაგზავნა და იქაური მოდის მიმდევარი ქალების აღტაცებაც დაიმსახურა; წლების შემდეგ კი ბროლის ბიჟუტერია მარლენ დიტრიხის საღამოს კაბების, მაიკლ ჯექსონის, ბრაიან ფერის და ტინა ტერნერის კოსტიუმების ლამის შეუცვლელი ელემენტიც გახდა. შანელი, კრისტიან დიორი, ივ სენ-ლორანი თავიანთ კაბებს დღემდე ბროლით აწყობენ.

მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ევროპის მოდის სახლებმა კრახი განიცადეს, სვაროვსკიმ ისევ იმარჯვა და თავისი კრისტალური პროდუქციით ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზეც შეაღწია.

დანიელ სვაროვსკი 1956 წელს გარდაიცვალა და ოჯახს აყვავებული ბიზნესი დაუტოვა. ზუსტად 20 წლის შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა წარმოების ახალი ხაზი — Silver Crystal გახსნეს. ამ ხაზიდან პირველი, ჭაღის საკიდრებისგან დამზადებული თაგუნა იყო; თაგუნას ზღარბი, კუ, შვლის ნუკრი, მარტორქა და გედი ანუ მინისგან დამზადებული მთელი ზოოპარკი მოჰყვა. Swarovsk-ის მარკეტოლოგებმა ყველა ამ ნივთს საკოლექციო სტატუსი მიანიჭეს და ახლა თითოეულის ფასი 30-დან 600 დოლარამდე მერყეობს.

მალევე შეიქმნა სვაროვსკის ნაკეთობათა კოლექციონერების კლუბიც, რომელშიც დღესდღეობით, მთელი მსოფლიოდან ნახევარ მილიონამდე ადამიანია გაწევრებული და ყოველ მათგანს, წელიწადში ერთხელ, დიზაინერები სპეციალური ესკიზების მიხედვით დამზადებულ პატარა ფიგურას ჩუქნიან. ეს ესკიზები იმდენად სპეციფიკურია, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ, ისინიც და ფიგურების დასამზადებლად გამოყენებული ყველა ინსტრუმენტიც ნადგურდება.



ესოდენ მკაცრი კონსპირაციის ახსნა ძნელი არ არის, სვაროვსკის ბროლის საიდუმლო ხომ ამ საპატიო ფირმის მთავარი კაპიტალია, მაგრამ განა სიბრიყვე არ იქნებოდა, რომ ვთქვათ, სეზანის ნამუშევრები იმის შიშით არ გამოეფინათ, ვინმემ მხატვრის მანერა არ გადაიღოს და ამ გზით ის ბაზრიდან არ გამოდევნოსო? ამიტომ, არც სვაროვსკის ნაკეთობებს უმალავს ვინმე მსოფლიოს. პირიქით, თანდათან მათი კულტიც კი იქმნება. უკვე არსებობს ბროლის თაყვანისცემის ადგილიც — 1995 წელს, ფირმის 100 წლისთავისათვის შექმნილი სვაროვსკის მუზეუმი ანუ ამ კულტის აპოთეოზი. ეს უზარმაზარი მიწისქვეშა გამოქვაბული ტიროლის დედაქალაქ ინსბრუკიდან დაახლოებით, ერთი საათის სავალზეა. გამოქვაბულის შესასვლელს თვალებანთებული გოლიათი იცავს; მისი პირიდან ჩანჩქერი გადმოჩქეფს, პროჟექტორების შუქზე კი გეჩვენება, რომ წყალიც ბროლისგანაა შექმნილი. მიწისქვეშეთში მინის გვირაბი მიგიძღვის. გვირაბის კედლებზე შექსპირის, ლორკას და გოეთეს ის სტრიქონებია ამოკვეთილი, რომლებშიც სიტყვა crystal (ბროლი) გვხვდება. აქ გინესის წიგნში შესული სვაროვსკის ყველაზე პატარა და ყველაზე დიდი ბროლის კრისტალებია გამოფენილი. გიგანტის წონა 310 ათასი კარატი (დაახლოებით, 62 კილოგრამი), დიამეტრი კი 40 სანტიმეტრია. კრისტალის ასი წახნაგი ხან ძოწისფრად, ხანაც — სიბნელის გამპობი ცივი ვერცხლისფერი შუქით ელვარებს. ყველაზე პატარა კრისტალის დანახვა მხოლოდ მიკროსკოპის მეშვეობით შეიძლება. მისი დიამეტრი ხომ სულ რაღაც, 0,8 მილიმეტრია. ექსპონატებს შორისაა ბროლისგან დამზადებული სალვადორ დალის „რბილი“ საათი, ინდოელი მაჰარაჯის ცხენის მორთულობა და 11 მ სიმაღლის ბროლის კედელი. დარბაზში საკმაოდ ვიწრო ბილიკს შეჰყავხარ, რომელიც საბავშვო კალეიდოსკოპივით, გამუდმებით იცვლის ფერს. მინის ცის სამგანზომილებიან სივრცეში ვარსკვლავები ციმციმებს, დედამიწა ოკეანეების ცისფერი შუქით იფარება, ჩნდება მატერიკები. მილიონჯერ დაჩქარებული ევოლუცია ოკეანეებს თევზებით ავსებს, დინოზავრების ღმუილს კი ჩიტების გალობა ცვლის...

წამით სინათლისგან დაბრმავებული, თავადაც თითქოს, კრისტალის გულში ექცევი. ამ ილუზიას 590 სამკუთხა სარკე ქმნის და ვერაფრით იჯერებ, რომ ბროლის ჭერის სიმაღლე მხოლოდ 5 მეტრია. ზემოდან, ქვემოდან და გვერდებიდან მინის უფსკრულები გელანდება. იცვლება ფერების პალიტრა, შეგრძნებები და გეჩვენება, რომ კედლებიდან არეკლილი ხმები ერთ უსასრულო აკორდად იკვრება. სხვათა შორის, ყოფილი მევიოლინე — სვაროვსკი ქვეშევრდომებისგან მოითხოვდა, რომ ბროლში მუსიკას ეჟღერა.

პარადოქსია, მაგრამ ამ მუზეუმში თავად სვაროვსკი არცთუ ისე ხშირად გახსენდება. მთელი ყურადღება ხმისა და სინათლის ვიბრაციაზე, ბროლის ანარეკლების მიერ შექმნილ ატმოსფეროზეა გადატანილი... ■

რუბრიკა მოამზადა ნინო ჩარგეიშვილმა

გულთან დაკავშირებული 6 მითი

მოდი, ვკითხოთ საკუთარ თავს: ვზრუნავთ თუ არა გულზე და რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ მის ნორმალურ მუშაობას შევუწყოთ ხელი. ან საერთოდ, რა ვიცით იმის შესახებ, თუ რაა სასარგებლო და რა არა გულის კუნთის გავარჯიშებისათვის? გულთან დაკავშირებით, ხალხში უამრავი ტყუილ-მართალი მოსაზრებაა გავრცელებული. ეს მითები უძველესი დროიდან არსებობს და მათი კატეგორიულად უარყოფა ან დადასტურება შეუძლებელია.

მითი პირველი — „ვინც ვარჯიშობს და ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევს, მას გულის არანაირი დაავადება არ ემუქრება“.

სწორი კვება, სპორტით დაკავება — ეს ნამდვილად, მისასალმებელია, მაგრამ ჯანმრთელი გულის შენარჩუნების 100%-იან გარანტიას არ იძლევა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი მატულობს ისეთი არაკონტროლირებადი ფაქტორების გავლენით, როგორიცაა:

სქესი — მამაკაცები, ქალებთან შედარებით, გულის დაავადებების განვითარებისკენ მეტად არიან მიდრეკილნი;

ასაკი — რაც მეტია ასაკი, მით მეტია გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების რისკი;

თუ ადამიანს აქვს მიდრეკილება არტერიული წნევის მატებისა და სისხლში ქოლესტერინის დონის ზრდისკენ, მაშინ გულზე პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია.

მითი მეორე — „ახალგაზრდა ასაკში გულის დაავადებებზე ნერვიულობა არ ღირს“.

გულთან დაკავშირებულ ბევრ პრობლემას საფუძველი სწორედ ახალგაზრდობისას ანუ მაშინ ეყრება, როცა ჯანმრთელობაზე არ ვზრუნავთ და დამღუპველი მავნე ჩვევები (სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლის მიღება, უკონტროლო ჭამა-სმა) ხდება ჩვენი ცხოვრების წესი. რასაკვირველია, მაღალი არტერიული წნევის მქონე ბავშვები ან ის მოზარდები, რომელთაც სისხლში ქოლესტერინის მაღალი დონე აქვთ, ან რომელთა ოჯახის წევრებსაც აქვთ ასეთი ცვლილებები, უფრო მეტად არიან გულის დაავადების განვითარებისკენ მიდრეკილნი. ამიტომაც, პერიოდულად, ექიმს კონსულტაციისთვის უნდა მიმართონ.

მითი მესამე — „მცირე ოდენობით ალკოჰოლური სასმელი გულისთვის სასარგებლოა“.

ახლახან ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ ყოველდღიურად ალკოჰოლის მცირე რაოდენობით (ერთი ჭიქა ღვინო) მიღებამ შეიძლება, თქვენს ჯანმრთელობას სარგებლობაც კი მოუტანოს, მაგრამ კამათი არ წყდება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი სახის ალკოჰოლია სასარგებლო.

გახსოვდეთ! დიდი რაოდენობით ალკოჰოლს აქვს ტოქსიკური ეფექტი და ის გულის კუნთის უჯრედების დაზიანებას იწვევს.

მითი მეოთხე — „საუზმეზე ორი უმი კვერცხის მიღება (მაგალითად, გოგლი-მოგლის სახით) ქოლესტერინის დღიური დოზის გადაჭარბებას ნიშნავს“.

ფრინველის კვერცხის გული შეიცავს 200-250 მგ ქოლესტერინს (ქოლესტერინი არ შედის კვერცხის ცილის შემადგენლობაში), მისი დღიური ნორმა კი 300 მგ-ს შეადგენს. შესაბამისად, თუ 2 უმი კვერცხის გულს მივირთმევით, ქოლესტერინის ნორმას 1/3-ით ვზრდით.

გახსოვდეთ! ერთი უმი კვერცხის გულის მიღების შემთხვევაშიც კი ცხოველური ცხიმის მიღებისგან მთელი დღის განმავლობაში უნდა შევიკავოთ თავი.

მითი მეხუთე — „გულით ავადმყოფებს კატეგორიულად ეკრძალებათ ყავა“.

მას, ვინც გამუდმებით სვამს ყავას, ერთ ჭიქა ცხელი სასმლის დალევის შემთხვევაში, არტერიული წნევა ნამდვილად არ აეწევა. ასე რომ, ყავის მუდმივ მომხმარებელს ჰიპერტენზია დღეში 2-3 ფინჯანი ყავის მირთმევის შემთხვევაშიც არ ემუქრება.

მითი მეექვსე — „გულის არეში ტკივილი გულის შეტევის მაუწყებელია“.

მიუხედავად იმისა, რომ გულის შეტევათა 60-90%-ს ერთმანეთის მსგავსი ნიშნები აქვს, გათვალისწინებულ უნდა იქნას ისიც, რომ შემთხვევათა 25%-ს აბსოლუტურად ატიპური მიმდინარეობა ახასიათებს.

ქალების ნახევარზე მეტს გულის შეტევა ეწყება არა გულის არეში ტკივილით, არამედ — თავის ტკივილით, კუჭის არეში დისკომფორტით, გულისრევით, დაღლილობით და სხვა ნიშნებით.

■

სიმსუქნესთან ბრძოლის ახალი მეთოდი

ამერიკული „პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სამუშაო ჯგუფის“ რეკომენდაციების გათვალისწინებით, აშშ-ში სიმსუქნის ნიშნების არსებობაზე ყველა სკოლის მოსწავლეს გამოიკვლევენ, რათა ამ სენთან ბრძოლა რაც შეიძლება ადრე მოხდეს.

როგორც ცნობილია, შეერთებულ შტატებში სიმსუქნე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და ზედმეტი წონით გამოწვეული დაავადებების სამკურნალოდ ყოველდღიურად, უამრავი თანხა იხარჯება.

სიმსუქნე ზრდის ისეთი დაავადებების განვითარების რისკს, როგორიცაა: შაქრიანი დიაბეტი, ათეროსკლეროზი, გულის იშემიური დაავადება, ინფარქტი, ინსულტი და სხვა, მაგრამ სათანადო ღონისძიებების მიღების შემთხვევაში, ამ გართულებების თავიდან აცილება შესაძლებელია.

კვლევის პროცესში სპეციალისტები მოსწავლეებს განუმარტავენ კვების თავისებურებებს, ფიზიკური აქტიურობის მნიშვნელობას, ასევე ჩაატარებენ წონის დაკლებასთან დაკავშირებულ ფსიქოთერაპიულ კონსულტაციებს.

■

დიეტა, როგორც დეპრესიის მკურნალობის ერთ-ერთი საშუალება

ქალაქ უტრეხტის (ჰოლანდია) უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევა, რომელიც 10 წელი გრძელდებოდა და რომელშიც მონაწილეობა 20-დან 93 წლამდე ასაკის 1000-მდე ქალბატონმა მიიღო. კვლევის დროს

ხდებოდა კავშირის განსაზღვრა ქალის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კვებას, წონას, სოციალურ და ოჯახურ მდგომარეობას, განათლებასა და მავნე ჩვევებს შორის.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ დეპრესიულ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კვების რაციონი. მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა ის 50%, რომელიც ჭარბად მოიხმარდა ცომეულს, პიცას, ჰამბურგერსა და ჩიფსს, სხვებისგან განსხვავებით, დეპრესიული მდგომარეობისკენ მეტად იყო მიდრეკილი; შედარებით იშვიათად ხდებოდა დეპრესიის დიაგნოსტირება იმ ქალბატონებში, რომლებიც იკვებებოდნენ ხილით, ბოსტნეულით, ხორცით და თევზით, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა მათ შორის, ვინც მოიხმარდა პარკოსნებს, კაკალს, იოგურტს და წითელ ღვინოს. ■

მანგო მსხვილი ნაწლავისა და სარძევე ჯირკვლების კიბოს წინააღმდეგ

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მანგოს მსხვილი ნაწლავისა და სარძევე ჯირკვლის კიბოს უჯრედების წინააღმდეგ შეუძლია ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ მანგოს არა აქვს მოცვისა და ბროწეულის მსგავსი ანტიოქსიდანტური თვისებები (მანგოში 4-5-ჯერ ნაკლები ანტიოქსიდანტია), ამ ეგზოტიკური ნაყოფის შემადგენლობაში შემავალ ნივთიერებებს სიმსივნური წარმონაქმნების ზრდის შეჩერება შეუძლია.

მანგოს პოლიფენოლური შენაერთის სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება შემოწმებული იქნა ლაბორატორიულ პირობებში — მსხვილი ნაწლავის, სარძევე ჯირკვლების, ფილტვების, ლეიკემიისა და პროსტატის კიბოსეულ უჯრედებზე და დადგინდა, რომ ყველა უჯრედული ხაზი ერთნაირად მგრძნობიარეა მანგოს სიმსივნის საწინააღმდეგო აგენტისადმი, მაგრამ ყველაზე ეფექტიანი მოქმედება სარძევე ჯირკვლებისა და მსხვილი ნაწლავის კიბოსეული უჯრედების მიმართ დაფიქსირდა.



მანგოს შემადგენლობის „წყალობით“, სარძევე ჯირკვლებისა და მსხვილი ნაწლავის კიბოსეულმა უჯრედებმა გაიარა აპოპტოზის (აპოპტოზი — დნმ-ში კოდირებული ბრძანება და სამოქმედო ინსტრუქციები უჯრედის თვითლიკვიდაციისათვის) ანუ პროგრამირებული სიკვდილის პროცესი, ნორმალური (ჯანმრთელი) უჯრედები კი არ დაზიანებულა. როგორც ონკოლოგებმა განმარტეს, მანგო შეიცავს როგორც ადვილად განადგურებად მცირე მოლეკულებს, ისე დიდ მოლეკულებსაც, რომელთაც არ შეუძლია ადსორბირება (შეწოვა) და იმყოფება მსხვილ ნაწლავში. ამგვარად, ჯანმრთელი უჯრედები ნარჩუნდება და მანგოს აგენტების მოქმედება მიმართულია მხოლოდ მავნე კიბოსეულ უჯრედებზე. ყოველ შემთხვევაში, ასე ხდება ამ ნივთიერებების გონივრული კონცენტრაციით გამოყენების შემთხვევაში. მანგოს სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებაზე პასუხისმგებელია პოლიფენოლები, კერძოდ — გალოტანინი. ეს არის ბიოლოგიურად აქტიური შენაერთი, რომელიც კიბოს უჯრედების ბლოკირებას ახდენს. ტესტირებამ უჩვენა, რომ უჯრედული ციკლი, რომლის დროსაც კიბოს უჯრედების დაყოფა და გამრავლება ხდება, მანგოს კომპონენტების დახმარებით შეწყდა. თანაც, ამ ხილის წყალობით აღარ ხდებოდა უჯრედების დაზიანება მუტაციის დონეზე ანუ მათი ფუნქციის დარღვევა. ■

ართრიტი და ფიზიკური ვარჯიში

ამერიკელი ფიზიოლოგების აზრით, სახსრებში ართრიტით გამოწვეული ტკივილი ფიზიკური ვარჯიშების შეწყვეტის საბაბს არ წარმოადგენს.

მეცნიერების აზრით, ზომიერი და დაბალი ინტენსივობის ვარჯიშები ართრიტით დაავადებულს მამოძრავებელ ფუნქციას გაუუმჯობესებს და კუნთებს გაუძლიერებს. გარდა ამისა, ფიზიკური აქტიურობა კარგი გუნება-განწყობილების შენარჩუნებას, ნორმალურ ძილს და ენერგიის სწორად გადანაწილებას შეუწყობს ხელს. ექიმები გვარწმუნებენ, რომ თუ ყოველდღიურად ვივარჯიშებთ (რასაკვირველია, ზომიერად), სახსრებში ტკივილი საგრძნობლად შემცირდება.

როცა ადამიანი ფიზიკურ აქტიურობას არიდებს თავს და ნაკლებად მოძრავ ცხოვრების წესს ეწევა, მისი სახსრები ნაკლებად მობილური ხდება, სახსრებთან მიმაგრებული კუნთები კი იკუმშება, რაც იწვევს ტკივილს და ადვილად დაღლას. ორთოპედების თქმით, ართრიტით დაავადებულთათვის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს უსაფრთხო, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ადაპტირებული და დაავადებულის ფიზიკური მონაცემების შესაბამისი ვარჯიშების შერჩევა. სასარგებლო და ეფექტიანი იქნება, თუ ართრიტით დაავადებული ჩაიტარებს ისეთ ვარჯიშებს, რომლებიც მიმართული იქნება სახსრის მოძრაობის გაუმჯობესებისკენ (მაგალითად, იოგის ვარჯიშების კომპლექსი), მაგრამ დაიმახსოვრეთ, ამ ვარჯიშების ჩატარება ცოდნას საჭიროებს და სპეციალისტის რეკომენდაციების გარეშე, მან შეიძლება, მავნე გავლენაც კი მოახდინოს. დაბალი დატვირთვის ფიზიკურ ვარჯიშებში შედის: ცურვა, ველოსიპედის ტარება, სიარული, სირბილი, ზოგიერთ ტრენაჟორზე ვარჯიში. ექიმები სასარგებლოდ მიიჩნევენ ფიზიკურ გააქტიურებასაც — მაგალითად, მიწის ნაკვეთზე მსუბუქი სამუშაოს შესრულებას, სახლის დალაგებას და ა.შ.

კლინიცისტები გვაფრთხილებენ, რომ სახსრის დაზიანების შემთხვევაში ზოგმა ძალისმიერმა და დიდი ინტენსივობის ვარჯიშმა შეიძლება, ტკივილის შეგრძნება გააძლიეროს. სწორედ ამიტომ, ვარჯიშის დაწყებამდე აუცილებად ჰკითხეთ რჩევა ორთოპედს.

თუ ვარჯიშის დროს სახსარში ტკივილი მატულობს ან ტკივილი აღმოცენდება მუცელში, გულში, საზარდულის მიდამოში, ან სულაც, ვითარდება შეშუპება, ქოშინი და სხვა არასასიამოვნო შეგრძნება, ვარჯიში დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ. ■

სამედიცინო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ საიტზე: www.mkurnali.ge.

P.S. **რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com **ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.**

ახალი ნომერი
ოჯახის
მუნიციპალი
ცვნვმ ეკიმოვნ მიხეკვლ...

ადამიანი

ავსტრალიელი ჟურნალისტები, მთვრალი ოსის კონდახის „გემო“ და ხიფათისთვის გაზრდილი სათარჯიმნო „სტავკა“

„სხვა კინოში“ მოხვედრილმა გიორგი კორელმა საკუთარი „როლი“ მაინც იპოვა და საყვარელ გოგონასთან ინგლისში გაემგზავრა, თან — ინგლისური ენა საფუძვლიანად შეისწავლა. სამწუხაროდ, სიყვარულით შექმნილი ოჯახის შენარჩუნება ვერ შეძლო და 7 წლის შემდეგ, ისევ სამშობლოში გამოემგზავრა. ამჟამად, საქართველოში თარჯიმნად მუშაობს: ტექსტებს ხან შინ თარგმნის, ხან — სინქრონისტია. ეღიმება, როცა იხსენებს, თუ როგორ ცდილობენ ქართველები „კარგად“ შესწავლილი ინგლისურის დემონსტრირებას და თარჯიმნის ტანჯვას ყურადღებას არ აქცევენ. აგვისტოს ომის პერიოდში, გიორგი კორელი ავსტრალიელ ჟურნალისტს და ოპერატორს თან ახლდა და რეპორტაჟების კეთებაში ეხმარებოდა. ფაქტობრივად, რუსი ოფიცრებისგან (რომლებიც თავს ჩეჩნებად ასაღებდნენ) ინტერვიუებს თავად იღებდა, რადგან ავსტრალიელებმა არც რუსული იცოდნენ და არც — ინგლისური. ამ ომში გიორგიმ მთვრალი ოსის თოფის კონდახსაც გაუსინჯა გემო.

ეთო ყორღანაშვილი

— ბავშვობაში მინდოდა, რომ სამხედრო მფრინავი ვყოფილიყავი, მაგრამ საქართველოში ამ სურვილის ახდენა (მით უმეტეს, იმ პერიოდში, როცა სკოლა დავამთავრე) შეუძლებელი იყო. საერთოდ, „სხვა კინოში“ მოვხვდი — ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამთო მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ჩავბარე. ლექციებზე არ დავდიოდი. ამიტომ „გეპეიდან“ სამჯერ გამომაგდეს, სამჯერვე აღვიდგინე თავი... ბოლოს მივხვდი, რომ სამთო მანქანათმშენებლობა არ მაინტერესებდა!

— აბა, ამ ფაკულტეტზე რატომ ჩააბარეთ?

— მშობლები მეუბნებოდნენ, — უმაღლესი განათლება საჭიროაო და სადმე ხომ უნდა ჩამებარებინა. ძალიან მაინტერესებდა ტექნიკა. ძირითადად, სახლში ვიყავი და რაღაცებს ვაკეთებდი, ვაფუჭებდი... მერე საზღვარგარეთ წასვლა გადავწყვიტე.

— რა მიზნით?

— მუშაობა დავიწყე. სამსახურში ამერიკელი უფროსი მყავდა. მართალია, ვამბობდი, — ინგლისური ვიცი-მეთქი (დედაჩემი ინგლისურის მასწავლებელია და ისიც მამეცადინებდა), მაგრამ ამერიკელმა ლაპარაკი რომ დაიწყო, ცუდ ხასიათზე დავდექი — თურმე არაფერი მცოდნია (*იცინის*). ენის სრულყოფილად შესწავლა მინდოდა, მაგრამ ჩემი გამგზავრების მთავარი მიზეზი მაინც ნინი იყო. ერთმანეთი გვიყვარდა. ნინი ინგლისში სასწავლებლად გაემგზავრა.

— ერთად ცხოვრება გადაწყვეტილი გქონდათ?

— კი, ტელეფონით საუბრისას გადავწყვიტეთ. ნინის გამგზავრების შემდეგ, თვენახევრის განმავლობაში, თითქმის არ მეძინა — სულ ვფიქრობდი... ლონდონში ჩასულმა გავიხედ-გამოვიხედე, ნინის ხელი პატარა ბავშვივით ჩავჭიდე და წამიყვანე-მეთქი (*იცინის*).

— დაიბენით?

— უცხო ქვეყანაში ადაპტირება იოლი არ არის. თვე-ნახევრის განმავლობაში შტერივით ვიარე. მთელი ლონდონი მოვიარე და ბოლოს, ჩემი სახლის უკან მდებარე რესტორანში მიმტანად ამიყვანეს.

— ნინი რას საქმიანობდა?

— ისიც რესტორანში მუშაობდა და თან, სწავლობდა. მეც ინგლისური ენის კოლეჯში დავდიოდი.

— თან, მიმტანად მუშაობდით. არ გაგიჭირდათ?

— კი, მაგრად! ჩემთვის ისეთ სამსახურში მუშაობა უჩვეულო იყო, რომელიც საერთოდ არ მაინტერესებდა. მერე ფრანგულ რესტორანში გადავედი — იქ უკეთესი სიტუაცია იყო... მეტისმეტად სწრაფი ვიყავი — რესტორანში ტონა ჭურჭელი მაქვს დალეწილი (*იცინის*). ბოლოს, სხვა სამსახურის შოვნა მირჩიეს. მუშაობა ღამის კლუბის დაცვაში დავიწყე. შავი კოსტიუმი მეცვა, შავი ჰალსტუხი მეკეთა და ვაკონტროლებდი, რომ მაგალითად, ვინმე კაიფში არ „გაპარულიყო“. ღამის კლუბში კლიენტების 60% კოკაინს იღებს — ძალიან „სვეტსკი“ ნარკოტიკია. კოკაინის მოხმარების პროცესში ადვოკატები და მილიონერი ტიპებიც მინახავს. ღამის კლუბებში ნარკოტიკები იყიდება — ეს ჩვეულებრივი „პონტია“. გარდა ამისა, თუ ჩხუბი მოხდებოდა, მოჩხუბრები უნდა გამეშველებინა.

— ჩხუბი ხშირი იყო?

— საერთოდ, ინგლისში ძალიან ვაჟკაცი ტიპები არიან, ოღონდ ქართველებივით აგრესიულები — არა.

— ღამის კლუბში რამდენ ხანს იმუშავეთ?

— 6 თვეში წამოსვლა მომიხდა. უფროსმა ნახა, რომ იმის გამკეთებელი არ ვიყავი, რასაც დაცვის სხვა თანამშრომ-

— შინ ყოველთვის ქართულად ვლაპარაკობთ და ბავშვებმა ქართული წერა-კითხვა იციან. თუმცა ცუდია, რომ ბებია და ბაბუა არ არიან აქ, პატარებს დაიტოვებდნენ და ძალიან ბევრ საინტერესო ამბავს მოუყვებოდნენ, ბევრ რამეს ასწავლიდნენ.

— ზაზა, ესენში ალბათ ქართველები არიან. ერთი ძალიან ნიჭიერი და პოპულარული ქართველი, მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილიც მანდ ცხოვრობს...

— ჩემი ძმა და მეგობარი! რეზო და მისი მეუღლე ხათუნა ჩემი სახლიდან ფეხით 10 წუთის სავალზე ცხოვრობენ. ასე რომ, მათთან რომ მივდივარ დასალევად, მანქანა არ მჭირდება. ახლახან ესენში სამკურნალოდ ხარკოვის გუბერნატორი იყო ჩამოსული და სპეცჩამოსხმა „გარილკა“ ჩამომიტანა. რეზოს ერთი სული აქვს, როდის დავალევინებ (*იცინის*). ამას წინათ, ბავშვები წავიყვანე მის სპექტაკლზე და ძალიან ვისიამოვნეთ — ერთ სპექტაკლში რეზოს რამდენიმე როლი ჰქონდა... ესენის კონსერვატორიის პროფესორია ქართველი მევიოლინე ნანა იაშვილი, მარინე იაშვილის და. კიდევ ერთ სასიამოვნო ამბავს გეტყვი: ადრე ქართული ეკლესია არ გვქონდა და დიუსელდორფის რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ შეგვიკედლა. ჯვარიც იქ დავიწერე, შვილებიც იქ მოვნათლე. ძალიან კარგი და ჩვენდამი კეთილგანწყობილი მღვდლები წირავდნენ იმ ეკლესიაში. ლოცვისას „მამაო ჩვენოს“ ქართველებს ქართულად გვაკითხებდნენ ხოლმე. აღმოჩნდა, რომ აქ გერმანული მართლმადიდებლური ეკლესიაც ყოფილა და მის მრევლს პატარა საყდარი ჰქონია, რომელიც ცოტა ხნის წინ ქართულ სათვისტომოს აჩუქეს. ეს არის 300 წლის წინ აშენებული და ადგილობრივ ისტორიულ ძეგლთა ნუსხაში შეტანილი პატარა, ძალიან ლამაზი საყდარი დიდი ეზოთი. საქართველოდან აქ სამოღვაწეოდ ახალგაზრდა მღვდელი მამა ისე ჩამოვიდა. არაჩვეულებრივი ადამიანია. როცა ვეკითხები, როგორ ბრძანდებით-მეთქი? — მიპასუხებს: ხან ასე და ხან ისეო (*იღიმის*). ამ ადამიანმა მრევლი ძალიან შეგვაკავშირა. იქ არიან სტუდენტები — დათო ლილუაშვილი და დათო ლაპიაშვილი, კიდევ სხვა ახალგაზრდები, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს ეკლესიისა და ქართული სათვისტომოსთვის. ვერ წარმოიდგენ, რა ორგანიზებული სათვისტომოა — ქართველებისგან გაგიკვირდება კიდეც (*იღიმის*). როცა გამოაცხადებენ, ეკლესიაში შაბათობა გვაქვს და დილის 9 საათზე შევიკრიბოთო, ერთ წუთსაც არ ვაგვიანებთ — მივდივართ და ვალაგებთ. საკვირაო სკოლაც გაიხსნა ბავშვებისთვის. სამწუხაროდ, ჩემი შვილები ხშირად ვერ დაგვყავს, რადგან მე თითქმის სულ საზღვარგარეთ ვარ — ლექციების წასაკითხად მიწვევენ. ეკას კი მანქანა არ ჰყავს და პატარების წაყვანას უჩემოდ ვერ ახერხებს. არადა, ისეთი სილამაზეა ჩვენი საყდარის ეზოში! განსაკუთრებით ზაფხულში, კვირაობით წირვაზე რომ მივდივარ, თავი თბილისში, ვაჟაფშაველაზე, ჩემს ეზოში მგონია.

ნინა ყაუხჩიშვილი, ზაზა და მანანა თოფაძე

— ჩანს, ძალიან მოგენატრა შენი ეზო და აქაურობა. ბოლოს როდის იყავი?

— ხშირად ჩამოვდივარ მშობლებთან. ისე გამოვიდა, რომ თბილისში მარტონი დარჩნენ: ჩემი ძმა, წარმატებული პიანისტი გიგლა ქაცარავაც ოჯახით საზღვარგარეთ ცხოვრობს, პარიზის კონსერვატორიის პროფესორია. ამ ზაფხულსაც ვიყავი თბილისში... იცი, ჩემს ეზოში დალეულ ლუდს მაინც განსაკუთრებული გემო აქვს, გერმანულს სჯობია (*იღიმის*)... სამწუხაროა, რომ საქართველოზე ხშირად მაინც სხვა ქვეყნებში ვხვდები, თუმცა თითქმის ყველგან ქართულ ამბავს გადავაწყდები ხოლმე. ორი წლის წინ ერთ-ერთ სამედიცინო კონგრესზე იტალიაში, ძალიან ცნობილ, პავიას უნივერსიტეტში ვიყავი. მახსოვს, ნევროლოგიის კათედრის გამგე 70 წელს გადაცილებული ჯორჯიო ნაპი გამომელაპარაკა: — იცი, რომ ჩემი მასწავლებელი ქართველი იყოო?! აღმოჩნდა, რომ ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი ყოფილა ვინმე გიორგი ყაუხჩიშვილი, რომლის სახელობის პრემიასაც ყოველწლიურად გასცემენ. შარშან ეს პრემია მე გადმომცეს. დაჯილდოებისას მოწვეული ჰყავდათ გიორგი ყაუხჩიშვილის ქალიშვილი ნინა, რომელიც იქ ცხოვრობს და ახლა 82 წლის არის. ნინამ მიამბო, რომ მამამისი გრიგოლ რობაქიძესთან მეგობრობდა, ორივე ოჯახი გერმანიაში, ბერლინში ცხოვრობდა, თუმცა მერე ყაუხჩიშვილები ფაშიზმს გაჰქცევიან და საცხოვრებლად იტალიაში გადასულან... შარშან ბუენოს-აირესის უნივერსიტეტის მიწვევით არგენტინაში ვიყავი — ზუსტად იმ დროს, როდესაც დიეგო მარადონა თბილისში იმყოფებოდა. იმხანად ექტორ რაულ კუპერი საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს ხელმძღვანელობდა. ერთ-ერთი მოხსენების შემდეგ არგენტინელებს კუპერის საქართველოს ნაკრებთან გადაღებული ფოტო ვუჩვენე, ვუთხარი, რომ მეც ქართველი ვარ და ამით ისე გავახარე, მეორე დღესვე „ბოკა ხუნიორსის“ საწვრთნელ ბაზაზე, მარადონას ფრესკასავით გაკეთებული გამოსახულება მაჩვენეს. ფოტოც გადავიღე „მარადონასთან“... აქ, გერმანიაში არის ძალიან ცნობილი სატელევიზიო გაზეთი, სადაც იბეჭდება სატელევიზიო პროგრამა. ამ გაზეთს რაღაც გამოკითხვა ჩაუტარებია და გერმანიის 150 საუკეთესო ექიმის სია დაუბეჭდავს. ამ სიაში თურმე მეც შემიყვანეს. არადა, ისიც არ ვიცი, როგორ მოვხვდი იქ და საერთოდაც, არასერიოზულად მიმაჩნია ეს ყველაფერი, მაგრამ ძალიან მესიამოვნა, ქართველი კაცი გერმანელებმა საუკეთესოთა შორის რომ დამ-

რეზო ჩხიკვიშვილთან ერთად

ისტებს მანქანაში ჩავუსვი. რაც ფული მქონდა, ვიღებდი და 10-20 ლარს ხალხს ჯიბეში ვუდებდი — თბილისში ნათესავთან ან ახლობელთან ტაქსით მაინც მიხვალთ-მეთქი. ავსტრალიელებმა — ახლოდან გადავიღოთო. წინ წავედით და უცებ ტანკი „გამოხტა“, რომელზეც რუსები ისხდნენ და ავტომატით ჩვენკენ გაისროლეს! მინაზე დავწექით. „ბრონეჟილეტით“ დაწოლა იცი, რა საშინელებაა? რომ წვები, თითქოს მთელ სხეულს გინგრევს... ადგომა უფრო საშინელება იყო. მოკლედ, წამოვდექით. ავსტრალიელებმა რეპორტაჟი დაწერეს და დღეისთვის გვეყოფაო, გვითხრეს. უკან, თბილისში დავბრუნდით... მეორე დღეს გორი იზოლირებული დაგვხვდა: ტრასაზე 3 ტანკი იდგა, ქალაქის შესასვლელთან — ერთი. ჟურნალისტები ტანკს ბუზებივით ეხვეოდნენ. აბა, საიდან ხართო? — რუსები თავისთვის „კაიფობდნენ“. ცუდ დღეში ვიყავით — რუსები გორში არ გვიშვებდნენ. ავსტრალიელებმა რეპორტაჟი გააკეთეს, მაგრამ გადაწყვიტეს, კიდევ მოეცადათ — იქნებ, რამე მოხდესო. ტანკის უკან ფიჭვები იყო. საქმე არაფერი გვქონდა და წამოვწექით. ამასობაში, ტანკთან „ვილისი“ მივიდა, საიდანაც დიდწვერიანი კაცი (დაახლოებით, 50 წლის) და ავტომატით შეიარაღებული „გამწლიკული“ ტიპი გადმოვიდნენ. ოსები იყვნენ, ქართულად იგინებოდნენ. ერთმა მათგანმა „ბარაბნიანი“ შავი პისტოლეტი „გააძრო“ და გაისროლა. ყველა ჟურნალისტი თბილისის მიმართულებით გაიქცა. მე, მძღოლი და ავსტრალიელები ფერდობზე ვიწექით. თბილისში დაბრუნება თუ გვინდოდა, იმ დეგენერატს ყველა ვარიანტში უნდა გავცდენოდით.

— რა უნდოდა, რას გერჩოდათ?

— მთვრალი იყო. ჟურნალისტები დაინახა და რადგან იცოდა, რომ უმეტესობა ქართველები ვიყავით, ყველას დედას გვაგინებდა — ხან რუსულად, ხან — ქართულად. ვიღაცებს მანქანები წაართვეს. აპარატურა ავიღეთ და დავიძარით. ასეთ სცენას შევესწარით: ორ ტიპს ვიღაც ჭაღარა უცხოელისთვის მკერდზე იარაღი ჰქონდა მიბჯენილი და აგინებდა. არ მახსოვს, რას ეუბნებოდა, მაგრამ ის უცხოელი მაგრად შემეცოდა, გავიხედე და ზუსტად იმ მომენტში ოსი ჩემკენ შემოტრიალდა, — წადი აქედან, შენი დედაო! — რუსულად საშინელი აქცენტით იყვირა. ხელები ავწიე, — მივდივარ-მეთქი. იარაღიდან ფეხების მიმართულებით მესროლა — ტყვია ასფალტს მოხვდა. მომიახლოვდა. „უხადის“ მეუბნებოდა, მაგრამ არ მიშვებდა — იარაღს მაბჯენდა, ხელები აწეული მქონდა... თან, მაშინებდა. მესროლე, შენი დედაც-მეთქი! — ქართულად ვუთხარი ბოლოს. აი, ეს არ უნდა მეთქვა — ეგრეევ კონდახი მომხვდა კეფაში და ძალიან ბევრი ვარსკვლავი დავინახე (*იღიმის*). ცალ მუხლზე ჩავჯექი, თავი ავწიე — ეს უკვე ძალიან ბუნდოვნად მახსოვს, კონტუზიამიღებულივით ვიყავი, თითქმის ვეღარ ვაზროვნებდი. ჩაკუზულმა ოსს რაღაც საზიზღრობა ვუთხარი, შედეგად კი კიდევ 2 კონდახი მომხვდა. ამასობაში, რუსი ოფიცერი მოგვიახლოვდა. ოსს უთხრა, — თავი დაანებეო. მერე ოსი ვიღაცას გაეკიდა... ამ დროს ჩვენი მძღოლი მანქანასთან იყო, მაგრამ მანქანის წამოყვანის უფლება არ მოგვცეს. მე და გია (მძღოლი) წამოვედით. გიას ისეთი „გადაკეტილი“ ჰქონდა, გზადაგზა მაგინებდა, მე კი სულ არ მაინტერესებდა, რას მეუბნებოდა — მეგონა, თავი გაგლეჯილი მქონდა... უკან მივიხედეთ და დავინახეთ, რომ ავსტრალიელები მანქანაში ისხდნენ: ოპერატორი საჭესთან იჯდა, გარედან ოსი ექაჩებოდა, შიგნიდან — ავსტრალიელი. მეგობრებს ვერ მივატოვებდით. მე და გია უკან მივბრუნდით. მოულოდნელად ოსებს რუსმა ოფიცერმა დაუძახა და ისინიც მანქანას შეეშვნენ. ავსტრალიელებმა მანქანა ვერ დაქოქეს, პირველ სიჩქარეში „ჩაადგეს“ და ნელ-ნელა ჩვენამდე მოვიდნენ. ჩვენც შევხტით მანქანაში და თბილისისკენ გავემგზავრეთ. მერე მანქანა გააჩერეს და თავიანთი ტელეარხისთვის პირდაპირი ჩართვა გააკეთეს. შემდეგ მკითხეს, — რა გიშველისო (ყველანი გიჟებს ვგავდით)? — დალევის მეტი, არაფერიმეთქი, — ვუპასუხე. მუცელში 1 ბოთლი არაყი „ჩავიდგი“. იმ ღამეს მითხრეს, — ძალიან სახიფათო საქმე ყოფილა, 100 დოლარის ნაცვლად, 150-ს გადაგიხდითო... მეორე დღისთვის რაღაც კონფერენციები იგეგმებოდა და გორისკენ აღარ წავსულვართ. მესამე დღეს ისევ გორისკენ დავიძარით. სასმლით ისე ვიყავი გაჟღენთილი, რომ ავსტრალიელებს ვუთხარი, — სადაც გინდათ, წავიდეთ-მეთქი. რეპორტაჟების გასაკეთებლად, მთვრალი დავყვებოდი (გიამ სამსახურს თავი დაანება და სხვა მძღოლით შევცვალეთ). გორში შემოვლითი გზებით შევედით. ხალხი ეკლესიასთან იდგა. საპატრიარქო პურს უფასოდ აცხობდა და მოსახლეობას ურიგებდა. გორის ცენტრში საბრალო ვარძელაშვილი და ტყეშელაშვილი იყვნენ დარჩენილები. დათო ტყეშელაშვილი რუსმა ჟურნალისტებმა „ტრუბაში“ გააძვრინეს. რუსებთან საუბარს აზრი არ ჰქონდა. დათოს ლონდონიდან ვიცნობ — ერთ კოლეჯში ვსწავლობდით. ვუთხარი, — გამოდი, ვის ელაპარაკები-მეთქი? სიმართლეს იტყოდი და ვინ დაგიჯერებდა? რუსები ქართველებს მკვლელებს უწოდებდნენ...

— ისევ თქვენს პროფესიას მივუბრუნდეთ...

— ...ერთხელ ერთ სათარჯიმნო კომპანიაში მივედი — სამხედრო ტერმინოლოგიის თარგმნა უნდოდათ. მითხრეს, — გავიგეთ, ინგლისური ნორმალურად გცოდნიათო. — ნორმალურად თქვენ იცით, მე კარგად ვიცი-მეთქი, — ვუპასუხე... გაირკვა, რომ 1 გვერდის თარგმნაში ლარ-ნახევრის გადახდას მიპირებდნენ, ე.ი. მინიმუმ, 15 ლარს „მიტეხავდნენ“. თან, ტექსტი კორექტორთან კი არ მიჰქონდათ, შესასწორებლად ისევ ჩემთვის უნდა დაებრუნებინათ. მე სააგენტოში ლატვიელებთან ვმუშაობ, სადაც საქმე ცოტა სხვაგვარადაა: 1 სიტყვაში 2 ცენტს მიხდიან (*იღიმის*).

— სინქრონულად თარგმნაში?

— დღეში 150 დოლარს, მაგრამ ეს მუდმივი სამუშაო არაა. ამას წინათ, ერთ-ერთ სამსახურში მძღოლის თანამდებობა „გაიჩითა“ — მანქანით ვიღაცები უნდა მეტარებინა. ეს სამუშაო მართლა მაწყობდა. ვიფიქრე, — 2 საქმეს ერთად გავაკეთებ: ხალხსაც ვატარებ და თავისუფალ დროს ვთარგმნი, ლეპტოპს მანქანაში ჩავიგდებ-მეთქი. სამსახურში ჩემი აყვანის თაობაზე ვისაც მთავარი სიტყვა უნდა ეთქვა, ბრიტანელი გახლდათ. ჩემი CV რომ დაათვალიერა, არ მიმიღო, — მძღოლად მუშაობისთვის ეს ბიჭი ცოდვააო. ბრიტანელებს ასეთი რაღაცები ახასიათებთ: თუ მაღალი კვალიფიკაციის ხარ, დაბალ თანამდებობაზე არ მიგიღებენ. ალბათ, CV უნდა შემეცვალა, „ტაოტიანი“ „კეპკა“ დამეხურა და გასაღების ტრიალით შევსულიყავი (*იღიმის*). გული დამწყდა... საზღვარგარეთ წასვლაც აღარ მინდა. აქ უნდა დავრჩე და რაღაც გავაკეთო.

— თქვენს გოგონაზე რას მეტყვით, ვისთან ცხოვრობს?!

— ზაფხულში ლონდონში მიდის, დანარჩენ დროს კი თბილისში ატარებს — ან ჩემი ყოფილი მეუღლის დედასთან, ან — ჩემთან. შვილი ჩემთან ცხოვრობს, მაგრამ მას ძირითადად შაბათ-კვირას ვხედავ. ბოლო დროს იმდენი სათარგმნი მაქვს, რომ ხელსაც მიშლის, რადგან სულ მამაზეა „ჩამოკიდებული“: არადა, ბავშვის შეკითხვების უპასუხოდ დატოვება არ შეიძლება, ყურადღება არ უნდა მოადუნო.

ბავშვის შეკითხვების უპასუხოდ დატოვება არ შეიძლება



— მამის მსგავსად, უცხო ენებისა მიმართ ინტერესს თუ ამჟღავნებს?

— კი, ინგლისურად და რუსულად ლექსები იცის. რუსულ ბაღში დამყავს — მინდა, რუსული ენა იცოდეს. ინგლისურის სწავლა კი არ გაუჭირდება — ინგლისში უნდა ისწავლოს, ასე გადავწყვიტეთ. ■

მამაკაცისთვის შეუფერებელი სამუშაო

ანუ ქალის თეთრეულით მოვაჭრეები და გაშიშვლებული „ბიზნესვუმენი“

ლიკა ქაჯაია

ამას წინათ ბაზრობაზე საყიდლებზე წასულმა, ტანისამოსის ნაცვლად, შინ ინტერვიუ მივიტანე, რაც სიმართლე გითხრათ, ოჯახის წევრებს დიდად არ გახარებია. აბა, რა მექნა, როცა საინტერესო რესპონდენტები ჩავიგდე ხელში?! ისე, ყველაფერი თავისთავად მოხდა — ჩემ წინ გოგონა მიდიოდა, რომელიც ერთ-ერთ დახლთან შეჩერდა და ქალის თეთრეულის ფასი იკითხა, მაგრამ როგორც კი კაცმა უპასუხა, — 2 ლარიო, ტრუსი იქვე დააგდო და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. როგორც ჩანს, არ ელოდა, თეთრეულის გამყიდველი მამაკაცი თუ იქნებოდა. კაცმა კი მიაძახა: — „რა იყო, გოგო, რა გველნაკბენივით ჩამიარე? რისი გრცხვენია, ვერ გავიგე, თინეიჯერი არ ხარ?!.“ მისმა ნათქვამმა გამაკვირვა, ვერ მოვითმინე და ვკითხე:

— **უკაცრავად, მაგრამ თქვენთვის სიტყვა „თინეიჯერი“ მოურიდებლობასთან ასოცირდება — ანუ ყველა მოზარდი უსირცხვილოა?**

შალვა, *52 წლის:*

— არა, ყველა არა! ჰმ, ყველას ასე რომ შერცხვეს ჩემი და გვერდით ჩამიაროს, სახლში რა წავიღო? მოკლედ, საქართველოში თეთრეულით ვაჭრობა არ ღირს, რა: კაცს რომ დაგინახავენ, გარბიან. შე მამაცხონებულო, იმ ტრუსს და ლიფს კაცის დასანახავად არ ყიდულობ?! ქალები ბავშვის გაჩენისას გინეკოლოგ კაცებთან რომ შიშვლდებიან, მაგის არ რცხვენიათ და ტრუსი რომ იყიდონ, ამაში რა არის საგანგაშო?

— **ხომ იცით, ქართველი ქალის ბუნება...**

— (*მაწყვეტინებს*) კარგი, ერთი, რა ბუნებაზე მელაპარაკები?! იმის არ რცხვენიათ, ქუჩაში შიშვლები რომ დადიან, საცვალი უჩანთ და არ მესმის, მისი ყიდვა რატომღა აწითლებთ? ის უფრო სამარცხვინო არაა, შიშველ მკერდს რომ აჩენენ? ამას წინათ ერთი გოგო მოვიდა, ლიფი მოეწონა და ფასი მკითხა. იმ მამაცხონებულმა ისიც კი არ იცოდა, რა ზომას იცვამდა და ზომაც მე შევურჩიე, — ეს გექნება კარგად-მეთქი. სწორედ მაშინ დააფიქსირა, რომ კაცი ვიყავი. ჯერ გაწითლდა, მერე კი გიჟივით გავარდა. აქ ვინც მოდის, ჩემთვის უბრალო კლიენტია და მას, როგორც ქალს, ისე ვერ აღვიქვამ. ისინი მანეკენები, უსულო სხეულები არიან და მე ამ მანეკენებს ვმოსავ. აბა, ყველა კლიენტს ისე რომ შევხედო, როგორც ქალს, ხომ გადავირევი?! აქ დგომა არც მე მსიამოვნებს, მაგრამ სხვა საქმე ვერ ვიშოვე.

— **კი, მაგრამ თქვენც რაღა საცვლებს „ეტაკეთ“?! არ შეიძლებოდა, სხვა რაღაცებით გევაჭრათ?**

— ვაჭრობა ტანისამოსით რომ დამეწყო, „სატრიალოდ“ ბევრი ფული უნდა მქონოდა. მე კი ვიდრე ვაჭრობას დავიწყებდი, მეზობელმა 100 ლარი მასესხა და იმ ფულით აბა, რას ვიყიდდი?! ჰოდა, მე და ჩემმა ცოლმა ლილოს ბაზრობაზე ფერად-ფერადი ტრუსები ვიყიდეთ, აქ მოვიტანეთ და ორმაგ ფასში გავყიდეთ. თავიდან დახლის ქვეშ ვიმალებოდი და როცა კლიენტი რაიმის ფასს მკითხავდა, ხმას ვერ ვიღებდი, ვწითლდებოდი. მაგრამ უკვე წლებია, ამ საქმეს ვემსახურები და ახლა, მერიდება კი არა, ვფიქრობ, რომ ძალიან სასიამოვნო და სახალისო საქმე ვიპოვე.

— **თქვენი ცოლი აღარ ვაჭრობს?**

— როგორ არა! ის სპორტულ ტანისამოსს ყიდის.

— **არ სჯობდა, სპორტული სამოსი თქვენ გაგეყიდათ, ქალის თეთრეულით კი თქვენს მეუღლეს ევაჭრა?**

— ჩემო კარგო, გეტყობა, რომ ბიზნესის არაფერი გაგეგება. მართალია, ახლა ის გოგონა იმიტომ გამექცა, რომ კაცი ვარ და ჩემი მოერიდა, მაგრამ უმეტესად, ისეთი კლიენტები მყავს, რომლებიც კი არ გამირბიან, არამედ რჩევასაც მეკითხებიან. ქალი რომ ვიყო, მათ ჩემი რჩევა არაფერში გამოადგებოდათ (*იცინის*); და სხვათა შორის, თუ ძალიან გაინტერესებს, იმასაც გეტყვი, რომ ქალ ვაჭრებზე მეტი კლიენტი მყავს. ჰოდა, ადამიანის ბუნება ხომ იცი, როგორია — ყველა იმ საქმეს აკეთებს, რომლისგანაც მეტი ფულის „გამოწურვაა“ შესაძლებელი.

— **საინტერესოა, გოგონებს მაინც რა რჩევებს აძლევთ?**

— ვკარნახობ, რომელი საცვალი უფრო ლამაზია, ქმარს რომელში უფრო მოეწონება. ფერებსაც იმისდა მიხედვით ვარჩევინებ, გათხოვილია თუ არა...

— **და ისინი თქვენს რჩევას ითვალისწინებენ?**

— რა თქმა უნდა, მე ხომ ამ საქმის „სპეცი“ ვარ (*იცინის*).

— **თქვენი აზრით, გათხოვილმა ქალმა რა ფერის საცვალი უნდა ჩაიცვას?**

— წითელი, თეთრი ან შავი...

— **გასათხოვარმა?**

— მათ ფერად საცვალს ვურჩევ ხოლმე, მაგრამ რატომ, კაცმა არ იცის; ალბათ, შინაგანად ვარ დიზაინერი (*იცინის*). დავიჯერო, ბერგერს და ცქვიტინიძეს ჩემზე უკეთესი გემოვნება აქვთ ან ჩემზე მამაკაცურები არიან?! მათ უბრალოდ, კარგი ცხოვრება და იმდენი ფული აქვთ, რომ საკუთარ ნიჭს რეკლამა გაუკეთონ.

— **ცნობილ დიზაინერებს თავს რატომ ადარებთ? ისინი ქმნიან, თქვენ კი შეკერილი თეთრეულით ვაჭრობთ...**

— პატრონი რომ მყოლოდა, ახლა მეც სახელგანთქმული დიზაინერი ვიქნებოდი (*იცინის*).

— **უი, სულ გამოჩერჩეტდა ჩემი კაცი,** — *საუბარში ბატონი შალვას მეუღლე, ნანი ჩაერთო,* — **რას ჩერჩეტობ, თუ იცი, ან ამ ბოვშვს რას ასულელებ?**

შალვა:

— თვითონ დამიდგა და მექაქანება, თვარა მე კი არ მაქ მისთვინ ძაფი ჩაბმული. რა იყო, ხომ არ ეჭვიანობ, ქალო, ჰა?!

ნანი:

— უი, ჭირი გეტაკა შენ! რა გნებავთ, გოგონი, რაიმის ყიდვა გინდათ?

— **არა, თქვენს მეუღლესთან ინტერვიუს ვწერ!**

— უი, მომჭერი, კაცო, საქვეყნოდ თავი?

შალვა:

— რა მოგჭერი, ქალო, ხუმრობს. ინტერვიუ არა...

— **არა, მე მართლა ჟურნალისტი ვარ და თქვენი ნალაპარაკების გამოქვეყნებას ვაპირებ.**

ნანი:

— ტიტუუუ... გაიგე, კაცო? აკი ვამბობდი, ქალზე გრძელი ენა კაცებს აქვთ-მეთქი! აჰა, ყველას რომ ექაქანები, ხომ გაგხდიან ახლა ქვეყნის სალაპარაკოს და დასაცინს...

შალვა:

— ე, ნეტავ მართლა ჟურნალისტი იყოს, ცოცხალ რეკლამას გამიკეთებდა. ასე ხდებიან, ჩემო ნანი, პოპულარულები, ასე... კარგი, შვილო, თუ არაფრის ყიდვას აპირებ, გეიარე, თორემ გადაირევა ეს ჩემი აბდალი ცოლი.

ნანი:

— უი, შვილო, თუ მართლა ჟურნალისტი ხარ, „გამოაცხვე“ ერთი ინტერვიუ და დაწერე ამაზე რამე, — იქნებ, მერე მაინც ჩაიგდოს ენა ამ ლობიოთი სავსე ღიპში...

— აუცილებლად დავწერ, გპირდებით!

შალვა:

— არ გამოგვაპარო, ჩვენც წაგვაკითხე, იცოდე (*იცინის*)!..

არ ვიცი, ცოლ-ქმარმა ჩემი ჟურნალისტობის ამბავი დაიჯერა თუ არა, მაგრამ გადავწყვიტე, ქალის თეთრეულით მოვაჭრე კიდევ რამდენიმე მამაკაცს გამოვლაპარაკებოდი. ბევრმა ჩემთან საუბარი არ ისურვა: რომელი მოცლილი მნახეო?! ბატონი პაატა კი ინტერვიუზე სიამოვნებით დამთანხმდა: დღეს კლიენტის ნაკლებობაა, სხვა საქმე არაფერი მაქვს და შენთან ლაპარაკში მაინც მოვიოხებ ამ ოხერ გულსო.

— დიდი ხანია, რაც ქალის თეთრეულით ვაჭრობთ?

— 7 წელია. თავიდან ვაჭრობა, მით უმეტეს, ტრუსებით, ძალიან მიჭირდა, მაგრამ როცა ამ საქმიანობით „ორი კაპიკი“ ვიშოვე, სირცხვილის გრძნობაც სადღაც გაქრა (*იცინის*). ახლა ვფიქრობ, რომ შრომაში სამარცხვინო არაფერია. ვაჭრობა რომ არ დამეწყო, ვიღაცას რაღაცას მოვპარავდი და ცოდვას დავიდებდი.

— ასე რატომ ფიქრობთ?

— იმიტომ, რომ მაშინ ოჯახში ყველა უმუშევარი ვიყავით, ჩემი შვილები შიმშილით იხოცებოდნენ, მჭადიც ენატრებოდათ, საშველი კი არსაიდან ჩანდა. მეზობელს ვუთხარი, — ისე ვარ გაგიჟებული, ქურდობაზეც არ დავიხევ უკან და თუ რამე მოგპარე, არ გაგიკვირდეს-მეთქი. გაეცინა და, — ნუ გეშინიაო, — მიპასუხა. მეორე დღეს ნათლიამისს ფული გამოართვა, ესესხა, რათა ჩემთვის მოეცა; მერე კი მითხრა: ამ ფულით ვაჭრობა დაიწყე და როცა ფეხზე წამოდგები, ვალი მერე დააბრუნეო. თავიდან წინდებით ვვაჭრობდი, მაგრამ მოგვიანებით, ქალის თეთრეულის ყიდვა-გაყიდვა დავიწყე — ამ საქმეში მეტი ფულია.

— ალბათ, ვალი უკვე გაისტუმრეთ, არა?

— რა თქმა უნდა, ვალიც გავისტუმრე და მეზობელს სიკეთე სიკეთითაც გადავუხადე. თუმცა ეს რა სალაპარაკოა?!.

— თქვენს ადგილას, ბევრი, ვაჭრობას ითაკილებდა...

— ჰოდა, შვილებს შიმშილით დახოცავდა, არა?!.

— არა, სავაჭროდ ცოლს გაუშვებდა...

— ჰო, ბევრ ისეთ კაცს ვიცნობ, რომელიც მხართეძოზეა წამოწოლილი, მისი ცოლი კი ქუჩა-ქუჩა დაძრწის, პურის ფული რომ იშოვოს. მე ასეთი კაცების კატეგორიას არ მივეკუთვნები. ვფიქრობ, მათი საქციელი სამარცხვინოა. მამაკაცს ძლიერი სქესის წარმომადგენელს იმიტომ ეძახიან, რომ მან ოჯახი არჩინოს, ქალებს კი თავიანთი ტვირთიც ეყოფათ საზიდად. ერთხელ ჩემი ცოლი ქალაქში წამოვიდა 1 დღით და ღამის გავწყდი წელში. აი, სწორედ მაშინ მივხვდი, თუ რამდენს შრომობს.

— ქალები საცვლებთან დაკავშირებულ რჩევას თქვენც გეკითხებიან?

— არა, კაცო, მე ვის რა რჩევა უნდა მივცე?! მოდიან და რაც მოეწონებათ, იმას ყიდულობენ. ეგღა მაკლია, ქალებს საცვლების ზომები და ფერები ვურჩიო (*იცინის*)!..

— თქვენი კლიენტები ძირითადად, პრეტენზიულები არიან?

— ო, კარგი კითხვა დამისვი. პრეტენზიები, იცოცხლე, აქვთ. 2 ლარად უცვეთი საცვლის ყიდვა უნდათ (*იცინის*). ნეტავ, განახვა, როგორ წელავენ ტრუსებს, აზღუდს ღამის, აქვე იცვამენ, კოლჰოტებს „ყურზე მკიდებენ“ და ამის არც რცხვენიათ; ყველაფერს არევ-დარევენ და მერე ისე მიდიან, არაფერს ყიდულობენ. ზოგი კი წასვლის წინ იმასაც მეკითხება: რომ ვიყიდო, მალე დაიხევაო?..

— მათ რას უპასუხებთ?

— ძირითადად, ვუპასუხებ: როგორ გეკადრებათ, წლების განმავლობაში არ გაცვდება-მეთქი. ზოგჯერ კი თავს ვერ ვიკავებ და უხეშად ვეუბნები: ჯერ ასეთი არ მცმია და აბა, რა ვიცი-მეთქი?!. „ტრუსიკია“, რა, თანაც, 2-ლარიანი და აბა, რამდენ ხანს უნდა გაძლოს?!

— ამ საქმიანობის გამო უხერხულ მდგომარეობაში არასდროს ჩავარდნილხართ?

— როგორ არა! ერთმა გოგომ ქმარი მოიყვანა, წითელ საცვლებს დაადო ხელი და მკითხა: ეს რა ღირსო? ვუპასუხე, — 15 ლარი-მეთქი. იმ გოგომ ჯერ აზღუდი მიიზომა, მერე საცვალი და ქმარს ჰკითხა: ხომ კარგიაო? იმანაც, — კარგი კია, მაგრამ ეს კაცი რას მოგშტერებიაო?! — და დამიბღვირა. რა თქმა უნდა, წყვილს თვალი ავარიდე. მერე ის კაცი ცოლს მიუბრუნდა: ამ კაცთან რომ არ გეყიდა, სხვაგან ვერ მივიდოდითო? ვერ გავიგონე, იმ გოგომ რა ჩაიბურტყუნა, ბიჭმა კი საცვლები მომიყარა და მითხრა: მგონი, „აზაბოჩენი“ ხარ, თორემ ქალის საცვალს როგორ ყიდი? მითხარი, შენ რა კაცი ხარო?!. არაფერი მითქვამს, შეურაცხყოფა „გადავყლაპე“, მაგრამ მერე, როცა ძალიან გაუტია, არაკაცი და ცისფერი მიწოდა, ვეღარ მოვითმინე და გადავუხტი — ისე მივუეჟე, ბაზრობიდან „ნასილკით“ გაასვენეს. პატრული მოვარდა, მაგრამ ხალხმა მათ ჩემი თავი არ გაატანა, თანაც, მომჩივანი არ გამოჩნდა და დაპატიმრებასაც გადავურჩი (*იცინის*)...

— თუ საიდუმლო არაა, ამ საქმიანობით თვეში რამდენს შოულობთ?

— ხან 300, ხან კიდევ — 500 ლარს.

— ეს თანხა ოჯახის სარჩენად საკმარისია?

— ადამიანი გაუმაძღარია და რამდენი შემოსავალიც უნდა ჰქონდეს, ყოველთვის იტყვის, — საკმარისი არააო. მე უფლის მადლიერი ვარ იმისთვისაც, რომ დღეს ჩემს შვილებს სასმელ-საჭმელი არ აკლიათ. ამ თანხით, ასე თუ ისე, თავი გაგვაქვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, თვეში 1.000 ლარს რომ ვშოულობდე (*იცინის*). ბოლოს და ბოლოს, ისეთ საქმეს ვაკეთებ, რომელსაც ბევრი ითაკილებს, მაგრამ მე, ოჯახის გამო, უკან არაფერზე ვიხევ. მართალია,

ზოგჯერ თავს ღირსებაშელახულადაც ვგრძნობ, მაგრამ ეგ არაფერი, შვილების კეთილდღეობისთვის კაცი ყველაფერს აიტანს.

დაბოლოს, მინდა, ერთი ნამდვილი ამბავი მოგიყვეთ, რომელიც ჩემი მეგობრის ახლობელს გადახდა თავს. ქალბატონი მარგო სწორედ ქალის თეთრეულით ვაჭრობს. მასთან თურმე ხშირად მიდიოდა ერთი ქალბატონი, რომელიც დიდხანს არჩევდა თეთრეულს, მერე იქვე, ყველას თვალწინ შიშვლდებოდა, აზღუდს ირგებდა, კოლჰოტებზე ტრუსს ამოიცვამდა და არც კი ანაღვლებდა, მის გარშემო ცნობისმოყვარეები რომ იკრიბებოდნენ... სარკეში დიდხანს ყურების შემდეგ, ქალბატონ მარგოს, უკეთეს შემთხვევაში, ეუბნებოდა: ამას ვყიდულობო, უარეს შემთხვევაში კი სხვა საცვალს დაადებდა ხელს და ისევ იწყებოდა „სტრიპტიზი“ — ცეკვის გარეშე. არჩევანის გაკეთების შემდეგ, „უსირცხვილო“ ნელ-ნელა არღვევდა ხალხის ტალღას და ვითომც აქ არაფერიაო, ახლა სხვა დახლთან არჩევდა თეთრეულს. მოვაჭრეებს ის უფრო უკვირდათ, ქალი მხოლოდ თეთრეულს რომ ყიდულობდა, ტანსაცმელს კი იშვიათად თუ გააყოლებდა ხელს.

მას შემდეგ, რაც ეს ქალი ბაზრობაზე გამოჩნდა, ტანისამოსით მოვაჭრეებს თურმე ხშირად ეკარგებოდათ ტანსაცმელი და ამას საკუთარი უყურადღებობით ხსნიდნენ. ერთხელ ქალბატონი მარგოს კლიენტს ვაჭარმა ქალებმა ჩხუბიც კი დაუწყეს, — რომ დაეთრევი და შიშვლდები, არ გრცხვენია? შენს ყურებაში რაღაცები გვეკარგებაო! იმან კი თურმე, არამკითხეებს ასე უპასუხა: მერე, რას მომშტერებიხართ? თქვენი საქმე აკეთეთ და არც არაფერი დაგეკარგებათ; კაცები მაინც იყოთ, ჩემი ყურებით სიამოვნებას რომ იღებდეთო... საბოლოოდ კი გაირკვა, რომ ის ქალბატონი და მისი მეგობარი ბაზრობაზე „მუშაობდნენ“ — ერთი საცვლებს ხალხის თვალწინ ირგებდა, შიშვლდებოდა, მეორე კი ამით სარგებლობდა და უყურადღებოდ დარჩენილი დახლებიდან ტანისამოსს იპარავდა. ეს ქალები საკუთარ „ბიზნესს“ წლების განმავლობაში „ატრიალებდნენ“ და მხოლოდ ბაზრობაზე მოვაჭრეებს კი არა, მაღაზიებსაც „ასუფთავებდნენ“. სამართალდამცავებმა მხოლოდ 3 წლის შემდეგ შეძლეს მათი ხრიკის გამოაშკარავება და დააპატიმრეს კიდეც, მაგრამ ეს ქალები ქმრებმა რაღაც თანხის საფასურად „გამოისყიდეს“. როგორც ქალბატონი მარგო ამბობს, თურმე, მის ყოფილ კლიენტს, თანამზრახველთან ერთად, ახალი ბიზნესი წამოუწყია, მაგრამ რას საქმიანობს, ზუსტად არ იცის...

ასე რომ, თუკი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ქალი გაშიშვლდება, ნუ გაგიკვირდებათ. შეეცადეთ, მისი ცქერის ცდუნებას სძლიოთ და საკუთარი საქმე განაგრძოთ — თორემ თქვენც „გა-გა-სუფ-თა-ვე-ბენ“. ■

თინეიჯერული პონტები

„გზის“ თავგადასავალი ფანის ჯოჯუჯი სული

„გზის“ მკითხველები ლუნას იცნობენ, მაგრამ ანა გელაშვილის შესახებ ცოტას თუ სმენია რამე. როცა მას დავუკავშირდი და ვუთხარი, შენთან ინტერვიუ უნდა ჩავწერო-მეთქი, შემპირდა, — სიტყვაძუნწი არ ვიქნებიო. ლუნა ხაშურში სწავლობს და იმედი აქვს, რომ სასწავლებლის დასრულებისთანავე დაასაქმებენ. მართალია, თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა ძალიან უნდოდა, მაგრამ მამამისმა გადაწყვიტა, გოგონა გვერდიდან არ მოეშორებინა.

„ჭიასაც კი არ ვაწუხებ“

ლიკა ქაჯაია

— მე ვარ ანა გელაშვილი, სურამიდან. ვცხოვრობ დედ-მამასთან და დაიკოსთან ერთად. ვსწავლობ ხაშურში, სასწავლო-საინფორმაციო ცენტრში — „ქართლი 21“. საერთოდ, ვინც უმუშევარია და დასაქმება სურს, ყველა აქ მორბის, ჰოდა, მეც ვცადე ბედი.

— ეს სასწავლო ცენტრი დასაქმების 100%-იან გარანტიას იძლევა?

— მგონი, აუცილებლად დამასაქმებენ. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ ჩემს უქმად ყოფნას და სახლში ჯდომას ბოლო მოეღება.

— და ამ სასწავლო ცენტრში რა პროფესიას ეუფლები?

— ვსწავლობ კომპიუტერულ პროგრამას, ინგლისურ ენას, საზოგადოებასთან ურთიერთობას. ასევე, ვეცნობით ბევრ სასარგებლო ინფორმაციას.

— ვიდრე სკოლას დაამთავრებენ, მოზარდები დედაქალაქში წამოსვლასა და სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლაზე ოცნებობენ...

— (*მაწყვეტინებს*) მეც მქონდა ასეთი ოცნება, მაგრამ მამამ გამომიცხადა: ბოდიში, მაგრამ თბილისში ვერ გაგიშვებო!

— რატომ გინდოდა, მაინცდამაინც თბილისში გესწავლა? შენი აზრით, დედაქალაქში მიღებული განათლებით ცხოვრებაში მეტის მიღწევას შეძლებდი?

— არა, რა სისულელეა! თუ სწავლა გინდა, ყველგან ისწავლი, რა მნიშვნელობა აქვს, სად მიიღებ განათლებას? ვფიქრობ, მთავარი მონდომებაა!

— მამაშენმა სასწავლებლად თბილისში რატომ არ გამოგიშვა — მატერიალური პრობლემის გამო თუ იმიტომ, რომ აქ დასარჩენი არსად გაქვს და მარტოს, ნაქირავებ ბინაში ვერ გაცხოვრებს?

— არა, მატერიალურად ნამდვილად არ გვიჭირს. უბრალოდ, მამას ძალიან მძიმე ხასიათი აქვს და თბილისში ამიტომაც არ მიშვებს. ისე, ეგ კი არა, ზოგჯერ ბებიასთანაც არ მიშვებენ.

იმედი მაქვს, რომ ჩემს უქმად ყოფნას და სახლში ჯდომას ბოლო მოეღება

— ბებიასთან რატომღა არ გიშვებენ, არ გენდობიან? იქნებ, ეს ყველაფერი შენი აბეზარი თაყვანისმცემელების ბრალია?

— ბებია ზესტაფონში ცხოვრობს. ალბათ, მასთან შორი მანძილის გამო არ მიშვებენ. ხომ გაგიგონია: კაცია და გუნებაო. ჰოდა, რას ვიზამ, ვარ ასე, სახლში გამოკეტილი. თუმცა, მთლად ასეც არაა საქმე — დედის წყალობით წასვლას ყველგან ვახერხებ. რაც შეეხება ნდობის ფაქტორს, მშობლები მენდობიან, აბა, რა, მე ხომ ძალიან წყნარი ვარ, ჭიასაც კი არ ვაწუხებ (*იცი-*

„ობობის ქსელში“ გახვეული ქართველი გვინეტ პელტროუ

„არ მინდა, თანამშრომლებმა, ახლობლებმა მიცნონ“

ჩემი მეორე რესპონდენტი სახელს ხშირად იცვლის, მაგრამ ისიც ჩვენი ერთგული მკითხველია. ბევრი თხოვნის მიუხედავად, ის სახელისა და გვარის საჯაროდ გამჟღავნებაზე ვერაფრით დავითანხმე, ხოლო როცა ფოტოსურათის გამოგზავნა ვთხოვე, მიპასუხა: შეგიძლია, გვინეტ პელტროუს ბავშვობის ფოტო ჩადო, მისი ასლი ვარო. მერე კი, ამის დასადასტურებლად, ერთ-ერთი საიტის მისამართი მიკარნახა, სადაც თავისი ფოტო ედო. სიმართლე გითხრათ, ის მთლად გვინეტ პელტროუ არაა, მაგრამ მას ნამდვილად, ძალიან ჰგავს.

ნის)... რაც შეეხება თაყვანისმცემლებს, ბევრი „პაკლო“ მყავს, მაგრამ მე შეყვარებული გახლავართ და მათთვის არ მცალია.

— „გზა“ პირველად როდის წაიკითხე?

— თქვენი ჟურნალი 4 წლის წინ აღმოვაჩინე და მისით ისე მოვიხიბლე, რომ მას შემდეგ „გზის“ თავგადაკლული ფანი ვარ.

— შენი შეყვარებული ჩვენზე ხომ არ ეჭვიანობს?

— სამწუხაროდ, მან ჯერ არ იცის, „გზის“ „ლომკა“ როგორია. არა, არ ეჭვიანობს, მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემზე ეჭვიანია. ჩემი საქმე ისეა, რომ ამბობენ: ვაის გავეყარე და უის შევეყარეო. მოკლედ, ჩემი საშველი არ იქნება, რა (*იცინის*)...

— ამ ორ ეჭვიან ადამიანს როგორ უძლებ?

— ორივე ძალიან მიყვარს და სხვა რა გზა მაქვს?!

— შენმა შეყვარებულმა თუ იცის, „გზის“ მეშვეობით ადამიანებს რომ ეხმარები?

— კი, იცის და ძალიან მოსწონს ის ფაქტი, რომ ადამიანებს შეძლებისდაგვარად ვეხმარები... როცა ვიღაცას რჩევას ვაძლევ, ეს თავადაც მსიამოვნებს. თითოეული მგზავნელის მესიჯს გულისყურით ვეცნობი. მერწმუნეთ, ხალხს გართობის მიზნით ნამდვილად არ ვაძლევ რჩევას. მათი ტკივილი გულთან მიმაქვს და ვცდილობ, სხვა თუ არაფერი, მგზავნელები გავამხნევო მაინც. ბევრ ჩემს თანატოლს სჭირდება რჩევა და თქვენი წყალობით, „გზის“ მკითხველებს მათი დახმარება შეგვიძლია.

— რომელიმე მგზავნელთან თუ მეგობრობ?

— მხოლოდ იმ მგზავნელებთან ვმეგობრობ, ვინც დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილ მეგობრობას გამიწევს და არა მათთან, ვინც ზურგს უკან გამჭორავს.

— ასე მგონია, რომ აქ ვიღაცებმა გაწყენინეს...

— კი, გული მატკინეს, მაგრამ წყენა უკვე დამავიწყდა... რას იზამ, ასეც ხდება ხოლმე.

— საინტერესოა, ლუნა რატომ დაირქვი?

— საერთოდ, ძალიან მიყვარს მთვარე და ლუნაც ამიტომ დავირქვი. ვგიჟდები ჩემს ნიკზე, რა. სხვათა შორის, მეორე ნიკითაც ვამესიჯებ — გაცოცხლებული თოჯინა ყველასთვის საყვარელმა მგზავნელმა, კამელიამ შემარქვა.

— მომიყევი, როგორ ერთობი თავისუფალ დროს?



თავისუფალ დროს შინ ან მეგობრებთან ერთად ვაგარებ ხოლმე

— თავისუფალ დროს შინ ან მეგობრებთან ერთად ვატარებ ხოლმე.

— როცა სახლში ხარ, ტელევიზორს უყურებ, წიგნებს კითხულობ თუ სხვა რაღაცებით იქცევ თავს?

— აბა, ტელევიზორში რას უნდა ვუყურო? იქ მხოლოდ სერიალები ან ერთსაათიანი რეკლამები გადის. ძირითადად, წიგნებს ვკითხულობ ან ვწერ...

— რას წერ?

— ძირითადად, ლექსებს.

— შეგიძლია, რომელიმე მათგანი წაგვიკითხო?

— ამწუთას, მხოლოდ ეს ლექსი მახსენდება: „ნეტავ სიყვარული არ მცოდნოდა,/ ჩემი მარტოობის ბედად,/ შენი სიყვარულის მლოცველი ვიყავი,/ აღარ შეგიყვარებ მეტად./ მე რომ სიყვარული არ მცოდნოდა/ ჩემი ტკივილების ბედად,/ არ გაგაღმერთებდი, ასე უიმედოდ,/ აღარ შეგიყვარებ მეტად./ ფიქრებს მარტოობის კვალი დამჩნევიათ,/ სევდა შემომაწვა დღესაც,/ ასეთი უიმედო სიყვარული,/ ალბათ დამყოლია ბედად./ ჩემთან განშორების აღარ გეშინოდა,/ როცა დამიგულე შენად,/ ქარსაც აღარ მოაქვს შენზე ოცნებები,/ ჰოდა, დავრჩენილვარ კენტად./ შენი სიყვარული ალბათ არ დამღლიდა,/ მაგრამ სხვა გამოჩნდა, ბედად,/ თუკი გაგახსენდი, ნუღარ მომაკითხავ,/ მე აღარ შეგიყვარებ მეტად“.

— დაბოლოს, რას ურჩევ „გზას“?

— „გზას“ აბა, რა უნდა ვურჩიო? უბრალოდ, ძალიან მინდა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ღირსშესანიშნაობების შესახებ მეტი ინფორმაცია მოგვაწოდოთ...

■

— თბილისელი ვარ, მაგრამ სულაც არ ვფიქრობ, რომ ამით უნდა ვიამაყო. რა თქმა უნდა, კარგია, როცა დედაქალაქში ცხოვრობ და ახალი ამბების ეპიცენტრში იმყოფები, მაგრამ ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ ამის გამო, სოფლის ან რომელიმე რაიონის მოსახლეობა ჩემზე რაიმეთი ნაკლებია.

— საინტერესოა, რას საქმიანობ? როგორც ვიცი, თინეიჯერი აღარ ხარ...

— ვმუშაობ ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში, მაგრამ ვერ გეტყვით, სად.

— რატომ?

— იმავე მიზეზის გამო, რისთვისაც ჩემი სახელი და გვარი დავმალე...

— და რატომ მალავ შენს სახელსა და გვარს?

— იმიტომ, რომ არ მინდა, თანამშრომლებმა, ახლობლებმა მიცნონ.

— ანუ „გზაში“ დამესიჯება „ტეხავს“?

— არა, რა სისულელეა! უბრალოდ, მე მოზარდებს მხოლოდ რჩევებს კი არ ვაძლევ, მათ რჩევას თავადაც ვეკითხები და ახლა ჩემი სახელი რომ გავამჟღავნო, ყველა მიხვდება, რა „ობობას ქსელშიც“ ვარ გახვეული.

— მახსოვს, ერთხელ მოგვწერე, — მეგობრები დავკარგეო.

— დიახ, ასე იყო და სხვათა შორის, თინეიჯერებმა ძალიან კარგი რჩევები მომცეს, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი... ის მეგობრები კი, ვისზეც ადრე გწერდით, რამდენიმე ხსნის წინ შევკრიბე, ერთმანეთს გულახდილად დაველაპარაკეთ და ყველაფერი გავარკვიეთ. ახლა უკვე ძველებურად ვმეგობრობთ (*იცინის*).

— „გზა“ პირველად როდის წაიკითხე?

— 8 წელია, „გზას“ ვკითხულობ. ბევრჯერ მიფიქრია, ეს ჟურნალი სხვა გამოცემით შემეცვალა, მაგრამ ბოლო მომენტში მას ვერაფრით ველეოდი ხოლმე. აქ ყოველთვის ვპოულობ ჩემთვის საინტერესო სტატიებს, ბევრს ვხალისობ ფოტოკურიოზებზე, პროვოკატორის „იდეინობის“ ნაყოფზე...

— თინეიჯერები შენზე ხშირად ბრაზობენ...

— ეს იმიტომ, რომ სიმართლე არავის უყვარს! ადამიანებს არ მოსწონთ საკუთარ თავზე სიმართლის მოსმენა, მათ ლამაზ ტყუილში ცხოვრება ურჩევნიათ, მაგრამ როცა ყველაფერი თავზე ემხობათ, მერე ხვდებიან, რომ ილუზიაში ცხოვრობდნენ

დედამ მითხრა, — ამ მსახიობს ძალიან ჰგავხარო

და საკუთარ ქმედებებს ნანობენ.

— გვინეტ პელტროუს ვგავარო, — მითხარი...

— რა, არ ვგავარ?..

— ეს მსგავსება როდის აღმოაჩინე?

— მე არ აღმომიჩენია, დედამ მითხრა, — ამ მსახიობს ძალიან ჰგავხარო. მერე ეს მეგობრებმაც შეამჩნიეს, ხოლო მას შემდეგ, რაც თმა ქერად შევიღებე, ამას უცნობი ადამიანებიც უსვამენ ხაზს. მეცინება, როცა პირდაღებულები შემომყურებენ ხოლმე (*იცინის*).

— ოდესმე მსახიობობაზე თუ გიფიქრია?

— არა, ჩემგან მსახიობი ვერ გამოვა. ელემენტარულად, როცა სიცრუეს ვამბობ, თურაშაულის ვაშლივით ვწითლდები და ენა მებმის (*იცინის*).

— ალბათ, ქართველ პელტროუს ბევრი თაყვანისმცემელი გყავს...

— პირიქით, მათ ჩამოსათვლელად ერთი ხელის თითებიც საკმარისია. ზოგჯერ, როცა ბიჭი მომეწონება და მას ამას ვაგრძნობინებ, ისე გამირბის, თითქოს კეთროვანი ვიყო და ეს გულს ძალიან მტკენს.

— ეი. შეყვარებული არ გყავს?

— აღარ მყავს. სხვათა შორის, თავისუფლებას არაფერი სჯობს და თუ გული არ მიბრძანებს, ვიღაცის მიერ ნასროლ ყულფში თავს არასდროს გავყოფ. თუმცა, ამას სხვებს ვერ ვურჩევ.

— თბილისელი გოგო, თავისუფალ დროს სად და როგორ ატარებ?

— ძირითადად, მეგობრებთან მივდივარ, ზოგჯერ წიგნების კითხვით ვირთობ თავს, იშვიათად კი ღამის კლუბსაც ვსტუმრობ და „ძიგ-ძიგს“ ვიწყებ.

— „ძიგძიგს“ ანუ ცეკვას, არა?

— რა თქმა უნდა!

— იმისათვის, რომ ღამის კლუბში კარგად გაერთო, ექსტაზი აუცილებელია?

— არა, რა სისულელეა, ასეთ რაღაცებს ახლოსაც არ ვეკარები. ის კი არა, სიგარეტსაც არ ვეწევი. აი, ალკოჰოლს კი მცირე რაოდენობით გეახლებით. რატომღაც, ყველას ჰგონია, რომ თუ სიგარეტს მოსწევს და ექსტაზით გაითიშება, ეს „სვეტსკობაა“. ჩემი აზრით კი პირიქით, სწორედ ესაა სიგიჟე. ვინც გართობას ასე ცდილობს, ის ბევრ შეცდომას უშვებს და პირველ რიგში, საკუთარ ჯანმრთელობას ვნებს. ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

— როგორც ვიცი, კარგად მღერი...

— კი, სიმღერა მეხერხება და ახლობლების გარემოცვაში „ვუბერავ“ ხოლმე. სამწუხაროდ, სცენაზე დგომას ვერ ვეღირსე და ეს მამაჩემის ბრალია — მას არ უნდოდა, მომღერალი გამოვსულიყავი.

— რატომ?

— მისთვის მომღერლები ის უსაქმურები არიან, რომლებიც თავს პირის დაღებით ირჩენენ.

— დაბოლოს, რას უსურვებ „გზის“ მკითხველებს?

— მათ ვუსურვებ, რომ მთელი ცხოვრება ამ ჟურნალის ერთგულნი ყოფილიყვნენ! იმედია, „გზა“ საკუთარ ბილიკს არასდროს გაამრუდებს და ყოველთვის უბრალო ადამიანების გვერდით იდგება. ■

თინეიჯერები გვწერენ

სვანი:

„მე სოფლელი ვარ, მაგრამ ბევრ ქალაქელს ვჯობივარ კაცობითა და განათლებით. რუისპირო, თავს ნურავის დააჩაგვრინებ. სავალდებულო არაა, ვიღაცის სულელურ კითხვებს გასცე პასუხი და იცოდე, თუ რა ზომის აზღუდს იცვამს რომელიმე მსოფლიო დონის ვარსკვლავი. მთავარია, იცოდე, რა დაწერა ილია ჭავჭავაძემ და რომელ წელს მეფობდა ჩვენი ესა თუ ის სახელგანთქმული მეფე. არათბილისელებო, ვიკითხოთ წიგნები და კუდაბზიკა თბილისელებს დავუმტკიცოთ, რომ მათზე განათლებულები ვართ“.

მეამბოხე სული:

„რუისპირო, ყველას ერთი საზომით ნუ ზომავ. ჩემო კარგო, ძალიან საწყენია ის სიტუაცია, რომელსაც აღწერ. ქალაქში ცხოვრება „სვეტსკობას“ და „დონეობას“ არ ნიშნავს. უდონო და ქაჯი ადამიანებით სავსეა თბილისი. მოკლედ, აღვშფოთდი, რა, ქალაქელები და სოფლელები რამ გაგვყო ერთმანეთისგან? რუისპირო, ეგეთ უღირს ადამიანებთან თავის გაყადრება არ ღირს, გულს ნუ გაიტეხ“.

აბეზარა:

„ლიკ, რა საყვარლები ყოფილან დამავოი და სვანის ასული :))... ჰო, რუისპირს ვეთანხმები, ოლიმპიადებთან დაკავშირებით. 14 იანვარს ლიმფურ ძარღვებსა და ქსოვილებზე რაღაცებს ვწერდით (წამება 9-დან დაიწყო) და ბავშვებს ლამის, მერხებზე დაეძინათ :)). ისე, მგონი, მართალი ხარ, ჩვენს ნამუშევრებს არავინ ასწორებს. ნუ, თუ ასეა, რას ვიზამთ...“

სანტა:

„რუისპირო, ყველაფერში გეთანხმები. მთავარია, ადამიანს კეთილი გული ჰქონდეს და რა მნიშვნელობა აქვს, სოფელში გაიზარდა თუ ქალაქში? ბევრი ისეთი ქალაქელიც მინახავს, რომელზეც ზედგამოჭრილია სიტყვები: გაქალაქელებული მდაბიო. ეგეთ ადამიანებთან, პირადად მე, ურთიერთობა არა მაქვს და არც მინდა, მქონდეს.“ ■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი გოჩა ფანჯიკიძე

ა

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-3

ალა — წისქვილის ნაწილი, ყუთი, რომელშიც ფქვილი ჩამოდის.

ალაგე — ღობეზე გადასასვლელი ადგილი, გადასაბიჯი.

ალავი (ძვ.) — საქორწილო საჩუქარი, სასიძოს მიერ საპატარძლოსთვის მირთმეული.

ალათა — ჩარჩო (ფანჯრის).

ალალი — ქორის მსგავსი მტაცებელი ფრინველი.

ალაო — 1. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი, ასეთი ფქვილისგან გამომცხვარი პური (გული არ უცხვება); 2. გაღივებული, გამხმარი და დაღერღილი ქერი, სიმინდი, ხორბალი და მისთ. ხმარობენ ლუდის არყის და ბურახის გამოსახდელად.

ალაფი (ძვ.) — იგივეა, რაც ნადავლი.

ალაფი არაბ. (ძვ.) — 1. საქონლის საკვები, ფურაჟი; 2. მარცვლეულისა და ფქვილის ვაჭარი.

ალაყაფი თურქ.-სპარს. — იგივეა, რაც ჭიშკარი.

ალაჩოყი თურქ. — დროებით გამართული სადგომი (ნაბდისა, ხისა), კარავი.

ალაჯუნე (კუთხ.) — უთავბოლოდ მოხეტიალე.

ალერდი — ნედლი ბალახი.

ალვახაზი — ნადუღი თაფლისაგან დამზადებული საახალწლო ტკბილეული.

ალთაფა სპ. — სპილენძის ხელსაბანი ჭურჭელი. იხმარებოდა ძველად.

ალიკაპი — ხის აღვირი.

ალოღლეტია (საუბ.) — არაფრის გამკეთებელი, უქნარა.

ალტამი — სიმინდის ფქვილის ცომი, პატარა გუნდებად მოხარშული.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

წვეთი პოეზია

შენი ყელი

შენი ყელი... ამბობენ,
რომ შენი სწორი ყელი
ლერწამია შარბათისა ძველი,
მაშრიყელი.
არა! უფრო ამსგავსებენ... რას?
არ ვიცი, თუ რას:
მარმარილოს ცისარტყელას,
თუ სადაფის სურას?!
მე ჯი... მე ჯი გამოვძებნი სურათს
ჯერ არყოფილს:
შენი ყელი მე მაგონებს გედის
ათლილ პროფილს.

ორჯერ გნახე! და ორჯერვე ისე ავჯეჯლუცდი,
რომ ბუნებრივ სიყვდილს, ჩემო, რა ვქნა – აღარ ვუცდი.
მსურს გიმზირო და ამ მზერით გაგარჩიო სხვაში,
რომ გავქვავდე, როგორც ბუზი მარგალიტის ქვაში.

აი, ეხლაც თეატრში ხარ... და თეატრის სკამებს
შენი ყელის არემარე მორცხვად აკამკამებს.
ისე ნაზად აძლევ სალამს ყველას... ყველას... ყველას...
რომ წარბების მათრახებით ჰხატავ ცისარტყელას:
და ლორნეტის ორი მინა ისე ხარბად მზვერავს,
რომ არ ვიცი, რით გავუძლო მაგ ჯადოსნურ მზერას.
ისე გშვენის მძივ-გულქანდა ყელზე მონართავი,
რომ... ახ, ნეტა, მე შენს ყელზე ჩამოვიხრჩო თავი.

იოსებ გრიშაშვილი

საზოგადოებაში გამოწვეული რეზონანსისა და მკითხველთა დიდი დაინტერესების გამო, „გზის“ ფურცლებზე, ლალი მოროშკინას ავტობიოგრაფიულ წიგნს გთავაზობთ.

დასაწყისი იხ. „გზა“ №2 – 3

ქეთი

25 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ მე სულ ერთი შეკითხვა მტანჯავს, — რომელ ავადმყოფ თავში იბადებოდა სასკოლო ფორმის დიზაინი? კარგი, ბიჭების კიდევ გასაგებია: ერთი გაუთოებით აპრიალებული უბადრუკი ხარისხის მოლურჯო კოსტიუმები ჯანდაბას, მაგრამ გოგონების ფორმის ავტორი ან მანიაკი, ან პედოფილი, ან სულით ავადმყოფი უნდა ყოფილიყო. როგორ შეიძლებოდა, ახალგაზრდა, მზარდი სხეული, რომელიც დღითი დღე ემზადება ახალი სამყაროს კარის შესაღებად, ეზიარება პირველ გრძნობას, რომელიც თავისი სისუფთავით ყველაზე ლამაზი, უმწიკვლო და განუმეორებელია, შეგემოსა ყავისფერ ძაძებში, მერე კი, თითქოს იმის დასტურად, რომ მარტო ეს უსახურობა არ კმაროდა, ამ „შედევრის“ ბოლო შტრიხად ლუციფერი ავბედით შავ წინსაფარს აფრიალებდა. ვინ მეტყვის, ვის მოუვიდა აზრად შავისა და ყავისფრის შეხამება? მით უმეტეს, როდესაც ლაპარაკია არა სარიტუალო (ჯვარი აქაურობას) მომსახურებაზე, არამედ მოწაფე გოგონას იერზე?

აქედან გამომდინარე, იმასაც ვაცნობიერებ, რომ ჩვენ, ვინც მაშინ შეუპოვრად ვებრძოდით კომუნიზმის მანკიერებას, პროტესტს გამოვთქვამდით და მორჩილთა ხვედრს არ ვიზიარებდით, ან ვერ მივაღწიეთ სათანადო ასაკს, ან მტკიცე ფოლადად გადავიქეცით.

„[illegible]“

პირველი ექსპერიმენტული სკოლის „მეამბოხეთა ჯარის“ პირველ „დაჯგუფებას“ ქეთი ბოქოლიშვილი ხელმძღვანელობდა. ტანმორჩილი, სხარტი, მწვანე, ავაზასავით თვალებით და გრძელი, კუპრივით შავი თმით თბილისურ, ლამაზ, ინტელიგენტ ოჯახს წარმოადგენდა: მამა — ბორია ბიძია პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი, დალი დეიდა — პედაგოგი, ძმა — ირაკლი კი მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტის ფრიადოსანი სტუდენტი გახლდათ.

— ქეთევან, კიდევ ერთხელ გამომიძახებენ სკოლაში და ნახე, თუ შენს ძმას მოსკოვში არ დავურეკო, იმ ჩიტირეკიების მშობლებსაც ვეტყვი და ნახავ მერე... — ბრაზობდა დეიდა დალი.

— კარგი რა, დედა, არ ვსწავლობ თუ არ ვკითხულობ, არ შემიძლია ამ მოჟამული ფორმით სიარული, მკვდარი ხომ არა ვარ?

— მე მითქვამს! — ამ სიტყვებით კონფლიქტი ამოწურული იყო და ქეთიც მოქმედების ახალ გეგმაზე გადადიოდა.

ჩვენი სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნორა ტარიელაშვილს თამამად შეეძლო იმის თქმა, რომ იმ პერიოდისათვის მისი სეიფი ამიერკავკასიაში ყველაზე უნიკალური კოლექციით გამოირჩეოდა.

საქმე ის არის, რომ თვითნებობაში შემჩნეული სკოლის მოწაფეები დილით პედკოლექტივის „სირცხვილის დერეფანს“ გადიოდნენ. კონფისკაციას ექვემდებარებოდა საათები, ბეჭდები, საყურეები, ლენტები, ძეწკვები, სათვალეები, შარფები, გამაშები და, რა თქმა უნდა, ჯვრები. თამამი და შეუპოვარი ქეთი ყოველდღე აპროტესტებდა ჯვრის წართმევას და მორიგი „შეტაკებისათვის“ დაუზარლად ემზადებოდა. ქეთის ჯვრები, ზოგი რკინის, ზოგი ხის, ზოგი ძაფით დაწნული, ნებისმიერი ეკლესიის მრევლს ეყოფოდა და დაამშვენებდა.

სხვაგვარი იყო მარიკუნას პროტესტი. ახლახან იაპონიიდან დაბრუნებული აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე უმცროს ქალიშვილს პატარა-პატარა საჩუქრებით ანებივრებდა. ამ გრძნობას ამძაფრებდა ისიც, რომ მარინას უფროსი და — მანჩო მოსკოვში მორის ტორესის სახელობის ინსტიტუტში ესპანურს ეუფლებოდა და მშობლებს იშვიათად ნახულობდა. ასე რომ, მამა მინდიას საყვარელი ქალიშვილი ამჯერადაც სკოლაში ლამაზი, ახალი ფერადი საათით მივიდა. ალბათ, ზედმეტია იმის თქმა, რა ბურჟუაზიულ დემარშს წარმოადგენდა პაწაწინა ფერადი საათი, რომელმაც მარიკუნას მაჯიდან სულ რაღაც წუთებში დირექტორის სეიფში პოვა სამუდამო სასუფეველი.

არ დაიჯერებთ, მაგრამ პედაგოგების ყველაზე დიდ გულისწყრომას მანანა კოზაკოვას წითელი გეტრები იწვევდა. საქმე ის იყო, რომ ბოშასავით შავტუხა, ხვეულთმიან და ბრიალათვალებიან მანანას პირველი მერცხალივით მოჰყავდა გაზაფხული და იმ დროს, როდესაც მთელი სკოლა ჯერ კიდევ ნასესხების დასრულებას ელოდებოდა და თბილად შეფუთნილი დადიოდა, მანანა უკვე მარტის ბოლოს თავისი კვასკვასა წითელი პირსახოცის ქსოვილის გეტრების გამო პედკოლექტივთან ცხარე დებატებში იყო ჩართული.

— კოზაკოვა, ისევ?

— რა ისევ, მასწ?

— რა და გეტრები, თანაც მარტში და თანაც წითელი?

— მერე რა, ყელსახვევიც ხომ წითელია, მასწ?

— კოზაკოვა, შენ თუ განსხვავებას ვერ ხედავ ყელზე მოსახვევსა და ფეხზე ჩასაცმელს შორის, კარგად ყოფილა შენი საქმე! როგორ ბედავ დიადი კომუნისტების სისხლით გაჟღენთილი ყელსახვევის შეურაცხყოფას?! ხვალ დედას მოიყვან! ხვალვე, გაიგე?

მანანას დედა, ქალბატონი მედეა, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალი გახლდათ. ვერ გეტყვით, რომ პედაგოგებს, თავიანთი გაუთავებელი კომუნისტური კლიშეებითა და დოგმებით, ულამაზესი მედეას ნახვა გულზე ეხატებოდათ, მაგრამ „ურჩის“ დასჯას სკოლის შიდაგანაწესი მოითხოვდა. წესი წესია! ქალბატონი მედეაც მაინცდამაინც არ ჩქარობდა მორიგი პასკვილის მოსმენას საკუთარ ქალიშვილზე და ორმხრივად უსიამოვნო პროცედურას წლის ბოლოსათვის იტოვებდა.

მე იმ დროისათვის გრძელი ოქროსფერი თმა მქონდა. განებივრებული ვიყავი, რადგან ბებიაჩემი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს ხშირად სტუმრობდა და შეძლებისდაგვარად მეც დავყავდი. ამიტომ ჩემს სკივრში მრავლად იყო თმის სამაგრი, თასმა და სხვა ზიზილ-პიპილე-

ბი გდრ-დან, უნგრეთიდან, ჩეხეთიდან და პოლონეთიდან. ყოველღამე, დაწოლის წინ, გულმოდგინედ ვიწნავდი აფრიკულ ნაწნავებს, მერე დილით ვიშლიდი და თმა უფრო ხშირი და ტალღოვანი ჩანდა. წინამოს ზევით, როგორც ლესია უკრაინკას, ოქროსფერთასმიანი ნაწნავი მქონდა. სკოლაში მისვლისთანავე მორიგი ცერბერი თმაში მწვდებოდა, საპირფარეშოში შემიყვანდა და ჯერ ზედა ნაწნავს დამიშლიდა, მერე კი თავს გაყინული ნაკადის ქვეშ მისველებდა. ფინალური სცენა — თმის დავარცხნა, ერთ მუჭად შეკვრა და ნაწნავის დამაგრება ველოსიპედის საბურავისგან მოჭრილი უხეში რეზინით ზედმიწევნით ესადაგებოდა „პედაგოგიური ზეიდეალების“ მატარებელი ცერბერის სიამოვნების კულმინაციას.

ხანდახან ტაბუდადებული ნივთების პატრონები „სარფიან“ გაცვლას ვაწარმოებდით ერთმანეთში, რის შედეგადაც საყურეები, თასმები, საათები, გეტრები და, რა თქმა უნდა, ჯვრები ერთი კლასიდან მეორეში მოგზაურობდნენ.

წინადღეს მე და ქეთიმ ერთმანეთის სკივრებში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად რაღაც-რაღაცები გავცვალეთ.

მეორე დღეს მე ავბედითი ფორმის სახელოს ქვეშ ქეთის იასამნისფერთვლებიანი სამაჯური მეკეთა, მას კი ჩემი ჭიამაიიანი თმის სამაგრი. იმ დღეს „სირცხვილის დერეფანს“ სისასტიკითა და კაცთმოძულეობით გამორჩეული სასწავლო ნაწილის გამგე ხელმძღვანელობდა. რატომღაც ყველაზე დიდი გაწიწმატება ქეთის ულამაზეს შავ თმაში მოლივლივე პატარა ჭიამაიამ გამოიწვია. სასწავლო ნაწილის გამგემ „საბაჟოგავლილები“ კლასებისკენ გაგვრეკა, ქეთის კი დარჩენა უბრძანა.

იმ დღეს ქეთი აღარავის გვინახავს. შინ სატელეფონო ზარებსაც არავინ პასუხობდა.

როდესაც მეგობარი სკოლაში მეორე დღესაც არ გამოჩნდა, მე და მარიკუნამ გადავწყვიტეთ თავად მოგვენახულებინა.

ჩემი გახმაურებული სასკოლო რომანის ერთი ნაწილი დასასრულს მიუახლოვდა

ქეთი იქვე, ბახტრიონზე ცხოვრობდა, დღის განმავლობაში მარტო იყო, რადგან მშობლები 6 საათამდე მუშაობდნენ, ამიტომ ვიცოდით, კარს თვითონ გაგვიღებდა.

ხანგრძლივი და გაბმული ზარის მერე კარი მძიმედ გაიღო და ის, რაც დავინახეთ, ალბათ, ერთ-ერთი პირველი და ამიტომ ყველაზე შთამბეჭდავი სტრესი იყო თითოეულის ცხოვრებაში, — ქეთი, თავშალმოხვეული, შესამჩნევად გამხდარი, თვალებქვეშ დიდი შავი წრეებითა და გამხდარ სახეზე კიდევ უფრო გადიდებული წყლიანი თვალებით, უცნაურად გვიყურებდა. ეს არ იყო სინანული, შიში, ეს იყო რაღაც ახალი, რაც თითოეულ ჩვენგანს ცხოვრებაში აუცილებლად უნდა გაევლო, გაევლო, როგორც გადიან გოლგოთას სიმართლისათვის მებრძოლნი.

— რა მოხდა, ქეთ, ისე ვინერვიულეთ, ხომ ცოცხალი ხარ? — დაიწყო მარიკუნამ.

— ვერ დარეკავ, გოგო? — მივახალე მე.

და მაშინ ქეთიმ თავშალი მოიხსნა.

ძნელია, სწორად შეარჩიო ეპითეტი ქეთის მდგომარეობის აღსაწერად, — მისი ლამაზი თმისგან რამდენიმე არაფრის მთქმელი ფრაგმენტი იყო დარჩენილი. თვალები ნელ-ნელა სიმწრისა და შურისმაძიებელი სიმართლის ცრემლებით გვევსებოდა.

ქეთიმ მუჭი გახსნა და მის ხელისგულზე ჩემი ჭიამაია დავინახე.

— ღალ, ეს გადავარჩინე იმ მხეცებისაგან, — თქვა და თმის სამაგრი ისე გამომიწოდა, თითქოს ჩვენი სული სჭეროდეს ხელში.

მე და მარიკუნა თავზარდაცემული ვისმენდით ქეთის ამბავს. კლასებში ჩვენი შესვლის მერე, სასწავლო ნაწილის გამგემ ქეთი ოთახში შეიყვანა და მისი თანდასწრებით დალი დეიდას დაურეკა. არც მეტი, არც ნაკლები, ტექსტი ასე ჟღერდა:

— ქალბატონო დალი, სასწრაფოდ გამოცხადდით სკოლაში! — და ყურმილი დაუკიდა. საბრალო დალი დეიდა 15 წუთში აქოშინებული, გულამოვარდნილი სამასწავლებლოს კიბეზე არბოდა და ღმერთო, მიშველეო, ჩურჩულებდა. რა სურათმა არ გაირბინა ანერვიულებული ქალის თვალწინ. „ღმერთო, მიშველე, ოღონდ ცოცხალი იყოს!“

პირველი, რაც დალი დეიდამ სამასწავლებლოს კარის შეღების მერე დაინახა, ცოცხალი და საღ-სალამათი ქეთი იყო. მაშ, რა მოხდა?

— ქალბატონო დალი, რა არის ეს? გეკითხებით, ეს რა არის? — ერთსა და იმავე კითხვას ისტერიულად, წიკვინით იმეორებდა სასწავლო ნაწილის გამგე და ქეთის თმაში მიმალულ ჭიამაიაზე მიუთითებდა. დალი დეიდა ერთხანს გაყინულ ქანდაკებასავით იდგა, მერე უცბად წამოვარდა, მაგიდასთან მივიდა, საკანცელარიო მაკრატელი აიღო და საცოდავ ქეთის სწვდა. სკოლის ნახერხმოყრილ იატაკზე ქეთის ლამაზი, შავი დალალები ერთიმეორის მიყოლებით ცვიოდა და მასტიკიან ნახერხში ირეოდა, თითქოს იმის ნიშნად, როგორ უნდოდათ სათითაოდ, გამოხშირვის მეთოდით, ჩვენი თავმოყვარეობის, მეობის, სიმტკიცის არევა სკოლის იატაკის ჭუჭყთან. სასწავლო ნაწილის გამგე დაბნეული იყურებოდა, მაგრამ ხმის ამოღებას ვეღარ ბედავდა.

გატეხეს დალი დეიდა.

და მაშინ ჩვენ, სამმა ბავშვობის მეგობარმა, ფიცი დავდეთ, რომ ცხოვრების ბოლომდე, სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვჯდომოდა, არავისა და არასოდეს ერთმანეთს არ დავაჩაგვრინებდით. გვერდში დავუდგებოდით და ყველაზე მძიმე სიტუაციაშიც კი ერთმანეთს იმედს ჩავუსახავდით.

ეს ფიცი არასოდეს გატეხილა.

ვერა

დრო სწრაფად გარბოდა, ჩემი გახმაურებული სასკოლო რომანის ერთი ნაწილი დასასრულს მიუახლოვდა, რადგან ნუკრი უკვე პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახლდათ, და ჩვენი რომანიც ახალ, სასკოლო-საინსტიტუტე ფაზაში გადავიდა. ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, — ჩვენზე „პედტერაქტების“ შედეგად, მე ვერაზე 51-ე სკოლაში, ქეთი კი „კომაროვში“ გადავიდა. ეს სკოლა მიშიკო სააკაშვილმა მირჩია, — მაგრად ამოისუნთქავ, სულ სხვა გარემოაო. თვითონაც ასე მოიქცა ორი წლის წინ. მეც დავუჯერე, მიშიკო ყველაზე რაციონალური იყო ჩვენ შორის. მართალია, უკეთესი იქნებოდა, იქ დამხვედროდა, მაგრამ ის ხომ უფროსია, ეგ და ნუკრი უკვე სტუდენტურად ხალისობდნენ. საბრალო მარიკუნა უჩვენოდ ეწეოდა „ექსპერიმენტულ“ ჭაპანს. ნუკრი, როგორც წესი, გაკვეთილების შემდეგ ფილარმონიასთან მელოდებოდა. შემდეგ სახლში მაცილებდა, მერე კი საღამოს ან ის სტუმრობდა ჩვენთან, ან მე მასთან. ჩვენი მშობლებიც, ბედნიერები ამგვარი დაზავებით, სავსებით გვენდობოდნენ, რომ რაიმე „სისულელეს“ თავში არ გავივლებდით.

1985 წლის 1-ელი სექტემბერი იდგა, მე სულმოუთქმელად ველოდებოდი გაკვეთილების დამთავრებას, რომ გარეთ გავსულიყავი და მსოფლიოში ყველაზე სიმპათიური სტუდენტი მენახა. ამიტომ ზარის დარეკვისთანავე კარისაკენ გავეშურე, თუმცა გზად ერთი წინაღობა მელოდებოდა, — მას მეტსახელად „ჯონჯოლა“ ერქვა, სკოლაში ყველაზე ძლიერი და პოპულარული ბიჭი იყო, თანაც სკოლას „უყურებდა“.

— მოროშკინა, საით? არ აღვნიშნოთ 1-ელი სექტემბერი? აგერ, ვახო ხოშტარიასთან ვიკრიბებით, მაიკო ბარათაშვილი გიტარას წამოიღებს, გოგოებიც დაფაცურდებიან და შევუბეროთ, როგორც ვერელებს ეკადრებათ! ეს „ზუმ-

ბურტალო“ კი არ არის, ვერაა, ვერა!

— ჯერ ერთი, მოროშკინა კი არა, მაროშკინა, -ო- იწერება, -ა- გამოითქმება, გაიგე? როგორც „მოლოკო“ და მეორე, მე მელოდებიან.

— ვა, მართლა? ვინ? შენი საბურთალოელი კავალერი? ხომ არ უნდა, ცხვირი დავუნაყო? ერთი საბურთალოელი სააკაშვილი უკვე გავისტუმრეთ აქედან, რა, ხომ არ დამებედნენ? ახლა წადი და გადაეცი შენს მეგობარს, ამ ტერიტორიაზე არ დავინახო გადმოსული, თორემ მისი „სეი“ ჰაერში აფრინდება, გაიგე?

პირველი ექსპერიმენტული სკოლა მიხეილ სააკაშვილის კლასი

— ვერა! — მომაკვდინებელი თავდაჯერებით მივახალე მე და კართან ხელებშუა გავუძვერი.

ხშირად მიფიქრია, რა არის ვერა? უბანი თუ ცხოვრების სტილი? ალბათ, მეორე. ვერას თავისი სუნი, ფერი და კოლორიტი აქვს, ვერელი შეიძლება გახდეს სხვაუბნელი, სხვაუბნელი კი ვერელი ვერასოდეს გახდება! აქ უნდა დაიბადო, სწორედ აქ და არა სხვაგან, მერე აქ გაიზარდო, რომელიმე ლამაზ იტალიურ ეზოში, მერე აქ იარო პაემნებზე კიროვის ბაღში, ჩაისეირნო საჭაშნიკეში, იყიდო მზესუმზირა გულოსთან, მიულოცო ვაჟიანობა „ჩაჩავაში“ პირველივე ახალბედა მამას, კვირას საყიდლებზე წახვიდე ვერის ბაზარში, საღამოს კი სუხიშვილების კონცერტით დატკბე ფილარმონიაში. აი, ეს არის ვერა, რომელიც „უცხო სხეულს“ ვერასოდეს აიტანს.

ნუკრი 51-ე სკოლასთან გაჩერებულ „07“-თან იდგა, რომელიც მამამისმა სტუდენტობის მისალოცავად უყიდა, იდგა და სიგარეტს ნერვიულად ეწეოდა, სახეზე ფერი არ ედო.

— რა მოხდა, ნუკრი, რა სახე ჩამოგტირის, ახალ სკოლას და ახალ სასწავლო წელსაც არ მომილოცავ? — გაბუტულმა ვკითხე.

— ჰო, გილოცავ, — მითხრა უკმეხად და ლოყაზე მაკოცა, — მიშიკო ჯარში წაიყვანეს.

— რაა? ჯარში? სად? რამდენი ხნით? — ვიკითხე და თან მივხვდი, რომ რაღაც ძალიან სერიოზული და ცუდი ხდებოდა ჩვენს თავს.

— ლალ, ჯარი საბჭოთა კავშირში ორწლიანია, საზღვაო ფლოტი — სამწლიანი, ეს ისე, ინფორმაციისათვის, — თქვა გაღიზიანებულმა ნუკრიმ.

— მერე გიული დეიდა?

— საბჭოთა ჯარში დედებსაც კი არ უშვებენ, — განაგრძობდა ცინიკურად ნუკრი.

— ჰო, კარგი ვიცი, დებილი არა ვარ. სად წაიყვანეს?

— უკრაინაში, კიევში.

— გათავისუფლება არ შეიძლებოდა?

— საბჭოთა ჯარიდან გათავისუფლებული პირი საჯარო სამსახურში ვეღარ იმსახურებს და საერთოდ, ხეიბრის ან დეზერტირის სტატუსი ექნება, — მიხსნიდა ნუკრი მონოტონურად.

მართალია, არც ერთი სიტყვის მნიშვნელობა არ მესმოდა, მაგრამ ნუკრის თავხედობასა და ცინიზმს საზღვარი არ ჰქონდა. თითქოს მე ვიყავი დამნაშავე მიშას ჯარში წასვლაში ან მე მოვიგონე ეს სულელური კანონები.

მოთმინების ფიალა ნელ-ნელა პირთამდე ამევსო და მეც მივახალე:

— მერე რას მეიაზვები, ვერ გავიგე, რა ჩემი ბრალია? რა მოხდა, დაიქცა ქვეყანა? თუ სხვა მიზეზი გაქვს? ალბათ, კურსზე ლამაზი გოგოები გყავს და იმათ ეპრანჭები, არა? ამის სათქმელად მოხვედი? ჰოდა, მითხარი, გეყოს ვაჟკაცობა! გაიგე? — ვყვიროდი.

უცებ ნუკრიმ პირზე ხელი მიმაფარა, თავისკენ მიმიზიდა და პირველად ცხოვრებაში ტუჩებში მაკოცა. იცით რას ნიშნავს „პირველად ცხოვრებაში“? ეს ნიშნავს პ ი რ ვ ე ლ ა დ! რაღაც მომენტში მომეჩვენა, რომ დედამიწა გამომეცალა ფეხებიდან, ერთი შევტორტმანდი და რომ არა ნუკრის დროულად გამოწვდილი მკლავი, ასფალტზე დავენარცხებოდი. ყურებსა და ყელში ძლიერ გულისცემას ვგრძნობდი, თანაც იმის გაფიქრება, რომ ეს დღისით-მზისით შუა ვერაზე ხდებოდა, მწარე რეალობაში მაბრუნებდა. სკოლისკენ გახედვაც არ მინდოდა, ვიცოდი, რომ „ჯონჯოლა“ ამ „სანახაობას“ ნაღდად არ გამოტოვებდა.

„2-3 დღე თავი უნდა ავიტკივო და ეს წყეული სკოლა გავაცდინო, მით უმეტეს, რომ დედაჩემის გაცურებას არაფერი უნდა, ერთი ბავშვურად ნაღვლიანი თვალები და დანარჩენს, რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, ანალიზები დაადგენს“... ვფიქრობდი და მოსალოდნელი „სნეულების“ ვარიანტებს ვაწყობდი. გადაწყვეტილება მყისიერი იყო.

— გაგიჟდი? ვცდილობდი ნუკრის მოშორებას. — რას შვრები?

— მეც რომ წამიყვანონ? — ამოიღუღღუღა ჩემზე არანაკლებ აღელვებულმა ნუკრიმ. — იცი, 2 წელი რამდენია? დამელოდები? ვინ მოგივლის? ვინ გაგაცილებს? იქიდან სად გდიო? აგერ, ბიჭები, ზოგი ჩიტაში გაუშვეს, ზოგი — ლენინგრადში, ზოგი ჯანდაბაში და ზოგიც ოხრობაში და რა ვქნა, ხომ გადავირიე იმაზე ფიქრით, შენ აქ რას შვრები? თანაც ეს შენი ახალი კლასელი ძაან მიშლის ნერვებს!

მართალია, როცა ამბობენ, — მამრი წინასწარ გრძნობს კონკურენტის გაჩენას, ეს რაღაც ინსტინქტური, ცხოველური და საოცრად აზარტულია. აი, როდის ხდება კაცი ნამდვილი მონადირე, აი, როდის გრძნობს კუთვნილი მსხვერპლის დაკარგვის საშიშროებას, ფერომენების ყივილს, აი, როდის იბრძოლებს ის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, შეიძლება თვითონაც შეეწიროს ამ ბრძოლას, მაგრამ მოწინააღმდეგეს პირველს გაუთხრის სამარეს და მონაპოვარს კი არ დათმობს! ასეთია მისი ბუნება!

მე და ნუკრიმ ერთი წრე დავარტყით ქალაქს და ჩემი სახლისაკენ გავუხვიეთ.

— რას აპირებ საღამოს? — მკითხა მან.

— „ექსპერიმენტულის“ კლასელები მარიკუნასთან ვიკრიბებით წყნეთის აგარაკზე, ხომ ამიყვან?

— რა თქმა უნდა, ოღონდ დიდხანს ნუ გაჩერდები, კარგი?

— შენ რა, ვერ შემოხვალ?

— ვერა, გიული დეიდასთან უნდა ავიდეთ, გიჟს ჰგავს ქალი, 2-3 დღეა არაფერი იცის მიშკაზე.

— კარგი, მეც მალე წამოვალ, თანაც იმდენი სამეცადინო მაქვს...

— პირველივე დღეს? ეგეც „ექსპერიმენტალკა“ ხომ არ არის? ჩაეცინა ნუკრის.

— არა, ეს ვერის უბნის მელოდიაა, — წავიღიღინე მე და როგორც ყოველთვის, აივნიდან ჩემს მოლოდინში ნახევრად გადმოყუდებულ დედას ხელი დავუქნიე.

საღამოს კი მარიკუნას დიადი წინაპრების წყნეთის აგარაკზე 1-ელი სექტემბრის ზეიმი კულმინაციურ ფაზაში შედიოდა. მეგობრების წრეში გატარებული დრო ყოველთვის დაუვიწყარია. რას ვაკეთებდით? ალბათ, იმას, რასაც 15-16 წლის მოზარდები უნდა აკეთებდნენ ასეთ დროს, — ვცეკვავდით, ვმღეროდით და ვერთობოდით. ყველაზე მეტად კი იმ დღეს ორი ყმაწვილი ხმაურობდა და ხუმრობდა: ირაკლი ჯიბლაძე და ლადო ტატიშვილი. ვინ იფიქრებდა, რომ ამ შემადგენლობით ეს ჩვენი ბოლო ერთად ყოფნა იყო.

მოტაცება

საბჭოთა კავშირი თავისი განსაკუთრებული „ხიბლით“, ალბათ, კიდევ იმითაც იყო გამორჩეული, რომ ირეალური ღირებულებებისა და დოგმების ტყვეობაში ამყოფებდა თავის მდგმურებს. დიახ, უუფლებო მდგმურებს! აბა, რა ჰქვიათ იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთაგან ყოველი მეხუთე ქვეყნიდან გაქცევაზე ფიქრობს? სადაც ყოველი მეორე გმობს ჯარში გამეფებულ „დედოვშჩინას“, ცინიზმს, ცემასა და გაუპატიურებას, მაგრამ იძულებული არიან 17 წლის ნაფერები ბიჭები იმ ჯოჯოხეთში გაუშვან?! მერე მხოლოდ უფალმა უწყის, რა მოხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამხედრო ტრიბუნალი! რა ჰქვიათ იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთა უფლებები არ აღემატება ფეოდალური ხანის გლეხობის უფლებებს? მაგრამ საბჭოთა რეზერვაციაში, დიადი ლენინის აჩრდილის ქვეყანაში, ყველაფერი ეს ლამაზად იფუთებოდა კომუნიზმისაკენ და უკეთესი მომავლისაკენ სწრაფვით. მიუხედავად მაღალი შემოსავლებისა, ე.წ. ცეხავიკები და სხვა საქმოსნები მანქანას წელიწადში ერთხელ იცვლიდნენ, თუმცა იმავე მოდელითა და იმავე ფერის მანქანით! რატომ? არ შეიძლებოდა! რიგითი მოქალაქის ხელფასით ახალი მანქანის ყიდვა ისეთივე უტოპია იყო, როგორიც, თავის დროზე, სენ-სიმონისა და ფურიეს აზრები. საბჭოთა კავშირში ყველა პროლეტარი უნდა ყოფილიყო. საკრედიტო სისტემა არ არსებობდა. ჰოდა, ღიპგაბერილი ფულიანები შესაკრებთა გადანაცვლებით იკმაყოფილებდნენ თავიანთ ეგოს. ხშირად „ახლო მეზობლის ინსტიტუტი“ ახერხებდა სადაც ჯერ არს ინფორმაციის მიტანას და იყო დიდი ცოდვის კითხვა, კონფისკაციები და დავიდარაბა. მიუხედავად გარეგნული სიდუხჭირისა და „ხელფასზე ყოფნისა“, სახლის ზღურბლიდანვე სულ სხვა სურათი იშლებოდა. იცოცხლე, ხარობდა ფანტაზია! სერვიზები „მადონა“, ფაბერჟეს ქმნილებები, საქსონიური ფაიფური, ბროლის ჭაღები, კუზნეცოვის ჭურჭელი და აუცილებლად როიალი (თუმცა პატრონმა სიცოცხლის ბოლომდე არ იცოდა, აწყობილი იყო თუ არა ინსტრუმენტი)! ეს გახლდათ პროვინციული აზროვნებით განპირობებული აუცილებლობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო შვილების ჯეროვანი პრეზენტაცია საჭირო საახლობლო წრეში. პრესტიჟულ ინსტიტუტებში მოწყობასა და ქალაქში „განსაკუთრებული“ ადგილის დაკავებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. „ფუფალობის“ ინსტიტუტის კიდევ ერთი განყოფილება იყო მზითევი, რომლის „გაბაზრებითაც“ ყველაზე შეუხედავ გოგოსაც მყისიერად ეძლეოდა ქართული კულტურისათვის ასე აუცილებელი ოჯახის „დროულად“ შექმნის შანსი. გეგმა მარტივი და უტყუარი იყო: პროვინციიდან თბილისში ჩამოსულ ვაჟებს ხიბლავდათ ფულიანი სიმამრისა და უზრუნველი ცხოვრების პერსპექტივა. მთავარი იყო ადგილის დამკვიდრება ქალაქში, ხოლო მდიდრული მზითევი, ფულიანი სიმამრი და ცხელ-ცხელი ხაჭაპურებით ხელში მოტუნტურე ქოთქოთა სიდედრი მუდამ მეორე პლანზე სწევდა მათივე ქალიშვილის, პირდაპირ რომ ვთქვათ, უპერსპექტივო გარეგნობას.

გაიხაროს კავკასიურმა ტრადიციამ: მოიყვანე ცოლი, დასვი სახლში და ჰაიდა... დალოცვილი რუსი ქალებისაკენ! მით უმეტეს, როცა ამგვარ ვოიაჟში თავად სიმამრის „კურთხევაც“ ერთ-ერთი უტყუარი ალიბი გახლდათ: „მიდი, შვილო, იგულავე. აბა, როგორ, ჩვენ ხომ კაცები ვართ?! მონადირეები, მებრძოლები, კაცს თუ ხმალი დაუჟანგდა, კაპიკია მისი ფასი. ასეა მიღებული. მთავარია, ჩემს ნუნუკას ნუ გააგებინებ, ოჯახი ხომ წმიდათაწმიდაა!“

სულ სხვაგვარი საუბრები იმართებოდა დედასა და ქალიშვილს შორის: „კარგი, დედიკო, რა გატირებს? სად წავა? ცოტას გაისეირნებს და დაბრუნდება, კაცი ძაღლივითაა, შვილო, ხანდახან სასეირნოდ უნდა გაუშვა, რომ მერე ერთგულად გემსახუროს. ვერ ხედავ მამაშენს, აღარაფრის თავი რომ აღარ აქვს, კი ზის მთელი საღამოები ტელევიზორთან და იქიდან გადმომხტარი მე ჯერ არავინ მინახავს! ასეთია, დედიკო, ჩვენი ხვედრი, ხომ ვართ წესიერი ქალები?! აბა, გადაავლე თვალი, ოთხივე სადარბაზოში თუ ვინმეს აქვს ჩვენნაირი ოჯახი? მერე რა, რომ მათხოვარი პერტაიების მათხოვარი რძალი და სიძე სულ ერთად არიან, ვერ ხედავ, ერთი კაბით რომ დადის ის უბედური გოგო?“

რადიკალურად განსხვავებული იყო პოზიცია ქმრის ოჯახში მცხოვრებთათვის. გამოთქმა „შვილს ცოლი მოვაყვანინე“ მხოლოდ ქართული ზეპირსიტყვიერების უბადლო ნიმუშია. წარმოიდგინეთ, მოწიფული ბეხლეწი, რომელსაც ცოლს დედა ურჩევს... დედამთილის მორთმეული ბეჭედი, როგორც „გეორგიევსკის ტრაქტატი“, უაპელაციოდ უნდა ყოფილიყო მიღებული და მიუხედავად იმისა, ემთხვეოდა თუ არა ძვირად ღირებულ სამკაულს პატარძლის გემოვნება, „ის ე. წ. „მობუბლიკო ფორმის კალიცოსთან“ ერთად უნდა ყოფილიყო დაღდასმული სწორედ მარჯვენა ხელის არათითზე, რათა ყველას, ვიმეორებ ყველას, სცოდნოდა არა მარტო ქალის უღელქვეშა მდგომარეობა, არამედ ოჯახის მატერიალური სტატუსიც, რასაც ბეჭედი, ცხადია, როგორც სარკე, ისე აირეკლავდა.

დედამთილურ „არქივში“ მრავლად მოიპოვებოდა „ნედელკა“ ქვედასაცვლები, „პეროიანი“ პენუარები და მრავალი სხვა სისულელე, რომლებიც დიდად დაამშვენებდა ნებისმიერი ქვეყნის რეტროსექსშოფს. გამოყენებას, როგორც წესი, ინსტრუქცია არ მოჰყვებოდა, სამაგიეროდ, გვარის გამგრძელებლის სულიერი სიმშვიდისათვის აუცილებელ ატრიბუტიკას წარმოადგენდა! ყოველ შემთხვევაში, მისი უდიდებულესობა დედამთილის აზრით.

შვილის შეძენასთან ერთად რძალს ეძლეოდა კიდევ ერთი შანსი ოჯახური ლატარიის გათამაშებისა, რაც არ გამორიცხავდა ფულიან პრიზს — ოქროს სამკაულსა და წაულის ქურქს. ალბათ, მკითხველი ფიქრობს, მეტი რა უნდა ქალსო? გიპასუხებთ, საქმე ის არის, რომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი კაპიკ-კაპიკ, კარატ-კარატ, ბეწვ-ბეწვ ოჯახის ახალი წევრის ყელიდან, ნერვებთან ერთად, დროთა განმავლობაში მიზანმიმართულად იქაჩებოდა. „რძალდედამთილური საგა“ სადიზმის ისეთ „მარგალიტებს“ ინახავს, რომ არც ერთ ცნობილ სერიულ მკვლელსა და მანიაკს არ დაესიზმრება. ჩიკატილო ხომ საერთოდ გუშინდელი დღეა!

შვილის გაჩენა ქართულ კულტურაში განსაკუთრებული ფენომენია, თითქოს სხვა ქვეყნებში ბავშვებს წერო დაატარებდეს. ფრაზა: „მე შენ შვილი გაგიჩინე“ განაჩენივით ჟღერს! რაც მთავარია, ეს „რკინის“ არგუმენტი ცხოვრების ბოლომდე მუშაობს. მარტო ქართულ ენაში არსებობს ისეთი განსაზღვრებები, როგორიცაა „მოლოგინება“, „მშვიდობით მორჩენა“, 40-დღიანი გადასვლა დედის ოჯახში, ჭამა ნაწლავების გადახლართვამდე და ზედმეტი წონით ტრაბახი. მახარობლისთვის ფულის მიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ბიჭი გაჩნდა და ამ გარდაუვალი ქაოსის აპოთეოზი — ქმრის ორკვირიანი „ზაპოი“ სწორედ იმ დროს, როცა ქალს ყველაზე უფრო სჭირდება მეუღლე.

მოკლედ, როგორც იტყვიან, „სეტყვა მოვიდა, ქვა დახვდას“ პრინციპით „მოქიშპე“ მხარეების უნარ-ჩვევებზე მრავალტომეულის დაწერა შეიძლება! თუმცა, ამ თემას აღარ გავაგრძელებთ და 1985 წლის სექტემბერში დავბრუნდებით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37, 2009
— №3, 2010

გოჩა მანველიძე

მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდა. ჩრდილოელი მეზობლით და ფარული მოკავშირით დაიმედებული აფხაზეთის მთავრობა, ქართველებთან საერთო ენის გამოძებნის მაგივრად, მოსახლეობას იარაღით ხელში „დამპყრობლების“ აფხაზეთიდან განდევნისკენ მოუწოდებდა. ამ დროს კი იგივე „მოკავშირე“ ქართველებს იარაღით ამარაგებდა და აფხაზთა წინააღმდეგ ბრძოლისკენ უბიძგებდა. შედეგად ორიოდე დღით შეწყვეტილი ბრძოლები ისევ განახლდა. მაგრამ ამჯერად ქართულმა მხარემ უარი თქვა გუდაუთის პირდაპირ იერიშზე და აფხაზეთის რუსეთისგან მოსაწყვეტად, საბრძოლო მოქმედებები განთიადი-ლესელიძის მიმართულებით გადაიტანა.

აფხაზებისთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა ქართველების მიერ განხორციელებული საზღვაო დესანტირება, რომელშიც რუსეთის სამხედრო ფლოტის სადესანტო ხომალდები იყო ჩაბმული. ქართველ სამხედროებს განთიადი-ლესილიძის დასაკავებლად მხოლოდ ერთი დღე დასჭირდათ. რამდენიმე ხანმოკლე შეტაკების შემდეგ, აფხაზებმა გაგრის მიმართულებით დაიხიეს უკან.

საღამოს გაგრის ქუჩები უჩვეულოდ გამოცოცხლდა. გოგა სახლის ფაჯრიდან ხედავდა სწრაფად მოძრავ მანქანებს. მათი ნაწილი ძრავების ღმუილით მიქროდა განთიადის მიმართულებით, მეორე, უფრო დიდი ნაწილი კი საპირისპირო მხარეს მიიჩქაროდა. დროდადრო ქუჩაში მოქალაქეების ჯგუფები იკრიბებოდნენ და გაცხარებულები კამათობდნენ რაღაცაზე. ქალაქი ღამითაც არ ჩაწყნარდა. გაგრის მცხოვრებლები სასწრაფოდ ტოვებდნენ ქალაქს. გოგა ვერ ხვდებოდა, თუ რა იყო ამის მიზეზი. აფხაზური მოსახლეობა, ცხადია, გაერიდებოდა ქართულ სამხედრო ფორმირებებს, მაგრამ ქართველებს შეტევა რომ განეახლებინათ და გუმისთა გადმოელახათ, აფახაზებს მხოლოდ ერთი გზა რჩებოდათ, — რუსეთში გადასვლით დატოვებდნენ ბრძოლის ველად ქცეულ აფხაზეთს. ისინი კი საპირისპირო მხარეს, გუდაუთის მიმართულებით გარბოდნენ. ამის მიზეზი დილით შეიტყო — მაშინ, როდესაც რიტამ მოაკითხა.

— რა ხდება ქალაქში? — ფანჯარაზე მიანიშნა გოგამ. — ვის გაურბიან გაგრელები?

— ცუდი რამ მოხდა. დილით ქართველებმა განთიადთან დესანტი გადმოსხეს და რუსეთის საზღვარი ჩაკეტეს. აფხაზებს მათი გაგრაში შემოსვლის ეშინიათ და გუდაუთაში გარბიან.

— შენ ეს ცუდი გგონია? — ჰკითხა გოგამ.

— მაშ რა უნდა მეგონოს?! — გაოცებით შეხედა რიტამ.

— მაპატიე. ცუდად გამომივიდა, — უხერხულად ჩაილაპარაკა გოგამ.

— გგონია, ჩემი აფხაზობა მალაპარაკებს?!

— რაა ამაში გასაკვირი?

— ცდები. მე ისევე მეწყინებოდა, აფხაზებს სოხუმს მიღმა რომ გადაესხათ დესანტი და ქართველები მოექციათ ალყაში! — თქვა რიტამ. — ძნელი იყო ამის დაჯერება. ძალიან ბევრი ადამიანი, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდა ამ დღეს. მე მაინც მქონდა იმედი, რომ ჩვენს ხალხს გონიერება ეყოფოდა და ერთმანეთზე ხელს არ აღმართავდა, მაგრამ ეს მაინც მოხდა. ამ ომში კი მარტო ქართველები ან მარტო აფხაზები არ დაიღუპებიან. ეს რაღაც იდეისთვის ბრძოლა კი არა, თვითმკვლელობაა!

— შენს ახლობლებთან თუ გილაპარაკია ამის შესახებ? — ჰკითხა გოგამ.

— აფხაზებს გულისხმობ?

— რა თქმა უნდა.

— მილაპარაკია, მაგრამ... არ ვიცი, რა სენი შეეყარათ. ჩემი არავის ესმის. ოჯახის წევრებმაც კი ვერ გამიგეს, — ამოიოხრა რიტამ.

— უცნაურია, — მცირე ხნის შემდეგ ჩაილაპარაკა გოგამ.

— რა გეჩვენება უცნაურად?

— მეც იმავე მდგომარეობაში ვარ. არ მომწონს, რაც ხდება. არც ვმალავ ამას... მაგრამ ახლა სხვანაირად ვუყურებ მომხდარს. მე ექიმი ვარ და ზოგჯერ ადამიანის გადასარჩენად, მისთვის ტკივილის მიყენება მოხდება!

— რისი თქმა გინდა მაგით? — ჰკითხა რიტამ.

— ის, რაც მოხდა, ჯობდა, არ მომხდარიყო, მაგრამ ახლა რამის შეცვლა უკვე შეუძლებელია. და თუ სისხლის ღვრა გარდაუვალია, ჯობს, ეს სისხლი ქართველებმაც და აფხაზებმაც ახლავე გავიღოთ, რათა ეს ყველაფერი რაც შეიძლება მალე დამთავრდეს.

— ასე მარტივად წყვეტ ვინმეს ყოფნა-არყოფნას?! ამ შეტაკებებმა საკმარისზე მეტი ადამიანი შეიწირა. ისინი ვიღაცის მამები, ქმრები, შვილები და ძმები იყვნენ!

— ყველას გვაქვს არჩევანის საშუალება. ვინ სისხლის ღვრა არჩია, ვინ — მშვიდობა. რაც უნდა მოხდეს, არც ყველა ქართველი აიღებს ხელში იარაღს და არც ყველა აფხაზი.

— მაგრამ ეს ომი მაინც ყველას შეეხება — მე, შენ, ჩვენს მეგობრებს, ოჯახის წევრებს... უბრალოდ თანამოქალაქეებს! — ამ სიტყვებთან ერთად, რიტამ ფანჯარას გახედა. ქუჩაში მანქანის ნაკადს შესამჩნევად ეკლო. ჩანს, ვისაც გაგრიდან გამგზავრება სურდა, უკვე მოეხერხებინა ეს.

— ვუყურებ და მაინც არ მჯერა, რომ ეს ყველაფერი ჩემს ქალაქში ხდება, — მძიმედ განაგრძო რიტამ, — ცოტა ხნის წინ აფხაზების შიშით, ქართველები რუსეთში გაიხიზნენ. ახლა ქართველების შიშით, აფხაზები გუდაუთაში გარბიან.

— შენი ოჯახი?.. — შეხედა გოგამ. — შენები არ აპირებენ გახიზვნას?

— არა. აფხაზების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ქართველები გაგრაში ვერ შემოვლენ. როგორც ამბობენ, დესანტის გადმოსხმა მოულოდნელად მოხდა. მაგრამ მალე გუდაუთიდან მეომრები ჩამოვლენ, რომლებიც მათ შეჩერებას შეძლებენ.

— გამოცდილი სარდალივით მსჯელობ, — ღიმილით შენიშნა გოგამ.

— მე არაფერი მესმის სამხედრო საქმის. ეს ჩემი ბიძაშვილისგან მოვისმინე, — უპასუხა რიტამ.

— სად არის ახლა რომა?

— სად იქნება, — მზერა აარიდა რიტამ, — თავის რაზმთან ერთად იბრძვის.

— და მაინც, რომ ვერ შეძლონ აფხაზებმა ქართველების შეჩერება?

— ჩემები მაინც აქ დარჩებიან. ჩემს ოჯახს არ ეშინია ქართველებთან პირისპირ შეხვედრისა. თანაც, როდემდე უნდა ვირბინოთ?! რამდენიმე დღის წინ ქართველები სოხუმში შევიდნენ, გუშინ განთიადი და ლესელიძე დაიკავეს. თუ ხვალ გაგრაში შემოვლენ, ზეგ გუდაუთაში ჩამოგვაკითხავენ და როგორ მოვიქცეთ შემდეგ? რუსეთში გავიხიზნოთ? ლტოლვილებად ვიქცეთ და სოჭში ან

კრასნოდარში დავიდოთ ბინა?!.

— თუ ეს მოხდა, სადმე წასვლაც აღარ იქნება საჭირო. ბრძოლები შეწყდება და ყველაფერი თავისთავად ჩადგება კალაპოტში.

— შენ თვითონ თუ გჯერა საკუთარი სიტყვების? — ჰკითხა რიტამ.

— ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა, ასე რომ იყოს, — გულწრფელად უპასუხა გოგამ.

— ეს შენთვის კარგიც იქნება. თუ გაგრა ქართველებმა დაიკავეს, თავის აუტკივებლად დაბრუნდები სახლში...

სწორედ ამ დროს ქუჩიდან უჩვეული გრუხუნი გაისმა. გოგა და რიტა ერთად მიუბრუნდნენ ფანჯარას და გაოგნებულები გაქვავდნენ. ქუჩას ქვეითთა საბრძოლო მანქანა მოუყვებოდა. ცოტა ხანში მის უკან ჯავშანტრანსპორტიორი გამოჩნდა, რომელსაც ავტომატმომარჯვებული ჯარისკაცები მოჰყვებოდნენ. ჯავშანმანქანების მაღალ ანტენებზე მიმაგრებულმა დროშებმა ორივე მიახვედრა, თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეს ჯარისკაცები.

— ისინი არიან... — დაძაბული ხმით თქვა რიტამ.

— შენ თქვი, რომ აფხაზები ბრძოლისთვის ემზადებიან. ისინი კი ერთი ტყვიის გაუსროლელად გავიდნენ ქალაქიდან, — გახედა გოგამ.

— რომამ ასე თქვა... ალბათ უიმედოდ ჩათვალეს ბრძოლა... ახლავე სახლში უნდა დავრეკო... — თქვა რიტამ და ოთახიდან გავიდა, გოგა კი ისევ ფანჯარას მიუბრუნდა.

ქართული ქვედანაყოფი ფრთხილად მიიწევდა წინ. ჩანს, თვითონაც არ სჯეროდათ, რომ აფხაზები ბრძოლის გარეშე დათმობდნენ ქალაქს, მაგრამ წინააღმდეგობის გამწევი არსად ჩანდა. ქალაქში შემოსულ მეომრებს არავინ ეგებებოდა. გაგრაში დარჩენილმა ქართველებმა სამხედროებივით, არ იცოდნენ, აპირებდნენ აფხაზები ბრძოლას თუ — არა. შესაძლოა, ქუჩა თვალის დახამხამებაში ბრძოლის ველად გადაქცეულიყო. აფხაზებს კი მით უმეტეს, აშინებდა ქართველ მეომრებთან პირისპირ შეხვედრა.

ვიდრე გოგა ქართველ სამხედროებს ადევნებდა თვალს, რიტამ ტელეფონით საუბარი დაამთავრა და ოთახში დაბრუნდა.

— რა მოხდა? — გოგამ მაშინვე შენიშნა, რომ ის შეშინებული იყო.

— არ ვიცი. დედაჩემს არაფერი უთქვამს, მხოლოდ მთხოვა: სასწრაფოდ შინ დაბრუნდიო.

— ახლა საშიშია ქუჩაში გასვლა, — თქვა გოგამ.

— მეც ასე ვუთხარი დედას, მაგრამ მაინც იგივე გამიმეორა... ვგრძნობ, რომ რაღაც ცუდი მოხდა.

— მაშინ მეც გამოგყვები, — თქვა გოგამ და ასადგომად წამოიწია.

— ხომ არ გაგიჟდი?! — რიტა მხრებში სწვდა და საწოლზე დააბრუნა. — ამდენი წვალება წყალში უნდა ჩამიყარო?! ახლა შენი ადგომა არ შეიძლება!

— რა გამაჩერებს ლოგინში, როდესაც მეცოდინება, რომ ასეთ დროს ქუჩაში ხარ?! — შეეწინააღმდეგა გოგა.

— ნუ გაართულებ ვითარებას. მე თვალსაც კი ვერ მომკრავენ. ქუჩაში არც გავალ — ბაღებითა და ეზოებით მივალ ჩემს სახლამდე.

— მაშინ ერთი თხოვნა მაინც შემისრულე, — მცირე ხნის შემდეგ თქვა გოგამ.

— რა გინდა?

— ვინ იცის, რა მოხდება ერთი საათის ან ერთი დღის შემდეგ?! შეიძლება, აფხაზები უკან მობრუნდნენ... მოკლედ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ვიდრე ყველაფერი არ გაირკვევა, აქ ნულარ მოხვალ. შენთვისაც ასე აჯობებს და ჩემთვისაც. შენ სახლში იქნები და მეც მშვიდად ვიგრძნობ თავს.

რიტა დიდხანს ფიქრობდა და მერე თქვა:

— ქალაქი ქართველებმა დაიკავეს. შენ ხომ აღარ გჭირდება დამალვა. შეგიძლია, მშვიდად დაბრუნდე სახლში.

— არ შემიძლია, — თავი გააქნია გოგამ, — ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, მაგრამ თბილისში ვერ დავბრუნდები. მიზეზსაც არ დაგიმალავ: მე პოლიცია მეძებს და თბილისში დაბრუნებული შეიძლება, საპატიმროში აღმოვჩნდე. არ მინდა, ზედმეტ ტვირთად დაგაწვე, მაგრამ ვიდრე არ გამოვკეთდები, აქ დარჩენა მომიწევს.

— მესმის, მაგრამ მარტოს მაინც ვერ დაგტოვებ. საჭმელი... სახვევის გამოცვლა? — უპასუხა რიტამ.

— ნუ გეშინია. როგორმე მივხედავ თავს. საჭმლის მომზადებაც მეხერხება და ჭრილობის დამუშავებაც. თუ რამე დამჭირდა, ტელეფონით დაგიკავშირდები.

— კარგი... — ყოყმანით დაეთანხმა რიტა, მერე კი ლოყაზე აკოცა და ოთახიდან გავიდა.

გოგა ფიქრებში ჩაძირული ადევნებდა თვალს ქუჩას. გაგრაში ქართველების შემოსვლა მისთვისაც სრული მოულოდნელობა იყო. ერთი შეხედვით, საკუთარი მდგომარეობა კომიკურიც კი ეჩვენებოდა. სულ ცოტა ხნის წინ აფხაზებს ემალებოდა და ვინ იცის, რა ბედი ეწეოდა, რიტა რომ არა. ახლა ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა. ქალაქში ქართველი სამხედროები შემოვიდნენ. აფხაზები და მათ შორის ხიუბა გაგრაში ვეღარ დარჩებოდნენ. ახლა ის მისგან შორს იმყოფებოდა, მაგრამ ამით მისთვის ბევრი არაფერი შეცვლილა. მაინც უნდა დამალულიყო. ქართველ სამხედროებთან ერთად ქალაქში პოლიციაც დაბრუნდებოდა. ესე იგი, ხვალ ან ზეგ აქ იქნებოდა გაგრის სამძებროს უფროსიც. დანარჩენი თავისთავად ნათელი იყო. მასთან შეხვდრის შემთხვევაში, უმოკლესი გზით აღმოჩნდებოდა თბილისში, მთავარი სამმართველოს „კაპეზეში“.

„მაშინ რა არის გამოსავალი? — ფიქრი განაგრძო გოგამ. — ამას მხოლოდ ერთი სახელი შეიძლება ეწოდოს — გზა არსაით!.. იმ არაკაცის მოძებნა მშვიდობიან დროსაც კი გამიჭირდებოდა. ეს ომი კი საერთოდ შეუძლებელს ხდის მასთან შეხვედრას. ჩვენ პრაქტიკულად, ფრონტის ხაზმა გაგვმიჯნა. ის ფრონტის ხაზის მიღმა დარჩა, მე — გამოღმა!.. რიტა!.. — გოგას აფხაზი ქალის სახე დაუდგა თვალწინ. — გასაოცარია. სულ ცოტა ხნის წინ ასეთი რამის წარმოდგენაც კი არ შემეძლო. ვის მოსაძებნად გამოვიარე ამხელა გზა და ვინ ვიპოვე?! ამ გოგომ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მომწონს... არა, ეს სიტყვა ზუსტი არ არის, — მიყვარს... კაცთმოყვარეობით, კეთილშობილებითა და აუხსნელი თავდადებით შემაყვარა თავი. მაგრამ რისი შეთავაზება შემიძლია მისთვის?.. აქ, გაგრაში მთლიანად მასზე ვარ დამოკიდებული. წეღან ტყუილი მითხრა: გაგრაში დარჩენის არ მეშინია, ჩემს ოჯახს არაფერი დაუშავებია ქართველებისთვისო!.. არც ზუგდიდელებს, წალენჯიხელებსა თუ თბილისელებს დაუშავებიათ რამე ქართველებისთვის, მაგრამ მათ მაინც შეეხო ომის ყოვლის გამანადგურებელი ხელი. ომს მახინჯი სახე აქვს და დამნაშავესა და უდანაშაულოს არ არჩევს. ეს რიტამაც კარგად იცის. მან თუ არ იცის, მის დედ-მამას მაინც ეცოდინება, მაგრამ მან მაინც უარი თქვა გაგრიდან წასვლაზე. მარტო არ დამტოვა, არ გამწირა. ხვდებოდა, რომ დავიღუპებოდი. ეს მისი არჩევანი იყო. ახლა კი ჩემი ჯერია. მაგრამ რისი გაკეთება შემიძლია?! მე ვერ შევაჩერებ ამ ომს; მხოლოდ ერთი რამის გაკეთება შემიძლია — მისი აქედან წაყვანა. ეს მართლაც გამოსავალია, მაგრამ როგორ?!. ამისთვის მეც უნდა დავბრუნდე თბილისში. ამით ყველაფერი დამთავრდება. გიორგი აღარ გაიმეორებს ერთხელ დაშვებულ შეცდომას და მაშინვე ციხეში მიკრავს თავს!.. ხომ არ ვაჭარბებ? მაქვს კი ასე განსჯის საბაბი?! რიტამ ხომ მითხრა, რომ წუთიერ გატაცებად აფასებს მო-

მხდარს?! მითხრა, მაგრამ ეს არ არის სწორი. ძალიან ბევრია მხოლოდ წუთიერი გატაცებისთვის — საავადმყოფოდან გამოპარვა, ჩემი აქ მოყვანა... ეს ყველაფერი ძალიან დიდი რისკის ფასად გააკეთა! მართლაც, ძალიან ბევრია წუთიერი გატაცებისთვის, მაგრამ მარტო ესეც არ არის საქმე. მისი თვალები და გულისცემა უფრო ბევრისმთქმელია, ვიდრე მისი საქციელი... ახლა ძალიან ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ის თბილისში გამოყოლაზე დამთანხმდება, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ ბევრი რამის წარმოდგენა არ შემეძლო...“

ფიქრებში დრომ სწრაფად გაირბინა. მოსაღამოვდა. ოთახში ჩამობნელდა. გოგას არც კი დაუპირებია სინათლის ანთება. შემთხვევითი გამვლელებისა და მეზობლების ყურადღების მიპყრობა არ სურდა. რაში სჭირდებოდა სინათლე?! რიტას არ ელოდა. მისთვის დარეკვასაც არ აპირებდა. თანაც, დაღლილობას გრძნობდა.

ის იყო, დასაძინებლად მოემზადა, რომ სახლის ეზოში ფაჩუნი გაისმა. გოგა შეჩვეული იყო ამგვარ ხმაურს. სახლში ორი კატა და ძაღლი იმყოფებოდა, მაგრამ ხმა მაინც განსხვავებულად ეჩვენა. ეს არ იყო ძაღლის ან კატის გაფაჩუნება, ეზოში ვიღაცამ ამოიხვნეშა.

მეორედ ხვნეშა უფრო ხმამაღლა გაისმა. შემდეგ ძაღლმა ყეფა დაიწყო, მაგრამ მალევე მიჩუმდა. გოგა მაშინვე ადგა და ფანჯარაში გაიხედა. თავიდან ვერავის მოჰკრა თვალი. ეზოში ბნელოდა. შემდეგ კი ეზოს ბოლოში, ღობის სიახლოვეს ადამიანის ლანდს მოჰკრა თვალი. ის ფრთხილად გამოსცდა ღობეს, იქაურობა მოათვალიერა და უკან გაბრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ კი სიბნელეს სამი აჩრდილი გამოეყო და ფრთხილად დაიძრა სახლისკენ. გოგას აღარ დაუწყია იმაზე ფიქრი, თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ ისინი. მაშინვე ტაბურეტი მოიმარჯვა, კარის სიახლოვეს კედელს აეკრა და დაუპატიჟებელი სტუმრების მოსაგერიებლად მოემზადა...

გოგა ვერ ხედავდა, თუ რას აკეთებდნენ უცნობები სახლში. მხოლოდ სუსტი ხმები ჩაესმოდა.

ისინი ქურდებივით მოქმედებდნენ. სრულიად უხმაუროდ შემოვიდნენ სახლში. ცოტა ხანი პირველ სართულზე მდებარე სასტუმრო ოთახში გაჩერდნენ, მერე კი მეორე სართულზე ამომავალ კიბეს ამოუყვნენ.

„ესენი აფხაზები არ არიან, — სწრაფად გაიფიქრა გოგამ, — აფხაზებს სხვის სახლებში წანწალისთვის არ სცალიათ. გაგრაში თუ დარჩნენ, ღამით გარეთ გამოსვლას მაინც ვერ გაბედავენ. ქურდები არიან. მათ კი ეროვნება არა აქვთ. ნაბიჭვრები! აქ ომია, მათ კი დრო იხელთეს და საშოვარზე გამოვიდნენ. ჩანს, გარედან შემნიშნეს. იციან, აქ რომ ვარ. ჯერ მე მომიშორებენ თავიდან და მერე საქმეს მიხედავენ...“

ვიდრე გოგა ფიქრობდა, უცნობი კარს მიუახლოვდა და სახელური მოზიდა. კარი ძლივს გასაგონი ჭრიალით გაიღო. გოგამ მაშინვე შემართა ტაბურეტი. იმ წუთებში გონებაში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა — ქურდებს უკან თუ ვერ გააბრუნებდა, მათთვის რაც შეიძლება ძვირად უნდა დაესვა საკუთარი სიცოცხლე.

ამასობაში კარი გაიღო და ჭრილში ადამიანის სილუეტი გამოჩნდა. გოგამ მაშინვე მოუქნია ტაბურეტი. მისდა გასაოცრად, ქურდი ძალიან მკვირცხლი აღმოჩნდა — ელვის სისწრაფით გახტა გვერდზე და დარტყმა აიცილა. ჭრილობისგან დასუსტებულმა გოგამ კი თავის შეკავება ვერ შეძლო და მოცელილივით იატაკზე დაეცა.

„მორჩა, ყველაფერი დამთავრდა, — გაუელვა გონებაში, — ფეხზე ადგომის საშუალებას აღარ მომცემს. ახლა თავისი ძმაკაცებიც წამოეშველებიან და ერთად მომიღებენ ბოლოს“.

მაგრამ ქურდს არც კი დაუპირებია მასზე თავდასხმა. ამის მაგივრად, მის გვერდით დაიხარა და შიშით ჰკითხა: რამე ხომ არ დაიშავეო?

გოგამ გაოგნებულმა წამოიწია. მის წინაშე ქურდი კი არა, რიტა იდგა.

— რატომ მომიქნიე ტაბურეტი? — ჰკითხა რიტამ. — ალბათ შეშინდი!

— ქურდი მეგონე.

— მე კი მეგონა, რომ გეძინა და იმიტომ შემოვედი უხმაუროდ, — უპასუხა რიტამ.

— ვინ მოვიდა შენთან ერთად? — ჰკითხა გოგამ.

— ყველაფერს აგიხსნი.

ვიდრე რამეს იტყოდა, რიტა ადგომაში დაეხმარა. მერე საწოლზე დასვა და თვითონ მის პირისპირ ჩამოჯდა.

— ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ, რომ აქ არ მოხვიდოდი. მით უმეტეს, ღამით, — განაგრძო გოგამ.

— სხვა გზა არ მქონდა. სხვაგან ვერსად წავიდოდით, — უპასუხა რიტამ, — ცუდი ამბავი შეგვემთხვა. ცოტა ხნის წინ შენ აფხაზებს ემალებოდი ამ სახლში, ახლა კი აქ რომა უნდა დავმალო ქართველებისგან.

— რომა აქ არის?! — გაუკვირდა გოგას. — რისთვის დარჩა გაგრაში?!

— დაჭრილია... გუშინ განთიადთან მოუხდათ ბრძოლა. მაშინ დაიჭრა. მეგობრებს მისი გუდაუთაში გადაყვანა უნდოდათ, მაგრამ ქართველები ფეხდაფეხ შემოჰყვნენ გაგრაში. მერე კი მანქანაც გაუფუჭდათ, ბიჭებმა სხვა ვეღარაფერი მოახერხეს და ჩემს სახლში მოიყვანეს.

— ამიტომ გირეკავდნენ?

— ჰო, — დაუდასტურა რიტამ, — მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ჩვენ შენი დახმარება გვჭირდება.

— რით შემიძლია თქვენი დახმარება?! — გაუკვირდა გოგას.

— რომას საავადმყოფოში ვერ მივიყვანთ. მთელ ქალაქს ქართველი ჯარისკაცები აკონტროლებენ. აფხაზს, რომელიც მათთან ბრძოლისას დაიჭრა, გადარჩენის შანსი არა აქვს.

— სადაა დაჭრილი?

— მკერდში.

— ქალაქში აფხაზი ქირურგი არ გეგულებათ? თუნდაც ისეთი ქართველი, რომელსაც ენდობით? — სწრაფად ჰკითხა გოგამ.

— უარს გვეუბნები დახმარებაზე? — წყენით შეხედა რიტამ.

— უარს არ გეუბნები, მაგრამ აქ ოპერაციას ვერ გავუკეთებთ. ყველაზე მცირე, მედიკამენტები და ინსტრუმენტები მაინც გვჭირდება.

— მე ყველაფერი მოვიტანე, — უპასუხა რიტამ.

— არც კი ვიცი, რა გითხრა, — შუბლი მოისრისა გოგამ, — მაგრამ რაც უნდა მოხდეს, რომა მაინც უნდა ვნახო.

— გამომყევი. ის პირველ სართულზეა, — უპასუხა რიტამ და წამოდგა.

რომა სამზარეულოს მაგიდაზე იწვა. სახე გაჰფითრებოდა. თვალები დაეხუჭა და ოდნავშესამჩნევად სუნთქავდა. მკერდზე სისხლით გაჟღენთილი სახვევი მოუჩანდა. იქვე იდგა მისი ორი მეგობარი, რომლებიც დაჭრილის აქ მოყვანაში დაეხმარნენ რიტას.

გოგა მაგიდას მიუახლოვდა და რომას პულსი შეუმოწმა. დაჭრილს არც კი უგრძნია მისი შეხება.

— დიდი ხანია, რაც უგონოდაა? — რიტას გახედა გოგამ.

— უგონოდ არაა — მორფი გავუკეთე.

— რა დოზით?

— ერთი ოცპროცენტიანი ამპულა.

— ტკივილის გასაყუჩებლად საკმარისია.

— მაშინ რაღას ველით? ინსტრუმენტებს მოგიმზადებ და დაიწყე, — აჩქარდა რიტა.

— საშიშია... ახლა არა უშავს, მაგრამ მდგომარეობა რომ გართულდეს, ვეღარაფერს ვუშველით — გადასასხმელი სისხლიც კი არ გვაქვს... კარგად დაფიქრდი, რიტა — ჩვენ არ გავხდეთ მისი დაღუპვის მიზეზი. მე — ჯანდაბას, მაგრამ ის შენი ბიძაშვილია!

— მის დაღუპვას შენ არავინ მოგაწერს. რომა თუ მოკვდა, ამაში ის ნაბიჭვარი ქართველი იქნება დამნაშავე, რომელმაც ავტომატით დაცხრილა! — ბრაზით თქვა ერთ-ერთმა აფხაზმა.

— თემურ, მე ხომ გაგაფრთხილე! — უკმაყოფილოდ გახედა რიტამ. — ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს!

თემურმა რაღაც აფხაზურად ჩაიბურტყუნა და გვერდზე გადგა.

— მართალი ხარ, ის ჩემი ბიძაშვილია და ძალიან მინდა, რომ გადარჩეს. ამიტომაც შენ გთხოვ მისთვის ოპერაციის გაკეთებას, — ისევ გოგას მიუბრუნდა რიტა.

— კეთილი, — მცირე ხნის შემდეგ უპასუხა მან, — მოამზადე ინსტრუმენტები.

რომას ორი ტყვია მოხვედროდა მკერდში. ერთი ჭრილობა შედარებით მსუბუქი იყო, ტყვიას რბილ ქსოვილში გაევლო. მეორე იარა კი მძიმე აღმოჩნდა: ტყვიას ნეკნი დაემსხვრია და ფილტვში ჩარჩენილიყო. გოგას გაუკვირდა კიდეც, ასეთი ჭრილობით ამდენი ხანი როგორ იცოცხლაო?!

რიტას არ გამოჰპარვია მისი მზერა და მაშინვე ჰკითხა: რა მოხდაო?

— ცუდი ჭრილობაა. მარჯვენა ფილტვი სისხლით ექნება სავსე. არ დაგიმალავ, ასეთ მდგომარეობაში პაციენტს გადარჩენის ძალიან მცირე შანსი აქვს. ჭრილობას ნაკერებს ვერ დავადებ. დრენაჟის დაყენება მოგვიწევს. ჩვენს პირობებში კი ეს ძალიან ძნელია, — უპასუხა გოგამ.

— როგორც საჭიროდ მიიჩნევ, ისე მოიქეცი, — თქვა რიტამ, — მჯერა, რომ იცოცხლებს. განწირული რომ ყოფილიყო, აქამდე დაიღუპებოდა.

სულ მალე ახალმა უსიამოვნებამ იჩინა თავი — თავად დაჭრილ და დასუსტებულ გოგას მალე დაეტყო დაღლილობა. თვალები აუჭრელდა, თავბრუ დაეხვა, შუბლიდან ჩამოდენილი ოფლი სახეს უსველებდა და მუშაობაში უშლიდა ხელს. მის გვერდით მდგომი რიტა დროდადრო ინსტრუმენტებს აწვდიდა, პერიოდულად კი ბამბით უმშრალებდა შუბლს.

რაღაც მომენტში გოგამ ძლიერი თავბრუსხვევა იგრძნო. თავიდან ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია. მანამდე, როგორც კი თავბრუ ეხვეოდა, მცირე ხნით ჩერდებოდა, ისვენებდა და შემდეგ აგრძელებდა ოპერაციას. ახლაც იგივე სცადა. ინსტრუმენტი გვერდზე გასწია, რათა შემთხვევით, ახალი ჭრილობა არ მიეყენებინა პაციენტისთვის. ამ დროს მოულოდნელად თვალთ დაუბნელდა და ძალაგამოცლილი ჩაიკეცა. რომას მეგობრები მაშინვე აქეთიქიდან ეცნენ, წამოაყენეს და სკამზე დასვეს.

— გოგა... ხმა გამეცი! — რიტამ თავი ააწევინა და სველი ტილო მოუსვა სახეზე.

— არაფერია... მალე გამივლის, — უპასუხა გოგამ და სკამიდან წამოიწია.

— რამდენიმე წუთი მაინც დაისვენე, — სთხოვა რიტამ.

— დავისვენებდი, მაგრამ შენი ბიძაშვილი არ მაცლის, — ჩაილაპარაკა გოგამ, მერე კი მძიმედ აზიდა სხეული და მაგიდას მიუბრუნდა.

ოპერაციის დასასრულს გოგამ ფილტვიდან, ნეკნზე შეხეთქებისას დეფორმირებული ტყვია ამოიღო. შემდეგ ჭრილობაში დრენაჟი ჩაუდგა, სახვევი დაადო და სულის მოსათქმელად სკამზე დაჯდა.

— დამთავრდა... სულ ეს იყო?! — ერთხმად ალაპარაკდნენ რომას მეგობრები, რომლებიც აქამდე დაძაბულები ადევნებდნენ თვალს ოპერაციის მსვლელობას.

— დამთავრდა, — დაღლილი ხმით უპასუხა გოგამ.

— როდის შევძლებთ აქედან მის წაყვანას? — იკითხეს აფხაზებმა.

— სად?

— უფრო საიმედო ადგილას.

— აქაურობას რას უწუნებთ? — გაუკვირდა გოგას.

— აქ საშიშია მისი ყოფნა. ქალაქში მაროდიორები დაძრწიან. შეიძლება, ვინმე შემოვიდეს სახლში, — თქვა თემურმა.

— ახლა მისთვის ყველაზე საშიში მტერი ჭრილობაა და არა — მაროდიორები! — უპასუხა გოგამ. — თანაც, მისი სადმე გადაყვანა ძალიან საშიშია. ფეხით სიარულს ვერ შეძლებს, მანქანით მგზავრობის საშუალება კი თქვენ არ გაქვთ.

— შენ როგორ წახვედი საავადმყოფოდან?

— მე ასეთი მძიმე ჭრილობა არ მქონდა.

— რა ვქნათ? — რიტას მიუბრუნდნენ აფხაზები.

— მე თავიდანვე გითხარით, რომ რომა აქ დარჩება, — თქვა მან.

— ისევ შენს სახლში რომ გადავიყვანოთ?

— არა... გოგამ გასაგებად თქვა, რომ მისთვის მოძრაობა არ შეიძლება. გარდა ამისა, ის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს. აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი. თქვენ თქვენი საქმე გააკეთეთ, დანარჩენი მე მეხება. თქვენ კი... უკეთესი იქნება, თუ წახვალთ. მაინც ვეღარაფრით დამეხმარებით.

— ვერ წავალთ, — ერთხმად უპასუხეს აფხაზებმა, — მარტოს ვერ მიგატოვებთ.

— გაიგეთ, რომ თქვენი აქ ყოფნა საშიშია. რაც მეტი ხალხი იქნება სახლში, მით უფრო მივიპყრობთ ყურადღებას, — სწრაფად ალაპარაკდა რიტა. — ესენი დაჭრილები არიან და მთელ დღეებს საწოლში გაატარებენ, თქვენ კი ვერ შეძლებთ მთელი დღეები ერთ ოთახში ყოფნას. ცოტა ხნით ეზოში გახვალთ, მერე აივანზე და ადრე თუ გვიან, ვიღაცას თვალში მოხვდებით. რას იზამთ, სახლს ქართველი ჯარისკაცები რომ მოადგნენ? იქნებ, მაგ ავტომატების იმედი გაქვთ?!. მაშინ ასე გეტყვით. უფრო მეტნი იყავით და იარაღიც მეტი გქონდათ, მაგრამ ქართველები მაინც ვერ შეაჩერეთ. მათ ლესელიძეც აიღეს, განთიადიც, გაგრაც, და თუ დასჭირდათ, ამ სახლშიც შემოაღწევენ. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ამ სახლიდან ნასროლი ტყვიით რომელიმე მათგანი დაიღუპება?!

აფხაზებმა დუმილით უპასუხეს.

— არაფერი გაქვთ სათქმელი. თვითონაც კარგად ხვდებით, რაც მოხდება, — ამ სახლიდან ცოცხალი ვეღარავინ გააღწევს. ასე რომ, შეისმინეთ ჩემი თხოვნა. წადით!.. — განაგრძო რიტამ. — მაგრამ ვიდრე წახვალთ, რომა მეორე სართულზე ამაყვანინეთ.

აფხაზები უხმოდ დაიძრნენ ადგილიდან და რომა ფრთხილად ასწიეს მაგიდიდან.

გოგამ მცირე ხანი მოიცადა და როგორც კი ისინი კიბეს აუყვნენ, სკამიდან ადგა და მათ მიჰყვა.

ოპერაციამ ისე დაქანცა გოგა, რომ მეორე სართულზე ასვლაც კი ვერ შეძლო. რამდენიმე საფეხურის შემდეგ ისევ ძლიერი თავბრუსხვევა იგრძნო და უღონოდ დაეშვა კიბის საფეხურზე. ამ დროს რიტა და აფხაზები რომათი იყვნენ დაკავებულები. მათ დაჭრილი საძინებელში შეიყვანეს და საწოლზე ფრთხილად დააწვინეს. რიტამ მხოლოდ ამის შემდეგ შენიშნა, რომ გოგა მათთან ერთად არ იყო და უკან, კიბეს მიუბრუნდა.

როგორც კი საფეხურზე ჩამომჯდარი და თავჩაქინდრული დაინახა, მაშინვე მის გვერდით გაჩნდა, თავი ააწევინა და მზრუნველად ჰკითხა: ცუდად ხომ არა ხარო?

— არაფერია, ისევ თავბრუ დამეხვა. ახლავე ავდგები, — უპასუხა გოგამ და წამოიწია, მაგრამ ადგომა ისევ ვერ შეძლო.

რიტა მხარში ამოუდგა და ნელა წაიყვანა საძინებლისკენ. გზად რომას მეგობრებიც წამოეშველნენ და გოგა სწრაფად მიიყვანეს საწოლამდე.

— დარწუნებული ხარ, რომ ჩვენ აღარ გჭირდებით? — რიტას ჰკითხეს აფხაზებმა, როგორც კი მან გოგა დააწვინა.

— ვეღარაფრით დამეხმარებით. ჯობს, წახვიდეთ. საცაა, გათენდება და შემთხვევით, ვინმემ არ მოგკრათ თვალი.

აფხაზები აღარ შეჰკამათებიან. გოგას კარგად ყოფნა უსურვეს და წავიდნენ.

— ახლა შენ უნდა მოგხედო, — რიტამ გოგას რამდენიმე აბი და ჭიქა წყალი მიაწოდა.

გოგამ უხმოდ დალია აბები და წყალი დააყოლა.

— დაიღალე? — განაგრძო რიტამ.

— საშინლად. ჭრილობას ხელი არ შეუშლია. ყველაფერი ტვინის შერყევის ბრალია, — უპასუხა გოგამ.

— დაიძინე. შენ დასვენება გჭირდება, — თქვა რიტამ, მერე ადგა და ღამის სანათური ჩააქრო, რომელიც ოდნავ ანათებდა ოთახს.

— დავიძინებ, მაგრამ ნუ ადგები. ჩემ გვერდით დარჩი, — სთხოვა გოგამ.

— კარგი, — დაეთანხმა რიტა და საწოლზე ჩამოჯდა.

ოთახში ბნელოდა. გოგა რიტას სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ მაინც გრძნობდა მის თბილ მზერას. თვითონაც მოეფერა. ხელზე შეეხო და თითებზე მოუჭირა თითები. პასუხად რიტა მისკენ დაიხარა, ლოყაზე მიეკრა და გრძნობამორეულმა ჩასჩურჩულა:

— არავინ ვიცით, რა გველის ხვალ, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, იმას, რაც ჩვენთვის გააკეთე, არასოდეს დავივიწყებ!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სიკვდილის სუნთქვა



სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“,
№ 51, 2009 - №3, 2010

კედლები მუქ ლურჯ ფერად იყო შეღებილი. ფანჯრებზეც ლურჯი ფარდები ეკიდა. ხის მოჩუქურთმებულ კომოდზე ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული რამდენიმე ფოტოსურათი იდო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მეშინოდა, ფოტოაპარატი მოვიმარჯვე და რამდენიმე კადრი მაინც გადავიღე, თან გული ამოვარდნაზე მქონდა. ის იყო, დავამთავრე და ოთახიდან გამოვედი, რომ შემოსასვლელში ზარის ხმა გაისმა. ხელ-ფეხი გამეყინა, ასეთ დროს ზარს არ ველოდი. ჯერ ბავშვს დავხედე, ხომ არ გამოეღვიძა-მეთქი და როცა დავრწმუნდი, რომ პატარას მშვიდი ძილით ეძინა, დაბლა დავეშვი. სანამ პირველ სართულზე ჩავიდოდი, კახიმ დამასწრო, ჭიშკარი გააღო და პროჟექტორებიც ავტომატურად განათდა. კიბეზე შევყოვნდი, ვერ გადამეწყვიტა, დაბლა ჩავსულიყავი თუ უკან გავბრუნებულიყავი. რამდენიმე წამიც და, ეზოში წითელი სპორტული მანქანა შემოვიდა.

მასპინძელმა კარი გამოაღო და პარმაღზე ვიღაც მაღალ, მოხდენილ ქალს შეეგება. იგი ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის იქნებოდა, შავი, მოკლედ შეკრეჭილი თმით. წითელი კაბა და შავი პიჯაკი ეცვა. „სტენდალის ფერებშია გამოჭიმული!“ — რატომღაც, ღვარძლიანად გავიფიქრე.

— ლალი, რა სიურპრიზია! მეგონა, უკვე გაემგზავრე თბილისში.

— ასეც მოვიქცეოდი, ძვირფასო, ეს გაფიცვები რომ არ დაწყებულიყო! — ქალმა თავი ასწია, რომ კახისთვის ეკოცნა, ოღონდ ვერ გავარჩიე, ლოყაზე თუ ტუჩებში, თუმცა კი დავძაბე მხედველობა. — ჯულისგან რამე ისმის ახალი?

— არა, ჯერ არაფერი, — მამაკაცს ხმა წამში შეეცვალა.

— ნუკი როგორ არის? გაუჭირდა მგზავრობა? გერმანიიდან აქამდე დიდი მანძილია...

— შენ წარმოიდგინე, არც ისე. პრობლემები მხოლოდ აქ დაიწყო. გაუჩერებლად ტიროდა, ლამის გავგიჟდი. წამოდი, რამე დავლიოთ, თან ყველაფერს მოგიყვები.

ისინი შემობრუნდნენ და კახიმ, დამინახა თუ არა, გულგრილად მკითხა:

— ყველაფერი წესრიგშია, ქეთი?

შევეცადე, ისეთი სახე მიმეღო, ვითომ მათ საუბარს სულაც არ ვუსმენდი.

— დიახ, ბატონო კახი! — თავი დავაქნიე.

მამაკაცმა გაიღიმა და მომეჩვენა, რომ მშვენივრად იცოდა, რასაც ვაკეთებდი.

— თუ შეიძლება, ორი ყავა მოგვიდუღე და შემოგვიტანე.

ანდრონიკაშვილმა სტუმარი წინ გაატარა, სასტუმრო ოთახში შეუძღვა და კარი მოიხურა.

ყავა სწრაფად მოვადუღე, საშაქრესთან ერთად სინზე დავალაგე და სანამ ოთახში შევიდოდი, დავაკაკუნე.

— შემოდი!

ოთახში შესულს ჩემთვის უჩვეულო ატმოსფერო დამხვდა. ლალის ფეხსაცმელი გაეხადა და ფეხმორთხმით შემოსკუპებულიყო ტყავის დივანზე.

კახი მარმარილოთი მოპირკეთებულ ბუხართან იდგა, ხელში სასმლით სავსე ბოკალი ეჭირა. ის რაღაცას უყვებოდა ქალს, რომელსაც თავი უკან გადაეწია და გულიანად კისკისებდა. ღრმად გულამოჭრილი კაბიდან ქათქათა მკერდი მოუჩანდა. უეცრად გაღიზიანებამ შემიპყრო, თავადაც არ ვიცი, რატომ.

— ლალი, გაიცანი, ეს ნუკის ძიძაა, ქეთი კანდელაკი. მის გარეშე დღეს ძალიან გამიჭირდებოდა. სულზე მომისწრო და გადამარჩინა.

ქალმა გამომცდელი მზერით შემათვალიერა და წარბები აზიდა.

— ძიძას ნამდვილად არ ჰგავხართ, — შენიშნა ლალიმ.

— მართლა? — ალმური მომედო. — თქვენი აზრით, ძიძა როგორ უნდა გამოიყურებოდეს? — კითხვის დასმა ცოტა უხეშად გამომივიდა, რაც მას აშკარად არ მოეწონა.

— ნუ... როგორ გითხრათ... — ტუჩი აიბზუა ქალმა. — თქვენ მართალი ხართ, დიდი სისულელე ვთქვი. უბრალოდ, ძალიან ლამაზი ხართ და ალბათ ამიტომ გამიკვირდა.

— დიდი მადლობა. სხვათა შორის, თქვენც, — ქათინაურის ვალში არ დავრჩი და იმავე ტონით ვუპასუხე, როგორითაც თვითონ მომმართა.

— ლალი ჩემი პიარ-მენეჯერია, — თქვა კახიმ, თან თვალებში მხიარული ნაპერწკლები უკრთოდა, ალბათ შენიშნა, ორი ქალი ფარულად როგორ ექიშპებოდა ერთმანეთს, — დიდი ხანია, ერთად ვმუშაობთ, თანაც ბევრს, — ბოლო სიტყვები ხაზგასმით წარმოთქვა.

ახლა კი მეც მივხვდი, ვინ იყო იგი. არაერთხელ მინახავს ტელევიზორში: როცა ანდრონიკაშვილის ახალი წიგნის გამოცემის პრეზენტაცია იმართებოდა. კახის მაგივრად, ყოველთვის ლალი აძლევდა ინტერვიუს. მახსოვდა, რომ რუსული გვარი ჰქონდა, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე.

— ძვირფასო, ისე ლაპარაკობ, თითქოს ძალიან მოსაწყენი ვინმე ვიყო. მუშაობის გარდა, ბევრსაც ხომ ვმხიარულობთ? აღიარე, რომ ასეა!

— ხდება ხანდახან... როცა ერთად ვვახშმობთ, — ნახევრად ხუმრობით დაამატა კახიმ.

ლალიმ ფინჯანი ჩამოართვა მამაკაცს და ფეხები იატაკზე ჩამოუშვა, ყავა რომ მოხერხებულად დაელია.

— ასე რომ, ჩემო კარგო, რადგან დავრჩი, ხვალ საღამოს პატარა წვეულებას მოვაწყობ. მთელი ჩემი სამეგობრო აქ ისვენებს, ყველა უნდა დავპატიჟო და

წასვლამდე ერთი გემრიელად ვიქეიფო. რვა საათისთვის შენც გელოდები.

ცარიელი სინი ავიღე და კარისკენ გავემართე, თან სმენა დავძაბე, რომ კახის პასუხი მომესმინა.

— არ შემიძლია, ლალი, — გადაჭრით უპასუხა მამაკაცმა, — ჯერ ერთი, მაგის ხასიათზე არა ვარ; მეორეც, ნუკის ვერ დავტოვებ და მესამეც, შენც კარგად იცი, რომ მე ხალხში არ ვჩნდები, მით უმეტეს, შენს მეგობრებში.

— რატომ, ჩემი მეგობრები შენი დონის არ არიან, თუ?

— რა სისულელეა, ეგ რამ გაფიქრებინა.

— ჩვეულებრივი საღამო იქნება, პომპეზურს კი არ ვაპირებ. ნუკის კი ძიძა მიხედავს, რა პრობლემაა?

— დიდი მადლობა, მაგრამ უნდა გამიგო. ნუკი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, ვერ დავტოვებ.

მისი პასუხით აღფრთოვანებულმა სახელური გადავატრიალე, თავი მოვაბრუნე და კახის შევხედე.

— ღამე მშვიდობისა, — მიუხედავად იმისა, რომ გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, თავს ძალა დავატანე, რომ მშვიდად გამეღიმა.

ლამის ნახევრად შიშველი ვიწექი ლოგინში, მხოლოდ ზეწარი მეფარა, მაგრამ მაინც მცხელოდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღის განმავლობაში ძალიან დავიღალე, დაძინება ვერა და ვერ მოვახერხე, უაზროდ ვწრიალებდი საწოლში. ირგვლივ საოცარი სიჩუმე სუფევდა. კახიზე ფიქრი გონებიდან არ მშორდებოდა. რა საოცარი ადამიანია, როგორ ზრუნავს ბავშვზე! აი, მამაც ამას ჰქვია! მამაჩემს კი არ ჰგავს, ცხოვრებაში რომ არ დახმარებია დედას არაფერში. სასეირნოდაც კი არ დავყავდი თურმე. განა იმიტომ, რომ არ ვუყვარდი, რა სისულელეა, მაგრამ ისეთი დაღლილი მოდიოდა სამსახურიდან ყოველ საღამოს, არაფრის თავი არ ჰქონდა. ისე, მე თუ მკითხავთ, დედამ გააფუჭა, თორემ როგორ შეიძლება, მამამ ერთხელ მაინც ვერ მოახერხოს შვილის გასეირნება. დედა სულ იმას ამბობს, ორ ბავშვს ერთად ვზრდიდი მთელი ცხოვრებაო და დღემდე ასეა. არც მე ვარ დიდი ხვითო, არაფრის გაკეთება არ ვიცი, იმიტომ, რომ დედამ გამაზულუქა. მშია თუ მწყურია, ამხელა გოგო ვარ და ლოგინში მომართმევს ხოლმე, ოღონდ კი არ შევწუხდე...

ისე დამცხა, ფეხები ზეწრიდან გამოვყავი და გულაღმა გავიშოტე. ტუმბოზე შემოდებულ საათს გავხედე — სამი ხდებოდა. საცაა, გათენდება კიდეც, მე კი ვერ ვიძინებ. არ გინდა, ხვალ მთელი დღე უარო პატარას გამოუძინებელმა?! სტატიაზე მაინც ვიფიქრო, თუკი ძილი არ მეკარება, რას ამეკვიატა ეს კაცი?

ისეთი დახუთული ჰაერი იდგა, ვეღარ გავძელი, ავდექი და ფანჯარა გამოვაღე. იქნებ ცოტა დაუბეროს და ჰაერი შემოვიდეს, მეტი აღარ შემიძლია. ეჰ, სად არის ახლა ჩემი ატლასის შინდისფერი, ემოციური ხალათი! როგორ მიჭირს მის გარეშე! ისეთი გრილია, ისეთი, რომ...

„გოლოვინა!“ — ამომიტივტივდა მოულოდნელად გონებაში! ლალი გოლოვინა! გამახსენდა ანდრონიკაშვილის პიარმენეჯერის გვარი! სკლეროოოზ! ნუთუ დავბერდი? არადა, ყოველთვის იოლი გასახსენებელი იყო მისი გვარი, გოლოვინის პროსპექტი მახსენდებოდა ხოლმე, როცა ეკრანზე მისი ვინაობა იწერებოდა. რამ დამავიწყა! სულ გადამრია ამ კაცზე ფიქრმა!

გარეთაც ძალიან ცხელოდა, მაგრამ ნიავი მაინც დატრიალდა ოთახში. რა ვქნა, დავტოვო ფანჯარა ღია თუ დავხურო? კოღოები რომ შემოფრინდნენ? ჩემი თავი ჯანდაბას, მაინც ვერ ვიძინებ, მაგრამ ბავშვი არ დაკბინონ! ცას ავხედე. სავსე მთვარეზე თხელი ღრუბელი ზანტად გაწოლილიყო და ადგილიდან არ იძვროდა. როგორ მოუხდებოდა ახლა ამ სიმყუდროვეს ზღვის ტალღების ხმაური... ეჰ... მე რომ ბედი მქონოდა, საქართველოში კი არა, რომელიმე ტროპიკულ ქვეყანაში დავიბადებოდი, სადაც ყოველთვის ცხელა და წვიმა და თოვლი არ იცის. ისე, საინტერესოა, ამდენი დღე რომ არ გაწვიმდა. ქობულეთი და წვიმის გარეშე? თითქმის წარმოუდგენელია!

მოულოდნელად ყურთან კოღომ ჩამიწუილა. აჰა, დაიწყო! შეშფოთებული ფანჯარას მოვშორდი და სასწრაფოდ დავხურე, რომ კოღოების შემოსევა თავიდან ამეცილებინა.

საწოლზე გავიშოტე და ზეწარი მხოლოდ მუცელზე გადავიფარე. მომწონს ჩემი სხეული... ცუდია, კაცის ალერსი რომ აკლია. ერთადერთხელ მქონდა სერიოზული ურთიერთობა მამაკაცთან და როცა მეგონა, რომ შეყვარებული ვიყავი, სწორედ მაშინ დამთავრდა ყველაფერი. იმდენად იმოქმედა ჩემზე მასთან განშორებამ, მას მერე არავისკენ გამიხედავს... თუ თემურთან ერთი ღამის შეხვედრას არ ჩავთვლით. რა სისულელე ჩავიდინე, როგორ ვნანობ! უცხოელი მეგონა და ალბათ ამას დავხარბდი! ხამი ვარ, ნამდვილი ხამი!

უეცრად ნუკის ტირილის ხმა შემომესმა. წამოვხტი და მეორე ოთახში გავვარდი.

— რაო, პატარავ? — მის საწოლში ჩავიხედე, ბავშვი რაღაცაზე წუხდა, დიდრონი, ცრემლით სავსე თვალებით ამომხედა.

— მოდი ჩემთან, მოდი და აღარ იტირო, კარგი? — ენამოჩლექით ვუთხარი და დავიხარე, საწოლიდან რომ ამომეყვანა. კოღომ ხომ არ უკბინა?

— ჩვილებზე ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, არ ღირს მათი ხელში ხშირად აყვანა, თორემ მერე შეეჩვევიან და წარამარა მოგიწევთ ტარება, — ხმა საიდანღაც ზურგიდან მომესმა და ადგილზე გავქვავდი — მე ხომ თითქმის შიშველი ვიყავი.

ეგრევე დავავლე ბავშვს ხელი, საწოლიდან ამოვიყვანე, წინ ავიფარე და მოვტრიალდი.

— როგორ ბედავთ დაუკაკუნებლად ჩემს ოთახში შემოსვლას?! — თავი ვერ მოვთოკე და ვუყვირე.

კახი უდარდელად მიეყუდა კარის ზღუდეს.

— ეს თქვენი ოთახი არ არის, თქვენი ოთახი იქაა, — მშვიდად მიპასუხა და თავი ჩემი საძინებლისკენ გადააქნია.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. თქვენ არ გაქვთ უფლება, შუაღამისას შემომივარდეთ, — არ დავუთმე, თუმცა კი ძალიან დავიძაბე.

ანდრონიკაშვილი თვალებით მჭამდა — თავიდან ფეხებამდე ხარბად ჩამათვალიერა. ამან, ცოტა არ იყოს, დამაბნია.

— თქვენ კი იმის უფლება არა გაქვთ, ასეთ ფორმაში იაროთ სახლში, — მკაცრად მომიგო.

— მე სახლი არ მომივლია ამ ფორმით, ბავშვის ოთახში შემოვედი მხოლოდ, — თამამად შევუსწორე.

— და ყოველთვის ნახევრად შიშველი შედიხართ ბავშვების ოთახში? — ოდნავი ირონიით მკითხა და მზერა ჩემს სპილენძისფერ თმაზე შეაჩერა. — მაშინ არ მიკვირს, რატომ გექმნებოდათ პრობლემები იმ მამაკაცებთან, ვისთანაც გიწევდათ ძიძად მუშაობა.

— მე... მე დამქირავებლებთან პრობლემები არასდროს შემქმნია! — გაცეცხლებული შევეპასუხე.

გული ისეთი ხმაურით მიცემდა, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა. ნუთუ ფიქრობს, რომ სპე-



ციალურად გავიხადე, მას ამ ფორმაში რომ ვენახე?

— რატომღაც, მე ასე მომეჩვენა, — ნიშნის მოგებით მიპასუხა და ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა.

— როგორც ვხედავ, ძალიან ბევრი რამ გეჩვენებათ, ბატონო კახი, — აღგზნებულმა წამოვისროლე, — სამწუხაროდ, ღამის პერანგი არ წამომიღია, რადგან, როგორც უკვე გითხარით, აქ ღამის გათევას არ ვაპირებდი. თუმცა, ერთი რამ შემიძლია დანამდვილებით გითხრათ! რომ მცოდნოდა, ასე უდიერად შემომეჭრებოდით ოთახში, სულაც ჩაცმული დავწვებოდი. ახლა კი გთხოვთ, დამტოვოთ. მე ჩემი სამუშაო უნდა შევასრულო, თქვენ კი ხელს მიშლით.

მამაკაცმა ორაზროვანი ღიმილი მესროლა და გავიდა.

შვებით ამოვისუნთქე... არადა, სადღაც, გულის სიღრმეში, მესიამოვნა კიდეც, ასეთ ფორმაში რომ დამინახა.

ბავშვს დავხედე, ლოყები გასწითლებოდა. შუბლზე დავადე ხელი, ერთობ ცხელი მომეჩვენა. სანამ მოვისაზრებდი, რა გამეკეთებინა, კარი გაიღო და კახი კვლავ გამოჩნდა.

— მომავალში, თქვენ, ქეთი, და, მით უმეტეს, მე, წნევამ ზედმეტად რომ არ აგვიწიოს, აი, ეს ჩაიცვით! — თქვა და პირსახოცის ხალათი მომაწოდა.

— გმადლობთ... მაგრამ... იცით? მე ნუკის მდგომარეობა ძალიან მაშფოთებს. მგონი, სიცხე აქვს.

მამაკაცი მოგვიახლოვდა და პატარას ლოყაზე ხელისგულით შეეხო.

— თანაც, ძალიან მაღალი, — შეფიქრიანებულმა ჩაილაპარაკა.

— თქვენი აზრით, რისი ბრალი უნდა იყოს? — ვკითხე და იმწამსვე ენაზე ვიკბინე, ასეთი შეკითხვის დასმის უფლება კვალიფიციურ ძიძას ნამდვილად არ ჰქონდა!

— წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ მალე გავიგებთ. მომეცით ბავშვი და ჩაიცვით. მე თვალებს დავხუჭავ და მივტრიალდები, — მშრალად წარმოთქვა, როცა ჩემს სახეზე დაბნეულობა წაიკითხა.

ნუკი გამომართვა თუ არა, კახი მართლაც შებრუნდა და სწრაფად გადავიცვი ბევრად დიდი ზომის ხალათი. ალბათ თავისია, ოდეკოლონის სურნელიც კი შევიგრძენი. იმდენად სიამოვნებით გავეხვიე ოთხი ზომით დიდ სამოსში, ოდნავი თავბრუსხვევაც კი ვიგრძენი.

— აბა, რა გტკივა, პატარავ? — ალერსიანად მიმართა ნუკის.

ბავშვმა დაიკრუსუნა და პაწაწინა თითები პირისკენ გააქანა.

— იქნებ კბილი ამოსდის? — თითქმის ერთდროულად წამოვიძახეთ ორივემ და აღმოჩენით კმაყოფილებმა ერთმანეთს გავუღიმეთ.

— მგონი, კარადაში ვნახე რაღაც მალამო, როცა... — კინაღამ წამომცდა, როცა ფოტოებს ვიღებდი-მეთქი. — როცა აქაურობას ვეცნობოდი.

კიდევ კარგი, დროზე დავაჭირე ენას კბილი, წარმოგიდგენიათ? ერთი მცირედი შეცდომა და ყველაფერი დამთავრდებოდა!

სასწრაფოდ მოვძებნე მალამო და უკან მოვბრუნდი. შევამჩნიე, რომ მამაკაცი გამომცდელად მათვალიერებდა.

ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა მისი მზერა და შევეცადე, მთელი ყურადღება ბავშვზე გადამეტანა.

— საწყალი ნუკი, ალბათ ძალიან სტკივა, — თანაგრძნობა გამოვხატე.

პატარა აღარ ტიროდა, მაგრამ სლუკუნი არ შეუწყვეტია.

მალამოს თითი ამოვუსვი და ბავშვს მივუახლოვდი. ძალიან ახლოს აღმოვჩნდი კახისთან. შევხედე... კიდევ ერთხელ დავტკბი მისი ლურჯი თვალების სილამაზით, მისი ძალიან, ძალიან მამაკაცური სახით... და მივხვდი, რომ იგი საოცრად დაღლილი იყო — როგორც ჩანს, არც კი დაწოლილა...

— დაამთავრეთ მუშაობა? — ხმადაბლა ვკითხე.

მან თავი დამიქნია.

— მინდოდა, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, სანამ ნუკის ეძინა.

— აჯობებს, არ გადაიღალოთ. მომეცით ბავშვი, დავაწვენ. ერთ-ერთმა ჩვენგანმა ღამე უნდა გამოიძინოს, — მზრუნველად წარმოვთქვი და მალამო ბავშვს ნუნებზე წავუსვი.

— მართალი ხართ, — ღიმილით დამეთანხმა, — წადით, დაიძინეთ, ამას მე მივხედავ.

წარბები შევკარი.

— როგორ გეკადრებათ! — შორს დავიჭირე მისი შემოთავაზება. — ნუკის მოვლა ჩემს პირდაპირ მოვალეობაში შედის, — ვთქვი და თავად გამიკვირდა ჩემი სიტყვების, ნუთუ ასე ძალიან შევიჭერი როლში?

— როგორ გიყვართ ბავშვები, — წარმოთქვა უეცრად კახიმ, — უცნაურია, რომ ასეთი ლამაზი და მოსიყვარულე მანდილოსანი არც გათხოვილი ხართ და არც შვილები გყავთ.

იმდენად გულღიად იყო ნათქვამი, გულზე მომეფონა და თბილად ვუპასუხე:

— სამწუხაროდ, ისე ძალიან არავინ შემყვარებია, რომ ცოლად გავყოლოდი.

მან ცალი წარბი ისე ასწია, თითქოს ჩემი ნათქვამი არ დაიჯერაო.

— ეგრეა... თუმცა, მქონდა მცდელობა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. დროზე მივხვდი, რომ შეცდომას ვუშვებდი და დავშორდი.

— რატომ?

თავი ავწიე და თვალებში შევხედე.

— მას არ ვუყვარდი... ალბათ, არც მე... თანაც, ძალიან ცოტა გვქონდა საერთო. ვერ ვუგებდით ერთმანეთს... ყველა სიკეთესთან ერთად, ბავშვები არ უყვარდა.

— ამიტომაც მოდის თქვენგან ასეთი სევდის სურნელი? — მკითხა მოულოდნელად.

სახე შემეფაკლა... ეს სიტყვები ერთხელ უკვე მოვისმინე ნიუ-იორკის აეროპორტში, თემურისგან... რა ხდება? ნუთუ ყველა მამაკაცს ერთნაირი ლექსიკონი აქვს? მართლა თუ არსებობს ამგვარი რამ? რას ნიშნავს სევდის სურნელი? რაში გამოიხატება ეს? მინდოდა მეკითხა, მაგრამ ვერ გავბედე. შემეშინდა? რისი? თავადაც არ ვიცი... ალბათ უფრო იმისი, რომ ძალიან გულახდილი საუბარი გამომდიოდა ჩემთვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობ მამაკაცთან.

— ჩემი თავგადასავალი საინტერესო არ არის, შევეშვათ, — თვალები დავხარე.

— მე კი პირიქით მგონია, — ხმადაბლა თქვა კახიმ.

— როგორც ჩანს, დროის ეს მონაკვეთი სენტიმენტალურ გრძნობებს აღძრავს ადამიანში, — გავიღიმე.

მანაც საპასუხო ღიმილი მესროლა და თვალებმოჭუტულმა ეშმაკურად შემომხედა.

— შუაღამე საუკეთესო დროა ნებისმიერი საიდუმლოს გამჟღავნებისთვის.

— მაშინ... თუ ასეა, მეც გკითხავთ რაღაცას. შეიძლება? — დრო ვიხელთე.

— მკითხეთ, თუკი არ გეზარებათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თქვენს შეკითხვას აუცილებლად ვუპასუხებ.

— დღეს ანდრომ ახსენა ჩემთან საუბარში, რომ საყვარელი ადამიანი დაკარგეთ. ვისზე მელაპარაკებოდა?

— რამდენიმე წლის წინ მამა გარდამეცვალა, — მიპასუხა და წამიერი დუმილის შემდეგ გააგრძელა, — თუმცა, ანდრომ ალბათ ჩემი მეუღლე იგულისხმა.

— მართლა? არ მეგონა, ცოლიანი თუ იყავით, — უხერხულად ვიგრძენი თავი.

— ეს დიდი ხნის წინ იყო. მანამდე, ვიდრე მწერალი გავხდებოდი.

— და მერე რა მოხდა? — დავინტერესდი და მივხვდი, რომ ეს ინტერესი მხოლოდ პროფესიონალური არ იყო.

მაშინვე არ მიპასუხა. მე კი ვიდექი და მშვიდად ველოდი, როდის ალაპარაკდებოდა.

— მას ნატო ერქვა, ერთად ვსწავლობდით ჟურნალისტიკაზე. ძალიან ლამაზი ქალი იყო, რბილი ხასიათი ჰქონდა, დამყოლი, საოცრად მხიარული ბუნების... დანახვისთანავე შემიყვარდა და ექვს თვეში დავქორწინდით.

— რა რომანტიკულია!

— ჰო, ეგრეც იყო. დავქორწინდით და გადავწყვიტეთ, თაფლობის თვე იალტაში, ზღვაზე გაგვეტარებინა. ექვსი კვირა დავყავით იქ. საოცარი დღეები იყო... სამწუხაროდ, ჩვენი მოგზაურობა ტრაგიკულად დასრულდა.

— რატომ, რა მოხდა?

— ნატო საერთოდ კარგად ცურავდა. ერთ დღესაც, ღრმად შეტოპა ტალღებში. რაღაც მომენტში, როგორც ჩანს, ფეხში ძარღვი გაეკვანძა და გამოცურვა ვეღარ მოახერხა... ვერც ჩვენ შევძელით მისი ზღვიდან დროულად გამოყვანა...

— თქვენც იქ იყავით?

— რა თქმა უნდა, ნაპირზე ვიჯექი

და გავყურებდი. თავიდან ვერც მივხვდი, რა ხდებოდა. როცა გონს მოვეგე და შევცურე, ისე ვიყავი განერვიულებული, ლამის მეც ჩამითრია ტალღამ. სანამ მივუახლოვდებოდი, უკვე ჩაიძირა... ორი დღე ეძებდნენ მაშველები. არადა, მის გვერდით რომ ვყოფილიყავი, აუცილებლად გადავარჩენდი, თუნდაც ჩემი სიცოცხლის ფასად... ხედავთ, შუაღამემ რა მელანქოლიური გამხადა? დიდი ხანია, ნატოზე არავისთან მილაპარაკია... მოდი, აჯობებს, დავივიწყოთ ეს ამბავი და ბავშვი დავაძინოთ. მე მომანდვე ეს საქმე, ქეთი, — ისე მგრძნობიარედ წარმოთქვა ჩემი სახელი, ჟრუანტელმა დამიარა.

— კარგი, მე წავალ და დავწვები, — მორჩილად დავყევი მის ნებას, უკვე მიძინებულ ნუკის შევავლე მზერა და გავტრიალდი, — ძილი ნებისა, კახი, — ამჯერად ოფიციალური „ბატონოს“ გარეშე მივმართე და თავადაც მეუცხოვა, ასე რომ გავუშინაურდი.

— ძილი ნებისა, ქეთევან! — ძალიან ხმადაბლა გამოუვიდა მამაკაცს.

სანამ დავწვებოდი, კიდევ დიდხანს ვიჯექი საწოლის კიდეზე, კახის ხალათშემოხვეული და მომავალ სტატიაზე ვფიქრობდი. ინფორმაცია ანდრონიკაშვილის ხანმოკლე ქორწინებაზე, ნამდვილი სენსაცია იქნება ქართულ პრესაში.

„თბილისში ორშაბათი ასე არასდროს იწყება“, — გავიფიქრე და სამზარეულოს ნიჟარას დაყრდნობილმა, ფანჯარაში მეოცნებე მზერით გავიხედე. ახლა რომ რედაქციაში ვიყო, როგორც ყოველთვის, გადარბენები იქნება, წარამარა ტელეფონის ზარები, მასალების, რესპონდენტების მოძიება, კომპიუტერში „შეძრომა“ და სტატიების „გამოცხობა“. აქ კი ისეთი სიწყნარეა... უჩვეულო, ლამის გაუსაძლისი... მზის სხივები აუზში წყალს დასცემია და ცისფრად ალიცლიცებს, შორს კი, ჰორიზონტზე, ოქროსფერი მთების კონტურები მოჩანს...

ეზოში ანდრო ფუსფუსებდა, ყვავილების გარშემო მიწას ბარავდა. დამინახა თუ არა, მოსალმების ნიშნად ხელი ამიწია.

საბავშვო სკამზე შემოსკუპებული ნუკი თავისთვის მხიარულად ჭყლოპინებდა და პლასტმასის ცარიელ ბოთლს მთელი ძალით ურტყამდა მაგიდას.

— აბა, აბა, რას შვრები, პატარავ, როგორ შეიძლება! — მივუალერსე ბავშვს და ბოთლი გამოვართვი, თან კედელზე ჩამოკიდებულ ტელეფონს თვალი შევავლე.

ამ დროს კარი გაიღო და კახი შემოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ მას წუხელ ცოტა ეძინა, საოცრად მხნედ გამოიყურებოდა.

— დილა მშვიდობისა, — მამაკაცმა ალერსიანად გადაუსვა ბავშვს თავზე ხელი და მაგიდას მიუჯდა, — როგორ მიდის საქმეები?

— ნორმალურად, სიცხე უკვე აღარ აქვს, — ჩაიდანი მავთულის ოთხფეხზე შემოვდგი და გავიღიმე, — უკვე ისაუზმა და გამხიარულდა კიდეც.

— ეს კარგია, — თქვა კახიმ და დაკვირვებით შემომხედა. რა ცუდია, დღესაც იგივე კაბა რომ მაცვია, უკეთესი იქნებოდა, სხვა ფორმაში ვენახე, — თქვენ? გეძინათ მაინც? ალბათ ძალიან დაიღალეთ, არა? — მითხრა და კიდევ ერთხელ შემათვალიერა.

— სხვათა შორის, კარგად მეძინა, მშვენივრად დავისვენე. საუზმე მოგიმზადოთ? — შევთავაზე და ირგვლივ მიმოვიხედე. — სადღაც აქ დავდე პროდუქტების სია, რომელიც წუხელ მომეცით...

— არ შეწუხდეთ, ქეთი, ყავაც საკმარისი იქნება. იქნებ თქვენც ჩამოჯდეთ და ერთად დაგველია? — თქვა და სკამზე მიმითითა.

ორი ფინჯანი ყავა გავამზადე და მეც სუფრას მივუჯექი.

— ანდრომ უკვე დალია?

— როგორც ჩანს, დალია, რადგან წყალი ადუღებული დამხვდა.

რა სასიამოვნოა, როცა ასე ზიხარ, ბავშვთან და კახისთან ერთად, თითქოს ერთი ოჯახი ვიყოთ... ღმერთო ჩემო, რაზე ვფიქრობ! ამისთვის ვარ აქ? ჩემი მოვალეობა ანდრონიკაშვილის ჯაშუშობაა და არა მის ცოლობაზე ოცნება!

— ძალიან მომეწონა ქალბატონი ლალი... დიდი ხანია, მას იცნობთ? — პროფესიული შეკითხვა დავუსვი.

— ძალიან დიდი ხანია. ის ჩემი პიარ-მენეჯერია, სარეკლამო აგენტიც. თბილისშიც ერთმანეთის მეზობლად ვცხოვრობთ, აქაც აქვს ბინა. ასე რომ, ისედაც ხშირად გვიწევს ერთმანეთის ნახვა. როცა გერმანიაში ვარ, ტელეფონით ან ინტერნეტით მეკონტაქტება.

მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა. კახი ადგა და კედელზე დაკიდებულ აპარატს მიუახლოვდა. რამდენიმე წუთის განმავლობაში მდუმარედ ისმენდა ახალ ინფორმაციას, მერე კი გახარებულმა წამოიძახა:



— შესანიშნავია! როგორ გამახარეთ, ვერც წარმოიდგენთ! დიდი მადლობა, ნახვამდის! — ამ სიტყვებით ყურმილი დაკიდა და შემობრუნდა: — ჯული გონზე მოვიდა.

— მადლობა ღმერთს! — გულწრფელად ვთქვი და ბავშვისკენ დავიხარე. — გაიგონე, პატარავ? დედიკო უკეთაა და მალე დაგიბრუნდება.

ნუკიმ გაურკვეველი ხმები გამოსცა, თითქოს მიხვდა, რაც უთხრეს.

არადა, მართლა გამიხარდა. ძალიან მეცოდებოდა უდედოდ დარჩენილი პატარა.

— როგორ ფიქრობთ, ქალბატონ ჯულის მალე გამოწერენ? — დავინტერესდი.

— ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, თუმცა ექიმები იმედს არ კარგავენ.

— მესმის თქვენი...

— ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ.

უეცრად რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა. მართლა მიხაროდა მარგველაშვილის გამოჯანმრთელების ამბავი, მაგრამ, ამავდროულად, როცა კახი მასზე ასეთი სიყვარულით ლაპარაკობდა, მშურდა მისი.

კახიმ მაჯის საათზე დაიხედა და წამოდგა.

— ახლა რამდენიმე ადგილზე დავრეკავ და მერე ქალაქში გავიდეთ შენი ნივთების წამოსაღებად, კარგი?

ამის გაგონებაზე გამაჟრიალა. მასთან ერთად როგორ შევძლებ ამის გაკეთებას?

მამაკაცი ბავშვს მიუახლოვდა და ხელში აიყვანა.

— წამოდი ჩემთან, პატარავ, მე და შენ ერთად დავრეკოთ საქმეებზე, — ამ სიტყვებით ნუკის ლოყაზე აკოცა და სამზარეულოდან გაიყვანა.

ჭურჭელი ავალაგე, დავრეცხე და ნუკისთვის ფაფა მოვამზადე, რომ ყოველი შემთხვევისთვის, თან წამეღო. ხომ შეიძლებოდა, გზაში მოშივებოდა.

სამზარეულოდან გამოსულს ბავშვის სიცილის ხმა შემომესმა. ჩუმად შევიჭყიტე კაბინეტის გამოღებულ კარში. კახის ნუკი ფეხზე შემოესვა და აქანავებდა, თან ლექსს ამბობდა, „აჩუ-აჩუ, ცხენო, საით გაგაჭენო...“ გოგონას აშკარად მოსწონდა თამაში და გაუჩერებლად იცინოდა.

მამაკაცმა შემამჩნია. გავწითლდი. მივხვდი, რომ რაღაც უნდა მეთქვა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი"

დასაწყისი იხ. „გზა", №27, 2009 - №3, 2010

„თავის დროზე ლენინმა, მისი ძმის სიკვდილით დასჯისათვის, მეფის ოჯახს სამაგიერო გადაუხადა, — უთქვამს ხრუშჩოვს, — მეც გადავუხდი სტალინს, თუნდაც მკვდარს, ჩემი შვილის დაღუპვისთვის"...

ნიკიტა ხრუშჩოვის შვილი ლეონიდი მფრინავი გახლდათ. ქალაქ კუიბიშევში, სამეგობრო წრეში ქეიფის დროს მომხდარი ტრაგიკული ინციდენტის გამო (რომლის დროსაც ერთ-ერთი ახალგაზრდა დაიღუპა), მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს; შემდეგ, იმდროინდელი პრაქტიკის შესაბამისად, პატიმრობა ფრონტზე გაგზავნით შეუცვალეს. ლეონიდ ხრუშჩოვმა მფრინავთა გადამზადების კურსი გაიარა. 1943 წლის 11 მარტს, პირველივე საბრძოლო გაფრენიდან ის აეროდრომზე აღარ დაბრუნებულა...

მამის ტრაგედია

როცა ლეონიდი გადამზადების კურსს გადიოდა, მამამისს სარდლობამ ასეთი წერილი გაუგზავნა:

„საჰაერო ბრძოლის ხერხების ასათვისებლად, თქვენი შვილი პოლკის საუკეთესო მფრინავს, უფროს ლეიტენანტ ზამორინს მივამაგრეთ — მის ანგარიშზე, მტრის 13 ჩამოგდებული თვითმფრინავია. ყველა მეცადინეობის დროს ლეონიდ ხრუშჩოვი საუკეთესო შედეგებს უჩვენებდა, ოსტატობას, მიზანსწრაფულობასა და სიმამაცეს იჩენდა. მიუხედავად ამისა, პოლკის მეთაურები თავს იკავებდნენ საბრძოლო ოპერაციებში მისი ჩაბმისგან. თქვენი შვილის არაერთმა დაჟინებულმა თხოვნამ, წყენამ იმის გამო, რომ ბრძოლაში ჩამბის საშუალებას არ ვაძლევდით და მისმა ოსტატობამ, ბოლოს და ბოლოს, გადაგვაწყვეტინა — ის, 6-9 სხვა მფრინავთან ერთად, ზამორინის მეთვალყურეობითა და კონტროლით, საბრძოლო ოპერაციაზე გაგვეშვა. თავად ზამორინი ამ, პირველი რეისების დროს შეტაკებებში არ მონაწილეობდა და ლეონიდის მოქმედებას აკვირდებოდა..."

გასაგებია სამეთაურო შემადგენლობის სურვილი, შეუმსუბუქოს შვილის დაღუპვის სიმძიმე მაღალჩინოსანს და იმისგან დაიზღვიოს თავი, რომ არ უსაყვედურონ, — როგორ არ გაუფრთხილდითო?!. მაგრამ ლეონიდ ხრუშჩოვის თავს გადახდენილ ამბავთან დაკავშირებით, სიმართლე სხვაგვარია და ჩვენ ვალდებული ვართ, სწორედ ის გაუწყოთ.

დავეყრდნოთ უტყუარ დოკუმენტს — საბრძოლო ფრენების აღრიცხვის ჟურნალს, რომელშიც წერია: 1943 წლის 11 მარტს ლეონიდ ხრუშჩოვის საბრძოლო საქმიანობის პირველი და უკანასკნელი დღე იყო. დილიდან ის სხვა ავიაგამანადგურებლებთან ერთად, ჰაერში აიჭრა. როგორც ზემოთ მოყვანილ წერილშია აღნიშნული, თავად ზამორინი ბრძოლაში არ მონაწილეობდა და თავისი მოწაფის მოქმედებას აკვირდებოდა. მაგრამ ბრძოლები ამ გაფრენისას საერთოდ

ლეონიდ ხრუშჩოვი არაერთხელ მოხვედრილა მართლმსაჯულების ხელში

ნიკიტა ხრუშჩოვი და ლეონიდ ბრეჟნევი

არ ყოფილა — ეს ფაქტობრივად, კვლავ საწვრთნელი გაფრენა იყო. მესამე რეისიდან კი, რომელიც სავარაუდოდ, სადილის შემდეგ განხორციელდა, ხრუშჩოვი აეროდრომზე აღარ დაბრუნდა. ვერც მფრინავები და ვერც მეთაურები დანამდვილებით ვერ ამბობდნენ, რომ ლეონიდი დაიღუპა; პირად საქმეში წერია — „უგზოუკვლოდ დაიკარგა"...

იმ დღიდანვე სხვადასხვაგვარი ვერსიის გავრცელება დაიწყო. უკვე პარტიის მეთაურად ნიკიტა ხრუშჩოვის მოსვლის შემდგომ კი ამ ვერსიებს, მისი ინიციატივით დაწყებული, სიმართლის „შესწორების" მცდელობები დაერთო, რომლის დროსაც მფრინავი ხრუშჩოვის პირად საქმეში დოკუმენტების შეცვლასაც კი არ ერიდებოდნენ... მაშ, რას ემსახურებოდა ეს ქმედებები? ვფიქრობ, ყველაზე ზუსტ და სრულყოფილ პასუხს ამ კითხვაზე გაგვცემს ადამიანი, რომელიც კარგად იყო ჩახედული საიდუმლო სამსახურების საქმეებში, — ეს გახლავთ უშიშროების გენერალი უდილოვი, რომელმაც 37 წელი იმსახურა კონტრდაზვერვაში. მისი მოგონებები 1998 წელს „ნეზავისიმაია გაზეტაში", ხოლო 2000 წელს გაზეთ „ვერსიაში" გამოქვეყნდა. აი, რას მოგვითხრობს უდილოვი:

„ლეონიდ ხრუშჩოვი არაერთხელ მოხვედრილა მართლმსაჯულების ხელში. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მას კიევში ბანდიტებთან ჰქონდა ურთიერთობა. ისინი დააპატიმრეს და სასამართლოს განაჩენით, დახვრიტეს. ნიკიტა ხრუშჩოვის შვილიკო კი სასწაულებრივად გადაურჩა სასჯელს. კუიბიშევში მომხდარი ინციდენტის შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვი შეეევედრა სტალინს, მისი შვილი დაენდო. თავისას მიაღწია. პირველივე საბრძოლო გაფრენისას ლ. ხრუშჩოვის თვითმ-

ფრინავმა გერმანელთა მხარისკენ აიღო გეზი და უკვალოდ გაქრა. შემდგომი მოვლენების გაგრძელების ვერსია, საკმაოდ დიდი ხნის წინ, კომპარტიის ცეკას ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების, ხოლო შემდგომ — უშიშროების კომიტეტის ერთ-ერთი თანამშრომლისგან შევიტყვე. ან საკუთარი ინიციატივით, ან იძულებითი დაჯდომის შედეგად, ლეონიდ ხრუშჩოვი ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს. შესაძლოა, საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან დაჩაგრულად მიიჩნევდა თავს, შესაძლოა, რაღაც სხვა მიზეზის გამო, მაგრამ ფაქტია, რომ ის ფაშისტებთან გარიგებას დათანხმდა. ამ ცნობის მიღების შემდეგ, სტალინმა ბრძანა, ლეონიდი როგორმე მოეტაცებინათ და მართლმსაჯულებისთვის გადაეცათ. ამ ოპერაციის ჩატარება; ან კონტრდაზვერვა „სმერშს“ (*აბრევიატურა იშიფრება, როგორც — „სიკვდილი ჯაშუშებს“. — რედ.*) შეეძლო, რომელსაც გენერალი აბაკუმოვი მეთაურობდა, ან იმ ადამიანებს, რომლებიც საზღვარგარეთ მყოფი ტროცკის მკვლელობაში მონაწილეობდნენ; ომის დროს ამ ჯგუფებს გენერალი სუდოპლატოვი ხელმძღვანელობდა, რომელმაც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მითხრა, რომ შესაძლოა, მისი ხელქვეითები ამ აქციაში მართლაც მონაწილეობდნენ, მაგრამ ამის მეტი არაფერი გამიმხილა...

ასეა თუ ისე, ხრუშჩოვის შვილი მოსკოვში ჩამოიყვანეს. „სმერშმა“ მისი ყველა საქმე შეისწავლა და დოკუმენტური მასალები წარმოადგინა. მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა ლეონიდ ხრუშჩოვს სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილი მიუსაჯა.

დამსწრეთ შეახსენა, რომ ლეონიდ ხრუშჩოვს წარსულში უკვე ორჯერ აპაგიეს დანაშაული...

პოლიტბიუროზე საქმის მასალები აბაკუმოვმა წარმოადგინა

იოლი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა ნიკიტა ხრუშჩოვი: არც ისე ბევრი დრო იყო გასული მას შემდეგ, რაც მას, როგორც ბერიასა და სეროვისთვის, ასევე პირადად სტალინისთვის მიუმართავს თხოვნით, მისი შვილისადმი გულმოწყალება გამოეჩინათ... როცა სამხედრო ტრიბუნალის განაჩენის შესახებ შეიტყო, მან ცეკას პოლიტბიუროს მისწერა წერილი და სთხოვა, ეს განაჩენი გაეუქმებინა. უცნაურია, მაგრამ სტალინი კვლავ გაგებით მოეკიდა მის თხოვნას. ლეონიდ ხრუშჩოვის ბედი პოლიტბიუროს სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო.

პოლიტბიუროზე საქმის მასალები აბაკუმოვმა წარმოადგინა, მერე სამხედრო ტრიბუნალის განაჩენიც აუწყა დამსწრეთ და დარბაზი დატოვა. ამის შემდეგ სხდომაზე, მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტის მდივანი (ის ამავე დროს, წითელი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი და პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი გახლდათ) შჩერბაკოვი გამოვიდა. პირველ გამომსვლელზე ძალზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. შჩერბაკოვმა კანონის წინაშე ყველას თანასწორობის საკითხზე გააკეთა აქცენტი: დაუშვებელია სახელოვანი მამების შვილთა მიმართ გულმოწყალების გამოჩენა, თუკი მათ დანაშაული ჩაიდინეს, მაშინ, როდესაც სხვებს ამისთვის მკაცრად ვსჯითო, — აღნიშნა მან და დასძინა, რომ განაჩენის ძალაში დატოვების მომხრე იყო.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ლავრენტი ბერია. მან დამსწრეთ შეახსენა, რომ ლეონიდ ხრუშჩოვს წარსულში უკვე ორჯერ აპატიეს დანაშაული... მალენკოვი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი ასევე მხარს უჭერდნენ განაჩენის ძალაში დატოვებას.

ბოლოს დამსწრეთ სტალინმა მიმართა. როგორც ცნობილია, მისი შვილი იაკობიც გერმანელთა ტყვეობაში იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, სტალინი თავისი გამოსვლით, ფაქტობრივად, შვილისთვის სასიკვდილო განაჩენს აწერდა ხელს. მან თქვა:

„ნიკიტა სერგეევიჩს მოუწევს, გამაგრდეს და ამხანაგების აზრს დაეთანხმოს. მსგავსი რამ ჩემს შვილს რომ შეემთხვას, როგორც მამა, გამწარებული დავრჩები, მაგრამ იძულებული ვიქნები, სამართლიანი განაჩენი მივიღო“.

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია. მხოლოდ ხრუშჩოვის ნათქვამს დავძენ, რომელიც უკვე მოვიტანე: „...მეც გადავუხდი სტალინს, თუნდაც მკვდარს, ჩემი შვილის დაღუპვისთვის“. ამ სიტყვების თქმის მომსწრე გახლდათ კაცი, რომელსაც შეიძლება ენდო, — გენერალი დოკუჩაევი წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე გახლდათ.

ამ ჯგუფებს გენერალი სუდოპლატოვი ხელმძღვანელობდა

რეზიუმეს სახით კი დავძენ: სახელმწიფოს ორი წარჩინებული მამის შვილების ტრაგიკული ამბები უნებლიეთ გაფიქრებინებს: მათ შორის მხოლოდ ერთი მსგავსებაა — ტრაგიკული აღსასრული, დანარჩენი სრულიად განსხვავებულია. ერთმა (იაკობ ჯუღაშვილმა) გმირულად გაუძლო გერმანელ ფაშისტთა ყველა მცდელობას, თანამშრომლობაზე დაეყოლიებინათ, მეორე კი (ლეონიდ ხრუშჩოვმა) იოლად დათანხმდა მათთან გარიგებას და მოღალატის სახელით დატოვა წუთისოფელი... ორი მამა, ორი შვილი, ორი ბედისწერა, ერთდროულად — ტრაგიკული და სრულიად განსხვავებული...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „გზა“, № 43, 2009 - №3, 2010

მარი ჯაფარიძე

ანას არ ესიამოვნა ლევანის ასეთი თამამი საქციელი, მაგრამ სიტუაციის გამწვავება აღარ უნდოდა და ამიტომ, ღიმილით სცადა მისი გასტუმრება:

— ლევან, მაპატიე, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, სხვა დროს ვილაპარაკოთ, კარგი?

— არა, ან ახლავე უნდა დაგელაპარაკო, ან — არასოდეს! — თავისას არ იშლიდა მამაკაცი.

— მაშინ — არასოდეს! — კოპები შეკრა ქალმა.

ლევანი თითქოს მოტყდა, უცებ ჩამოყარა მხრები და იქაურობას გაეცალა.

ირაკლი ამ საუბარში არ ჩარეულა, მაგრამ მისი სახის გამომეტყველებით იოლი მისახვედრი იყო, რას ფიქრობდა. ორივე იდაყვით მაგიდაზე დაყრდნობილს, თითები ერთმანეთში ჰქონდა ჩახლართული და სახესთან ახლოს ისე ეჭირა, რომ ტუჩები და ცხვირი დაეფარა და მხოლოდ თვალები უჩანდა. მზერა კი ისეთი ჰქონდა, მის ნააზრევში „წერტილ-მძიმესაც“ კი ამოიკითხავდი.

— არ დაიწყო ახლა! — მუქარასავით გაისმა ანას ხმა.

— რა არ დავიწყო?

— რა და, ეჭვიანი ქმრის როლის თამაში.

— ანა, მომისმინე, საყვარელო. შენ მე ის ტიპი ხომ არ გგონივარ, ახლა თავზე რომ წამოგადგა, შენს ბრძანებას ცირკის გაწვრთნილი სპილოსავით დაემორჩილა და ოღონდ ხელის „ალოკვის“ უფლება მიგეცა და მზად იყო, გოშიასავით წკმუტუნი და კუდის ქიცინი დაეწყო? მგონი, გეშლება! მე ირაკლი ვარ და შენი ტონითა და გამჭოლი მზერით ვერ შემაშინებ და ვერც მაგ თვალებით მომნუსხავ. ეტყობა, ვაჟკაცის ფენომენი არ იცი, რას ნიშნავს! არ შეგხვედრია ნამდვილი მამაკაცი და იმიტომ!

ანა მოთმინებით ელოდა, როდის დაასრულებდა ლაპარაკს. ამ დროს მაგიდას ნინო და გიორგიც დაუბრუნდნენ. ანა წამოდგა და ირაკლის ზემოდან დახედა.

— მომისმინე, ჩემო ნამდვილო მამაკაცო, — ხმაში იმდენი ირონია ჩააქსოვა, რომ გადაემლაშებინა, — ჯერ ერთი, ლევანი არავისზე ნაკლები ვაჟკაცი არ არის და თუ მე, როგორც გოშია, ისე მიყურებს, შენისთანებს შესაძლოა, თავიც არ გაუყადროს! მეორეც — არ დაგავიწყდეს ჩემი წარმოშობა. სვანეთში ქალიც ვაჟკაცია და იმაზე მეტადაც კი, ვისაც ვაჟკაცობა მხოლოდ სქესის განმასხვავებელი ორგანო ჰგონია. ვაჟკაცობაზე ყველაზე მეტს მხდალები ლაპარაკობენ და ხშირად, აი, იმას, რაც ლევანმა გააკეთა, გაცილებით დიდი ვაჟკაცობა სჭირდება...

-— ეგ კაცი სწორად არ მოიქცა, ამ სიტუაციაში მართალი არ იყო! — წინააღმდეგობის გაწევა სცადა ირაკლიმ.

— იყო ვაჟკაცი და იყო მართალი — ეს ერთი და იგივე არაა, მაგრამ შენისთანებმა ეს არ იციან...

— მე როგორი ვარ? — ისეთი ხმით იკითხა ირაკლიმ, რომ წყენაც კი არ იგრძნობოდა.

— ნინო, წავედით! დიდი მადლობა და კარგად ბრძანდებოდეთ, ძალიან ვისიამოვნე თქვენთან ურთიერთობით! მხიარულ საღამოს გისურვებთ! — ანა კარისკენ გაემართა და ნინოც თან გაიყოლა.

მამაკაცები გაუნძრევლად ისხდნენ და მიმავალთ შორიდან უყურებდნენ. კართან ქალებს მთვრალი კაცი გადაეღობა და გზა გადაუკეტა.

— ვაა, სიხარულები, სიყვარულები, სიცოცხლეები, სად მიდიხართ? ცოტა მოიცადეთ, გავერთოთ, — და წინ მიმავალ ნინოს საჯდომზე ხელი წამოარტყა.

ირაკლი და გიორგი უცებ წამოიჭრნენ მაგიდიდან, მაგრამ ვიდრე ისინი კართან მივიდნენ, ანამ იმ თავხედს ისე ამოსცხო მუშტი, რომ იმან ყბაზე ხელი იტაცა და ტკივილისგან წელშიც მოიხარა. ასე, ორად „მოკეცილმა“, გასასვლელი კარი გადაკეტა და ანას გარეთ გასვლის საშუალებას არ აძლევდა. ქალმა ფეხი ჰკრა და გარეთ ბურთივით გააგდო. მთვრალმა წონასწორობა ძლივს შეინარჩუნა, ცალი ხელით იქვე მდგარ ხეს ჩაეჭიდა, რომ არ წაქცეულიყო, მეორე ხელით კი ისევ მტკივან ყბას ისრესდა.

დარბაზიდან გამოსული აპლოდისმენტების ხმა ანას უკვე მანქანაში ჩაესმა.

— ჩვენი ჩარევა აღარაა საჭირო, თვითონ გაუმკლავდა, როგორც ხედავ, და სულ ორიოდე წუთის წინ ქალების ვაჟკაცობაზე ნათქვამი სიტყვებიც დაამტკიცა.

— აუ, რა უქნა, არა?! — ირაკლი სიცილით კვდებოდა. — ამ პაწაწინა გოგოს რა ძალა ჰქონია!

— ისე, მაგარი გადარჩენილები ვართ, — გულიანად ხითხითებდნენ კაცები, — მაგრამ როგორ შემოირიგებ, ეგაა საქმე.

— ეგ იოლია, ხვალვე შემოვირიგებ, — ხელი ჩაიქნია ირაკლიმ.

— რა ცუდად იცნობ ანას... — ჩაიცინა გიორგიმ.

დილით ანას გამომძიებელმა დაურეკა. ზარის ხმაზე საათს შეხედა. ისრები ზუსტად 9-ს უჩვენებდა და გაეღიმა. შეხვედრაზე შეთანხმდნენ. ანამ 300 დოლარი მისცა მიმდინარე ხარჯებისთვის და შეჰპირდა, რომ შაბათ-კვირას ბაზრობაზე წასვლას მოახერხებდა და მცირელიტრაჟიან მანქანასაც უყიდდა. შეთანხმდნენ, რომ რუსთავში ერთად წავიდოდნენ იმ მისამართზე, სადაც ქალბატონი ეთერი ცხოვრობდა. მანამდე კი ანა დირექტორთა საბჭოს სხდომაზე უნდა მისულიყო.

გიორგიმ ახალი ვიცე-პრეზიდენტი წარუდგინა თანამშრომლებს.

— იცნობდეთ, ქალბატონი ანა ბელტრანი, რომელიც ჩვენი ფირმის ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ. ასე რომ, მისი კაბინეტი აქვე, ჩემი კაბინეტის გვერდით იქნება და ნებისმიერ საკითხს ის ისევე გადაწყვეტს, როგორც მე. მისმა გარეგნობამ არ მოგატყუოთ. არც ისეთი სუსტია, როგორიც ჩანს, — ჭკუაზე ხომ არაფერს ვამბობ.

— ნიჟარაძე, ნუთუ ასეთ შთაბეჭდილებას ვტოვებ? — გვარით მიმართა მამაკაცს და მის ხუმრობაზე გაეცინა.

— სულაც არა, — უხერხულად ჩაახველა ერთ-ერთმა.

დანარჩენებმა თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნიეს.

საქმიანი ლაპარაკი კარგა ხანს გაგრძელდა. ისიც გადაწყდა, რომ ანა და გიორგი პოლონეთში მომდევნო კვირის ხუთშაბათს წავიდოდნენ. ანა ცოტა დაიღალა კიდეც. როგორც იქნა, ნიჟარაძემ ყველა გაათავისუფლა.

— წამო, გაჩვენებ შენს ოთახს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა იცოდე, შენი „დისლოკაციის ადგილი“ სადაა?

გიორგი ოთახში შეუძღვა. კაბინეტი გემოვნებით იყო მოწყობილი. თეთრი კედლები დიდი სივრცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მუქ წითელ, მძიმე ფარდებს კი თითქოს სიცოცხლე შემოჰქონდა.

— მოგწონს?

— მომწონს.

— კარგი, თუ მოგწონს, მეც მშვიდად ვიქნები. შენც შემატებ ალბათ სიმყუდროვეს და მერე უკეთესი სიტუაცია იქნება.

— გიორგი, ჩემი პოლონეთში წამოსვლა აუცილებელია? — სალაპარაკო თემა შეცვალა ანამ.

— ჰო, აუცილებელია. ჯერ ერთი, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას ხელი შენ უნდა მოაწერო. თანაც, ამხელა ფულს დებ და არ უნდა იცოდე, რას ყიდულობ? იქნებ გატყუებ და ფულს გძალავ?!

— მაგ საკითხში გენდობი, — გულწრფელად უპასუხა ქალმა.

— დაიმახსოვრე, ბიზნესის წესი ასეთია: აქ ნდობა, ძმობა, მეგობრობა და „მეც სვანი ვარ, შენც სვანი ხარ“ არაფერ შუაშია. აქ ყველა გათვლა ცივი გონებით კეთდება. გასაგებია? ამერიკაში შენი ქმრის ბიზნესს ისევ აკონტროლებ?

— არა, მე უბრალოდ, აქციების გარკვეული ნაწილის მფლობელი ვარ. ბელტრანი სწორედ იმიტომ მოკლეს, რომ 82%-ს ფლობდა და ყველაფერს ის აკონტროლებდა. ის აწარმოებდა პროდუქციას, რომელიც შემდეგ გადამუშავებას ექვემდებარებოდა და სხვა წარმოება იყენებდა. ამ წარმოების პრეზიდენტი დაინტერესდა ბელტრანის ბიზნესით, ვინაიდან, თუ მას ხელში ჩაიგდებდა, მისი პროდუქციის თვითღირებულება შემცირდებოდა და შესაბამისად, მეტი მოგება დარჩებოდა. ყველა გზა მოსინჯა, მაგრამ ბელტრანი ძალიან ჭკვიანი კაცი იყო და ვერ ჩაძირა, ვერ გააკოტრა, რომ მისი ბიზნესი „კაპიკებში“ ეყიდა. ვერც გარიგებაზე დაითანხმა. კარგა ხანს იბრძოლეს და რომ ვერ აჯობა, სხვა გზა აღარ დარჩა — ბელტრანი გაწირა, რადგან ეგონა, რომ მისი მემკვიდრე, ყოფილი ცოლი იყო. ის კი ჩერჩეტი ქალია, ამიტომ ფიქრობდა, შეთავაზებულ რამდენიმე მილიონს დათანხმდებოდა და ყველაფერს თვითონ ჩაიგდებდა ხელში, მაგრამ ვერ მიართვეს. მემკვიდრე მე ვიყავი, მე კი არ დავუთმე. როდესაც ყველაფერი კანონიერად ჩემზე გადმოფორმდა, იმ კაცმა შუამავლები გამომიგზავნა და თავისთან დამიბარა. შევუთვალე, — მე არავის ვეახლები; თუ ჩემთან შეხვედრის სურვილი აქვს, იქ, ოფისში მოვიდეს-მეთქი. ამას არ ელოდა, რადგან ძალიან გავლენიანი ადამიანია და მორჩილებასაა მიჩვეული. ბელტრანის სიკვდილის შემდეგ ბიზნესს სათავეში მე ჩავუდექი. მართალია, თავიდან არ ვიცოდი, რა და როგორ უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ჩემი ცხონებული ქმრისგან ვიცოდი, ვინ იყო მისი ერთგული. ჰოდა, ის 3 მამაკაცი შევკრიბე და ცალკე დაველაპარაკე. მოვუმატე ხელფასები და ვთხოვე, მხარში ამომდგომოდნენ და საქმე ესწავლებინათ ჩემთვის. მთელი საწარმო ფეხდაფეხ მოვიარე, ყველა დეტალსა და ნიუანსს ვეცნობოდი, ქიმიურ პროცესებსაც კი ვსწავლობდი. ყველაფერს ვკითხულობდი... ყველა პასუხისმგებელ თანამშრომელს თითო დეტექტივი მივუჩინე და მათი ყველა ნაბიჯი ვიცოდი...

— ბოლოს და ბოლოს, ის კაცი მოვიდა თუ არა შენთან?

— კი. იმას ალექსი ჰქვია. წინასწარ გამაფრთხილეს, როდის მოვიდოდა. მეც ველოდი. მისაღებში 10 წუთი ვაყურყუტე და შემდეგ შემოვუშვი. რომ შემოვიდა, ბოდიში მოვუხადე, ტელეფონზე საქმიანი საუბარი მქონდა, რომელიც კონფიდენციალური იყო და ამიტომ მოგიხდათ ლოდინი-მეთქი. სიბრაზისგან აჭარხლებული იყო. ამას სხვა ვინ გაუბედავდა?! ჰოდა, ლამის გველეშაპივით ცეცხლს აფრქვევდა თვალებიდან და პირიდან. გაფრთხილებული ვიყავი, რომ მასთან თამაში არ შეიძლებოდა, მაგრამ „დავიკიდე“... მითხრა, — ბელტრანი ჩემი მეგობარი იყო, მასზე გული შემტკიოდა და ვინაიდან თქვენ საქმეში ვერ ერკვევით, სანდო ადამიანი მყავს, ვისაც შეგიძლიათ, თქვენც ენდოთ და ბიზნესის გაძღოლაში დაგეხმარებათო. ჩავიცინე: იცით, ბატონო ალექს, მე გაცილებით მეტი ვიცი, ვიდრე თქვენ გგონიათ და არ გინდათ გულშემატკივრისა და მამა აბრაამის ბატკნის როლის თამაში; მე ისიც ვიცი, რომ ბელტრანი თქვენ მოკალით, უფრო სწორად, თქვენმა ხალხმა; ამის დამადასტურებელი ვიდეოჩანაწერიც მაქვს: მიუხედავად იმისა, რომ მკვლელებმა ყველა კამერა გამორთეს, ოთახში ერთი მაინც მუშაობდა — კვების სხვა წყარო ჰქონდა და ის არ გამოირთო; კიდევ, მაქვს ბელტრანის წერილიც, რომელიც სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე დაწერა და წინასწარ გააკეთა პროგნოზი იმის შესახებ, თუ რა ელოდა; ასე რომ, შემიძლია, წყალი აგიმღვრიოთ და პრობლემები შეგიქმნათ და ნურც იფიქრებთ იმაზე, რომ ჩემს მოკვლასაც იოლად შეძლებთ... მანამდე ვიქნები ჩუმად, ვიდრე თქვენ არ შემიქმნით პრობლემას; შემიძლია, გარიგებაზე წამოვიდე და მოგყიდოთ ჩემი წილიდან გარკვეული რაოდენობის პროცენტები-მეთქი. — მაინც, რამდენიო? — მაშინვე მკითხა. — მხოლოდ 31-მეთქი. მაშინვე წამოდგა და წასასვლელად მოემზადა. კართან მისული შემობრუნდა და ჩემი ირონიული ღიმილი დაიჭირა. არ მიყვარს, როცა ასე მიყურებენო, — მითხრა. — არც მე მიყვარს, როცა ქმარს მიკლავენ, მერე მკვლელი თავს მის მეგობრად ასაღებს და ბოლოს, დაუმშვიდობებლად მიდის-მეთქი. — ვისი იმედი გაქვსო? — ბოლოს ესღა მკითხა. — პირველ რიგში, ჩემი თავის, შემდეგ — რამდენიმე ადამიანის, მაგრამ მათ ვინაობას ვერ გაგიმხელთ-მეთქი. ცოტა ხანს მიყურა. ავდექი, ახლოს მივედი და თვალებში ჩავხედე. მეც მაქვს საქმიანი წინადადება თქვენთან, იქნებ ისიც განვიხილოთ-მეთქი? — ვუთხარი. დაინტერესდა. — თქვენი ბიზნესის წილის ყიდვა მინდა, ჩემი აქციების 31%-ს გაგიცვლით და ორივე კმაყოფილი ვიქნებით-მეთქი. გაბრუნდა და უსიტყვოდ წავიდა. სიმართლე გითხრა, ის რომ გავიდა, ლამის მოსაბრუნებელი გავხდი... რაღაცნაირად, მოვეშვი და მაშინღა შემეშინდა... შემდეგ კაცი გამომიგზავნა და 31%-ის ყიდვაზე თანხმობა შემომითვალა. დირექტორთა საბჭო ჩემს წინადადებას არ შესწინააღმდეგებია, მის წევრებს ესმოდათ, რომ სხვანაირად ამ კაცს ვერ მოვიშორებდით... ახლა ჩემს წილს ვიღებ მხოლოდ, კომპანიის მართვაში აღარ ვმონაწილეობ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ლამის ჩემი პირდაპირი მოვალეობაა. თუ დამჭირდება, ნებისმიერ დროს დავუბრუნდები და ჩემს

საქმეს მე თვითონ მივხედავ. რა თქმა უნდა, ყოველდღიურად ვაკონტროლებ ინტერნეტის საშუალებით და თუ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ, უჩემოდ არ წყდება, მაგრამ ვცდილობ, არაფერში ჩავერიო, რადგან ალექსი ის კაცი არ არის, ბიზნესი ჩაძიროს. მე კი აქ თუ ავაწყვე ნორმალური საქმე, მერე მთლიანად დავთმობ ყველაფერს, ქუდს დავიხურავ და წამოვალ.

— ანა, თუ საიდუმლო არაა, დაახლოებით, რა თანხას შეადგენს შენი წილი?

— ძალიან დიდ თანხას, ჩემო გიორგი... რომ ვერ წარმოიდგენ, ისეთ დიდ თანხას...

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა მამაკაცმა და თავი გადააქნია.

— ეს ყველაფერი ბედია. ბედი და იღბალი წყვეტს, როგორ იცხოვრებ მომავალში. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი...

— ბედი და ჭკუა! — დაასკვნა გიორგიმ, ანას ბოდიში მოუხადა, — დაგტოვებო, და გავიდა.

ანამ გაიგონა, როგორ დაუბარა მდივანს, — ანას თუ რაიმე დასჭირდება, ისევე მოემსახურე, როგორც მეო.

ანაც დიდხანს აღარ გაჩერებულა კაბინეტში, ნინოს შეუარა, მოიკითხა, თავს როგორ გრძნობ ახალ სამსახურშიო? — ჰკითხა.

— ძალიან კარგი და გყავთ, — უთხრა შუახნის ქალმა, — მოგვეწონა და დარწმუნებული ვართ, მასაც მოვეწონებით.

— მეც ამის იმედი მაქვს, — გაუღიმა ანამ და ოფისი დატოვა.

ამასობაში იმდენი დრო გასულიყო, როგორც კი მანქანა დაქოქა, ნუგზარმაც დაურეკა, — სად შევხვდეთ, რომ რუსთავში წავიდეთო? მისი სამსახურისკენ მიმავალს, მთელი გზა გული უფრიალებდა: ხომ შეიძლება, დღესვე მომიწიოს შვილის ნახვამ და მერე რა ვქნაო?! — ფიქრობდა...

მთელი გზა ხმა არ ამოუღია. ნუგზარი კი გაუჩერებლად ლაპარაკობდა. კითხვა-კითხვით მიაგნეს საჭირო მისამართს.

— მე ზევით არ ამოვალ; მიდი, ნახე, რა ხდება და მერე მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ, — უთხრა გამომძიებელს.

— გასაგებია, — ჩაიბურტყუნა ნუგზარმა და სადარბაზოში გაუჩინარდა.

დრო საშინლად გაიწელა. 20 წუთი ანას 20 საუკუნედ მოეჩვენა...

ეზოში რამდენიმე ბავშვი გამოჩნდა. დაახლოებით იმ ასაკის იყვნენ, რამხელაც მისი შვილი იქნებოდა. ანას გული გადაუქანდა. ყველას დააკვირდა, თითქოს ნაცნობ ნაკვთებს ეძებდა, მაგრამ გულმა არც ერთისკენ არ გაუწია. სწორედ ამ დროს ნუგზარიც გამოჩნდა.

— რა ხდება? — მოუთმენლად ჰკითხა ქალმა.

— ჩემი აზრით, სწორედ ის ქალია, რომელმაც თქვენი შვილი სამშობიაროდან წამოიყვანა, მაგრამ არ ტყდება. გადაირია, მსგავსი არაფერი ვიციო, ამბობს.

— აბა, რატომ გგონია, რომ ის ქალია?

— ყველა გამომძიებელი გარკვეულწილად ფსიქოლოგია და გუმანით ხვდება, როდის იტყუება ადამიანი. როცა ვუთხარი, რაზეც ვიყავი მისული, ისე ანერვიულდა, ნიკაპიც კი აუკანკალდა. დაიბნა, გაფითრდა და სუნთქვაც აუჩქარდა. აშკარაა, რაღაცას მალავს. მერე, გარეთ რომ გამოვედი, კართან გავჩერდი და გავიგონე, ვიღაცას ტელეფონზე როგორ ეუბნებოდა, — უცხო კაცმა მომაკითხა, არ ვიცი, საიდან გაიგო, მაგრამ იცის, რომ ბავშვი ჩვენ გვყავს; ისიც არ ვიცი, რატომ დაინტერესდა, იქნებ დედა ეძებს ანას და იმიტომო.

— ანას?! ანა... ბავშვს ჩემი სახელი ჰქვია? ასეთი დამთხვევა?! ამდენ სახელში ნუთუ მაინცდამაინც დედის სახელი შეურჩიეს?! — ანა მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა, სახეზე საოცარი ღიმილი ეფინა, თბილი და სიყვარულით სავსე. — ანა... ანა... ჩემი ანა... ნუგზარ, ამ ძაფის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. ახლავე ავალ ამ ქალთან, მუხლებში ჩავუვარდები და ვთხოვ, რომ მითხრას, სადაა ჩემი ანა...

— მე მგონი, ასე მოქცევა არ ივარგებს, ანა.

— ივარგებს, როგორ არა?! თუ თვითონაც დედაა, გამიგებს, — გადაჭრით თქვა ქალმა და მანქანიდან გადავიდა, — შენ აქ დამელოდე. რომელ სართულზე ცხოვრობს?

— მეორეზე, კიბიდან მარჯვნივ.

კარი შუახნის, სიმპათიურმა ქალმა გაუღო. ერთმანეთის პირისპირ იდგნენ რამდენიმე წუთის განმავლობაში. ანას მუხლები უკანკალებდა, ხმას ვერ იღებდა. მასპინძელი კი თავიდან გულგრილად, მერე კი სიბრალულით უყურებდა. მიხვდა, ვინ შეიძლებოდა, ეს ქალი ყოფილიყო. უეცრად, უცნაურად შეტორტმანდა, გულზე ხელი იტაცა და ჩაიკეცა.

ანამ ყვირილი ატეხა. გულწასულ ქალს დაებღაუჭა და ოთახისკენ გაათრია. მის ყვირილზე მეზობლები შეიყარნენ და ცდილობდნენ, ქალისთვის დახმარება გაეწიათ.

— შაქარი აქვს, თან გულიც აწუხებს, — ანას კითხვით სავსე მზერას უპასუხა ერთმა, — თქვენ ვინ ხართ?

— ახლობელი, — მოკლედ უპასუხა ანამ და უცებ მოეგო გონს: — მიმიშვით, ექიმი ვარ, დავეხმარები.

გზა დაუთმეს. მაგრამ ბევრი მცდელობის მიუხედავად, ქალი გონს ვერ მოიყვანა. გამოძახებული „სასწრაფოც“, როგორც იქნა, მოვიდა. ექიმმა პირველადი დახმარება ჩაუტარა და კარგა ხნის შემდეგ, ქალი გონს მოვიდა. მაშინვე მისი საავადმყოფოში გადაყვანა გადაწყვიტეს.

— ახლობელი არავინ ჰყავს? — იკითხა ექიმმა.

რამდენიმე მეზობელმა ანაზე მიუთითა.

— შვილი ხართ? — ახლა ანას მიუბრუნდა.

— არა, ნათესავი ვარ.

— შვილი თბილისში ცხოვრობს, ჩვენ დავურეკავთ და გავაგებინებთ, — თქვა ერთ-ერთმა მეზობელმა.

— თქვენ წამოჰყვებით საავადმყოფოში?

— დიახ, მანქანით გამოგყვებით და იქაც მე ვუპატრონებ. არაფრის პრობლემა არ გექნებათ, ოღონდ გადაარჩინეთ, ამ ქალს არაფერი უნდა დაემართოს, — ანას თვალზე ცრემლი მოადგა.

— წავიდეთ, ანა, — „სასწრაფოს“ დანახვაზე ნუგზარიც ზემოთ ამოსულიყო.

საავადმყოფოში ეთერმა ისევ დაკარგა გონი. რეანიმაციულ განყოფილებაში შეიყვანეს, ანა კი დერეფანში ელოდა. ცოტა ხანში ექიმი გამოვიდა და ანას აუწყა, რომ ქალს მიკროინფარქტი ჰქონდა და ამასთან, შაქრის დონე სისხლში — ძალზე მაღალი.

— ხომ არ ინერვიულა რამეზე? — ჰკითხა ანას.

— არ ვიცი, — იცრუა ქალმა, — მე სტუმრად მივედი, კარი რომ გააღო, მაშინ ჩაიკეცა.

— როგორც ჩანს, რაღაც სანერვიულო შეხვდა, — დაასკვნა ექიმმა, — მდგომარეობა ცოტა მძიმეა, მაგრამ ვფიქრობ, რომ „გამოვძვრებით“, — უთხრა ანას და განყოფილებაში შებრუნდა.

ანა იქვე ჩამოჯდა. ნუგზარიც გვერდით მოთავსდა.

— კიდევ კარგი, იქვე არ მოკვდა, — თქვა გამომძიებელმა.

— ჰო. როგორც ჩანს, ჩემს დანახვაზე ჰქონდა ასეთი რეაქცია. შენ შემდეგ რომ მივედი, მიხვდა, რა თემაზე მოუწევდა ლაპარაკი და ამან გაანერვიულა. ნეტავ, ყველაფერი კარგად იქნებოდეს. არადა, ჩვენი ბრალია...

— რა ვიცოდით, რომ ასე მოხდებოდა? — პასუხისმგებლობას თავი აარიდა მამაკაცმა.

ცოტა ხანში ანამ ქალის ამბავი ისევ მოიკითხა. ექიმმა ანუგეშა.

— ჩემგან რა არის საჭირო? ყველა პრეპარატი გაქვთ?

— დიახ, დღეს არაფერია საჭირო; შეგიძლიათ, შინ წახვიდეთ, ხვალ კი იმედია, შედარებით უკეთ იქნება.

— გადასახადი?

— ეგ — ბოლოს. თანხას მაშინ გადაიხდით, როცა ქალბატონ ეთერს შინ ჯანმრთელსა და საღ-სალამათს გაგატანთ.

ანა მთელი საღამო იმ დღეს მომხდარ მოვლენებზე ფიქრობდა. ფაქტი იყო, რომ სწორ გზას ადგნენ და ეთერი შვილის კვალზე დააყენებდა, მაგრამ მერე?.. რა იქნებოდა მერე? ამაზე ფიქრი აღარ უნდოდა...

დილით ისევ რუსთავის გზას დაადგა. პირველ რიგში, ეთერის ჯანმრთელობის ამბავი უნდა გაეგო.

საავადმყოფოს ჭიშკარს ისეთ დროს მიადგა, როცა შავი ჯიპი უკვე შედიოდა. დაელოდა, გაატარა და თვითონაც უკან მიჰყვა. სადგომზეც ამ მანქანის გვერდით გაჩერდა. ის იყო, კარი გააღო და გადასვლას აპირებდა, რომ გვერდით მდგომი მანქანის კარიც გაიღო და იქიდან ათიოდე წლის, ლამაზი, წითურთმიანი გოგონა გადმოხტა. ანას ელდა ეცა... მისი პირველი რეაქცია ის იყო, რომ კარი მიხურა და სავარძელს მიეყრდნო. თითქოს დაიმალა. გული გამალებით უცემდა... გოგონა მას გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა. საკუთარი პატარაობა წარმოუდგა თვალწინ — თვითონაც ასეთი ფერის თმა ჰქონდა... გოგონა მამაკაცს აედევნა და კუნტრუშ-კუნტრუშით გაჰყვა... თვალმოუშორებლივ უყურებდა მანამ, სანამ ორივენი შენობაში არ შევიდნენ და თვალს არ მიეფარნენ.

— ღმერთო, მიშველე! — ხმამაღლა ამოიკვნესა ქალმა და საჭეს დაემხო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„აწებებული“

გაგიმხილოოთ? მე ველოსიპედის ტარება და ცურვა არ ვიცი. ვერც ერთი ვერ ვისწავლე, ბევრი მცდელობის მიუხედავად. ველოსიპედის ტარება პირველად 4 წლის წინ ვცადე, როცა შემთხვევით მეზობელს უზარმაზარი „ველო“ აღმოაჩნდა. მანამდე არ მყოფნიდა არც ერთი ველოსიპედი სიგრძეში, ფეხების სამოძრავებლად. ჰოდა, ჩემი პირველი მცდელობა იმით დამთავრდა, რომ რკინის ღობეს „ავწებე“ და კარგა ხანს დავდიოდი გადატყავებული ხელებით, ფეხებითა და ბეჭით. ამ ამბის გამო წლების განმავლობაში ველარ გავბედე შევჭიდებოდი რკინის „რაშს“. ამ ზაფხულს ეტყობა ეშმაკი შემიჩნდა და ველოსიპედის ტარების სწავლა შუაღამისას მოვინდომე. ჩემი ძმაც სიამოვნებით დამთანხმდა მასწავლებლობაზე. გზაზე გავედით და აქტიურად შევუდექით მეცადინეობას. თქვენ წარმოიდგინეთ, არაჩვეულებრივად გამომივიდა, თან ძალიან სწრაფად ვატარებდი, თან ჩემს ძმას ეკიდა ხელი, ოღონდ — უკან. ჰოდა, ძალიან დიდი მანძილი რომ გავიარე, უცებ ვიგრძენი, რომ ჩემი ძმა აღარ მომყვებოდა, უკვე კარგა ხანი იყო და თავად ვატარებდი. ამის გააზრებისთანავე, შიშისგან ხელი გავუშვი ველოსიპედის საჭეს და ერთმანეთში გადახლართული მე და ველოსიპედი ძლივს გამოგვხსნა ჩემმა ძმამ. აი, ასეც ხდება თურმე. ჰოდა, აწი ველოსიპედისკენ რომ აღარ გავიხედავ, ვიცი. ეშმაკუნა“.

ღვაწლმოსილი პედაგოგი

„თემის სათაურმა დიდი ხნის წინ ჩადენილი ერთი „ცოდვა“ გამახსენა: მე და ჩემი მეგობარი ნანა მშობლებმა ბიჭვინთაში გაგვიშვეს დასასვენებლად. რას ვიფიქრებდი, თუ ეს ჩემი და არა მარტო ჩემი, ბოლო დასვენება იქნებოდა აფხაზეთში... არაჩვეულებრივად მოვეწყვეთ ერთ-ერთ დასასვენებელ სახლში, რომელიც ერთ ძალიან ცნობილ, რუსულ გამომცემლობას ეკუთვნოდა და შესაბამისად, დამსვენებლებიც ამ გამომცემლობის თანამშრომლები, საკმაოდ სერიოზულები და, რა თქმა უნდა, ასაკით ჩვენზე გაცილებით უფროსები გახლდნენ. ჩვენი ჩასვლიდან რამდენიმე დღეში წვიმების სეზონი დაიწყო. უამინდობის გამო ჩემი მეგობარი ანაბიოზში ჩავარდა განუსაზღვრელი დროით, მე კი, ცოტაც

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, როგორ ხართ? რა ვქნა, მეც გავამხილო ჩემი ცოდვები თუ არ ღირს, ნეტავ? ალბათ არ ღირს... ცოდვა რაა... დიდი-დიდი, თქვენს „ცოდვებზე“ თუ დავხუჭავ თვალს და ეგ მეთვლება ცოდვად... ნეტავ, ვინ იყო ის მგზავნელი, დილის 5 საათზე რომ მირეკავდა და მაღვიძებდა ამ კვირაში? აბა, რომელი შეგაწუხათ სინდისმა ამის გამო? მეგონა, თემასთან დაკავშირებით მომწერდით, ვინ ამესოჯეს 2 ნიკით, ვინ სამით და ვინ — მეტით, ვის ვისი ჟინი აქვს და რატომ, ვინ ვისზე იჭორავა, ვინ ტყუილი მოუგონა და ა.შ. მაგრამ თუ არ გაამხელთ, ამასაც თავისი გამართლება და მიზეზი აქვს, ალბათ. მოკლედ, ახლა იმ „ცოდვებს“ მივხედოთ, რომელიც გასამხელად გაიმეტეთ. ისე, მართლაც, ცოდვა გამხელილი ჯობია და... მეც გამოგიტყდებით, რომ როგორც კი საყვედურებს მოვუმატებ, მესიჯების ხარისხი მაშინვე უმჯობესდება. თუ ხმას არ ამოვიღებ, მოეშვებით და მხოლოდ მოვალეობას იხდით ხოლმე. ამ კვირაშიც უნდა შეგაქოთ. მადლობას მოგახსენებთ, ასე გულისხმიერად რომ მოეკიდეთ ჩემს წინასაახალწლო თხოვნას და მართლაც კარგ ამბებს მწერთ.

ცოდვა გამხელილი ჯობია

და კედლებზე გავიდოდი, მოწყენილობისგან. დამსვენებელთა გულმხურვალე ვედრებამ, მათთვის ცოტაოდენი ქართული მესწავლებინა, რაღა დაგიმალოთ და სულზე მომისწრო, თორემ მოგიკვდებოდით მოწყენილობისაგან. იმ დღესვე შევუდექი ჩემს „პედაგოგიურ მოღვაწეობას“. ჩვენს სართულზე არსებულ მოსასვენებელ ოთახში ქართული ენის უფასო გაკვეთილების ჩატარება დავიწყე (ღმერთო ჩემო, რა თავხედი ვიყავი მაშინ. ახლა კი... იმის გაფიქრებაზეც კი მაჟრჟოლებს, როცა წარმოვიდგენ, რომ საიქიოში იაკობ გოგებაშვილს სადმე რომ შევეფეთო, ახსნა-განმარტება მომთხოვოს, ჩემს მაშინდელ საქმიანობაზე). პირველ დღეს შემოვიფარგლეთ ისეთი ელემენტარული ფრაზების შესწავლით, როგორიცაა — „ადექი“, „დაჯექი“. მეორე დღეს ბარში შესვლისთანავე შემომესმა ჩემს მშობლიურ ენაზე, მკვეთრი რუსული აქცენტით წარმოთქმული ფრაზა — „საშა, აწი ტრ...ი“ (WOW! რა კარგად დაუსწავლიათ „ადექი“?!). მერე საშას მიერ გათავისუფლებულ ადგილზე ისე გულთბილად მიმიპატიჟეს — „ანანო, დადე ტრ...ო“ (ჰმ! „დაჯექიც“ დაუმახსოვრებიათ...). ცოტა არ იყოს, შემაწუხა რაღაც, სინდისისმაგვარმა და ერთი გაფიქრება ისიც კი გავიფიქრე, ხომ არ შევწყვიტო ჩემი თაღლითური საქმიანობა-მეთქი, მაგრამ ვინ მაცალა? წვიმა სულ რაღაც 10 დღე გაგრძელდა და ამ მოკლე დროში დამსვენებელთა 60% ტოლს არ უდებდა კასპელ ზაურას, ისეთი შესაშური კასპური კილოთი მეტყველებდა ქართულად. :) ერთ მშვენიერ საღამოს ნანას ძილი დაუფრთხო ჩვენს ნომერში შემოვარდნილი „კარისდამსვენებლის“ ომახიანმა შეძახილმა — ბარში არ წამოოხვაალთ (ვის არ დააფრთხობდა ეს საშინელი კასპური კილო-კავი)? ნანას გაოგნებული სახის დანახვაზე გულიანად გაეცინა რუს ლიუდმილას და დამტკბარი ხმით მიესიყვარულა — ასწი ტრ...ი, ნანიკოო! ამან კი უკვე საბოლოოდ გამოიყვანა ჩემი „პადრუგა“ ანაბიოზური მდგომარეობიდან. :) ასე რომ, თუ ოდესმე, შუაგულ რუსეთში, ქართულ-კასპურ კილოზე მოსაუბრე რუსს გადაეყრებით, იცოდეთ, რომ ჩემი „ყოფილი მოსწავლეა“ და გულთბილი მოკითხვა გადაეცით ჩემგან. რა ვიცი... რა ვიცი... ცოდვაა ვითომ ეს?! ანაანო“.

ქალის მიერ დამარცხებული მეხანძრე

„სიმართლე გითხრათ, თემამ ამ მესიჯის წერისას, ქუჩაში ქარის მიერ აშლილი ფოთლებივით ამიშალა და გამახსენა წარსულში ჩადენილი, პატარ-პატარა „ცოდვები“ და ცუღლუტობები. ჩემივე უსაფრთხოებისთვის კი მხოლოდ რამდენიმე მსუბუქი შემთხვევის მოყოლით მივიპყრობ თქვენს ყურადღებას. გასულ წლებში, როდესაც „მიშა მაგარია“ და ვისთვის — „მიშა ნაგავია“ ჯერ კიდევ არ იყო, გემახსოვრებათ, რომ სკოლებში სითბოს შენარჩუნებისთვის, შეშისა და ნავთის ღუმელები გვედგა. ზამთრის ერთ, ცივ და კლასის დამრიგებელ ქალზე განაწყენების დღეს, მიზნად სამაგიეროს გადახდა დავისახე, რომელსაც მოსწავლეების სპეციალური გაკვეთილის სპეციალურ ოთახში გადაცვლების შემდეგ განვახორციელებდი. დადგა ჩემთვის ნანატრი დრო, ხელი ჩავჭიდე დამხმარე მეწყვილეს, სწრაფად „მივშუმახერფორმულავდით“ ღუმელთან და ნავთი დიდი დოზით მივაწოდეთ. შემდეგ არასასურველი გაკვეთილის გამო მობუზღუნე კლასელებს ბუზღუნითვე შევუერთდით და არასასურველ კლასში გადავინაცვლეთ... ზუსტად 15 წუთში ჩვენს სკოლას გაბმული სირენით მოადგა 2 „სახანძრო“. მე და ჩემმა „პადძელნიკმა“ ჩვენ მიერ გამოწვეული აურზაურის სანახავად „ეპიცენტრს“ მივაშურეთ. თავში ხელწაშენილი და შეშფოთებული სახით მდგომი დირექტორის უკან ჩამწკრივებულიყვნენ „მოპადხალიმე“ და „ვაიმე, ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს“ — მთქმელი სახის მასწავლებლები... ამასობაში კი მეხანძრეების ეკიპაჟიც გამოჩნდა „უშველგრძელებელი“ შლანგებითურთ. გაარღვიეს ჩვენი ტერიტორია, შეიჭრნენ კლასში და რამდენიმე წუთში ჩააქრეს: ცეცხლმოკიდებული ღუმელი, ფანჯარა, დამრიგებლის კარგა ხნის წვალებით მოქსოვილი საყვარელი ფარდა და იქვე მდებარე ქოთანში ჩარგული, გემრიელად გამხმარი ალოე... ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ მომხდარი ფაქტი ღუმელის გაუმართაობას დაბრალდა, რომელიც შეშის ღუმელში გადაგვიცვალეს და ყველას საკუთარი გამურული მერხისა და სკამის ხეხვა მოგვიწია. ვინ იცის, იქნებ ერთხელაც გავუმხილო ჩემს დამრიგებელს, რომ კლასის დაწვაში მიმიძღვის ბრალი.

ზაფხულის ერთ საღამოს მეტროსადგურ „ახმეტელიდან“ გამოსულმა, ხალხის ნაკადთან ერთად, ესკალატორისკენ გავწიე. ჩემ წინ ახალგაზრდა, თავზე „მინიბუჩქიანი“ და მხრებზე მრგვლად „ჩამოკოკოლავებულთმიანი“ გოგო მინარნარებდა, კოჭებამდე, ფარფალა კაბით და საკმაოდ თხელძირიანი ფეხსაცმლით... ესკალატორს რომ მივუახლოვდი, გოგონამ წონასწორობა დაკარგა და ერთი ფეხით ქვემოთა საფეხურზე გადმოინაცვლა, ამ შემთხვევით ვისარგებლე და ფეხი მისი კაბით დაფარულ საფეხურზე შევდგი. ასვლა რომ დააპირა, კაბა საჯდომიდან იმდენად ჩამოეწია, რომ მწვანე ფერის საცვალზე დიდი წითელი ასოებით დაწერილი FRIDAY შევნიშნე. გოგონა იმწამსვე შემოტრიალდა. უდანაშაულო ადამიანივით ავწიე ხელები და ის იყო, პირი გავაღე, რომ ჩემი უდანაშაულობა დამემტკიცებინა, ისეთი გამიტყლაშუნა, ხმა საერთოდ ვეღარ ამოვიღე... გოგონამ საფეხურები აირბინა, მე კი ლოყაზე ხელმიდებული და საკუთარ საქციელზე მოღიმარი ავყევი ესკალატორს... მისტერ“.

პროფესორული სირთულე

„ცოდვა გამხელილი ჯობიაო?! მდაა... არაა ადვილი თემა. არა, განა იმას ვამბობ, ცოდვა არ მაქვს და ვერ გაგიმხელთ-მეთქი?! პირიქით, ცოდვები მაქვს „ოპტომ“ — „ვედრო“ 20 თეთრად. უბრალოდ, რაიმე ისეთი უნდა შევარჩიო, ჩემს 16 გბ-ითიან მეხსიერებაში მარის სიმპათია რომ დაიმსახუროს. მაინც თავმოყვარეობამ მძლია და საჯარო აღსარებას თავს ვარიდებ. გასულ კვირას მოგწერე, რომ წიგნების კოლექციონერი ვარ. ამ კვირას კი გაგიმხელთ, რომ მედიცინით ვარ გატაცებული და რაც ხელში მომხვდება, ყველაფერს ვკითხულობ (არა მხოლოდ წიგნებს, სამედიცინო საიტებს, ექიმების ინტერვიუებს). ჰოდა, ერთ-ერთი ცნობილი პროფესორის ინტერვიუ წავიკითხე. ჟურნალისტი ეკითხება:

— თქვენს პროფესიაში რა არის ყველაზე ძნელი?

— საკმაოდ რთულია გავიგოთ, რომელია პაციენტის საყვარელი კერძი, რომ მერე კატეგორიულად ავუკრძალოთ მისი ჭამა!

სიმართლე გითხრათ, ამ პასუხზე ძალიან ბევრი ვიცინე (ჩემი აზრით, კარგ ექიმს იუმორიც კარგი აქვს)

— აი, ასე საჯაროდ გაამხილა ერთმა ცნობილმა პროფესორმა „ცოდვა“.

საწყალი ბებო

„ერთხელ, ჭორაობით დაღლილი მე და ლიზიკო ახალ გასართობზე ვფიქრობდით და მოულოდნელად, თავში ორიგინალურმა იდეამ დაგვარტყა, გადავწყვიტეთ, ლიზა ბებოს გავხუმრებოდით. სახლი ისეა მოწყობილი, რომ სამი მხრიდან შეიძლება შესვლა. ჰოდა, ჩვენც ხან ერთი მხრიდან მივეპარებოდით და ვეძახდით საწყალ მოხუცს, ხან მეორედან, ხანაც მესამედან. თან ვიმალებოდით და ისევ იმ ადგილზე ვბრუნდებოდით, სადაც დაგვტოვა. ბოლოს ჩვენც რომ დავიღალეთ და თან მივხვდით, მოხ-

ჰოლივუდი ის ადგილია, სადაც ყველა თვლის შედნიერი დასასრულია, ხოლო ყველა ჭორნინეშს — ოუნდოური

უცი სიგიჟის ზღვარზე იყო, ლიზის ოთახში შევედით. ცოტა ხანში ბაბოც შემოვიდა. ვაი, მგონი გავგიჟდი, რაღაცები მესმის და მეშინია, საგიჟეთში არ წამიყვანოთ. თან გული მაქვს ცუდადო. მაშინ მართლა ძაან ვინანეთ, რადგან მოხუცი საკუთარ თავს არ ჰგავდა და ეს უნებლიე ცოდვა ველარ გავამხილეთ. არადა, რას ვერჩოდით? ჩვენ ხომ უბრალოდ, გართობა გვინდოდა. კინაღამ მოვკალით ქალი. გაკოცეთ. სოფი19“.

მავნე

„მართლაც, ცოდვა გამხელილი ჯობია და ეს მე ვიყავი, ჩემს მეზობელ ვანიჩკას მანქანას სიგნალი რომ მოვუშალე. მაღვიძებდა ყოველ დილით და რა მექნა? ისიც მე ვიყავი, მეგობრის მაგიერ მამამისს რომ აუფეთქდა ანთებული სიგარეტი პირში და მერე 2 თვე ულვაშებს ხელახლა იზრდიდა. აბა, ძველი სულ დაეწვა და შეეტრუსა და... ისიც მე ვიყავი, მეზობლის ბლის ხეს ტაოტი რომ წავუსვი და სულ ქვევით სრიალებდა ვანიჩკა. აბა, არ გვაჭმევდა და... ჰოდა, ცოდვები იმდენი მაქვს, მე კი არა, ერთი დიდი ტრაილერი უნდა მის ტარებას და იქ, ზემოთ რა მეშველება, არ ვიცი... გკოცნით, გეხვევით, თქვენი ზუკ. იმედია, მიმიღებთ“.

მოიგო

„ჩემმა უცოდველმა ხუმრობამ ლამის მეზობლის ცოდვა ამკიდა. ლოტოს გათამაშებაში მთელი უბანია ჩართული, ავსებენ ბილეთებს, ელიან სამშაბათს და არის ერთი ამბავი. ჯეკპოტის მოხსნა და ცხოვრების აწყობა ყველას უნდა. ჰოდა, მეზობლები მყავს, გაუთხოვარი დები და გათამაშებაზე სულ მე მეძახიან, ეშინიათ, რამე ციფრი არ გამორჩეთ. ამ ორშაბათს ნელიმ, ერთ-ერთმა გაუთხოვარმა დამ დაიწუწუნა, ჩემს ძმას ცოლისძმა დაეღუპა, სატირალში მივდივართ რაიონში და არ ვიცი, ჩამოვუსწრებთ თუ არა გათამაშებას, ჩაიწერე ნომრები და დაგვახვედრეო. გადავწყვიტე, გავხუმრებოდი. შევედი, ხელოსანთან დამარეკინეთ, ტელეფონი გამიფუჭდა-მეთქი. იქვე, ტელეფონის მაგიდის უჯრაში ინახავენ ბილეთებს. ამოვწერე ერთი ბილეთის ციფრები და წამოვკუსკუსდი სახლში. მეორე დღეს, როგორც კი ჩამობრძანდნენ, დამირეკა ნელიმ, მითხარი მომგებიანი ციფრებიო. მეც, მშვიდად ვუკარნახე, დავდე ყურმილი და ველოდები რეაქციას. დავრეკე 10 წუთში. მანანამ, მეორე დამ აიღო ყურმილი. ციფრები არ დამეთხვაო და გამითიშა. არადა, მპირდებოდნენ, თუ მოვიგეთ, მანქანას გიყიდითო. ვკვდები სიცილით ჩემთვის, მოგუდულში და არ „მობრჭყვიალდა“ „სასწრაფო“? ერთი კი შემომკვნესა გულმა და გავვარდი გარეთ. გაჩერდა დების ჭიშკართან, შევყევი ექიმს და რას ვხედავ?! წევს ნელი აყირავებული, ატრიალებს მანანა თვალებს, გასვენებაში ინერვიულაო. ჰოდა, ვიფიქრე, სანამ ექიმი აქვეა, ცოდვა გამხელილი ჯობია და გეხუმრეთ-მეთქი, ვუთხარი. იქ ამბავი ატყდაა?! ახლა მანანა აყირავდა. ძლივს მოაბრუნეს. მლანძღეს, მაგინეს. ექიმი და ექთანი კვდებოდნენ სიცილით. მანო, შემირიგდით ახლა ჰე, რაღა ნახეთ? ხომ იცით, მიყვარხართ მაგრად, თქვენი გაზრდილი ხომ ვარ? ჰოდა, რაც ვარ, ეს ვარ. გკოცნით. ქუთაისელი“.

უჩინარი კავალერი

„ერთხელ მოწყენილი ვიყავი და გადავწყვიტე, გართობის მიზნით, რაიმე გიჟური გამეკეთებინა. SKYPE-ში „ლევად“ დავრეგისტრირდი და დაქალს მივწერე, ვითომ მისი თაყვანისმცემელი ვიყავი, მთელი მისი ნათქვამი ინფორმაციები გამოვიყენე და ნატო შოკში ჩავაგდე. პარალელურად, ნატო ტელეფონით მისი ახალი თაყვანისმცემლის შესახებ მიყვებოდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, 3 დღეში შეხვედრაზე დავითანხმე. პაემანზე წასვლის წინ შემომიარა და საყურეც გამომართვა. არ შემდგარი პაემნის მერე გულდაწყვეტილი ისევ მე მომადგა კაცების ლანძღვით. ეს ამბავი სულ რამდენიმე დღის წინ მოხდა და ახლა თქვენი საშუალებით გავუმხელ ცოდვას. ნატ, მაპატიე, ვაპირებდი თქმას, მაგრამ ისეთი გაცეცხლებული მოხვედი, ველარ გითხარი. ხომ იცი, რა გადარეული დაქალი გყავს? ისე, ეს ერთგვარი რევანშიც იყო. მიყვარხარ. უკვდავი ხმა“.

„ისეთი“ საპატარძლო

„ჩემს მეზობლად სულიერად ღარიბი და თაყვანისმცემლებით მდიდარი გოგონები ცხოვრობენ. ახლა რაშია საქმე: სამი დანი არიან და მათი ჭკუამხიარულება მთელ ქალაქშია განთქმული. თუმცა, რაღა დაგიმალოთ და აქეთ-იქით ძრომიალ-შიც ტოლს არავის უდებენ. ამის შესახებ, რა თქმა უნდა, უმეტესობამ იცის, მაგრამ რამდენიმე მეზობელს აინუნშიაც არ მოსდის მათი პატიოსნება-არპატიოსნების საკითხი. ზოგი მათ ქება-დიდებაშია და პატიოსნების ზენიტში აჰყავთ, ზოგისთვის კი თავლაფდასხმულები არიან. მათი დახასიათებაც არ გამიჭირდება: ერთი ჯარასავით ტრიალებს სახლში და მუდამ საქმეშია გართული, მეორე მთელი დღე სარკის წინ ბზრიალებს, მესამე კი სხვის თვალში ბეწვს ამჩნევს და დილიდან საღამომდე სხვების ძაგებაშია. ლიანა მათ შორიდან იცნობს და იმ კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნება, მათ ქება-დიდებაში რომ სძვრებათ სული. ლიანას დასაქორწინებელი დისშვილი ჰყავს და მისთვის საცოლეს ეძებს. ჰოდა, ბევრი ეძება თუ ცოტა, ერთ-ერთ დას, ნათიას დაადგა თვალი. გოჩასაც უთხრა, ერთი გოგო უნდა გაგაცნო, იქნებ მოგეწონოს და გეშველოსო. ერთ დღეს ლიანამ სადღაც მიმავალი ნათია დაინახა, შინ ყვირილით შევარდა და თითქმის ძალით გამოუყვანა გოჩა. ბიჭი ნათიას დანახვაზე სახტად დარჩა, ბოლოს კი გაირკვა, რომ მისი საყვარელი ყოფილა. შეწუხდა ლიანა, შენ შემოგევლოს დეიდა, შენთვის ცუდს როგორ გავიმეტებ, რა ვიცოდი, ასეთი „გაოხრებული“ თუ იყოო. იმის მერე საწყალი ქალი ნათიას და მის დებს რომ დაინახავს, ისეთ ქოქოლას მიაყრის ხოლმე, მტრისას და ავისას. რამდენიმე თვის წინ ერთი და გათხოვდა, მაგრამ არ გაინტერესებთ, ვისზე? დის შეყვარებულზე. ყველა ძალიან გააკვირვა ამ ამბავმა, ლიკას თუ უყვარდა, მეორე და რატომ გაჰყვა ცოლადო? საბოლოოდ მაინც ვერაფერი გაარკვიეს მეზობლებმა და დარჩა ამდენი უპასუხო კითხვა! ეს ამბავიც თითქმის დავიწყებას მიეცა, მაგრამ აგერ, ახლა, გულახდილობის ხასიათზე დამდგარი ერთ-ერთი და გვესტუმრა. ჩვენც რაღაცები გამოვკითხეთ და უპასუხო კითხვებსაც პასუხი გაეცა. თურმე, ეს ჩვენი ლიკა შეყვარებული ყოფილა ერთ პროვინციელ ბიჭზე. იმ ბიჭსაც ჰყვარებია, მაგრამ ლალი მურმანის ეკალივით ჩამდგარა მათ შორის და დის საქმროსთვის კეკლუცობა დაუწყია, მიყვარხარ და ვერ დაგთმობო (თან ამ ამბავს თავად ლალი გვიყვება). სხვა გზა არ მქონდა, მიყვარდა და რა მექნა, ავდექი და მასთან ერთად გავიპარეო. ლიკამ კი დღემდე არ იცის, რატომ მიატოვა საქმრომ. მოკლედ, მაგათ ოჯახში ნამდვილი ბრაზილიაა, რა. აი, ასე გაგვიმხილა თავისი ცოდვა ლალიმ და ის იყო, რაღაც უნდა ეთქვა, რომ სერიალი დაიწყო და ლაპარაკიც შეწყვიტა. თუმცა, მთავარი კი გაგვიმხილა და მეც, გამარჯვებულმა ჩავიბურდღუნე (ცოტა ხმამაღლა კი მომივიდა): ახლა შენს ცოდვას მარტო ჩვენ კი არა, მთელი საქართველო გაიგებს-მეთქი. — რა თქვი? — გაკვირვებულმა მკითხა. მეც დაბნეულმა წავიბურდღუნე: — აარა, არაფერი, ისე... უბრალოდ... და ტელეფონს ვეცი, რათა თქვენთვისაც მომეყოლა ეს ყველაფერი. გკოცნით. ლუნა“.

ჯანმრთელობა, ჩვენ ყველაფერი
გვაქვს სიცოცხლის საუფლოში
იდეალი და საუფლოში საბოლოც

დაბრუნდა

„მარი, ისეთ თემას დაგვიწერ ხოლმე, მიძინებულ ვულკანს გააღვიძებ და ამოაფრქვევინებ დაგროვებულ ცოდვებს. მოურჩენელი დეპრესია მაქვს. ამის გამო ამ ეტაპზე არც ერთ მეგობარს არ ვეკონტაქტები და ყველაზე ცუდი ის არის, რომ მათ გადამეტებულ ყურადღებასა და სიყვარულს არ ვიღებ. იმდენად გამოვდებილდი, რომ კამის ვუთხარი, მინდა ჩემი ცხოვრებიდან წახვიდე და არასოდეს მომწერო, ის გრუზინკა, რომელსაც ადრე იცნობდი, აღარ არსებობს, სულ სხვა ადამიანი ვარ-მეთქი. უარესიც, ლუნას ამას წინათ ისეთი რამე მივწერე, ამიკლო რეკვით და ყურმილიც კი არ ავიღე. ბოლოს მომწერა, მე ადრინდელი და გულისხმიერი გრუზინკა მინდა, რომელსაც დეიდას ძახილით ავიკლებო. ტირიფი ყველაზე მეტად აქტიურობდა და არ მაძლევდა მოდუნებისა და ცუდად ყოფნის საშუალებას. მწერდა ჩვენი გაცნობისა და ურთიერთობის ყველა წვრილმანს. ტირილით ვკითხულობდი მის მესიჯებს და ვიცი, ჩემი მეგობრები მართლები არიან. ასე არ უნდა ვიყო. უნდა ვიბრძოლო. ჰოდა, ჩემი ერთ-ერთი სისულელე „გზიდან“ წასვლა იყო. ვბრუნდები გზავნილების დასაწერად. გრუზინკა“.

მშიერი მოსწავლის „ცოდვა“

„სკოლაში რომ ვსწავლობდი, მეხუთე გაკვეთილის მსვლელობისას კარს დამრიგებელი შემოგვიღებდა და რომელიმე მოსწავლეს თონის პურის საყიდლად გვაგზავნიდა ხოლმე. თონე სკოლის ეზოში იყო და ბავშვს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა. წარმოიდგინეთ, მეხუთეკლასელი, მშიერი ბავშვი მივდივარ პურის საყიდლად. გზა რომ არ იცოდე, სუნს გაჰყვები და თონეს მაინც მიაგნებ. 2 ცხელი პური ვიყიდე და სკოლის კიბეებს ავუყევი. გზაში სასწავლო ნაწილის გამგე შემხვდა. მარიამ, ვინ გამოგაგზავნაო? ნათელა მასწავლებელმა-მეთქი. „მასწმა“ პური გამომართვა, მოიტეხა და ისევ მომაწოდა. გოგოებს უთხარი, ანზორი მასწავლებელმა მოიტეხა-თქო. უჰ, ერთი სული მქონდა, დერეფანში როდის გავიდოდი და კარისკაცის თვალს როდის მივეფარებოდი. სანამ მესამე სართულამდე ავიდოდი, მოვიტეხე და ყბები ავამუშავე. ეს მაგარსუნიანი პური, თურმე გემრიელიც ყოფილა. გეფიცებით, ეგრე გემრიელად პური არ მიჭამია მაშინაც კი, როცა ბებოსთან სოფელში თონის ცხელ პურსა და უგემრიელეს ყველს ვჭამ ხოლმე. თან, ბრმა ჭუკივით სულ მთელ-მთელები ვყლაპე, თავზე არავინ დამადგეს-მეთქი. მასწავლებლებმა გაკვირვება ვერ დამალეს პურნახევრის დანახვისას. ანზორი მასწავლებელი შემხვდა და მან მოიტეხა-მეთქი. P.S. განა რამდენი უნდა მომეტეხა, მართლა სულ ხომ არ შევჭამდი, მაგრამ გეფიცებით, ის 2 ლუკმა ქორწილის სუფრას მერჩივნა იმ წუთებში. ჭრიჭინა“.

ამაოხრებლები და ქურდები

„ეჰ, მართლა გამხელილი სჯობს, ვითომ? კარგი ბატონო და ბავშვობისას გავამხელ. უწყინარიცაა და მსუბუქიც. ჩემს და-ძმასთან შედარებით უეშმაკო ვეგონე ხალხს. არადა, მიწის ქვეშ რა ხდებოდა, არ გამომეპარებოდა და ხშირად მისარგებლია ჩემი შეუბღალავი რეპუტაციით. ზაფხულობით როგორც წესი, ბებია-ბაბუასთან წაგვასხამდნენ მშობლები, ბიძაშვილ-დეიდაშვილებს და ედგათ აწ ცხონებულ ბებია-პაპას, ჩვენგან გაგიჟებულებს, ქრისტეს ტირილი. ღმერთის წყალობით იმდენნი ვიყავით, საბავშვო ბაღს შევავსებდით. ამდენი ბავშვის ჟრიამული მართლაც ძნელი ასატანია. ბაბუას სმა უყვარდა, ჩვენ — ტკბილეული და ბებიკუნას დაკოჟრილი ხელებით ამოვლებული ჩურჩხელა, ჩირი თუ ტყლაპი, მაგრამ რად გინდა? ეს ყველაფერი ცალკე ოთახში ჰქონდა ბებიას ჩაკეტილი, გასაღები რა თქმა უნდა, წინსაფრის ჯიბიდან იწონებდა თავს და ყოველდღე ვმართავდით თათბირს, როგორ მოგვეპოვებინა ნანატრ ოთახში შესვლის უფლება. ერთხელ წამოვაყენე წინადადება, პაპასთვის ერთ ლიტრ არაყში გასაღები გაგვეცვალა. მოკლედ, არაყი ვიშოვეთ და სათათბირო კარავი ახლა პაპასთან გავშალეთ. ამ უკანასკნელს დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია. ჩაიბარა სასმელი, გადმოგვცა გასაღები თავის პირობიანად, რომ არც ერთ მხარეს ბებიასთან კრინტიც არ დასცდებოდა და გაეშურა პაპა პირის გასასველებლად, ჩვენ კი ყელის ჩასაკოკლოზინებლად. მოკლედ, ოთახი ისე დავარბიეთ და ავაოხრეთ, ორი კვირა კიოდა ბებია. მით უმეტეს, პაპამ არ შეგვინახა საიდუმლო და ამაოხრებლებთან ერთად, გასაღების ქურდებადაც შეგვრაცხა. მემე“.

უხერხულ წელს დაბადებული

„ამ დღეებში რაღაც უცნაური შემემთხვა და ვიფიქრე მომეწერა, რათა მგზავნელ ბიჭებს გოგოს გაცნობის ეფექტური ხერხი ვასწავლო. მარ, იმედია, ჩემთვისაც იპოვი პატარა ადგილს თქვენს სამყაროში და არ დამბლოკავ. მოკლედ, ერთ დღეს უცხო ნომრიდან მესიჯი მივიღე: „გამეცნობი? შენი ზოდიაქო და დაბადების წელი მაინტერესებს“. ცოტა დავიბენი და ვკითხე, ვინ ბრძანდებით-მეთქი. რა თქმა უნდა, მითხრა თავისი ვინაობა: „მე მაიმუნის წელში დაბადებული ვერძი ვარ და 1984 ან 1988 წელს დაბადებულის გაცნობაზე ვოცნებობ“. აი, ახლა კი გავმხიარულდი და ავყევი, კარგი, გაგეცნობი, მაგრამ იმედი უნდა გაგიცრუო, 85-იანი ტყუპი ვარ-მეთქი. აუ, ტყუპი კარგია, მაგრამ 85-ში რომ ხარ დაბადებული ცოტა უხერხულიაო. ჩემი გაოცება, დაბნევა და გაბრაზება უნდა გენახათ... ადამიანი რაღაცის გამო შეიძლება არ მოგეწონოს, მაგრამ სრულიად უცნობი ადამიანი რომ გეუბნება, უხერხულია, 85-ში რომ ხარ დაბადებულიო, გაბრაზდები, აბა რა იქნება (თუმცა, ეჭვი მეპარება, რომ უცნობი იყო. ალბათ ვიღაც ნაცნობი გამეხუმრა და აჯობებს, მიფრთხილდეს)?! ამით არ დამთავრებულა ჩვენი საინტერესო დიალოგი. იმავე საღამოს მომწერა, ვინმე გეყოლება ჩემი შესაფერისი (ანუ 84 ან 88-ში დაბადებული) და გამაცანიო. მეც ჩემს გულკეთილობას ვერაფერი მოვუხერხე და ერთი ახლობლის ნომერი მივეცი, 84-იანი ლომია, გაიცანი-მეთქი. არ ვიცი იქ რა მოხდა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ის ახლობელი ბიჭია, ორივე მოკვლით მემუქრება. მოკლედ, დავრჩი მარტო და იმედიც გადამეწურა, რომ ჩემნაირ, „უხერხულ“ წელში დაბადებულ გოგოს ვინმე დამელაპარაკება. მგზავნელებო, ძალიან კარგები ხართ, როცა არ ჩხუბობთ. გკოცნით... სონი“.

„არაფრის, ქალბატონო!“

„თავხედი, იდიოტი, გაუზრდელი, მაგან არ მოიყაროს ჩემი ხნისამ... აი, ამ სიტყვებით დაიწყო დილით ჩემმა „ბუდილნიკმა“ და დამიფრთხო ძილიც და ანგელოზებიც. ეს „მაღვიძარა“ ქალბატონი ჟუჟუნაა, რომელიც თავისი სახლის კედელზე თეთრი „კრასკით“, დიდი და ლამაზი ასოებით მინაწერს „წადი, შენი“ ინკოგნიტო ავტორზე ბრდღვინავდა. ყველაფერი კი ასე დაიწყო: ჟუჟოს შვილიშვილი ჰყავს, ქეთუშა. ისეთია, ისეთი, روووم! მაგაზეა ზუსტად ნათქვამი, დადის და დაიტყლარჭებაო. საკმაოდ გაბღენძილი გოგოა, ცანცარა და ვითომ ძაან მაგარი. ამას წინათ ქეთუშამ, რაღაც უნდა ვთქვაო და მოჰყვა, რამდენს უყვარს, როგორ იჭრიან მისთვის ვენებს ეს ბიჭები და ა.შ. მისივე სიტყვებით გეტყვით, რომ ეს დებილი და მაყუთისტი ბიჭები სულ „ნისან-ფერარ-მერსედესებით“ ანებივრებენ

თანახმა ვარ! — ის სიტყვებია, პოტლებსაც ჭალები თავალებით ოფარ ხშირად ამბობენ, ვიდრე — ბავშვებია

(თავისი გამოცარიელებული ტვინით თუ ვიმსჯელებთ, აქ მე შემაშურა, რა). სწორედ ამ ძაან-მონოლოგის მერე გაჩნდა მისი სახლის კედელზე წარწერა: „წადი, შენი!“ დაწერის მოტივს ყველა მიხვდა, ვინაობას — ვერავინ! დღეს გადავწყვიტე, ვიზრუნო ცოდვის გამხელაზე და გითხრათ, რომ ის იდიოტი, თავხედი, გაუზრდელი და ყველანირად უნარდამდაბლებული მე ვარ, მეეე! აბა, რა მექნა? გაციების გამო ხმა აღარ მქონდა და ეს ორი სიტყვა როგორმე ხომ უნდა მეთქვა? ამ წარწერის მერე მაინც იფიქრებს ალბათ ქეთოს მამა სახლის „გაბრიზგვას“ და ჟუჟოც უკვე მადლობებს მომიძღვნის. არაფრის, ქალბატონოოო! დამავიო“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ტელეფონით გავიცანი ბიჭი. სურათები გავცვალეთ და შევხვდით კიდეც ერთმანეთს. ულამაზესი იყო. გაგრძელდა ჩვენი ურთიერთობა 2 წელი და როცა უკვე ქორწილი უნდა გვქონოდა, გამანდო, რომ პირველი 3 თვე მისი ტყუპისცალი მხვდებოდა, რადგან თვითონ ციხეში იჯდა და არ უნდოდა ჩემი დაკარგვა. ღმერთს მადლობა, ყველაფერი გამიმხილა და არ გავყევი. ციხეში მკვლელობისთვის იჯდა და არც კი ნანრობდა. უცხოეთში წავედი ბებიასთან და დავივიწყე. ახლა ჩამოვდივარ და გავიგე, ის ისევ ციხეში დაბრუნდა. ხრუხუნა“.

„ძალიან მახარებს ძველი მგზავნელების დაბრუნება. განსაკუთრებით კი ჩიხტიკოპიანი დილეტანტის. ყოველთვის სასიამოვნო წასაკითხი იყო მისი გზავნილები. შეწირულო, რას მერჩოდი, ცრემლები რომ მაღვარღვარებინე? პარიი, შენს გზავნილზე იმ დროში დავბრუნდი, როცა პაატარა გოგო ვიყავი და შემთხვევით მეზობელთან „გზა“ წავიკითხე. მართალია, მაშინ არ ვმგზავნელობდი, მაგრამ ჩემთვის, ჩუმად მიყვარდა ადამიანები, რომელთა ამბებსაც შემდეგ სკოლაში მეგობრებს ეუყვებოდი და ვამხიარულებდი. ბოლოს კი დავამატებდი, ჩემს ახლობელს შეემთხვა-მეთქი. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ წლების შემდეგ ეს ადამიანები მართლაც ასეთი ახლობლები გახდებოდნენ ჩემთვის. ნეტა ასე მოულოდნელად და ლამაზად ამისრულდეს წარმოუდგენელი ოცნებები. ამის უკვე მჯერა... მიყვარხართ... SWEET-GIRL“.

„ერთი გამხელილი ცოდვა ჩამაბარეს, 4 თვის წინ, როცა ჩემი ბავშვობის მეგობარი, 8-წლიანი პაუზის შემდეგ შემეხმიანა „ოდნოკლასნიკების“ საშუალებით და გამიმხილა, რომ ბავშვობაში მასაც ვუყვარდი. ამას იმიტომ არ ამხელდა, რომ ჩემთან ახლოს ყოფილიყო. ეგ რომ გამემხილა, აბა, შენთან სახლში ვინღა მომიშვებდაო? ჰოდა, აღსარებაში ისიც მითხრა, რომ თურმე მათი სკოლიდან გადასვლის შემდეგ, კიდევ კარგა ხანს ატყუებდა კლასელებს, ლელასთან დავდივარ და ვნახულობო. ეეჰ, წავედი, თორემ უფრო სერიოზულ ცოდვებზე გადავალ. მე ისევ აქ ვაააარ! ეშმაკუნა“.

„რადგან გამხელილ ცოდვებზე მიდგა საქმე, ჩემს „შავ წარსულს“ კიდევ ერთხელ გადავავლებ თვალს. :-) ერთი მეგობარი მყავს თათია. რაც მე იმისთვის გაჩალიჩებული მაქვს, რომ გაიგოს, არ ამცდება მუხის კუბო (ჯვარი მწერია) და შავი მიწა, მე საცოდავს. ერთხელ ახალი ნომერი ავიღე და ბიჭის სახელით დავუმესიჯე. დღემდე სჯერა, რომ ბექა ბაზალი არსებობს მის თაყვანისმცემელთა სიაში. ეგ კიდევ რა არის იმასთან შედარებით, მთელი სამი თვე რომ ვატყუე, ჭიდაობაზე დავდივარ-მეთქი და ესეც დღემდე სჯერა. ამიტომაც დამარქვა გელა და დღემდე მაბრაზებს. :-) იმედი მაქვს, არ წაიკითხავს. მართლა დიდი იმედი მაქვს. ჰოდა, მარ, თუ რამეა, დაპატიუებულები ხართ მომავალ ხუთშაბათს, ჩვეული დროით ანუ 2 საათზე, ჩემი „დარგვის“ ცერემონიალზე. არ გავიგონო ტირილი და მუჭით მიწის მიყრა. ეგ მაინც არ მიშველის და აბა, თქვენ იცით, „ტანგოთი“ გამაცილეთ. მე მაინც მოვალ! სოფი19“.

„ძვირფასო დედიკო, და ძვირფასო დეიდა, მე ვარ ის ადამიანი, რომელმაც ყავის საფქვავში პილპილი დაფქვა, მწარე ყავა დაგალევინათ და გემოს შეგრძნება დაგაკარგვინათ. მართალია, დიდი ხნის წინ იყო, მაგრამ ვიცი, დღესაც ძალიან გაინტერესებთ დამნაშავის ვინაობა. ასე რომ, „ცოდვა“ გავამხილე, მაგრამ თუ არ წაიკითხავთ?.. ჰაუსი“.

„ცოდვა გამხელილი ჯობიაო და მინდა, რაღაც გაგიმხილოთ, რაც თქვენ ჯერ არ იცით. იცი, ჩვენო შემოქმედო, განუმეორებელო და ერთადერთო მარიამულო, რომ შენ და მგზავნელები ძალიან მიყვარხართ? არ იცით. არც ის იცით, რომ ათბალიანი მონატრებით მენატრებით. არც ის, რომ ყოველ ხუთშაბათს ვიზეპირებ „გზავნილებს“, რათა უთქვენობა არ ვიგრძნო. არც 9717-მა იცის, როგორ მიფორიაქებს სულს ის ლექსები, რომლითაც „გზის“ ფურცლებს ათრთოლებს და ამის გამო როგორ ვაფასებ მას. არც ენიგმამ იცის, მისი ნიჭის წინაშე როგორ ვიხრი ქედს და როგორ სათუთად ვინახავ მისი უიშვიათესი მუზით ჩემთვის შექმნილ ლექსს. არ იცის პარიჟანკამ, იკუშკებმა, გრუზინკამ, ფინტიკოზამ, ლუნამ, კანიბალკამ, ელექტრამ, ლიმონამ, ილინმა და მამაცმა თოჯინამ, რომ ჩემი ფავორიტები არიან. რომ „გზავნილების“ დასაბამიდან მიყვარხართ და უკუნისამდე მეყვარებით ყველანი. თქვენ, ჰო, თქვენ, ნიჭიერო მისტერ, თბილო მაესტრო, უკეთილშობილესო იდუმალო და სევდიანო ქალო, ქალო ცდუნებავ, საყვარელო, პატარა მავნევ, ერთადერთო მგზავნელო ჯარისკაცო (მგონი არ ვცდები) FILIPPO, პატარა აბეზარავ, ცხოვრებისგან გულნატკენო პუსიკავ. სამართლიანო ფეშენავ, ლამაზო ედელვაისო, კოლორიტო ოლეგარიო, მხიარულო ჯეჯე, დინჯო მანაველო, უთბილესო წყვილო — ტირიფო და მგზავრო, უმშვენიერესო იასამანო, აზიელო, თოლიავ, ნიღბოსანო, სესი და ბაო-ბაო, საქართველოზე მონატრებულო, ათენში მყოფო მგზავნელებო. გადაკარგულო და მონატრებულო მონასტრის ბიჭო, ბოხო, ბოა, ვერმახტ, გერასიმე, თინეიჯერო შინაბერავ, ლილუ-20, თაისო, სათნო ლორელაი, ჩემო ლამაზო კარდიოლოგო, მობილიზაციის SMS-ლიდერო, ASHLEY, ჩვენო დაკარგულო მოხუცო მებაღევ, გემრიელო შოკოლადა, ჩვენო საამაყო პატრულო ელისო, ბერბიჭას, ცხრათვალას და ცისიას ტრიოვ, კოზანოსტრავ, ჩუპი, დუჩი, ლა-ლოლა, SWEET-GIRL, მემე, სოფი19, GREEN GIRL, მე, ბამბუჩა, ჭრიჭინავ, შეწირულო, ეშმაკუნავ, ლეო-91, ფლამინგო, აბლახანუმ, კამ-კამა (ვინც აქ გამომრჩა, იცოდეთ, გულში მყავხართ და მაპატიეთ). მიყვარხართ!!! არიადნა“.

„თითქმის ყველა ქალის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ცხოვრების თანამგზავრს ირჩევს, მას პატარ-პატარა გამოცდებს უწყობს, რათა დარწმუნდეს, რომ მის გვერდით ის პიროვნება იქნება, ვინც გაუგებს, არ უღალატებს, ყოველთვის მის სიმშვიდეზე იზრუნებს... იცი მარ, ზუსტად ეგ პერიოდი მაქვს ახლა... ჩემ გვერდით მყოფებს ყოველთვის ვუწყობდი პატარ-პატარა გამოცდებს, მაგრამ ვერავინ აბარებდა... ახლა კი ჩემი „ლოვუკა“, რომელიც ზუსტად ისეთი მეგონა, როგორიც ჩემი ოცნების მამაკაცი, გამოვცადე. სხვისი სახელით მიწერე და ვერც მან ჩაბარა. გილოცავ, ძვირფასო, შენც წარმატებით ჩაიჭერი! :)

მართალი ხართ, ცოდვა გამხელილი ჯობია... ჩემი „ლოვე“ გოიმია. მოღალატენო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! განა რამე? უნდა დაგთვალოთ, რა... ჭორიკანა“.

„ბათუმიდან თბილისს სტუმრად ეწვია ქალი ცდუნება. ჰოდა, ამ მშვენიერმა ქალბატონმა მე და იდუმალ ქალს დაგვირეკა და მოგვიკითხა. რომ გვითხრა, თბილისში ვარო, მოვიწვიეთ სტუმრად, იდუმალთან ავედით სახლში. ჭრიჭინასაც დავურეკეთ და ისიც მოჭრიჭინდა. მაგრად მოვილხინეთ და ვიმხიარულეთ. მეორე საღამოს ცოტა მოგვიანებით ქალი ცდუნება კვლავ გვესტუმრა. მე და ცდუნებამ იმდენი ვიცეკვეთ, ამ სიცივეში ოფლი გვდიოდა. ნეტავ გენახათ, ქალ ცდუნებამ ფეხზე ჩექმა რომ გაიძრო და იატაკიდან ღვინით სავსე ჭიქა პირით როგორ აიღო! აი, ქალიც ამას ჰქვია და ჩექმაც ამას სცმიაააა! ისე, რა მაგარი იყო იცით, მგზავნელებო? როგორ ჩავეხუტეთ და ვეფერეთ ერთმანეთს! ჩხუბსა და ერთმანეთის ლანძღვას ასე არ ჯობიაააა?!“ ■

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „სასაცილო სიტუაცია“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“ ამჯერად გთავაზობთ კითხვას: „რა გამაკვირვებს ყველაზე მეტად?“

„ძველი სიყვარული სიძულვილმა შეცვალა“

„ვნება მაშინვე ქრება, როგორც კი ჟინს დაიკმაყოფილებ“

„გზის“ №3-ში დაიბეჭდა 17 წლის ნათიკოს მესიჯი, სათაურით — „დაორსულება და ცხოვრების საბოლოოდ დანგრევა არ მინდა“. იგი გვწერდა: „ლოვეს“ 4 თვის წინ გავშორდი, მაგრამ ნიკუშამ თითქოს, ჯადო გამიკეთა... მეუბნება, რომ სერიოზულ ურთიერთობას არავისთან აპირებს, მაგრამ მე ნიკუშას გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. თანახმა ვარ, მისი გავხდე, მაგრამ ამავდროულად, მეშინია, რომ მომავალში ეს ნაბიჯი სანანებელი გამიხდება“.

ლიკა ქაჯაია

KIS GIRL:

„სავალდებულო არაა, მისი გახდე. ეს შეიძლება, სანანებელი გაგიხდეს. მე ვერაფერში დაგარწმუნებ, უფალი დაგანახვებს სწორ გზას“.

ბედისგან ტანჯული:

„ეს წერილი რომ წავიკითხე, მეგონა, ჩემს ამბავს ვკითხულობდი და ძალიან შევშფოთდი. მეც მივენდე ადამიანს, რომელიც სიგიჟემდე მიყვარდა, ახლა კი ხან ვისთან ვათევ ღამეს და ხან ვინ შემიფარებს ხოლმე, ჩემს პატარა ბიჭუნასთან ერთად... ძველი სიყვარული სიძულვილმა შეცვალა. თუ ბიჭს უყვარხარ, ის ასეთ რამეს არასდროს შემოგთავაზებს. გთხოვ, პატარავ, ჩემს შეცდომაზე ისწავლე, არ დაბრმავდე. აბა, რად გინდა ჩემნაირი ძალდატანებითი სიცოცხლე?..“

დონ-გიორგი:

„როცა ვინმე მართლა გიყვარს, მასთან სექსზე არ ფიქრობ. ასეთი სიყვარული ყოველთვის მეორეხარისხოვანია. ექიმი ვარ და მესმის, გარდატეხის ასაკში ხარ (ანუ აგზნებული ბრძანდები) და ვნება სიყვარულში გერევა. შენს ასაკში ხშირად ჰგონიათ, რომ ყველაფერს სწორად აკეთებენ, მაგრამ ასე არ არის. დარწმუნებული ვარ, ის ბიჭი თავისას გაინაღდებს თუ არა, თქვენი სიყვარულიც დასრულდება. ქალი მაშინ ფასდება, როცა მიუწვდომელია. მერწმუნე, კაცებს სტიმულს გვაძლევს ქალისთვის ბრძოლა. არ მაქვს უფლება, გითხრა, — დაშორდი-მეთქი, რადგან თითოეული ჩვენგანი თავადვე ირჩევს საკუთარი ცხოვრების გზას, მაგრამ იცოდე, ქართველმა ქალმა, მით უმეტეს, ტრადიციების მიმდევარ ოჯახში აღზრდილმა, მანდილის შეუბღალავად ტარება უნდა შეძლოს. გირჩევ, ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანო, ეკლესიაში იარო, მოძღვარს გაესაუბრო და ეს დაგეხმარება“.

სვანის ასული:

„როგორც ჩანს, ის შენი ცხოვრების ჰორიზონტზე მაშინ გამოჩნდა, როცა დეპრესიაში იყავი და ყურადღების დეფიციტს განიცდიდი. ალბათ, მან დაშაქრული ენით მოგხიბლა. იცოდე, არასდროს არავისზე დამოკიდებული არ გახდე. კარგია, რომ ტრადიციები შეცდომისგან გიცავს, მაგრამ ეს ბუნებრივად უნდა ხდებოდეს და არა — შიშის გამო. თუ ის სერიოზული ურთიერთობისთვის მზად არაა, შენ რატომღა უნდა დასთანხმდე მეორეხარისხოვან როლს? თავმოყვარეობას მოუხმე, თორემ ცხოვრებას დაინგრევ. რადგან სხვანაირად არ შეგიძლია, განაგრძე მასთან ურთიერთობა, მაგრამ დისტანცია დაიცავი; არ აგრძნობინო, რომ მის გამო ყველაფერზე წამსვლელი ხარ და ეცადე, მისი ნაკლოვანებები აღმოაჩინო, დანარჩენს კი მომავალი გიჩვენებს. თუ კარგი ადამიანია, სერიოზულ ურთიერთობას შემოგთავაზებს და მის ცხოვრებაში ღირსეულ ადგილს დაიკავებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯანდაბაში გაუშვი“.

რუსპირი:

„ძალიან მაინტერესებს, რა იყო შენი და შენი „ლოვეს“ დაშორების მიზეზი? კარგი იქნებოდა, მიგეთითებინა, ნიკუშა მასთან დაშორების შემდეგ გაიცანი თუ მანამდე? მაპატიე პირდაპირობა, მაგრამ რამ გადაგრია?.. უნდა დაშორდე! ვიდრე გვიანი არაა, წერტილი უნდა დაუსვა ურთიერთობას, რომელიც ცხოვრებას დაგინგრევს. საკუთარი საქციელით შეურაცხყოფ არა მარტო შენს სახელს, არამედ ოჯახს, გვარს. გინდა, „ნახმარი“ გოგო გერქვას?.. ჯერ 17 წლის ხარ, ისწავლე, ისიამოვნე, დატკბი ბავშვობით, ხოლო აკრძალული ხილის დაგემოვნებას ყოველთვის მოასწრებ. ნიკუშასაც მესმის — მეც ბიჭი ვარ და როცა გოგო „ზედ გახტება“, უარის თქმა „ტეხავს“. რა, იმპოტენტი ხომ არაა? ისე, სადაც პირველი „ლოვე“ 4 თვეში დაგავიწყდა, მასთან დაშორებასაც როგორმე გადაიტან. საშინლად იქცევი და თან, ამისი არც კი გრცხვენია. შეიძლება, ამ მესიჯის წაკითხვისას გაბრაზდე, მაგრამ შენთვის მხოლოდ კარგი მინდა“.

ლიმე:

„მესმის, რომ მასთან დაშორება არ გინდა, მაგრამ იცოდე, ლოგინში თუ ჩაუგორდები, დაორსულდები და ცხოვრებას დაინგრევ“.

იკუშკები:

„იმედი მაქვს, ჩვენს რჩევას გაითვალისწინებ. მართალია, მე შენზე მხოლოდ 5 წლით უფროსი ვარ, მაგრამ იმდენი გამოცდილება კი დამიგროვდა, რომ რაღაცები საკუთარ თავსაც ვასწავლო და სხვასაც პასუხისმგებლობით სავსე რჩევა მივცე... ადამიანს ინტუიცია არასდროს ღალატობს, შენ კი, როგორც ჩანს, ის გკარნახობს, რომ შეცდომას უშვებ! ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ, წინ ულამაზესი მომავალი გელის და არ მესმის, რატომ ირთულებ ცხოვრებას? საშინელება ქალიშვილობა კი არა, მამაკაცთან უსიყვარულოდ ცხოვრებაა, შენ კი სიტყვა „სიყვარული“ ერთხელაც არ გიხსენებია... შენს ოჯახზეც იფიქრე, ჯერ მათზე ხარ დამოკიდებული და გინდა თუ არა, უფლება არ გაქვს, მათ გული ატკინო ან იმედი გაუცრუო. ჩემი, როგორც მეგობრის და უბრალოდ, ქალის რჩევა გაითვალისწინე: ნუ გადადგამ ისეთ ნაბიჯს, რომელიც შენს ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის. დამიჯერე, ეს ტკივილისა და იმედგაცრუების გარდა, არაფერს მოგიტანს. შენს გულში ახლა ვნება ბობოქრობს და შეეცადე, ლოცვით განდევნო იგი. ვნება სიყვარულს მიმსგავსებული გრძნობაა, რომელიც მაშინვე ქრება, როგორც კი ვნებით შეპყრობილები საკუთარ ჟინს დაიკმაყოფილებენ და მერე, მხოლოდ სინანული რჩება“.

ნათია, 21 წლის:

„ჩემო კარგო, გთხოვ, თავი შეიკავე. ჯერ ძალიან პატარა ხარ და ცხოვრებას ნუ დაინგრევ. ის გაურთობა და მიგატოვებს, შენ კი მარტო დარჩები, დეპრესიაში ჩავარდები... ეცადე, თავი დაიფასო და კაცის სათამაშო არ გახდე, მით უმეტეს, რომ ნიკუშას მხოლოდ გართობა უნდა. დამიჯერე, სიყვარულით შექმნილ ოჯახს არაფერი სჯობია!“

გადარეული:

„თუ ის ბიჭი გეუბნება, შენთან სერიოზულ ურთიერთობას არ ვაპირებო, ე.ი. შენით გართობა სურს. არ შეცდე, რა დროს დაორსულებაა?! ჩემი მეზობელი რომ შეცდა, 9 თვე მუცელგაბერილი დადიოდა“.

ლუნა:

„იმ ბიჭს, რა თქმა უნდა, მხოლოდ გართობა სურს! აბა, სხვა რა უნდა იფიქროს ადამიანმა? თუ გრძნობებს აჰყვები, ინანებ. შეეცადე, რეალურად იაზროვნო, თორემ

ილუზიები მხოლოდ გულგატეხილობას შობს. მაპატიე, მაგრამ მაინც, უნდა გთხოვო — და-შო-რდი. ვნება, რომელიც მის მიმართ გაქვს, მალე გაუფერულდება. იცოდე, ვნება წამიერია, სიყვარული კი — მუდმივი. გაუფრთხილდი შენს პატიოსნებას და დაელოდე ისეთი ადამიანის გამოჩენას, ვინც ნამდვილ სიყვარულს გაგრძნობინებს. გაკოცე“.

ჭრიჭინა:

„ის სერიოზულ ურთიერთობას არავისთან აპირებს და მიუხედავად ამისა, თანახმა ხარ, მისი გახდე ანუ პრეტენზია არ გექნება, საყვარლის იარლიყს რომ მოგაწებებს? ერთმანეთის მიმართ ლტოლვა, ვნება გამოძრავებთ და ეგ სიყვარულს სულაც არ ნიშნავს. მოკლედ, შენი ცხოვრების მჭედელი თავადვე ხარ და ისე უნდა მოიქცე, რომ მერე ყველაფერი თავზე არ დაგემხოს. ძვირფასო, ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი. მასთან ახლო ურთიერთობაზე უარი უნდა თქვა. მართლა მაინტერესებს, როგორ წარიმართება შენი ცხოვრება და იცოდე, ყველაფერი გაგვაგებინე“.

მორჩილა:

„დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება. გახსოვდეს, საკუთარმა არჩევანმა ბედნიერება უნდა მოგიტანოს და არა — სინანული“.

ASHLEY PCD:

„გოგო, თავში ჭკუა არ გაქვს? ბიჭი გეუბნება, შენთან სერიოზულ ურთიერთობას არ ვაპირებ, მაგრამ არც მიგატოვებო ანუ გამოგიყენებო და მაინც მასზე ფიქრობ?.. თან, არც კი იცნობ, „პროსტა“ მიეჩვიე და ვნებას ხარ აყოლილი. იმ ბიჭს აღარ მისწერო, თორემ დაგღუპავს და გვიანი იქნება თითზე კბენანი“.

EKO BOY, **ქოგულეთი:**

„შენ არც კი იცი, მას როგორი ხასიათი აქვს. იქნებ, კარგად იმიტომ გექცევა, რომ თავი მოგაწონოს და მერე შენთან გაერთოს?! აჯობებს, შეყვარებულობის პერიოდი დიდხანს გაჭიმო — ასე უკეთ გაიგებ, როგორი პიროვნებაა. დაიმახსოვრე, ბიჭთან რაც უფრო მკაცრი იქნები, მით უკეთესია... ისე, მე ამ მესიჯს ასე დავასათაურებდი: „ჯარისკაცის საყვარელი ანუ გათხოვება მინდა, დაორსულება — არა“.

ფილიპე:

„ჩემო კარგო, მეც ჯარისკაცი ვარ და მგონი, ჩემი რჩევა გამოგადგება. ჯერ ერთი, თუ ტრადიციების მიმდევარი ოჯახიდან ხარ და ეს შენთვის მნიშვნელოვანია, მაშინ პატივი ეცი ამ ტრადიციებს; მეორეც, ჯერ მოზარდი ხარ და ამ ცხოვრების არა გაგეგება რა. ვიდრე რაიმეს მოიმოქმედებ, კარგად დაფიქრდი. არაა სავალდებულო, ლოგინში ჩაუწვე პიროვნებას, რომლის გარეშეც ცხოვრება არ შეგიძლია (როგორც ამას თავად ამბობ), მაგრამ თუ ჰორმონები და სხვა რაღაცები ძალიან შეგაწუხებს, ამ შემთხვევაში, თავის დაცვის უამრავი საშუალება არსებობს... დამიჯერე, ნათ, ეგ ურთიერთობა კარგს არაფერს მოგიტანს. დარწმუნებული ვარ, 6 თვის წინ შენს ყოფილ „ლოვეზეც“ ამბობდი, — მის გარეშე ვერ გავძლებო. ასე რომ, ნუ მიედმოედები რაღაცებს და გამოფხიზლდი!“

მეამგოხე სული:

„ჩემო კარგო, როგორც ჩანს, მისგან სერიოზულ შემოთავაზებას არ უნდა ელოდო ანუ ნიკუშას ცოლობის პერსპექტივა არ გაქვს და დავიჯერო, მისი საყვარლის ამპლუაში ყოფნა გაკმაყოფილებს? შენ მასთან ვნება გაკავშირებს და არა — სიყვარული. როგორც ამბობ, ტრადიციების მიმდევარი ოჯახიდან ხარ და თავი ამიტომაც უნდა მოთოკო. თან, ჯერ სრულწლოვანი არ ხარ. ახლა გგონია, რომ ნიკუშა გიყვარს, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ მიხვდები, რომ ვნებამ დაგიმონა“.

გრუზინკა:

„ნათი, ბიჭებს მიუწვდომელი გოგონები მოსწონთ და დამიჯერე, როგორც კი იმ წმინდას დაკარგავ, რასაც ქალიშვილობა ჰქვია, თავს დაგანებებს. ბიჭების მეტი რა არის? დაიმახსოვრე, ქალის ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი პატიოსნებაა. თანაც, შენ ჯერ მხოლოდ 17 წლის ხარ და ყველაფერი წინ გაქვს. ცხოვრება არ დაინგრიო. წარმატებები!“ ■

„თბილისში საქათმეც კი ძალიან ძვირი ღირს“

„ნეტავ, მგზავნელები მილიონერები ვიყოთ“

„გზის“ №3-ში დაიბეჭდა სოფოს მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: — დამეხმარეთ თანხით, რათა თბილისში ერთოთახიანი ბინა ვიყიდო. ოჯახში პრობლემები მაქვს და აქ ცხოვრება აღარ შემიძლიაო.

ჭრიჭინა:

„ჩემო ძვირფასო, თუკი მგზავნელები და მკითხველები შენი დახმარების სურვილს გამოთქვამენ, მზად ვარ, მათთან ერთად მეც გამოგიწოდო დახმარების ხელი. ისე, იქნებ „დაგრუზულმა“ მიიღე ასეთი გადაწყვეტილება და არც ისე ცუდად გაქვს საქმე? რა ვიცი, მინდა, რომ ეგრე იყოს და... ოჯახში პრობლემა ყველას გვაქვს და არის შემთხვევებიც, როცა ახლობლებისგან გაქცევა გვინდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდება. უფლის მფარველობა და გამძლეობა არ მოგკლებოდეს“.

გრუზინკა:

„ხომ იცი, თბილისში საქათმეც კი ძალიან ძვირი ღირს. იქნებ, სოფლად გეყიდა პატარა ბინა?! ნეტავ, მგზავნელები მილიონერები ვიყოთ...“

დამავოი:

„სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე, შენი მესიჯი ძალიან ცუდად მომხვდა გულზე. აქ მომესიჯე თინეიჯერების 90% უმუშევარია და იმდენი მაყუთიც არ გვაქვს, რომ ვიღაცას ასე ძვირად ღირებული სურვილის ასრულებაში დავეხმაროთ. გისურვებ პრობლემების მოგვარებას და მაღალანაზღაურებადი სამსახურის პოვნას, რათა თავადვე შეძლო საკუთარი მატერიალური სურვილების დაკმაყოფილება. წარმატებები!“

რუსპირი:

„სოფო, გენაცვალე, აქ ფონდი „იავნანა“ არ არის!.. დავუშვათ, მე გიყიდე ბინა, მერე, შენ რომ რამე დაგემართოს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან გადავხტე თუ მარცხენადან? ან იქნებ, გამზრდელივით, ტყვია დავიხალო შუბლში?.. მაპატიეთ, თუ ძალიან კრიტიკული ვარ, მაგრამ ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. ისე, კომპიუტერი არ მაქვს და თუ რამე, მეც აქ ვარ“.

MOONSHINE:

„რაღაც არანორმალურს ითხოვ თინეიჯერებისგან. იყავი რეალისტი და მეცხრე ცაზე ნუ დაფრინავ, მიწაზე დაეშვი, რა. შენს „ესემესზე“ ვიხალისე, საღოლ!“ ■

„თუ მართლა ვუყვარდი, დანაშაული რატომ ჩაიდინა?..“

პუტკუნა ნანუკა:

„გამარჯობა. ადრეც დაგიმესიჯეთ და მადლობელი ვარ თქვენი რჩევებისთვის, მაგრამ დახმარება ახლაც მჭირდება: 7 თვე ვიყავი შეყვარებული, ბედნიერი, მაგრამ ის 1 თვის წინ დაიჭირეს და 10 წელი მიუსაჯეს. ძალიან ცუდად ვარ და უკვე სიყვარულის აღარ მჯერა. თუ მართლა ვუყვარდი, დანაშაული რატომ ჩაიდინა?.. დავიღალე ფიქრით და ახლა თქვენი გონივრული რჩევების იმედი მაქვს. მიყვარხართ“. ■

P.S. მაშ ასე, თუ პუტკუნა ნანუკას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. თუ აქ არის შეძლებული, თავისუფალი, ქალაქელი ადამიანი და, რა თქმა უნდა, სიმპათიურიც, შემეხმიანოს. სალი.

2. ვარ 32 წლის, გასათხოვარი, სიმპათიური, განათლებული გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35-40 წლამდე მამაკაცს.

3. მე-2 ნომერს. ვარ გოგო. გია27, იურისტი ვარო, მომწერეთ. დამირეკეთ, თქვენს ნომერს ვერ ვიგებ. თუ მიხვდებით, რომელიც ვარ.

4. ვარ 22 წლის, სუსტი, მაღალი, ლამაზი. მინდა გავიცნო მხოლოდ ქუთაისელი, მაღალი, სიმპათიური ბიჭი, 25 წლამდე. ქუთაისელების გარდა არავინ შეიწუხოთ თავი. ლოვე777.

5. მინდა გავიცნო მოსიყვარულე, გულთბილი მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ ნინი, 24 წლის.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

6. ვარ 179/18/75. მსურს შევქმნა ლამაზი ოჯახი, მაგრამ ვერ ვიპოვე ჩემი ღირსი ვერავინ. დამირეკეთ და იქნებ ერთ-ერთს გაგიმართლოს. ეჰ, სიყვარული... დიკი ანგელი.

კაცები

7. გავიცნობ 20-25 წლამდე ასაკის გოგოს, ლაგოდეხის რაიონიდან. ვარ 30 წლის მამაკაცი. გელოდებით.

8. გავიცნობდი 30 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ვარ ცოლგანაშვები და მინდა ვიცხოვრო საყვარელ ადამიანთან.

9. გავიცნობ 35-41 წლის ქალბატონს, ბინით უზრუნველყოფილს. ვარ 42 წლის. დანარჩენი — პირადად.

10. ობოლო გოგო, მთლად ობოლი ბიჭი არ ვარ, მაგრამ ვოცნებობდი კარგად აღზრდილ, ობოლ გოგოზე.

11. გავიცნობ გულთბილ მანდილოსანს, 20-30 წლამდე, კახეთიდან, არაგანათხოვარს, ერთგულებისა და სიყვარულის მიზნით. გელით გულით.

12. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ასაკის, ბინით და მატერიალურად უზრუნველყოფილ ქალბატონს, რომელსაც პატიოსანი მამაკაცის ჩასიძება უნდა. განათხოვრებიც შემეხმიანეთ.

ვეძებ

13. ვეძებ ზაზა ქარაულს. ერთად ვისვენებდით აბასთუმანში, 1980 წელს. გთხოვთ, გამაგებინოთ ჟურნალის საშუალებით. ნუკრი, ახალციხიდან.

14. ვეძებ 1990 წლის გპი-ის კურსდამთავრებულს, ნანა ჩეკურიშვილს. გთხოვ, გამომეხმაურე. ცისნამი. იქნებ მისმა დამ, ბელა ჩეკურიშვილმა წაიკითხოს ეს გზავნილი და გააგებინოს.

15. ვეძებ ელზა მირიანის ასულ სუხიტაშვილს, რომელიც გათხოვილია თბილისში, ლილოს დასახლებაში. მეუღლეს ჰქვია ირაკლი, ჰყავს 2 ბიჭი. ელ, გთხოვ, ჩემს ოჯახის წევრებს დაუტოვე შენი ნომერი. თამუნა.

სხვადასხვა

• რამდენი გამახსენდები, იმდენი ვტირი. ძალიან გვჭირდები, ძალიან გვენატრები. თავს გაუფრთხილდი. ელენე.

• რუსთავიდან მოვიკითხავ ბიძაშვილებს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარში, მანანა და მაკა ლაბაძეებს. გოგონებო, ჩემი ნომერი „მობილი-ზაციის“ გაცნობებშია.

• ვალერი მამასახლისს. როგორ ხარ? ყველას ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. გაუძელი, იმედი არ დაკარგო. ღმერთი შენკენაა. იმედია, მალე განახავთ. შენი დეიდაშვილი, ანა.

• მიყვარხარ, გოჩა ხუხუნი, მიყვარხარ! შენი ღიპიანი.

• ნაგლი, საქმრო თავად მივაგდე. კალთებს მახევს, მეხვეწება დამიბრუნდიო. ხან მემუქრება, ამას ვიზამ და იმას, თუ არ დამიბრუნდებიო, მაგრამ მე „გზის“ ერთი ჩათელი მიყვარს. ASHLEY.

• თიკუნია999, მე არავის ვეხები. სოფელშიც კი, გოიმებზე, ფუ, რა სოფლელიაო, ამბობენ. ეს დამკვიდრებული ტერმინია და მე რა ვქნა? ASHLEY PCD.

• SCARLET-ი მყავდა სტუმრად. ჩემსავით ვარდისფერზე შეყვარებული ქალუკა. გენათალე, ბავშვო. ვისაც ლაი-ლაი და ბილაინი გაქვთ, იმიტომ ვერ გწერთ, რომ ანგარიშზე არ მაქვს ხოლმე. ASHLEY PCD.

• აუ, რა გაბრაზებული ვაარ! ცოფებს ვყრი! სამსახურის დაწყება მინდა და ვერ ვშოულობ მხოლოდ იმიტომ, რომ ვაკე-საბურთალოს მაცხოვრებელი არ ვარ. კაშმაარ! ASHLEY PCD.

• პრივეტები. მე თქვენი უერთგულესი მკითხველი ვარ, მაგრამ იშვიათად გწერთ. ყველანი ძალიან საყვარლები ხართ. მაესტრო და სუპერსთარ, საყვარელი სანტები ხართ.

• ახალქალაქელო ლევან ვარდოშვილო, შენ ვალერი მამასახლისის ნათლია ხარ. როგორ

გაიმეტე ციხისთვის უდანაშაულო ნათლული? რა პასუხს გასცემ ღმერთს? ვალერ, დალოცვილი იყავი.

• სიყვარულით მოვიკითხავ მამაკაცს, რომელმაც კარგად იცის ქალის ფასი, სიყვარულისა და მეგობრობის ფასი, მამაკაცს, რომელსაც არასდროს არაფერი ეშლება. ეგ ღირსეული მამაკაცი კობა მანჯგალაძეა. მგელი ხარ, კობა, მგელი! ამტანი ხარ, გამტანი ხარ, ვობშემც მაგარი ხარ, რაა... ვიცი, ახლა კითხულობ და გელიმება. მაცდური ღიმილი ნუ გაქვს. ნურასდროს დაკარგავთ ერთმანეთს, ეს დღეები მონატრებად ვაქციოთ და როდესაც ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს, მონატრების სადღეგრძელო დავლიოთ. ცისფერთვალება.

• ვაიმეე, ჭრიჭინ, მაგ სადღეგრძელოს მთქმელს ვენაცვალე. ზამთარში ლოგინს და ზაფხულში ზღვას გაუმარჯოს, ამასაც დავამატებდი. ASHLEY PCD.

• ვაიმეე! „მინირომანი“ რომ წავიკითხე, ტირილით გავსკდი. სანწყალი ნატა. ნამდვილი ამბავია? ASHLEY PCD.

• გიო, 1-2 კვირაში ჩამოვალთ მე და დედა, ჯერ ვერ ვახერხებთ. სხვა კარგად ვართ, იმედია შენც არაფერი გიჭირს. სიზმარში გნახე იმ დღეს. შენი და, პარასკევა.

• ილო, ყველას ძალიან გვენატრები! შენც გაუძელი მონატრებას! ღმერთი შენკენაა და გგჯეროდეს, ერთად ვიქნებით! ვლოცულობთ. ნინო კარგადაა. მზია, თინა, რუსო, გია, გოჩა.

• SWEET, შენ კი გაიხარე, რაა! :) გივიკო, რატომ — ყოფილი? მე, ძმაო, თავზეცეცხლწაკიდებულის სახელით გაგიცანი დაააა... გაენბეელ, გაგიმარჯოს! შეწირულო, შენთან ვართ! დამავიო.

• კობა მანჯგალაძეს: სიყვარულისთვის ყველა მსხვერპლი დასაშვებია, სიყვარულისთვის არ არსებობს ზომა, ასაკი, გიყვარდეს, მაგრამ მის წინაშე ნუ დაეცემი, შენ შეგიძლია სიყვარულით იყო ამაყი, თუ შეგიძლია შეყვარება, ბედნიერი ხარ, რადგან ამქვეყნად უნიჭონიც იბადებიან, მთელი ცხოვრება თამაშობენ სიყვარულობას და სიყვარული არ იციან, ისე კვდებიან. ცისფერთვალება ქალი.

• თქვენ გეხუტუნეთ, ჩემო სიხარულებო! ყველა ძალიან მიყვარხართ! განსაკუთრებით მინდა მოვიკითხო ბერბიჭა, ცხრათვალა, ცისია, ენიგმა, სოფი-19, მაესტრო და ASHLEY PCD. თქვენს ნიჭს ძალიან ვაფასებ. ეს ლექსი თქვენ, ჩემგან! მე თქვენს ნიჭს დიდად ვაფასებ, აღფრთოვანებით ტაშს გიკრავთ, თუ უფრო ახლოს გაგიცნობთ, თავს მოკრძალებით დაგიკრავთ. ბერბიჭ, სიხარულო, შენი ნომერი მინდაა! გლუკოზა.

• რა ხართ, ვინცხა ხართ?! რატომ გიყვართ სხვის მაზოლზე ფეხის დაჭერა? მტრობით დანგრეული სიყვარულს უშენებია არ იცოდით? კლეოპატრა, ეშლი, სცარლეტ, გაიხარეთ. კოზანოსტრა.

• გაიხარე, ცრაზყ, გელოდი სულმოუთქმელად ბათუმში, დაიკო. სოფი19, თავს გაუფრთხილდი და ყველგან ხიფათს ნუ ეყრები. ვიღაცას ხინკლის თავანი ავიწყდება მგონი. კოზანოსტრა.

• გაიხარეთ, ვისაც ჩემი დაბადების დღე გაგახსენდათ და მომილოცეთ, ღმერთმა დიდხანს მიმყოფოს თქვენი თავი და მადლობა საჩუქრისთვის, კნუტო. კოზანოსტრა.

• ძვირფასო, უკვე აღარ მახსოვხარ, შენს თავს ვფიცავარ. რა დაკარგე, შენ ხომ აზრზე არ ხარ. :) ყვავუკ, ჯიგარში გენაცვალე. პარიუანკა გილოცავ დაიკო, SWEET, გაიხარე. ფეშენა.

• არის! არის! არის! ქარიშხალი ჩამდგარა და ურთიერთობებიც დამთბარა. თქვენ გაიხარეთ და იდღეგრძელეთ. ეჭვისა და ბოღმის ეშმაკი ველარ მძლავრობს. მიყვარხართ. მემე.

• ბერბიჭ, მომხიბლა იდეამ, ცხრა ბერბიჭუკის ყოლისა, ჩამოვიცილოთ ცხრათვალა, უპირველესად ყოვლისა და გავახაროთ სამშობლო, გმირი 9 ვაჟის ყოლითა! ჰა, რას იტყვი? მემე.

• ახალქალაქელო ილია სანამიანო, რა დაგიშავეთ, რად გამიწირე შვილი შენი ცრუჩვენებით? ვალერი მამასახლისს რვა წელი მისცეს. ილია, ღმერთი დაგსჯის, მატყუარა სტუდენტო.

• მერე რა, რომ მიყვარხარ, გული ხომ არ მოგპარე? მიყვარხაარ! უნა-ნანუ.

• მისტეროკ, ახლა ეს ხლაპუჭები შენს ტაკუცუნებზე მატკუცინა და რაღა მომკლავს? გადარეული, შენც მიპეპვლის ლომკამ გადაგრია? ააპცხი, მართალი ვაარ. ეკა09.

• თუ სიყვარულის ჯურღმულში მოხვდით, კიბეც რომ გქონდეთ, ველარ ამოხვალთ, თუ სიყვარულით დათვერით ერთხელ, ცრემლიც რომ ღვაროთ, ველარ გამოხვალთ. ზურა33.

• უმდიდრესი კაცი ისაა, რომელიც მცირედით კმაყოფილდება, რადგან ეს მეტყველებს მისი ბუნების სიმდიდრეზე. ასეთი ხარ შენ, კახა. ენიგმა, ძალიან, ძალიან მიყვარხარ. მართლა. მარტო ეს სიყვარული დაგიცავს ყოველგვარი ცუდისგან. ბედნიერია ჭეშმარიტად ის ადამიანი, ვინც ასეთ სიყვარულს იწვევს სხვებში, თავისი პიროვნებით. ღმერთმა დაგლოცოს.

• მართალია, ადამიანში ადამიანურმა არ უნდა გადაწონოს ღვთიური. ამიტომ კი არ მოგიბოდიშებ, არამედ რაც გაწუხებს, ბოდიშად მივიღებ და მოგიტევებ. დანარჩენი უფალს სთხოვე.

• შეწირული, ძაან ვწუხვარ... ილოცე საყვარელი ადამიანის გადასარჩენად და ჩვენც, ყველა ვილოცებთ მისთვის და აი, ნახავ, მალე კარგად იქნება. რწმენა არ დაკარგო. ASHLEY PCD.

• შენ ჩემი თვალის მზე ხარ, ღამით კი ჩემი მთვარე, დღისით მე ველარ გხედავ და მეც გნატრულობ ღამე. მე ხომ სულ შენზე ვფიქრობ, უშენოთ ველარა ვძლებ.

• სალამი... არც კი ვიცი, მესიჯი მოვა ან გამოქვეყნდება საერთოდ? :) თუ გამოქვეყნდა, მინდა გითხრათ, რომ უფალი გფარავდეთ ყველას. პატივისცემით, ჯორჯო.

• ვალერი მამასახლისს: შვილო, სიმართლე თქვი, არ გაჩუმდე, მაგრად იბრძოლე, არავინ დაინდო. სასამართლოზე ყველამ გაგწირა. ვალერ, რაც მოხდა, თქვი, გთხოვ, თავი დაიცავი.

• ჩემს დედიკოს საპერძნეთში მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მენატრება. დე, მიყვარხაარ! შენი სოფიტო19.

• სო-ნი, უსაყვარლესი ადამიანი ხარ, სითბოთი და სიყვარულით სავსე, სათნო და კეთილი. ადამიანობისა და ღირსების სიმბოლო. მახარებ შენი არსებობით. უფალი გფარავდეს. ოლეგარიო.

• ჩემო უბადლო ცხრათვალავ, აბა სხვა რაღა ვინდომო? ერთი სული მაქვს, ჩემს გვარზე, მოგიპოვ-გადმოგიფორმო. ახლა არჩევანს გთავაზობ, გავიპაროთ თუ გითხოვო? ბერბიჭა.

• შენთან ვიზიტი ცისიავ, თუნდაც იმავ დღეს გაბაზრდეს და იმაზედაც მზადა ვარ, ჩემთვის დადნე და განაზდე, ოღონდ მარისთან მანამდე, ჭაშნიკად ფოტო გაგზავნე. ბერბიჭა.

• ვიცი, რაცხას გამომტყუებ, მერე გახდი საგანგაშოს, დააყენე ნაგლო ენა, დააყენე ნაგლო საშო. ჩემს მაგივრად გირჩევნია, ბავშვის შიბაქს ეთამაშო. ბერბიჭა.

• თიკუნია999, გაიხარე. ჩემი ფინანსებით ათენში ფილიალს ვერ გავხსნი. თუმცა, თუ სპონსორს მიპოვი, შენი სახელობის ტყუპ ყანწს გიფეშქაშებ. ნუ, ეს იტალიასაც ეხება. ბერბიჭა.

• ადამის ტკივილი: ვიძიებ პირველცოდვის ფესვებს, ცოდნის ნაყოფს ვჭამ ცნობადის ხიდან. სიღრმეებში სიმაღლეებს ვეძებ, სიმაღლეში სიღრმეებსაც ვხედავ. მერე, ღირდა ამ ცოდნისთვის ცოდვა? დრო დამიხდა ცოდო-მადლის ხონჩით, წუთისოფლურ ჭკუას თუ არ მოკლავ, მაშინ ხდები საზარბაზნე ხორცი. ჯერ ტკივილმა უნდა გეცეცხლოს ძარღვში, უნდა განვლო სამართებლის პირზე. ჯვარცმათ უნდა მოიპოვო ფასი, რომ შეიმცნო ჭეშმარიტი სიბრძნე! ტვირთმძიმეა დასანთხევად ერთობ, ჩემთა შვილთა სისხლისფერი ცრემლი. პირველცოდვა მომიტევე ღმერთო, ისევ შენში გაცოცხლებას ველი. P.S. ხორცი მიწაა, სული ზეცაა, ჭეშმარიტება აი, ესაა. ენიგმა. P.P.S. ჩემს პაციენტს ველოდები ფსიქიატრიულში, ელექტროშოკზე.

• ვალერი მამასახლისო, კვირას რომ დარეკე, ეკლესიაში ვიყავი და ტელეფონი ითიშებოდა. ზარი რომ ვნახე შემოსული, ბევრი ვიტირე. უშენობით ვკვდები, დედა გენაცვალოს. მზია.

• ნეტავ შინ ვყოფილიყავი, როცა წავიკითხე, რომ გულიანად მეტირა... შეწირულო, შენნაირები გვჭირდება აქ, რომ თუნდაც ერთმანეთის სიყვარულში განვმტკიცდეთ. რთულია შენი მდგომარეობა, ვიცი. მეც მყავს ძმაკაცი ცუდად, რომელიც შეიძლება ვერც გადარჩეს... მინდა განუგეშო, მაგრამ ამაო იქნება. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სიკვდილითცხოვრება სრულდება, სიცოცხლე — არა, ძმი! უფალს ვებარებოდეთ ყველა! P.S. ზოგჯერ მიფიქრია, მე აქ წერის ხასიათზე ვარ და მავანს რა გასაჭირი აქვს... სარვიეტა.

• სულ მინდოდა, ერთი ადამიანისადმი პატივისცემა გამომეხატა, რომლის ფსევდონიმი ექიმი იყო. მისი გზავნილები მამშვიდებდა. გთხოვთ, ზოგჯერ შემოგვიერთდით. სარვიეტა.

• ვალერი მამასახლისო, ამ წერილს გწერ თვალცრემლიანი. ღამეს, რა დროსაც დაიბადე, გულში ცეცხლი მიკიდია. ღმერთს ვთხოვ, დამიბრუნოს ჩემი უდანაშაულო შვილი. მზია დედა.

• მე ვნატრობ იმ დღეს, როდესაც გნახავ და დავინახო, შენი მშვენება, მე ამას ვფიქრობ, რომ ველარ გნახო, ამ ცხოვრებაში რა მეშველება.

• ვალერი მამასახლისს: შვილო, უშენოდ გათენდა 25 იანვრის დილა. ვერ ჩაგიხუტე გულში. 7 თვეა, ვიტანჯები უშენოდ. უდანაშაულოდ ჩაგსვეს ციხეში უფულობის გამო? მზია.

• მე ახალი ვარ და თქვენთან მინდა! :) ატარექსია.

• უნდა მიმიღოთ, თქვენს იქით სხვა გზა აღარ მაქვს. თქვენთან მინდა და მორჩა! ჩემნაირი ავადმყოფიც ხომ უნდა გყავდეთ? იმედი მაქვს, ახლოსაც გაგიცნობთ. გაიხარეთ.

• „გზაში“ ერთი გზავნილი წავიკითხე, შენ ქარიშხალი გინახავს ზღვაზე... ეს სტუდენტობისდროინდელ წიგნაკში მეწერა და ამიტომ მან მაშინდელი მეგობრები გამახსენა.

• მაარ, შენი რომანი „იდუმალი სახლი“ რომ წავიკითხე, ძარღვებში სისხლი გამეყინა და ახლაც რომ მახსენდება, მაკანკალებს. ნამდვილი ამბავია?

• მარი, პირველ რიგში ძალიან მომეწონა ჩემს გზავნილზე გაკეთებული შენი სათაური. ყოველთვის კარგ სათაურებს არჩევ. „შემოფეთებისა იყოს“! ისეთი შემოფეთებისა, თქმით რომ არაფერს გეტყვის, მაგრამ გაგრძნობინებს... აუ, მთელი კვირაა, ამას ვლუღლუღებ და მგონი მართლა შემომეფეთება ისეთი ვიღაც, რომ მაგრძნობინებს, რა... მეც დავისვენებ და... თბილისიც. SWEET-GIRL.

• არა, რა�ა... დედაჩემი ტყუილად კი არ მეუბნება, იდიოტების მაგნიტი ხარო. მართლა ეგრეა. ფუი, ეშმაკს. SWEET-GIRL.

• გმადლობ გამოხმაურებისთვის, მისს... მეც ეგრე ვფიქრობ და ამიტომ გადაწყვეტილების მიღებასაც არ დავაყოვნებ. გაიხარე და კეთილი იყოს შენი და ყველა ახალი მგზავნელის გზავნილეთში შემობრძანება. SWEET-GIRL.

• აუ ASHLEY-ს იდეა ისე მააგრად მომეწო-

ნა, რომ ჟურნალის ფრიალ-ფრიალითა და ასკინკილით შემოვირბინე მთელი ოთახი. თან დედაჩემი ისეთი თვალებით მიყურებდა, ბავშვი გამიგიჟდაო, რომ მეც რაცხა ეჭვი შემეპარა... ვიფიქროთ ამ იდეაზე, ბავშვებოოოო. SWEET-GIRL.

• მარ, ახლა მგონი აშკარად ჩანს, რომ ცოტა ბუ-ზუ-ზუ-ზუდ გამოვიყურები და სანამ კიდევ უარესი სისულელეები არ ვთქვი, აქედან გავქრი... მიყვარხარ ამ პატარა გულში, დიიიიდი გრძნობით, ხომ იცი? ეეეეიცი! ჰოდა, გაკოცე დედუციიი!

• ბერბიჭ, მგონი ერთობ ნიჭიერი და შემდგომში ალბათ წარმატებული სტუდენტიც გამოუჩნდა შენს სასწავლებელს (არა, ჯერ არ გამოჩენილა, მაგრამ). გრეენუკა სად დაგვეკარგა? მგონი ახლაც საცივში თავჩარგული ზის და ფოტოგრაფს ელოდება, უშველეთ რამე! აბა, სად დაგვეკარგე, ციცქნაა? ისე, თავით არა, მაგრამ საცივში ჩამჯდარმა რომ გადავიღო და გამოგიგზავნო, არ წავა? ქვაბი ძირს იდო (ქვაბს იქ რა უნდოდა), უკან-უკან წავედი და ისე კომფორტულად მოვთავსდეეეი... ინდაურის წონა ხარო, ისედაც მეხუმრებიან და ლამის ქვაბშივე ჩამტოვეს... მომავალი წლისთვის გავსუქდები და ნახავთ... მაგრამ მერე გოჭუნიას შემადარებენ... კაი, ისევ ინდაური ჯობია... SWEET-GIRL.

• გამარჯობა, გვრიტებო. ჩემო ჩახატულო მგზავნელებო, ძალიან მომენატრეთ. მინდა მოვიკითხო ყველა. მიყვარხართ და გაფასებთ (რა სიყვარულის ბუშტი გამისკდა, ნეტავ?). გკოცნით, თქვენი თიკუნია999.

• და თუ არსებობს სულის ყოფნა სიკვდილის შემდეგ, ცივ სამარეში ცრემლიანი ვილოცებ შენზე. თიკუნია999.

• რა სასწაულმა შემახვედრა შენთან არ ვიცი, ან ამ სიყვარულს სიკვდილამდე რატომ განვიცდი, როცა შენ გხედავ, აღარ მახსოვს ქვეყნად არავინ, როცა გშორდები, დარდი მიპყრობს დაუფარავი. გნატრობ, მოგელი და შენს გზაზე მრჩება თვალები. იცი? მიყვარხარ! შენ თუ გინდა, ნუ გეყვარები. ვცდილობ, როგორმე მივაკვლიო შენს გულის სითბოს, მაგრამ ყინულით დაფარულა ქვეყანა თითქოს. დამრჩება გული შენი ტრფობით ნაიარევი, შენზე ვილოცებ, სანამ ქვეყნად დავიარები. ჩემი სიცოცხლე შენზე ფიქრს და დარდს შევალიე, მძულს მე ის კაცი, ვინც კი ეძებს გრძნობას წამიერს. სიკვდილის წინაც ბაგე მხოლოდ შენს სახელს იტყვის. გინატრებ გრძნობით, სიყვარულით, ალერსით, სიტყვით.

• ახლა შეწირულის მესიჯი წავიკითხე და გული დამეწვა. ვიცი, ახლა რასაც განიცდი, მაგრამ იმედს ნუ დაკარგავ, ღმერთი არ გასწირავს. ჯერ კიდევ არსებობს იმედი. ვიცი, რასაც გრძნობ, მეც დავკარგე საქმრო. არ ვიცი, რა გითხრა. მარტო ერთს გეტყვი: ილოცე და ღმერთის წყალობის იმედი გქონდეს. ცხოვრება სასტიკი და დაუნდობელია... თიკუნია999.

• სალამი ყველა „გზის“ მკითხველს, ყველა მგზავნელს. ყველანი კარგები ხართ, ერთმანეთს რომ არ ეკამათებოდეთ, უკეთესი იქნება. თქვენ არ იცით, რა ბედნიერები ხართ, ვინც თავის ოჯახს არ შორდება. ოს ლიას მინდა მივმართო: ჩემო კარგო, მე ძალიან კარგად მესმის შენი, რადგან ათენში მე კარგი ვერაფერი დავინახე. ისე, ერთი კია, რომ ხან ქართველებიც ვერ ვუგებთ ერთმანეთს და ამათი გულცივობა რა გასაკვირია? ერთადერთი, რაც კარგი შემემთხვა, ის იყო, რომ მეტროში დავაპირე უბილეთოდ მგზავრობა და გამაჩერეს, ბილეთი მომთხოვეს, მე კიდევ ენაც არ ვიცოდი კარგად. ვეუბნები, არ მაქვს-მეთქი. მკითხეს, საიდან ხარო? ვუთხარი, რომ ქართველი ვიყავი. მართლა არ ვიცი, რატომ გამიშვეს დაუჯარიმებლად, ის კი ვიცი, რომ იმ წუთას თავი ძალიან კარგად ვიგრძენი. ეტყობა ქართველობამ მიშველა. კიდევ მარი, თქვენ მოგიკითხავთ დიდი სიყვარულით და ჩემს გოჭუნებს. დედა ხათუნა.

• ათენში დროებით მცხოვრებ ნანა ფანცულაიას მოვიკითხავ, დიდი სიყვარულით. მართალია, ყოველდღე ველაპარაკებით ერთმანეთს, მაგრამ ძალიან მენატრება, რადგან ნანა ათენის თავში მუშაობს, მე — ბოლოში და ვერ ვნახულობ. „გზას“ ორივე მოუთმელად ველოდებით და მინდა, ჩემი მესიჯი ნახოს. ვიცი, გაუხარდება. ასეთი თბილი ადამიანი ჯერ არ შემხვედრია. ეს პატარა გოგო როგორ იტევს ამდენ სითბოს? ხათუნა.

• როგორ ხართ, მგზავნელებო? მინდა ვუთხრა მარტოსულს: თუ ბოზობა არ გინდა, არავინ გაძალებს. გამოდის, მე და ევროპაში წასული ქალები და გოგონები საბოზაოდ ვართ? სანამ რამეს დაწერ, კარგად დაუკვირდი. თიკუნია999.

• ბერბიჭ, რა გაქვს ასეთი, ყველა შენზე რომ ირევა, განსხვავებული? ათინან55.

• ბერბიჭა, ბოლოს ისე დავშორდით, რომ წყენა იყო ჩვენს შორის, თუ არ გახსოვს, უკეთესი, დავდოთ ზავი მეგობრობის. ASHLEY, მაგარი ლექსებია. ცოტა კი დამასვედიანა მაგრამ ამ ცეცხლმოკიდებულ-აგიზგიზებულ გულს ეგ ვერას დააკლებს. ლიმონა�ა, დაყრუვდი, რომ გეძახი? ხმა ჩამეხლიჩა ძახილით. ნუ გაქრები ხოლმე. მომენატრე. ჩაგკოცნეთ. თოლია.

• კანიბალკა, სიხარულო, ნამდვილი ანგელოზი ხარ. ოჰ, რა მშვენიერი იყო არა, ვაგზლის ბაზრობის დალაშქვრა. ისეთი სახით მივდიოდით, თითქოს პარიზში ვიყავით. SCARLET.

• ხალხო, რას ერჩით ASHLEY-ს? მე გავიცანი და იშეთი ცაკალელია და ისეთი გოჭუნია, რომ პირდაპირ ჩაყლაპავ. ქეეთ, შენმა საჩუქარმა აღფრთოვანება დაიმსახურა. SCARLET.

• მარ, ჯიგრულად, ეგ მუშმალას დიეტა მიპადარკე, რა, თორემ მომკლა „გრეჩიხის“ ჭამამ.

• უდიდესი სიყვარულით მინდა მოვიკითხო ოლეგარიო, რომელიც ძალიან, ძალიან მიყვარს და მაგრად ვაფასებ. გაიხარე. უძაანმაგრესი ადამიანი ხარ. მიყვარხარ. კამ-კამა.

• ამ ფოტოში ძამი, რაღაც ეშმაკურად იღიმები./ დედა?! ეს რა დავინახე, გამეფშიკა კიკინები./ დაგხატავდა, შენს თავს ვფიცავ, ანჯელინას ბიკინები.../ ეჭვმა გამკრა, წინაპრები ხომ არ გყავდნენ ვიკინგები?/ მეგობრობა გზად და ხიდად, დავამტკიცებ ვარსკვლავთ დარო/ სანიმუშოდ მეც ამ ფოტოს, შევინახავ სამუდამოდ./ ძამიი, შენმა ფოტოთერაპიამ ალბათ ცუდად იმოქმედა. ძილი გამიკრთა და დამეფანტნენ ძილის ანგელოზები. რაღაც, ამ ბოლო დროს უძილობა დამჩემდა. მგონი თავდაღმა დავბერდი და ვერ ვხვდები. მიყვარხარ გულში. მემე.

• ხალხო, მართლა, ბიურო უნდა გავხსნა. იმდენს ჰქონია პრობლემა და იმდენი შემეხმიანა, პასუხის გაცემას ვერ ავუდივარ. გადარეული.

• ASHLEY PCD, დიდი მადლობა, ახლებში რომ მომიხსენიე. ძალიან გამახარე. ვეცდები, არ გავქრე. ნუ, მე არ გავქრები, მარი თუ დამიბეჭდავს ხოლმე. მაგრად მიყვარხართ ყველა. მპა. მარ, დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ და მარშრუტკას ვაბარებ ყოველ ხუთშაბათს. თან წინ დიდი შესავალი უნდა: აბა, შენ იცი, არ დაგავიწყდეს, „გზა“ უნდა მომიტანო, „გზაააა“! თუ გინდა, დაგიწერ. ამას 9-ჯერ რომ გავუმეორებ, გაბრაზდება სვანურად და მომამახებს: გოგო, გზაში „გზას“ რა დამავიწყებსო? მეც სვანი რომ არ ვყოფილიყავი და ეს გამებედა, მომკლავდა მარტო მისი ხმა. სანტა.

• ASHLEY PCD, მაგარი ლექსებია, შექებას იმსახურებ. „ბაზალეთის ტბის სერენადა“ მომეწონა განსაკუთრებით. სანტა.

• შეწირულის გზავნილი რომ წავიკითხე, ავტირდი. გთხოვ, გამაგრდი. იმედი არ დაკარგო, ყველაფერი კარგად იქნება. იმედი მაქვს, „გზას“ ისევ დაუბრუნდები, ბედნიერი და ღიმილიანი. გვეტყვი, რომ შენი საყვარელი გოგონა კარგადაა და ისევ ბრუნდები „გზაში“. აქ შენი ადგილი მუდამ იქნება, ამაში ორი აზრი არ არსებობს, ყველა დამეთანხმება. გამაგრდი. სანტა.

• მართალია, პირველად ვამესიჯებ თქვენთან, მაგრამ „გზას“ სულ ვკითხულობ. აქამდე არც ვაპირებდი მოწერას, მაგრამ ძალიან ნერვების მომშლელია ყველა რიგითი მკითხველისთვის ამ მგზავნელების ერთმანეთის ლანძღვა-გინების მოსმენა. მარ, მაპატიე დაიკო, უმორჩილესად გთხოვ, ასეთი ბინძური სულის ადამიანების ბინძურ ნაწერებს ნუ გამოაქვეყნებ. უბრალოდ, სირცხვილია ხალხო, ქართველები ვართ. მოდი, ერთმანეთი დავიფასოთ, გვიყვარდეს ერთმანეთი. გინების ნაცვლად ერთმანეთს მოვეფეროთ და საქართველო მართლა გაბრწყინდება... თქვენი ზუკ.

• ძალიან მეტკინა გული შეწირულის მესიჯზე. ჩემი გამხნევება ვერაფერს შველის, მაგრამ მაინც მინდა ვუთხრა, რომ არ გატყდეს. ცხოვრება ხშირად გვიწყობს საშინელ გამოცდას და უნდა გავუძლოთ. ის კარგად იქნება, უფალი არ გაგწირავთ. ძნელია, მაგრამ გამაგრდი, უფლის გჯეროდეს, გთხოვ. სოფო83.

• შეწირულის მესიჯმა ძალიან დამთრგუნა. ეჰ, რას ვიზამთ სიხარულო, ღმერთს საუკეთესოები მასთან უნდა. უნდა გამაგრდე და ეცადე, დარჩენილი დღეები გაულამაზო... გთხოვ, „გზიდან“ არ წახვიდე, ასე უფრო დაიტანჯები. აქ გულს გადააყოლებ, თან მეგობრები ახლა ძალიან გჭირდება! თავი ხელში აიყვანე... ცხოვრება გრძელდება! ხალხო, გვიყვარდეს ერთმანეთი! P.S. SWEET, მეც მენატრები და არა მარტო შენ! გკოცნით, თქვენი CRAZY GIRL.

• მარი, შემოგევლე, უნიჭიერესი ადამიანი ხარ! რამდენ კარგ რამეს წერ — „ULTRIX“, „მინირომანი“, „სიტუაცია“... უმაგრესია ყველა! გენაცვალე ნაცრისფერი უჯრედების ნაოჭებში! მიყვარხარ და გაკოცე. CRAZY GIRL.

• მარ, მე და კოზანოსტრამ ვიქეიფეთ და მაგრად დავთვერით. მინდა ყველას ვუთხრა, რომ მიყვარს! კანიბალკა, ანგელოზი ხარ. ეშლი, გადარეულო, გაკოცე. SCARLET.

• ვაკოცე მე ყველა მგზავნელს (ნაგლეტს — არა). ეშლი, მაგარი ადამიანი ხარ. მაგრად მომწონხარ და არ გავიცნოთ ერთმანეთი? კამ-კამა.

• ASHLEY PCD, შენი ლექსები ძალიან კარგია. გენაცალე. მაგრად მიყვარხარ. არ გიცნობ, მაგრამ მაინც. კამ-კამა.

• იცით, ვინ მინდა გავიცნო, ხალხო? ვინ და — ენიგმა. იქნებ შეეწყოთ სიხარულო და გახდე ჩემი ძმა? ჩემი ნიკისნაირი გული, სული და ფიქრი მაქვს. კამ-კამა.

• მოვიფიქრე რაა... კი არადა, ესე იგი, მე და ჩუპიმ გადავწყვიტეთ, გოიმობას ვებრძოლოთ, ოღონდ ცეცხლითა და მახვილით! აპა, უბრალო სიტყვებით რა, გოიმები ვართ, ტო? მერე და, მგზავნელები ხომ ყველაზე აგოიმური ხალხი ვართ? ჰოოოოდა, ამაგვიდექით მხარში პაწა. :) მაარ, ახლა ერთი კაი რძალი გვჭირდება, მერე რძლის შვილები და ეგაა, რა. კაი აბა, წავედი მე! თქვენი ნიკოლი კი არადა, დამავიო.

• მგზავნელებო, მოგიკითხავთ, ძალიან მიყვარხართ ტრირიფი73 და სონი. ნესუკა.

• მონატრება ვარ ჩუმი და ეული, ქართველი ემიგრანტი, ფიქრარეული. ძალიან მენატრებით ქართველებო და ჩემო საქართველოვ. ნესუკა.

• შექებისთვის მადლობა, მარი. :) ASHLEY,

გაიხარე, რომ შემამჩნიე. ვეცდები არ გავქრე, თუმცა ეს მარტო ჩემზე არაა დამოკიდებული. უკვდავი ხმა.

• შენ ისევ შორს ხარ და ტკივილები კვლავ და კვლავ თვალთა უპეს მინამავს, მე არც კი ვიცი, შენი მშვენება სიზმარში მაინც თუ დამინახავს. შენ შორეული ისე ახლოს ხარ, რომ მოფერებაც იქნებ შევძლო, ხელი მოგხვიო, ცრემლი გაგიყო და სიყვარულიც ერთად შევიცნოთ. რა გვაკავშირებს, ისიც არ ვიცით და უხილავი ძალები გვბოჭავს, ტელეფონს ვკოცნი, როცა ვსაუბრობთ, მეც ვიღიმები, იცინი როცა. შენ ისე შორს ხარ და ისე ახლოს, რომ წლებს ვიძულებ უშენოდ გავლილს, მე ვიცი, ბოლოს მაინც შენ მოხვალ, ძალას შემმატებ, ცხოვრებით დაღლილს. მე შენ გიგონებ და ფრთების როკვით კვლავ ვეუფლები ახალ სიმაღლეს, უარვყოფ წარსულს, მარტოკა მყოფის და შენთან ერთად ველი სიახლეს. უიმედობა ჩემი კერპია, თაყვანისცემა — ჩემი მიზანი, მინდა, რომ ტრფობამ კვლავ გამაგიჟოს ანდა გამხადოს, როგორც მისანი. ასე შორეულს მაინც მოგელი, ასე მგონია, ხარ ახლობელი, მინდა გიწოდო რაღაც სახელი, შევქმნა ამ გრძნობის საგალობელიც. გაიხარე ფლამინგო, კაზინოა „ფლამინგო“ მაგიტომ ხომ არ გქვია ასე? ხალხო, თქვენს თავს და თქვენს საქმეს მიხედეთ, რა. მე ვიცი, რას დავწერ და რას — არა. 9717.

• დახუჭე თვალები, დახუჭე, სინათლე ყველაფერს აფუჭებს, სიბნელე მათრობს და მაჩუმებს, არ გინდა? სიყვარულს გაჩუქებ, თვალებზე შეგახებ ცხელ ტუჩებს, ეს კოცნა ტკივილებს აყუჩებს, გთხოვ, შენი თვალები მაჩუქე, სითბო და ალერსი მაჩუქე, ოღონდ ეს წუთები მაჩუქე, დილა და საღამო მაჩუქე და ამ ყველაფრის სანაცვლოდ, დარჩენილ სიცოცხლეს გაჩუქებ. მარ, ხომ კარგი ლექსია? ძალიან მიყვარს და იმიტომ მოგწერე. SWEETS უთხარი, რომ მეც მენატრება! მიყვარხართ და გაკოცეთ! CRAZY GIRL.

• ეს შენ გგონია, წახვედი ჩემგან, რადგან დაუსვი წერტილი წარსულს, მე კი ყოველდღე გესაუბრები და ვიცი მოხვალ, კვლავ ამ გაზაფხულს. მიწას შეაშრა ლოდინის ცრემლი, მერე ყინული იქცა ნიაღვრად, ვიცი, მოჰყვები ზაფხულის ქარებს ან ჩუმად მოხვალ, დილის ნიავად. ეს შენ გგონია, შორსა ხარ ჩემგან, წუხელ სიზმარში იებს მიკრეფდი, მერე იის წყალს მაპკურებდი და ჩემს სასთუმალთან ღამეს მითევდი. მერე უძილოს, დაღლილს, დაქანცულს, რაღაცა თითქოს დაგრჩა უთქმელი, ნეტავი მართლა სად იყავ გუშინ, ნეტავ სად იყავ მართლა წუხელი. ეს შენ გგონია ასე დიდი ხარ, მე კი უბითაც გატარეს ხშირად, მჯერა, მოჰყვები ისევ მზის სხივებს, ანდა გიხილავ უეცარ წვიმად. მოხვალ — არ მოხვალ, ან ნეტავ, როდის, გვირილებს ვაცლი და მერე ვდგავარ, ბავშვობის ზღაპარს მოჰგავს ყოველი, მე ხომ უშენოდ მართლა ბავშვს ვგავარ. ოქროს თევზივით გინატრებ, გიხმობ, ათას რაიმეს გთხოვ და გავალებ, გიჭერ და გიშვებ, კვლავაც გეძახი, ვიცი იღლები, ვიცი გაწვალებ. ნურც დამპირდები, ნუ მოხვალ ხშირად, ნურც მომცემ ბევრს და ნუღარც წამართმევ, ეს შენ გგონია, შორსა ხარ ჩემგან, მე კი ყველაფერს შენს სახელს ვარქმევ. დილაც შენა ხარ, ღამეც, შუადღეც და ყველაფერი შენა ხარ ქვეყნად, კიდევ ცოტაც და აპრილიც მოვა, ჩვენ გაზაფხულზე ვიქნებით ერთად... ლიზი, ცოტა სქელტანიანი წიგნი ათხოვე ხოლმე სოფის. როგორც დიდი მყუდრო იტყოდა, წავედი მე! 9717.

• მზე ჩადის, მზის ღიმილი დღეისთვის ბოლო, გამკრთალდა სხივი... დრო მიდის, მოკლდება სიცოცხლის ბილიკი ცხოვრების ველზე. რამდენი სიკეთე შენგან ქმნილი დაგხვდება ნეტავ, ადამიანო ბილიკის მერე? ვართ და არ ვფიქრობთ რა იქნება, მანძილს რომ გავლევთ, ფიქრი უნდება ყოველდღიურ ამაოებას, ვაშენებთ, ვანგრევთ, ცრემლით ვალბობთ ოცნების კოშკებს, გავლევთ მიზნებს მარათონებად. ნეტავ რამდენი ვალი გვრჩება გადაუხდელი, ზიდავს ჩვენს ცოდვებს, ნეტავ შეძლებს, ხარი — უღელი? მემე.

• ჩემო სიხარულო, არც კი იცი, თუ როგორ მინდა შენი ნახვა. მუდამ გულში მყავხარ და უზომოდ მიყვარხარ. ჩემი ცხოვრების აზრი ხარ. შენი მაკო. კამ-კამა.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ SWEET-ს, GREEN-ს, ოლეს, პარიჟანკას, მაესტროს, სუპერსთარს, ეშლის და ყველას. მიყვარხართ. უკვდავი ხმა, ახალი ხარ და თანაც მაგარი. კამ-კამა.

• შეწირულო, არ წახვიდე რა, გთხოოვ. მე მჯერა, რომ ოდესმე მაინც დაგვიბრუნდები. მოგვენატრები. კამ-კამა.

• ვაჰ, სოფელო, რა ყოფილხარ ამისთანა... :-) ისე, ზაფხულში სოფელი მაგარია. სუფთა ჰაერი და მერე რომ ყანაში წახვალ, მაგარია. გადარეული.

• ბერბიჭავ, შენს სასწავლებელში იქნებ კაცურკაცობის ფაკულტეტიც დაამატო და ზოგ უნარშეფერხებულს ლექციები წაუკითხო, თორემ შენ რომ ცხრათვალასთან ღუზას ჩაუშვებ, ბევრი კარგი გოგო მოკვდება ყურების ქავილით. P.S. მართლა კარგი ხარ. ზედმეტი არაფერი მოგდის. ყველას საკადრის პასუხს სცემ. კარგი იუმორიც გაქვს და მშვენიერი რითმაც. გარდა ამისა, სიყვარულის ნიჭიც გქონია და შენს რჩეულს ერთგულებას ჰპირდები. ბედნიერებას გისურვებთ! იხარეთ და ამრავლეთ ცხრათვალუკ-ბერბიჭუკები! ემიგრანტი.

• მარტოსულო, მართალი ხარ. ადრე სად იყო ბოზი? რომ გეძებნა, ვერ იპოვიდი. ახლა კიდევ, თითქმის გაბოზდა საქართველო. გადარეული.

• აუ, მარ, ისე ზოგი რა ინტრიგანია, არა? მერე რა, თუ სხვის დაწერილ ლექსებს ვწერთ? მერე რა, თუ ზოგი ორი ნიკით ამესიჯებს? მერე რა, რომ ზოგიერთები გიჟები და გადარეულები ვართ? მთავარია, ერთმანეთი ისეთი გვიყვარს, როგორებიც ვართ! სულ არ გაწუხებთ, სხვის ცხოვრებაში რომ იქექებით და გულს გვტკენთ? CRAZY GIRL.

• მარიამულ, ისევ შენი ქება-დიდებით ვიწყებ (იმედია მომიტევებ), მაგრამ რა ვქნა, იმსახურებ ადამიანო და... ძალიან მიყვარხარ! ჰო, ნუ გიკვირს, არ გეპირფერები, მართლა ძალიან მიყვარხარ! დაიცა, დავამთავრო ჯარი?! გაკოცე სულში და გულში! HEY, ASHLEY, IT WASN'T MY NUMBER, I HAD IT JUST FOR A MONTH AND YOU ALLREADY KNOW MY 2ND NUMBER, SO DON'T PLEASE! I KNOW WHO YOU ARE... მადლობა და შენიანად, შენიანად, იდუმალო, ღვთის წყალობა ნუ მოგკლებოდეს! SWEET, ბოლოს და ბოლოს, ზემლიაკი ხარ, არ გრცხვენია? მაგრამ არა უშავს... ჰო, კიდევ, ვენაცვალე სოფი19-ს. ქალო ცდუნებავ, შენც გმადლობ მოკითხვისთვის, გენაცვალე! ლუუნ, შენი სურათები და რამე?! ის წითელი კაბა?! აი, არ ვიცი რა, საოცრება ხარ, ოღონდ მართლა! მისს რეალ, გაკოცე გულში! ფეშენ, აი, ავისრულე სურვილიც, გმადლობ! ძალიან მიყვარს აქაურობა და უღრმესი მადლობა ჯაფარიძე შენ, ამ ყველაფრისთვის! ფილიპპო.

• ASHLEY-ს რა მაგარი იდეა მოუვიდა, არა? ექსკურსია კი პონტია, ხომ? თან ერთმანეთს ვნახავთ, თან ღირსშესანიშნავ ადგილებსაც მოვინახულებთ. კარგადაც მოვილხენთ ბუნების წიაღში... უუფ, მაგარიააა! ზაფხულო, მალე მოდიიი, რა�ა... CRAZY GIRL.

• მარი, ჯანდაბას, უკვდავი ხმა მოგწონს, მაგრამ ის თუ იცი, მისი დაწერილი გზავნილი სხვაგან რომ მაქვს წაკითხული? არ იცი? ოოო... ან რატომ გგონია, რომ ახალი მგზავნელია?

• 9717, ყველა დროის, ყველაზე საზიზღარ მგზავნელთა შორის პირველ ადგილზე ხარ. სო-ნი.

• მარ, ახლა პირობა უნდა შევასრულო. 9717 წერას არ მაცდის, მირეკავს და ერთ ამბავშია. ამიტომ დავემუქრე, თუ არ გაჩერდები, მარისთან გიჩივლებ-მეთქი, მაგრამ ვერ შევაშინე... საზიზღაროოო... სო-ნი.

• ჩემი დაქალის უბანში, თემქაზე ვიპოვე ნამდვილი სიყვარული (რომლისაც არასოდეს მჯეროდა), მაგრამ მისი პრობლემის გამო დავშორდით და 2 თვე ცრემლი არ შემშრობია. 8 იანვარს ჩემმა ძმაკაცმა სიურპრიზი მომიწყო და ჩემა სიყვარულმა დამიბრუნა, ტექსტით: „ყველაფერი მოგვარდა და შეგვიძლია ერთად ვიყოთ“. ამას გამართლება დავარქვი, მაგრამ ცოტა ხანში, ძველით ახალმა წელმა შემახსენა თავი და ძალიან დავთვერი, რაც არ ესიამოვნა, ვიჩხუბეთ და გაქრა იმის მერე. ასეთი სიურპრიზი მომიწყო ცხოვრებამ და რეზიმ. მჯეროდა, რომ ვუყვარდი და მაშინაც ჩემს გამო შეექმნა პრობლემა. თუ დედაჩემის კაიფს არ ჩავთვლით, როცა მირეკავენ: ალო, დეპრესიაშია, მიატოვეესო.

• პირველი თოვლი მოვიდა თრთოლვით, თან პოეტების ჩამოჰყვა სევდა, ამბობენ, თურმე პირველი თოვლი პირველ სიყვარულს წაგავს მეტად. ღმერთმა დალახვროს, მაინც არ მჯერა, ვერ მოვიშორებ სევდას მორკალულს, პირველი თოვლი ტალახად იქცა და რა მოელის პირველ სიყვარულს? დამავო.

• პასუხი „სახალხო ჰიტის“ ავტორს, ბერბიჭას. თურმე კაცი დამუნჯდა და კარზე დაკაკუნებისას იძახდა: შენმა შვილიშვილებმა გამომგზავნესო. შემდეგ, როცა გამოიჭირეს, ეს მუნჯი ავანტიურისტი გაიძახოდა: მანამდე ოთხი ბებია ვიხმარეო. ეტყობა ბერბიჭამ თავად იხმარა საკუთარი ბებია და მუნჯ კაცზე გადაბრალებას ცდილობს. თან მას ეხერხება ბილწსიტყვაობა „მობილი-ზაციის“ ლექსებში და ცნობილი ჰიტის სიმღერის სტროფებიც მაგის გადაკეთებული იქნება. P.S. ჩვენთან თოვლის პაპად წმინდა ნიკოლოზი მიიჩნევა და ეტყობა, თავხედი და გარყვნილი ბერბიჭა მის დაკნინებას ცდილობს. დოლარა.

• ბერბიჭავ, გაიხარე! შენს გზავნილზე ჯერ ბევრი ვიხითხითე, მერე ცოტა შემეშინდა კიდეც. ვაითუ ბერძენმა პაპებმაც აიტაცონ მიქარვის იდეა და რაღა მეშველება, შვილიშვილებისგან შორს მყოფს და დაუცველს? ემიგრანტებო, გთხოვთ, არ გადაუთარგმნოთ პაპებს ბერბიჭას გზავნილი! ემიგრანტი.

• მარიკუნა, მარიკუნა... რა ცუდად ვარ, რომ იცოდე! ყველამ მიმატოვაااა! აღარავის ვუყვარვაااარ! რატომ და რისთვის? ტრაბახში ნუ ჩამითვლი და ისეთი საყვარელი ვარ, რომ შეუძლებელია, ვინმეს ვძულდე, მაგრამ არიან ასეთებიც. თუ არ დამიბეჭდავ, ეგ არაფერი, მთავარია, ვიღაცას გული გადავუშალე. მიყვარხარ. ROCK SMILE.

• სვანის ასულო, ქუთეისელი ხარ, სიმონ, შენ? კარგი ჩანხარ სურათში. მეც ქუთეისში ვსწავლობ. გენაცვალე, ძაან საკალელი ხარ. დამავო, შენც კარგი ხარ. გადარეული.

• ASHLEY PCD, მართლა სერიოზული მესიჯომანი ხარ. ფრთხილად იყავი, „გზავნილებში“ არ დაიკარგო. სანტა, საჩუქრები რატომ არ მოგვიტანე? გადარეული.

• ASHLEY PCD, ჩვენ ალბათ 2 ავტობუსი და 3 მარშრუტკა დაგვჭირდება, ექსკურსიაზე რომ წავიდეთ, იმდენნი ვართ. ისე, მაგარი იქნება. გადარეული.

• ისა და, მარ, ნეუჟელი ჩემი ორივე მესიჯი უპერსპექტივო იყო? არადა, ისეთი დარწმუ-

ნებული ვიყავი, რომ დამიბეჭდავდი, მარა რა არის, იცი? ეტყობა ზამთრის სუსხმა ტვინის ნაოჭები შემივიწროვა და ვერ მოგწერე მთლად არდასაბრაკი სმს. რაღაცნაირად იმოქმედა ჩემი ნიკის უშედეგოდ ძებნამ, თორემ სხვა კი არაფერი. ფეშენა.

• არა, ფსიქიატრიც ვეღარ გვიშველის. P.S. მემე, დიდი მადლობა თანაგრძნობისთვის. შენი მესიჯით ცრემლებმა გზა მონახა. თამრო.

გილოცავ!

• ჩემო სიხარულო, გილოცავ ჩვენს პატარა დღესასწაულს. მეხუთე წელს ერთად შევხვედროდეთ. ძალიან მიყვარხარ. თემოს მაგრად ენატრები, შენს სურათებს კოცნის. გკოცნი. სუსუ.

• ვალერი მამასახლისს: დაბადების დღეს გილოცავ. გისურვებ ჯანმრთელობასა და ღმერთის მფარველობას. არ ინერვიულო სასამართლოზე, უფალი დაგიფარავს. გკოცნი და მიყვარხარ. ჟანა.

• რას შვრები? როგორ ხარ? გილოცავ 24 იანვარს. არ შემცდარხარ. ჭკვიანად იყავი. გელოდებით ყველანი. ელენე.

• იდუმალ ქალს: სალამი ყველაზე მშვენიერ, ყველაზე კეთილშობილ, ყველასათვის საყვარელ ქალს. გილოცავ დაბადების დღეს. შენი ცხოვრება ყოფილიყოს მზის სხივით გაბრწყინებული, ღვთის მადლით გამდიდრებული, შენი ბედის ვარსკვლავს კვლავ მუდამ ებრწყინოს ცის კამარაზე, ქალური მომხიბვლელობისა და ერთგულების შემფასებელი და დამფასებელი არ მოგკლებოდეს. გემატოს დღენი, რამდენი ვარდიც ვარდობის თვეში ვარდს ემატება, გფარავდეს ღმერთი. შენი მეგობარი, რომა.

• ვალერი მამასახლისს: გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. უფალი გფარავდეს, ყველას ძალიან გვიყვარხარ. შენი მეზობლები, სალომე, ნინო, გიორგი, მიშკა.

• 27 იანვარს დაბადების დღეს და ნინოობის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ მაისა პერტახიას. ულევ სიხარულს, ბედნიერებასა და ლამაზ სიყვარულს გისურვებ! უფალმა დაგლოცოს.

• ათენში, ჩემს მონატრებულ დედას, მედეა პაპიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. დედა, ძალიან მიყვარხარ და ღმერთის მადლობელი ვარ, რომ ჩემი დედა ხარ.

• 28 იანვარს ქუთაისელ ანრი დოღონაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერ მომავალსა და ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ, ჩემო ერთადერთო საფიცარო. დედა.

• გილოცავთ ყველას ყველა დღესასწაულს. გაიხარეთ და იდღეგრძელეთ ცხოვრება წამია და უნდა ეცადოთ, ეს წამი გაილამაზოთ სიყვარულით. კოზანოსტრა (ბისკვიტი).

• იდუმალ ქალს: ლამაზების დედოფალო, მე მაპატიე, რომ მოგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს. ლამაზ და მხიარულ ცხოვრებას გისურვებ. სიცოცხლე ხარ ჩემი. შენი თაყვანისმცემელი.

• ვალერი მამასახლისს: გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებ ყველაფერ საუკეთესოს. აგსრულებოდეს ყველა ოცნება. თავს გაუფრთხილდი, ყველას ძალიან გვენატრები. შენი დეიდა, ია.

• ვალერი მამასახლისო, დაბადების დღეს გილოცავ. გისურვებ მალე გათავისუფლებას. მიყვარხარ, გკოცნი ბევრს. მანჩო მწვანე. ვალერ, როგორ გიღალატეს არაკაცებმა! მაგრად იყავი.

• ნიკეაზე ლურსმანიძე ლანას ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ კარგ სწავლას და ბავშვობას. შენი კლასელი და დაქალი, თამუნა სანადირაძე. გკოცნი.

• გოგიტა მაჭავარიანს ვულოცავ დაბადების დღეს, 26 იანვარს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, ბარაქასა და წინსვლას, საყვარელ ოჯახთან ერთად. ციური.

• თაკო ყურაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 23 იანვარს. მრავალს დაესწარი, ოჯახთან და კარგ ხალხთან ერთად. ულევ ბედნიერებას გისურვებ. უფალი გფარავდეს.

• ჩემს უსაყვარლეს შვილიშვილს, ვიკის ვულოცავთ დაბადების დღეს, 23 იანვარს. ღმერთმა ჯანმრთელობა და ბედნიერება არ მოაკლოს. ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს.

• ჩემს უსაყვარლეს ვიკის ვულოცავ დაბადების დღეს, 23 იანვარს. ღმერთმა არ მოაკლოს ჯანმრთელობა და ბედნიერება. ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს.

• მამიკო, გილოცავთ დაბადების დღეს, 20 იანვარს. გისურვებთ ყოველივე კარგს. სულ გახარებული გვენახე. მალე შევხვდებით. გკოცნის შენი ლაკო და ქეთი.

• მაკა მაჭავარიანს დიდი სიყვარულით ვულოცავ ულამაზეს დაბადების დღეს. გისურვებ ბრწყინვალე მომავალს. ღმერთი გწყალობდეს მუდამ. ციცო.

• ჩემს შვილთაშვილს, ლაშა მაისურაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 25 იანვარს. 200-ს წელს იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი. გკოცნი ბევრს. ცინარა ბებო და მზია.

• ქობულეთში მყოფ მეგის ვულოცავ დაბადების დღეს, 22 იანვარს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. ისეთი გოგო გაზრდილიყოს, რომ ორივე დედა გაეხარებინოს. ციალა.

• სალხინოში მცხოვრებ ხათუნა ბაღდავაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 23 იანვარს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და მალე გაბედნიერებას. შენი კარგის მსურველი ნათლიდედა, ციალა.

• ლიკა ალადაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. გაიხარე, ჩვენო კუდრაჭავ, უფალი გწყალობდეს. წმინდა გიორგის მადლი გფარავდეს. გლოცავდეს მუდამ დედა ქართლისა, გზას გინათებდეს ცხოვრებისას, ძალა კამკამა წმინდა სანთლისა. გკოცნით ბევრს. შენი საყვარელი კახა ბიძია და ირინა დეიდა.

• ქუთაისში მცხოვრებ ჩემს უახლოეს მეზობელსა და ნათლულის დედას, ნუნუ კუჭავაკახიძეს ვულოცავ 60 წლის იუბილეს, 29 იანვარს. მრავალს დაესწარი დაი, შენი ოჯახით. მუდამ გახარებული მენახე. მენატრებით უსაზღვროდ. გკოცნი და გეხვევი შორიდან. ირა ვირსალაძე.

• ბებიკოს სიხარულო, ლიკუნა ავალიშვილო, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალი ბედნიერი წელი გაგითენოს უფალმა. გაიზარდე სასახელო გოგო. ლია ბებო.

• ჩემს მამიდაშვილს, ნინო მგელიაშვილს ვულოცავ იუბილეს. ჩემო სიხარულო, მრავალ იუბილეს დაგასწროს ღმერთმა, შენს ძმებთან და დედ-მამასთან ერთად. ჩემო ანგელოზო, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. გკოცნი ბევრს. შენი ნინო.

• ჩვენს შვილიშვილს, სალომე ბექაურს ვულოცავთ 1 წლის შესრულებას. სულ ია-ვარდებით მოფენილ გზაზე გევლოს, ჩვენო ანგელოზო. სასახელო გოგო გაიზარდე, დახატულო. შენი ბებია მარადი და პაპა მალხაზი.

• მინდა დაბადების დღე, 24 იანვარი მივულოცო ჩემს მონატრებულ მეუღლეს, თემური ლაბაძეს, ლაგოდეხში. ჩემო ძვირფასო, გისურვებ, მუდამ ჯანმრთელი და გახარებული ყოფილიყავი, შენი სიცოცხლის მანძილზე. გაიხარე ჩვენი შვილების კარგად ყოფნით. იმდენი წელი იცოცხლე, რამდენიც თვითონ გწყურია, რამდენიც ქართულ საწნახელს, ყურძენი დაუწურია. უფალი გფარავდეს. შენი დარეჯანი.

• ნატო კავთიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 25 იანვარს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულსა და ულევ სიყვარულს. უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს. მუდამ გახარებული მენახე, შენს ტკბილ ქმარ-შვილთან ერთად. გკოცნის შენი მონატრებული დედა, ლია ბუნტური.

• ნანა ხუჯაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 9 თებერვალს. გისურვებ ჯანმრთელობასა და გამართლებულ ცხოვრებას. დედა, რომელიც იბრძვის შვილის ბედნიერებისთვის, ეს შენ ხარ, ჩემო ნანა. დიდი შრომისა და ნოსტალგიის ფასი აქვს შენს აქ ყოფნას. ის ცრემლები, რომელსაც შენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის ღვრი, შეგცვლოდეს იმ ბედნიერებით, რომელსაც საქართველოში ყოფნა ჰქვია. გკოცნი, ნარგიზა.

• ქობულეთში მყოფ მეგის ვულოცავ დაბადების დღეს, 22 იანვარს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და ულევ სიხარულს. ისეთი გოგო გაზრდილიყოს, რომ ორივე დედა გაეხარებინოს ციალა.

• დიდი სიყვარულით და მონატრებით დაბადების დღეს, 19 იანვარს და ნათლისღებას ვულოცავთ ჩვენს მონატრებულ შვილს, ამირან სირბილაძეს. არ მოჰკლებოდეს ღვთის წყალობა, ჯანის სიმრთელე და სულის სიმხნევე. ჩვენ შენზე გულით გვინდა ვილოცოთ, გვინდა, ძალიან დიდხანს იცოცხლო.

• ჩემს საყვარელ დისშვილს, ამირან სირბილაძეს ვულოცავ დაბადების დღეს და ნათლიღებას. ღმერთმა ჯანმრთელობა და ბედნიერება არ მოგაკლოს. გკოცნის და გეფერება ლელა დეიდა.

• ბაბუას სახელისა და გვარის გამგრძელებელს, ამირან სირბილაძეს დაბადების დღეს და ნათლისღებას ულოცავს დიდი სიყვარულით და მონატრებით, ნინო მამიდა. გაიხარე, მამი.

• ჩემს 8-თვიან დისშვილს და ახლა უკვე დავაჟკაცებულ ამირან სირბილაძეს 15 წლის იუბილეს და ნათლისღებას ულოცავს ბორია ბიძია. ამი, ჯანმრთელობა არ მოგკლებოდეს.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ზაიმ-აუზი

მუსიკალური კურიოზები

* ერთხელ კარუზო ბანკში საბუთების გარეშე მივიდა და მოლარისთვის საკუთარი ვინაობის დასამტკიცებლად, „ტოსკადან“ არიის შესრულება მოუხდა. მოგვიანებით, მომღერალმა აღიარა, რომ ასე მონდომებით მანამდე არასდროს უმღერია.

* თუ ობობას ქსელთან ვიოლინოზე დაუკრავთ, ის სამალავიდან გამოვა — ვიოლინოს ხმა ქსელის რხევას იწვევს და ობობას ჰგონია, რომ მის მახეში მსხვერპლი გაება.

* შუა საუკუნეებში ქალაქიდან ვირთხებს ფლეიტის ხმით სდევნიდნენ. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ ინგლისის ერთ-ერთ ციხე-კოშკში როკ-კონცერტი ჩატარდა და შედეგად, ყველა ვირთხა სადღაც გაუჩინარდა.

* არაბულ ქვეყნებში მელოდიის სტვენა აკრძალულია, რადგანაც მუსლიმანურ ქვეყნებში სტვენა „სატანის მელოდიად“ მიიჩნევა.

ბინდ დაიჯერეთ, ბინდ არა...

* 1887 წელს ესპანეთის ქალაქ ბანჯოსის მახლობლად პატარა გოგონა და ბიჭი იპოვეს. უცხო ენაზე მოლაპარაკე ბავშვებს მწვანე კანი ჰქონდათ. ბიჭი მალევე გარდაიცვალა, ხოლო გოგონამ, რომელსაც ესპანური ენა ასწავლეს, თქვა, რომ იმ ადგილიდან მოვიდა, სადაც მუდმივად წყვდიადია.

* 21 წლის პუერტორიკოელი ბერნარდ ვასკეზე მაგიამ გაიტაცა. ერთხელაც, მან დედას ახარა, რომ შავი კატის, კუბოს ნაწილისა და ალუმინის ქვაბის გამოყენებით უჩინმაჩინად გადაიქცეოდა. ბიჭი სამზარეულოში ჩაიკეტა. დედამისმა შვილი მალევე მოიკითხა, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნო. მას შემდეგ ბერნარდი აღარავის უნახავს.

* 10 წლის იტალიელ ბენედიტო სუპინოს დაჟინებული მზერით ნივთებისთვის ცეცხლის გაჩენა შეეძლო.

* დენიელ დაგლას ჰოუმს XIX საუკუნის ყველაზე ცნობილ ექსტრასენსად მიიჩნევენ. მას მზერით სკამების, მაგიდებისა და ადამიანების ჰაერში აწევა შეეძლო. ■

სასტიკი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტები

დარღვეული მეტყველება

1939 წელს აიოვას უნივერსიტეტის პროფესორმა, უინდელ ჯონსონმა 22 ობოლ აღსაზრდელზე ექსპერიმენტი ჩაატარა. მან ბავშვები ნეგატიურ და პოზიტიურ ჯგუფებად დაყო: პოზიტიურებს სიტყვების სწორად წარმოთქმაში ეხმარებოდა და ხშირად აქებდა, მეორე ჯგუფის ბავშვების მეტყველებას კი დასცინოდა (მიუხედავად იმისა, რომ პატარებს მეტყველების დეფექტი არ ჰქონდათ) და მათ ენის ბორძიკით ესაუბრებოდა. ექსპერიმენტის დასასრულს, ნეგატიური ჯგუფის ბავშვებმა ლაპარაკი ენის ბორძიკით დაიწყეს და ეს დეფექტი ღრმა მოხუცებულობამდე გაჰყვათ. 2001 წელს, აიოვას უნივერსიტეტის პროფესორებმა ექსპერიმენტის მონაწილეებს ბოდიში ოფიციალურად მოუხადეს.

ჰომოსექსუალისტების „განკურნება“

1970-1989 წლებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო ექიმებმა ჰომოსექსუალისტებისგან ჯარის „გაწმენდა“ გადაწყვიტეს. მათ 1000-მდე სამხედრო „ცისფერს“ შოკური თერაპიითა და ჰორმონული მედიკამენტებით უმკურნალეს, ზოგიერთს კი სქესიც შეუცვალეს. ექსპერიმენტში ძირითადად თეთრკანიანი, 16-დან 24 წლამდე სამხედრო პირი მონაწილეობდა.

ხელოვნური ციხე

1971 წელს, ფსიქოლოგ ფილიპ ზიმბარდოს ხელმძღვანელობით, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სარდაფში „ხელოვნური ციხე“ მოაწყვეს, რომლის პატიმრებიცა და ზედამხედველებიც ინსტიტუტის სტუდენტები იყვნენ. რამდენიმე დღეში პატიმრე-

ბი მოუთვინიერებლები გახდნენ, ზედამხედველები კი ურჩებს სასტიკად ექცეოდნენ. პატიმრებს დეპრესია დაემართათ და ამიტომაც, ექსპერიმენტი ერთი თვის ნაცვლად, ორ კვირაში დასრულდა.

ნარკომანი ცხოველები

ადამიანებზე ნარკოტიკების ზემოქმედების შესწავლის მიზნით, 1969

წელს მეცნიერებმა ექსპერიმენტი მაიმუნებზე ჩაატარეს. ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ცხოველები მართალია, ტკივილს ვერ გრძნობდნენ, მაგრამ მათ ჰალუცინაციები, კრუნჩხვა დაეწყოთ და ორ კვირაში კიდეც დაიხოცნენ. ერთმა მაიმუნმა, სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე, თითები დაიმტვრია და ბეწვი დაიპუტა.

მიმიკის მსხვერპლნი

1924 წელს მინესოტის უნივერსიტეტის პროფესორმა, კარინ ლენდისმა მიმიკის შესწავლა გადაწყვიტა. ის ექსპერიმენტში მონაწილეებს ჯაზს ასმენინებდა, პორნოგრაფიულ ფილმებს აყურებინებდა, ამიაკს ასუნთქებდა და ბაყაყებით სავსე ვედროში ხელებს აყოფინებდა, მაგრამ ვინაიდან ამ მეთოდებით სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, ექსპერიმენტის გართულება გადაწყვიტა — მონაწილეებს ცოცხალი თაგვების მოკვლა დაავალა. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ, მის ყველა მონაწილეს ფსიქოლოგის დახმარება დასჭირდა.

თეთრი ფერის შიში

1920 წელს ჯონ უოტსონი ფობიებს იკვლევდა. მან 9 თვის ბიჭი — ალბერტი თეთრ თაგვთან, ბაჭიასთან თამაშს შეაჩვია და გართობის მიზნით თეთრ ნიღაბს, ბამბას, სანტა-კლაუსსის წვერსაც აძლევდა. ორ თვის შემდეგ, როგორც კი ბავშვი თეთრი ნივთებისკენ გაიწევდა, ფსიქოლოგი რკინის ფირფიტას ჩაქუჩს ურტყამდა. ცოტა ხანში ბავშვს თეთრი ნივთებით თამაშის სურვილი გაუქრა, უფრო მეტიც, მათი დანახვისთანავე შიში იპყრობდა და ტირილს იწყებდა. სამწუხაროდ, თეთრი ფერისადმი შიში ალბერტს ღრმა მოხუცებულობამდე გაჰყვა.

გოგოდ ქცეული ბიჭი

1965 წელს, წინადაცვეთის შედეგად, 8 თვის ბრიუს რეიმერს სასქესო ორგანო დაუზიანეს. ფსიქოლოგთან კონსულტაციის შემდეგ, ბიჭს ოპერაცია გაუკეთეს და სქესი შეუცვალეს. სამედიცინო ჟურნალებში რამდენჯერმე დაიბეჭდა სტატია წარმატებულ ექსპერიმენტზე, მაგრამ ბრიუსს მაინც, ბიჭური ქცევები ჰქონდა. გოგოდ ქცეული ბიჭის დედა დეპესიაში ჩავარდა და თვითმკვლელობა სამჯერ სცადა, მამა კი გალოთდა. გარდატეხის ასაკში ბრიუს ჰორმონულ პრეპარატებს ასმევდნენ, მაგრამ მას ქალად ყოფნა არ სურდა — რამდენჯერმე სარეკონსტრუქციო ოპერაციაც კი ჩაიტარა, თმას ბიჭურად იჭრიდა, მამაკაცის ტანსაცმელს იცვამდა. 2004 წელს იქორწინა და მეუღლის სამი შვილიც იშვილა, მაგრამ ქორწინებიდან ცოტა ხანში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ■

რუბრიკა მოამზადა **რუსუდან გელაშვილმა**

„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია

რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

კლიმტი

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

სპეციალური ფასი 15 ლარი!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

კოლექციის III წიგნი - მონე წიგნის მაღაზიებში უკვე გაყიდვაშია,
I და II წიგნი - ვანგოგი და გოგენი შეგიძლიათ შეიძინოთ თებერვლის დასაწყისში!

არჩევანი ფსიქოლოგიასა და მუსიკას შორის

მომღერალ ზაზა კორინთელს (ზუმბას) წიგნებთან „მეგობრობა“ მშობლებმა ურჩიეს. ამბობს, რომ სკოლაში ისეთი პედაგოგები ჰყავდა, რომლებიც ბავშვებთან ურთიერთობისას მხოლოდ სასკოლო საგნებზე საუბრით არ შემოიფარგლებოდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა უნივერსიტეტში, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე გააგრძელა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ სტუდენტობამ შემოქმედებითად შეზღუდა, რომ მისგან უფრო კარგი მუსიკოსი დადგებოდა, ვიდრე — ფსიქოლოგი და ამიტომაც, III კურსის დამთავრების შემდეგ სასწავლებელი მიატოვა. როგორც ზუმბა ამბობს, მას ეს გადაწყვეტილება არასდროს უნანია, უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა კი საკუთარი თავი აპოვნინა.

„პროზა და პოეზია თანაბრად მიყვარს“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ბევრს კითხულობ?

— პროზა და პოეზია თანაბრად მიყვარს. ვცდილობ, წიგნისთვის დრო ყოველთვის გამოვნახო, ეს აუცილებელია.

— ზეპირად ბევრი ლექსი იცი?

— ვერ ვიტყვი, რომ ზეპირად ბევრი ლექსი ვიცი. ის კი არა, ზოგჯერ საკუთარსაც ვერ ვიმახსოვრებ.

— ლექსის წერის მუზა მუსიკასთან ერთად მოდის?

— ზოგჯერ, მუსიკაც ასწრებს.

— შენი საყვარელი ავტორები ვინ არიან?

— საყვარელი ავტორების დასახელება მიჭირს. სამაგიეროდ, შემიძლია გითხრა, რომ ამა თუ იმ ეთნოსის ლეგენდები, მითები, აფორიზმები, ზღაპრები ყოველთვის მიზიდავდა. მიმაჩნია, რომ მათში ერის ხასიათია ასახული.

— ქართულ ზღაპრებზე რას იტყვი?

— ისინი ქართული ხასიათის სარკეა.

— წაკითხულ ნაწარმოებებს ხელახლა თუ უბრუნდები?

— ყველაზე ხშირად, „ვეფხისტყაოსანს“ ვუბრუნდები და ყოველი წაკითხვისას მასში რაღაც ახალს ვპოულობ.

— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდი?

— კონკრეტულად, რომელიმეს დასახელება მიჭირს. მეგობრად წარმატებულ და ოპტიმისტ პერსონაჟს ავირჩევდი.

— თავადაც ოპტიმისტი ხარ?

— ოპტიმისტიც ვარ და მაქსიმალისტიც.

— რომელ ქართულ მხატვრულ ფილმშია გამოყენებული გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზი — „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“?

— „ქეთო და კოტეში“.

— დაასახელე ფრინველი, რომელსაც ფრენა არ შეუძლია.

— (*ფიქრობს*) პინგვინი.

— რომელ ქვეყანაშია სტონჰენჯი — ქვის ხანის ყველაზე სახელგანთქმული კომპლექსი ევროპაში?

— არ ვიცი.

— დიდ ბრიტანეთში. როგორც ლადო გუდიაშვილი იგონებს: 1919 წელს რუსთაველის თეატრის სარდაფში პოეტებმა კაფე გახსნეს, სადაც ახალ ლექსებს კითხულობდნენ; იქვე გამოდიოდნენ იმ დროისთვის გამოჩენილი მომღერლები და მოცეკვავეები. რა ერქვა ამ კაფეს?

— ვერ ვიხსენებ.

— „ქიმერიონი“. „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა...“ — ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?

— ვერც მაგას ვიხსენებ.

— რაფიელ ერისთავი. რიგით მერამდენე დავითი იყო რუსუდანის ძე?

— (*ფიქრობს*) რუსუდანის ძე დავით VI იქნებოდა.

— ამ კითხვაზე პასუხი ჩაგეთვალა. რა ერქვა არზაყანის ცხენს კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“?

— არ მახსოვს.

— არაბია. 60-იანი წლების ქართველმა ფეხბურთელმა თავისი ფინტით მაყურებელი ისე მოხიბლა, რომ ბრაზილიელმა მცველმა შეაჩერა და გადაკოცნა. ვისზეა ლაპარაკი?

— დათო ყიფიანზე.

— არა, მიშა მესხზე. იგი არაბებმა აწამეს, მაგრამ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ხელის აღებას სიკვდილი არჩია. ვინ იყო ეს გმირი მოწამე?

— აბო თბილელი.

— ეს ქვეყანა ყველაზე დიდ ნახევარკუნძულზე მდებარეობს. მის ტერიტორიაზე არც ერთი დიდი მდინარე არ მიედინება. რომელ ქვეყანაზეა ლაპარაკი?

(*ფიქრობს*)... **მიგანიშნებ, ეს ქვეყანა ნავთობით მდიდარია.**

— ნორვეგია.

— **ცდები, სწორი პასუხია — საუდის არაბეთი. ბელორუსია, პოლონეთი, ავსტრია, უნგრეთი — ჩამოთვლილთაგან, რომელი არ მიეკუთვნება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს?**

— რა თქმა უნდა, ავსტრია.

— **ვინ არის ამერიკის „თავისუფლების ქანდაკების“ ავტორი?**

— არ ვიცი.

— **ფრედერიკ ოგიუსტ ბართოლდი. მან ქანდაკება 1886 წელს, პარიზში დაამზადა. რომელ ზღვაზე აქვს გასასვლელი აზერბაიჯანს?**

— კასპიის ზღვაზე.

— **ამოუცნობ მოვლენათა მკვლევრების აზრით, რომელი მცენარის სუნი აფრთხობს ვამპირებს?**

— არ ვიცი.

— **ნივრის. დაასრულე ილია ჭავჭავაძის ცნობილი გამონათქვამი: „ვინც ლაფში თავიდან ბოლომდე ამოსვრილია, არ შეიძლება ისე შეეხოს სხვას, რომ...“**

— „...ისიც არ დასვაროს“.

— **„...ლაფი იმასაც არ მოსცხოს“. ვინ არის სიმღერის — „ტრიალებს“ ტექსტის ავტორი, ფილმიდან — „ვერის უბნის მელოდიები“?**

— (*მელოდიას ღიღინებს*) ტექსტის ავტორს ვერ ვიხსენებ.

— **მორის ფოცხიშვილი. რა ეწოდება რომელიმე პოლიტიკური ფიგურის ან პარტიის მომხრე ამომრჩევლებსა და მხარდამჭერებს?**

— რა უნდა ეწოდებოდეს (*პაუზის შემდეგ*), ელექტორატი?

— **დიახ. თუ იცი, საქართველოში რამდენი პოლიტიკური პარტიაა?**

— ვიცი, რომ ბევრია.

— **ზუსტ ციფრს მეც ვერ დაგისახელებ, მაგრამ ვიცი, რომ დაახლოებით, 200-მდე პარტიაა რეგისტრირებული.**

— რა ამბავია?!. მე მხოლოდ ნათელაშვილის პარტიის სახელი მახსოვს და კიდევ, „რესპუბლიკელების“. ისე, თორთლაძის პარტიას რა ჰქვია?

— **არ მახსოვს.**

— მეც დამავიწყდა. ცნობისათვის, პარტია „მძლეველიც“ არსებობს, ოღონდ არ ვიცი, ვინაა მისი ლიდერი.

— **თბილისში რომელ მოედანს ერქვა ერევნის მოედანი?**

— თავისუფლების მოედანს, არა?

— **დიახ. ვინ არის კომპოზიტორი ილია ჭავჭავაძის ლექსზე შექმნილი სიმღერისა — „ჩემო კარგო ქვეყანავ“?**

— ვაიმე! ახლა კი გავიჭედე, ვერ ვიხსენებ.

— **რეზო ლაღიძე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში სიმღერა, ისევე, როგორც შელოცვა, სამკურნალო საშუალებად მიიჩნეოდა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია სამკურნალო ხალხური სიმღერა: „სისატურა“, „ბატონებო“ თუ „მეგრული ნანინა“?**

— „ბატონებო“.

— **ვინ არის ავტორი ლექსისა — „გოგოვ, გნახე ფეხშიშველი“?**

— ვაჟა-ფშაველა.

— **რომელ პოეტს მიუძღვნა მან შემდეგი სტრიქონი: „სამშობლოს სიყვარულისთვის ჩანგი გიკურთხოს ზენამა“?**

— ილია ჭავჭავაძეს.

— **ცდები, ეს სტრიქონი მან აკაკი წერეთელს, ერთ-ერთ საიუბილეო საღამოზე მიუძღვნა... ამ პოეტის შესახებ ვახტანგ ჯავახაძე წერდა: „მას არც სიკვდილში ჰქონია ვარდისფერი გზა, ხოლო როდესაც კრძალავდნენ, გაჭრილი სამარე ვიწრო აღმოჩნდა“. რომელ პოეტზეა ლაპარაკი?**

— გალაკტიონ ტაბიძეზე.

— **რუსეთის იმპერიაში, რომელი სოციალური ფენის გაერთიანება იყო გილდია?**

— ვაჭრების.

— **გაიუს მარიუსი, იულიუს კეისარი, პომპეუსი, მარკუს კრასუსი — ამ რომაელი სარდლებიდან, რომელმა დალაშქრა საქართველო?**

— პომპეუსმა.

— **ჭიდაობის რომელ სახეობას უწოდებენ კლასიკურს?**

— ვერ გიპასუხებ.

— **ბერძნულ-რომაულს. რა ერქვა ხელმწიფეს „სიბრძნე-სიცრუისაში“?**

— ვერ ვიხსენებ.

— **ფინეზი. კითხვაზე, — რაზე უფრო ადვილად იტყოდით უარს, ქალზე თუ ღვინოზე? — ფრანგები, როგორც წესი, პასუხობენ: „გააჩნია...“**

— „...რა შემთხვევაში“ (*იცინის*).

— **„...ასაკს“.**

— ჭკვიანური პასუხია.

— **რომელია საქართველოს უმაღლესი მწვერვალი?**

— შხარა.

— **ამ ტბის ერთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზეა, ნაწილი კი საზღვრებს გარეთ...**

— მადროვე, გავიხსენებ, იქ ჩემი ახლობელი სათევზაოდ დადის ხოლმე და ამის შესახებ მისგან გამიგია. (*ფიქრობს*)... ჯანდარა, არა?

— **დიახ. სათევზაოდ შენ არ დადიხარ?**

— როგორ არა, თევზაობა ძალიან მიყვარს.

— **ნადირობა?**

— მიუხედავად იმისა, რომ მიზანში კარგად ვისვრი, ნადირობა არ მიყვარს.

— **ინდიელთა რომელი ტომის ბელადი იყო მონტეზუმა?**

— არ ვიცი.

— **აცტეკების. ვინ არის ტილოს — „მდიდარი და ღარიბი“ — ავტორი?**

— ფიროსმანი.

— **ოდესღაც, ამ ადამიანთა ემბლემა კაჭკაჭი იყო, როგორც ყველაზე მოლაპარაკე ფრინველი. რას აკეთებდნენ ისინი?**

— არ ვიცი.

— **გაზეთებს უშვებდნენ. დაბოლოს, დაასრულე ბუასტის ცნობილი გამონათქვამი: „უდიდესი ბოროტება, მტრისგან მოყენებული ის არის, რომ იგი ჩვენს გულს...“**

— ეს გამონათქვამი ზეპირად არ ვიცი.

— **„...სიძულვილს აჩვევს“.** ■

ერუდიტი +

მსოფლიოში ყველაზე ღრმა წყნარ ოკეანეში მდებარე მარიანის ღრმულია — 10863 მეტრი.

ყველაზე გრძელი მთათა სისტემა კორდილიერებია. მისი სიგრძე, ანდების ჩათვლით, 15000 კილომეტრია.

დედამიწაზე ყველაზე დიდი ცხოველი ვეშაპია. მისი სიგრძე 35 მეტრს აღწევს, წონა — 100 ტონას.

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქცეთ თვალი

1. რისი მუზაა ტერფსიქორა?
2. როგორი სახის დამწერლობა ჰქონდათ ინკებს?
3. მარია კალასმა და არისტოტელე ონასისმა ერთად 9 წელიწადი იცხოვრეს. როგორ დამთავრდა მათი ურთიერთობა?
4. რას ეძახიან გურიაში პწკალას?
5. რა არის „ჟინჟღილი“?
6. 1999 წლის მარტში დევიდ ბექჰემსა და ვიქტორია ადამსს შვილი შეეძინათ, რომელსაც სახელად ბრუკლინი დაარქვეს. რატომ?
7. ლონდონის განთქმულ „ჰაიდ პარკში“ რამდენიმე ადგილას გამოკრულია აბრა, წარწერით: „მენ ონლი“. როგორი ორიენტაციის ადამიანები იკრიბებიან ასეთ ადგილებში?
8. ვიდრე ჯიმ კერის გაჰყვებოდა ცოლად, რენე ზელვეგერი რჩევის საკითხავად მკითხავთან მივიდა. ჯიმ კერიმ მოასწრო და მკითხავი მოისყიდა, ამ უკანასკნელმა კი რენეს მომავალი მეუღლის ინიციალები, „ჯ.კ.“ „გაუმხილა“. ეს ქორწინება საბოლოოდ, მაინც არ შედგა. ვის გაჰყვა მოგვიანებით რენე ზელვეგერი ცოლად?
9. ჯონ ლენონი უკანასკნელად სცენაზე 1974 წლის 28 ნოემბერს, ნიუ-იორკში გამოვიდა. ვისთან ერთად შეასრულა მან სამი სიმღერა?
10. რას შეისწავლის გერიატრია?
11. მეძებარი ძაღლის ნარკოტიკების ძებნაში წვრთნის დროს, პოლიციელები ყალბ კოკაინს იყენებენ. რატომ?
12. ზამთრის რომელ დღეს ეძახიან მოსკოველები „მეთუნუქის დღეს“ („დენ ჟესტიანჩიკა“)?

* * *

— ჭიჭიკია, წინ რომ ოქროს კბილი გქონდა, რა უყავი?
— ბიჭიკიას ვათხოვე, ბიძაშვილის ქორწილში ვარ წასასვლელიო.

* * *

მოსაზრება: მოკრივისთვის გაცილებით ადვილია დისერტაციის დაცვა, ვიდრე მისი დაწერა.

* * *

პალატაში ავადმყოფი კვნესის.
— რა სჭირს, კვდება? — ეკითხება ექთანი ექიმს.
— უიმედოა...
— როგორ, არც ფული?!. არც ნათესავები?!.

* * *

შუაღამისას პოლიციელი აჩერებს კაცს, რომელსაც ხელში ჩემოდანი უჭირავს და ეკითხება:
— ჩემოდანში რა გაქვთ?
— ჯერ არ ვიცი...

* * *

— რატომ ხარ ასე დაღვრემილი?
— ცოლი დამემუქრა, ერთი კვირა არ დაგელაპარაკებიო.
— მერე?!.
— დღეს მთავრდება ეგ კვირა.

* * *

— ექიმო, რასაც უნდა ვაკეთებდე, ათჯერ ვიმეორებ, ათჯერ ვიმეორებ, ათჯერ ვიმეორებ... საშინლად ვგრძნობ თავს, თავს, თავს! მაგრამ ჩემი ცოლი ძალიან კმაყოფილია, კმაყოფილია, კმაყოფილია...

* * *

მეგრელი მოხვდა გურიაში და იქაურებთან ტრაბახობს:
— მე იმისთანა კაცი ვარ, რომ სვანებს შორის სვანად ვგრძნობ თავს, კახელებს შორის — კახელად.
— სულელებს შორის, ძამა? — დაცინვა დაუპირა ვიღაცამ.
— ეგ ჯერ არ ვიცი, გურიაში პირველად ვარ.

* * *

— ძილის წინ სათვალეს იხსნი?
— კი.
— მერე სიზმრებს როგორ ნახულობ?

* * *

— ვინ მეიყვანე, ვახოია, ცოლად?
— რაფრა გითხრა, ახლა, იქითა უბნელია, თინა ჰქვია.
— მეიცა, მაი იგი თინა ხვარაა, ძუძუს ქვეშ სამი ხალი რო აქ?
— ქე გცოდნია და...

* * *

მიხომ სტუმრად ჩამოსულ იმერელ სიდედრს სუფრა გაუშალა და ეხვეწება:
— ჭამე, სიდედრო!
სიდედრი მორცხვად ზის. მიხო რამდენჯერმე კიდევ შეეხვეწა და ბოლოს, აყვირდა:
— ჭამე, რა, შე კეთილძაღლო, რას გაჩერებულხარ ჯიბგირაანთ ლევანას ბრუციანი ვირივითა, ვერა ხედამ, ხაშლამა განავალივითა ყრია, სხვა რაღა ჩემი ფეხები გინდა?!

* * *

— ჩემი გოგო მუსიკით რომ დამეინტერესებინა, ვიოლინო ვუყიდე, მაგრამ ამაოდ.
— მასე მომივიდა მეც, როცა ჩემს სიდედრს ჩემოდანი ვუყიდე.

* * *

სიკვდილის წინ ქმარი ცოლს ეკითხება:

— ძვირფასო, ოდესმე ჩემთვის გიღალატია? მაინც ვკვდები და სიმართლე მითხარი.

— რომ არ მოკვდე?!.

* * *

— როცა ცოლად მოგყვებოდი, მეგონა, გაბედული კაცი იყავი.

— მაშინ ყველა ნაცნობი ასე მეუბნებოდა.

* * *

მამაკაცები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქორწინება ლატარიაა, შანსებით 50X50, ვერც ქალებში ერკვევიან და ვერც — წილადებში.

* * *

— ჭიჭიკია, შენმა ბიჭმა „ჟიგული“ მოიპარა!

— ვერ დევიჯერებ, სულ იძახდა, „მერსედესი“ მინდაო!

* * *

— ფრთხილად, კარები იკეტება, შემდეგი სადგური „ღრმაღელე“! — გამოაცხადა მეტროს რეპროდუქტორმა. ამის თქმა იყო და სვანმა შარვლის ტოტები აიკაპიწა.

* * *

— მე სად გთხოვე ავტობუსის გაჩერება და შენ სად გამიჩერე?! — ეჩხუბება ქალი მძღოლს.

— ქალო, შენ ორასგრამიანი ენა ვერ გაგიჩერებია და მე ამ მოძრაობაში რვატონიანი მანქანა, თანაც ასე უცბად, როგორ გავაჩერო?!

* * *

ჭიჭიკიამ თავისი ბიჭი ექიმთან მიიყვანა.

— ექიმო, მიშველე, შვილი მეღუპება!

— რა სჭირს ამისთანა?

— რა და, როცა ჩვენი მეზობელი ქეთოია ბანაობისას მღერის, ჩემი ბიჭი ჭუჭრუტანას, თვალის ნაცვლად, ყურს ადებს!

* * *

სახლს ცეცხლი უკიდია, ხალხი ყვირილით დარბის:

— წყალი! წყალი!

ამ დროს პირველი სართულის ფანჯრიდან ვიღაცამ კათხა გადმოყო:

— მე კიდევ ლუდი დამისხით!

* * *

— აცეტილსალიცილის მჟავა გაქვთ?

— აა, ასპირინი?

— ჰო, რა! მაგ სახელს ვერაფრით ვიმახსოვრებ.

* * *

ჭიჭიკია ტელეფონზე რეკავს:

— ალო, თინაია მინდოდა.

— სახლში არ გახლავთ.

— სადაა, კი მარა?..

— სამშობიაროში...

— რა დაემართა, კი მარა?!.

* * *

— თორმეტგოჯა ნაწლავის ამოჭრა 500 დოლარი დაგიჯდებათ, — ეუბნება ჭიჭიკიას ექიმი.

— რას ამბობ, ექიმო, ჩემი ცხრა გოჯზე მეტი არ იქნება.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ცეკვისა და გუნდური გალობის.
2. ინკუბს დამწერლობა არ ჰქონიათ.
3. ბერძენმა მილიონერმა განთქმული მომღერალი უბრალოდ, საკუთარი გემიდან ჩამოსვა. ონასისთან დაშორების შემდეგ კალასი სცენაზე აღარ გამოსულა. იგი 1977 წელს, პარიზში, მარტოობაში გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლო წუთებში ლეგენდარული მომღერლის გვერდით მხოლოდ მისი ორი პუდელი იმყოფებოდა.
4. მისადგმელ კიბეს („გაუშპა აწკალა, გაადინა ჟღვერთა“).
5. „ჟინჟღილი“ და „ჩირაღდანი“ სინონიმებია.
6. იმ ადგილის პატივსაცემად, სადაც იგი ჩაისახა.
7. ჰომოსექსუალისტები.
8. ჯორჯ კლუნის, რომლის ინიციალებიც ჯიმ კერის ინიციალებს ემთხვეოდა.
9. ელტონ ჯონთან ერთად (მისივე კონცერტზე).
10. გერიატრია მედიცინის ცალკეული დარგია, რომელიც მოხუც ადამიანთა დაავადებებს შეისწავლის.
11. ძაღლი ამ ნივთიერებას რომ არ მიეჩვიოს.
12. როცა პირველად მოყინავს და გზები ჯერ განმენდილი არ არის — ამ დროს ქალაქში უამრავი მანქანა იმტვრევა.

ჩვენი ფოტო მაღვრევა

ჰოროსკოპი

28 იანვარი - 3 თებერვალი

ვერძი:
თუ დროს სწორად გადაანაწილებთ, ყველა საქმის მოგვარებას შეძლებთ. კოლეგებთან სიმკაცრე გამოიჩინეთ. დასვენების დღეები ბავშვებსა და საყვარელ ადამიანს დაუთმეთ.

კურო:
არჩევანის წინაშე აღმოჩნდებით. შესაძლოა, ძველი სამსახურის მიტოვება და ახლის დაწყება მოგიხდეთ. ადამიანებს ბრმად ნუ ენდობით. დასვენების დღეებში საოჯახო საქმეები მოაგვარეთ.

ტყუპი:
კარგი პერიოდია იმიჯის შესაცვლელად. მეტი დრო დაუთმეთ სწავლასა და ინტელექტის ამაღლებას. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

კიბორჩხალა:
ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში. საყვარელ ადამიანს მეტი დრო დაუთმეთ. კარგია, თუ ქალაქგარეთ გაემგზავრებით და დაისვენებთ. იდეების განხორციელებაში მეგობრები დაგეხმარებიან.

ლომი:
შეეცადეთ, პრობლემებს დამოუკიდებლად გაუმკლავდეთ. დასვენების დღეები მეგობრებთან ერთად, რომელიმე გასართობ დაწესებულებაში გაატარეთ. დრო ოჯახის წევრებისთვისაც გამონახეთ.

ქალწული:
შეეცადეთ, ყველაფერი ცივი გონებით გააანალიზოთ. გახსოვდეთ, რომ პროფესიონალიზმი და საკუთარი თავის რწმენა მწვერვალების დაპყრობაში დაგეხმარებათ.

სასწორი:
მეტი დრო გაატარეთ პედაგოგებთან და ლექტორებთან. დასვენების დღეები შინ გაატარეთ, სამომავლო გეგმები ჩამოწერეთ და მათ განხორციელებას შეუდექით.

მორიელი:
საკუთარ თავთან განმარტოების სურვილი გაგიჩნდებათ. დრო საკუთარი საქციელის გაანალიზებას დაუთმეთ. ნუ გამოავლენთ აგრესიას, თორემ გარშემო მყოფების გაღიზიანებას გამოიწვევთ.

ფუვიდელიანსტი:
ზედმეტი ხარჯისგან და ვალის აღებისგან თავი შეიკავეთ. საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. დასვენების დღეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

ობიოს რქა:
საქმიანი შეხვედრები, მოლაპარაკებები და ხელშეკრულებების გაფორმება უამრავ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. უქმე დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად, მთაში გაატარეთ.

ფიქრიანი:
რაც უფრო ბუნებრივი იქნებით, გარშემო მყოფები მით მეტად დაგაფასებენ. მეტი დრო დაუთმეთ შემოქმედებით საქმიანობას. კარგი პერიოდია იდეების განსახორციელებლად.

თევზები:
ამ კვირაში გრძელვადიან პროექტებს ნუ წამოიწყებთ. ყურადღება მიაქციეთ შვილების აღზრდა-განათლებას. დასვენების დღეებში საოჯახო საქმეებით დაკავდით.

პატარები გვიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

3 წლის ნიტას დედა მღეროდა: „შემოსულა შემოდგომა, გიორგობისთვეო...“ ნიტა დედას მიუბრუნდა და ეკითხება:
— დედიკო, ნიტაობისთვე როდის იქნება?

2 წლის ანა ჯაფარიძემ დაინახა, რომ მამა ჯაგრისით კბილებს იხეხდა და გაკვირვებულმა ჰკითხა:
— რას აკეთებ, მამიკო, კბილებს ილესავ?

დედამ კარტოფილის ნახარში ქილაში ჩაასხა.
— დედიკო, ეს რა არის? — იკითხა ორწლინახევრის დაჩი კურცხალიამ.
— ამით ყვავილებს მოვრწყავთ, — უპასუხა დედამ.
— რა, ეს ყვავილების კომპოტია? — გაუკვირდა ბავშვს.

4 წლის სოფიკო მაგრაქველიძე ფეხმძიმე დედას ეკითხება:
— დედიკო, სათამაშო რომ გადაყლაპო, ბაია მუცელში ითამაშებს?

5 წლის თორნიკე ზაუტაშვილს აძინებენ. მას ბებო მიუწვა:
— ბებო, არ ჩაგეძინოს, თორემ შენს საწოლში ვინ გადაგიყვანს?

5 წლის ლევან ცუცქირიძემ დიდხანს უყურა მამის ფოტოსურათებს (3X4-ზე, 10 ცალი) და გახარებულმა დედიკოს უთხრა:
— დედიკო, რა კარგი იქნებოდა, ამდენი მამიკო რომ მყავდეს...

3 წლის ნინო შუბითიძემ დედა გააბრაზა. დედამ დატუქსა:
— ძალიან ცელქობ, დღეიდან რეჟიმში ჩაგსვამ!..
ნინომ ბაბუასთან მიირბინა:
— ბაბუ, შენც ჩემთან ერთად ჩაჯექი რეჟიმში, თორემ მარტო მეშინია.

მოამზადა **რუსუდან გელაშვილმა**



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. მის; 2. იმპერია; 3. ოკრიბა; 4. სენბერნარი; 5. როდეო; 6. ელექტრობა; 7. ქინძი; 8. არქიპელაგი; 9. ტარო; 10. ნირი; 11. ჰონდა; 12. ჰავა; 13. კაკა; 14. ანალოგია; 15. ბონი; 16. ჰამამი; 17. დინარი; 18. პანტა; 19. აგნი; 20. დაშნა; 21. აკუნინი; 22. პადრე; 23. პითაგორა; 24. ლაგა; 25. ერი; 26. ლიანა; 27. ჯოგი; 28. ბლერი; 29. ენა; 30. შენ; 31. მინდია; 32. არაჟანი; 33. ალიონი; 34. მახრა; 35. ნერონი; 36. ირა; 37. იარა; 38. დარი; 39. მაროდიორი; 40. დიქტი; 41. ანტენა; 42. კომა.

სურათებზე: სიენა მილერი; ორლანდო ბლუმი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

ჩ. ქართველი კინორეჟისორი; **ვ**. შურისძიების სიცილიურ-კორსიკული წესი; **ე**. საზოგადოების რჩეული ნაწილი; **ნ**. ფრენსის ფორდ კოპოლას ცნობილი ფილმი მარლონ ბრანდოსა და ალ პაჩინოს მონაწილეობით; **ი*.** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ჟ*.** გიორგი შავგულიძის მოფერებითი სახელი; **უ*.** ცის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც საკუთარმა შვილმა ცელით მოჰკვეთა ასო და ისე გამოასალმა სიცოცხლეს; **რ*.** ლითონის ფულის, ან მედლის უკანა მხარე; **ნ*.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ა*.** ქვითკირის სამარე; **ლ*.** პერუს დედაქალაქი; **ი*.** ფულის ერთეული ჩინეთში; **ს*.** საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **ა*.** ღეროთი შეერთებული ორი თამასა კარის ან ფანჯრის ჩამოსაკიდად; **უ*.** ტომას მორის ცნობილი ნაწარმოები; **კ*.** მხატვრული ფილმი ლაიზა მინელისა და მაიკლ იორკის მონაწილეობით; **ე*.** მეგრული კერძი, ღომში მოხარშული და ჩაზელილი სულუგუნი; **თ*.** მიწის დასამუშავებელი იარაღი; **ე*.** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **ს*.** იტალიელი კომპოზიტორი, რომელიც გადმოცემის თანახმად ფარულად მტრობდა მოცარტს; **ო*.** ერთ-ერთი უზენაესი ეგვიპტური ღვთაება; **ა*.** დაავადება, რომელსაც სულის ხუთვა ახასიათებს; **რ*.** გერმანელი მწერალი, „ნასესხები სიცოცხლის ავტორი“; **ჩ*.** რა ჰქვია დესერტს ქართულად; **ე*.** დამოკლეს მახვილი, იობის მოთმინება, სიზიფეს შრომა, მურმანის — ?; **ვ*.** იტალიელი კომპოზიტორი; **ა*.** მთა, სადაც წარღვნის შემდეგ გაჩერდა ნოეს კიდობანი; **ნ*.** ცალთვალა ინგლისელი ადმირალი, რომელმაც ტრაფალგარის ბრძოლა მოიგო და ამავე ბრძოლაში დაიღუპა; **ი*.** ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც საკუთარმა ძმებმა მონად მიჰყიდეს ეგვიპტელებს; **ა*.** ძველეგვიპტური ღმერთი, რომლის შვილადაც აცხადებდა თავს ალექსანდრე მაკედონელი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

დ*. დუბაი; **ა*.** ამერიკა; **ი*.** იხვი; **ს*.** სირტაკი; **ვ*.** ვაიმარი; **ე*.** ექსცესი; **ნ*.** ნამგალი; **ე*.** ელცინი; **ჩ*.** ჩიორა; **ვ*.** ვედრება; **ე*.** ერნესტი; **ნ*.** ნოე; **ს*.** სიბილა; **ჟ*.** ჟღენტი; **უ*.** ურვა; **რ*.** რურუა; **ნ*.** ნაჯახი; **ა*.** ანექსია; **ლ*.** ლურჯა; **თ*.** თუშეთი; **ა*.** ათენი; **ნ*.** ნაცია; **ე*.** ენდრო; **რ*.** რვეული; **თ*.** თიბათვე; **ა*.** ავანსი; **დ*.** დიონისე.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ბევრის მცოდნე ბევრჯერ შეცდებაო

იაპონური სენსაციის სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

5	9	8	1	7	4	2	3	6
3	7	1	2	8	6	4	9	5
6	2	4	5	3	9	1	7	8
7	4	9	8	1	2	6	5	3
1	8	5	9	6	3	7	4	2
2	6	3	4	5	7	9	8	1
4	1	2	3	9	8	5	6	7
8	5	6	7	4	1	3	2	9
9	3	7	6	2	5	8	1	4

3	8	9	7	4	6	2	1	5
7	4	1	5	2	8	6	3	9
6	2	5	3	9	1	4	8	7
8	5	6	4	7	3	9	2	1
4	1	3	9	6	2	5	7	8
9	7	2	8	1	5	3	4	6
5	9	4	1	3	7	8	6	2
2	3	7	6	8	9	1	5	4
1	6	8	2	5	4	7	9	3

7	3	8	6	4	9	2	1	5
9	2	4	5	1	8	6	3	7
6	1	5	7	3	2	9	4	8
1	6	9	4	8	7	5	2	3
3	5	7	1	2	6	8	9	4
8	4	2	3	9	5	7	6	1
2	7	1	9	5	4	3	8	6
5	9	3	8	6	1	4	7	2
4	8	6	2	7	3	1	5	9

* **მარტივი**

		6	8				2	3
	5		7			1		
		2		6				8
		9			1		8	
	8		3	7			1	
	7			8		3		
5				4		7		
		4			7		5	
6	1				8	2		

** **საშუალო**

		8			6	5		
	3			1				6
	5			4				
4			6	2				9
		6		7		3		
7					3			8
				6			5	
3				5			1	
		7	9			4		

*** **რთული**

		8			1		5	
			6					8
	1				7			2
	5				2	7		
		4	7			9		
		1	8		9		4	
8			9				3	
7					3			
	3		4			6		

ფოტოკუჩიოზები



ყურადღება! ყურადღება!

„კვირის პალიტრა“ განაგრძობს
მკითხველის განებივრებას

კარგი წიგნებით სპეციალურ ფასში!

თებერვლიდან კიდევ ერთი
მსოფლიო ბესტსელერი
თქვენთვის!

შემეცნებითი წიგნების სერია

ეს სამყაროა

სამგანზომილებიანი გამოსახულებები
და მდიდრული ილუსტრაციები.

სამყაროს ყველაზე საინტერესო ფაქტები და
მოვლენები უხსოვარი დროიდან დღემდე!

ყოველთვიურად მიიღეთ ერთი ახალი ტომი საყმაწვილო სერიიდან - ეს სამყაროა. სამყარო რომელიც უფროსებსაც გააოცებთ!